გისურვებთ ბედნიერ 2013 წელს!

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№3

# სარკე

16-22.I 2013



ლუკა ზაქარიაძე: „ჩემი არჩევანი არ იყო, რომ მამასთან მეცხოვრა“

რატომ არ იღიმება „საქართველოს ვარსკვლავი“

გვ.30



გვ.8

„რუსკა მაყაშვილს არ ეწყინოს, მაგრამ მე უკეთესი პრიზი შემხვდა!“

გიორგი ვარდოსანიძეს 20 კილო აქვს დაკლებული



„სალომეს გათხოვება მამობილმა ძალიან განიცადა“

„სალომეზე ფეხმძიმობისას ნიკორწმინდაში ვგალობდი“

## სალომე ქათამაძის დიდი ხმაურიანი ოჯახი

გვ.31



გვ.20

დავით სერგიენკო: „მაქვს პატივი, ბიძინა ივანიშვილის შვილების ექიმი ვიყო“



გვ.6

პაატა ბურჭულაძე: „პატრიარქმა შემომითვალა, სიბინძურეს სიბინძურით არ უპასუხოო“



გვ.10

ლევან გოგიჩაიშვილი: „ირინკა ბათიაშვილზე გაბრაზებული არა ვარ, ის დასავით მიყვარს“

ISSN 1987-9369
9 771987 936002

„ძველი შეყვარებული მზად არის, ორსულიც მიმიღოს“ გვ.13

# ისმიჟენი

## ძლიერი იმუნიტეტი ნებისმიერ ასაკში

### რა არის ისმიჟენი?

➤ **ისმიჟენი** თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პრეპარატია, რომელიც აძლიერებს სასუნთქი სისტემის იმუნიტეტს და ზრდის ორგანიზმის მდგრადობას ინფექციებისადმი.

➤ **ისმიჟენის** მიღების ფონზე:

- მცირდება ზემო და ქვემო სასუნთქი გზების ბაქტერიული ინფექციების სიხშირე, სიმძიმე და მიმდინარეობის ხანგრძლივობა;
- მცირდება ანტიბიოტიკების მიღების საჭიროება.

### რა უპირატესობებით გამოირჩევა ისმიჟენი?

➤ **ისმიჟენი** ახდენს გაციების, გრიპის, სურდოს, ბრონქიტის განვითარების პროფილაქტიკას;

➤ **ისმიჟენი** 50-100-ჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა ანალოგიური პრეპარატები, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიითაა მიღებული;

➤ **ისმიჟენის** საწუწნი ტაბლეტები მოქმედებას იწყებს მიღებისთანავე პირის ღრუში და სწრაფად აძლიერებს ადგილობრივ იმუნიტეტს.

### როგორ მივიღოთ?

➤ **ისმიჟენის საწუწნი ტაბლეტები** მიიღება დღეში ერთხელ – ენის ქვეშ;

- 6 თვიდან 12 წლამდე – 1/2 ტაბლეტი ერთხელ დღეში;
- მოზრდილებში – 1 ტაბლეტი ერთხელ დღეში.

**გაწუხებთ ხშირი გაციება, გრიპი, სურდო, ბრონქიტი?**

თქვენს იმუნიტეტს დახმარება სჭირდება

მიიღეთ

**ისმიჟენი**

✓ ისმიჟენი აძლიერებს სასუნთქი სისტემის იმუნიტეტს და გიცავთ ხშირი ავადმყოფობისგან

მიიღეთ პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის თვეში 10 დღე, 3 თვის განმავლობაში




გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

GMP ჯი-ემ-პი

# 30 იანვრიდან! პირველად საქართველოში!

## ახალი პროექტი ჟურნალ „სარკესთან“ ერთად

# ქართული კულტურის ოქროს ფონდი

## ტომი 1. კოტე მარჯანიშვილი



გვ.34

ლუარსაბ ტოგონიძე: „ჩვენი ტრადიციული სამოსი ერთდროულად თავმომწონეც არის და თავმდაბალიც“



გვ.21

გოგა ხაჩიძე: „თეა წულუკიანის ნათესავიც ვარ და ნოდარ ხადურისაც“



დოდო გვ.36 ხურცილავა შალვა რამიშვილზე ნაწყენია



გვ.23

ელენე ფოჩხუა: „აღარ მინდა, სევდიანი სიმღერები ვიმღერო“



გვ.37

გიორგი ნაზღაიძე საცოლესთან ერთად ამერიკაში საცხოვრებლად მიდის

# ნომერში

## ცხოვრების გაკვეთილები


პაატა ბურჭულაძე: „პატრიარქმა შემომითვალა, სიბინძურეს სიბინძურით არ უპასუხოო“ 6


## ტანდემი


გიორგი ვარდოსანიძე: „რუსკა მაყაშვილს არ ეწყინოს, მაგრამ მე უკეთესი პრიზი შემხვდა!“ 8


## განსაცდელი


ლევან გოგიჩაიშვილი: „ირინკა ბათიაშვილზე გაბრაზებული არა ვარ, ის დასავით მიყვარს“ 10


## მატება


სოფო ხალვაში მეორე შვილს ელოდება 11


## გულახდილი საუბრები 12-13

## პოლიტიკა


- მინდია უგრეხელიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებები მეხამრიდებია, რომ იმპულსურმა ადამიანმა ჯებირები არ გადალახოს“ 16
- რამაზ საყვარელიძე: „რატომ არის ჩუმად დღევანდელი ხელისუფლება საკაშვილის ბრალდებებზე?!“ 17
- რატომ დატოვა ეკა ბესელიამ „რუსთავი 2“-ის პირდაპირი ეთერი 19


## მთავრობის სახე


დავით სერგიენკო: „მაქვს პატივი, ბიძინა ივანიშვილის შვილების ექიმი ვიყო“ 20


## ახალი ოპოზიცია


გოგა ხაჩიძე: „თეა წულუკიანის ნათესავიც ვარ და ნოდარ ხადურისაც“ 21


## ეტაპი


ელენე ფოჩხუა: „აღარ მინდა, სევდიანი სიმღერები ვიმღერო“ 23


## სარკის წინ


სალომე შარვაძე დიეტებით ქმარს ნერვებს უშლის 24


## შოუს მიღმა


ლაშა თოფურია ცოლთან დუეტის ჩაწერაზე ოცნებობს 25


## სამშობლოდან შორს


გურამ ლომიძე ქართველ ქალზე უიმედოდ არის შეყვარებული 27


## მოზარდები 28-29

## ფავორიტი


ლუკა ზაქარიაძე: „ჩემი არჩევანი არ იყო, რომ მამასთან მეცხოვრა“ 30


## მათი მშობლები


სალომე ქათამაძის ხმაურიანი ოჯახი 31


## სამეგობრო


რატომ აბრაზებს ჯაბა კილაძეს ეკა ნიჟარაძის ასაკზე საუბრები 33


## ტრადიციები


ლუარსაბ ტოგონიძე: „ჩვენი ტრადიციული სამოსი ერთდროულად თავმომწონეც არის და თავმდაბალიც“ 34


## ნაცნობი სახე


- დოდო ხურცილავა შალვა რამიშვილზე ნაწყენია 36
- გიორგი ნაზღაიძე საცოლესთან ერთად ამერიკაში საცხოვრებლად მიდის 37


## ავტომოყვარული


ანნა იმედაშვილი: „ავარიაში უმეტესად კაცი მძღოლების გამო ვხვდები“ 38



№ 3 (770) 16 — 22 იანვარი, 2013
ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 14.01.2013, 21.00 სთ-ზე.


## ცხოვრება ჩემოდნებზე


როგორ გადაურჩა ზაზა მარჯანიშვილი „კატრინას“ 43


## მეგზური


კო სამუი — ტაილანდის განძი 45


## ჩემი მშვენიერი ლედი


რატომ უფრთხის გიორგი მოსიძე მოთამაშე ქალებს 50



## სპორტის მიღმა 51

## სახალისო 52-53

## დედიკოების სკოლა 56-57

## იყავით ჯანმრთელი 58-59


# ომარ ფხაკაძის ქვრივი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს

## ლეგენდა, რომელიც ნათხოვარი ველოსიპედით დაიწყო

ის საბჭოთა კავშირის ნომერ პირველ სპორტსმენად იყო დასახელებული, არადა მაშინ ქართველთა პირველობის აღიარება რუსებს ძალიან უჭირდათ. მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი გახლდათ! ამიტომაც უწოდებენ ახლა ასე — ლეგენდარული ველომრბოლელი ომარ ფხაკაძე.



ომარ ფხაკაძე ცოლ-შვილთან ერთად

ბავშვობაში მის ოჯახს ველოსიპედის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა და მეზობლისგან ნათხოვარ ველოსიპედზე ჯდებოდა. მოგვიანებით მისი სპორტული მონაცემებით გაოგნებულმა მწვრთნელებმა ქუთაისელი ბიჭი სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეს და მსოფლიო ჩემპიონად აქციეს.



დედა-შვილი

მისი ვაჟი, უმცროსი ომარ ფხაკაძე, ახლახან საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ქვეყანაში, სადაც ველოსიპედს დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე უზარმაზარი „ძეგლი“ დაუდგეს, ველოსპორტი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ფხაკაძეების ოჯახი დახმარებას ითხოვს. დედა-შვილი — ომარ ფხაკაძე უმცროსი და დონარა ჯანუკაშვილი „სარკეს“ ოჯახის წარსულსა და აწმყოზე ესაუბრნენ.


გვ.14


## ქალური მოთხრობები


- ლელა ცუცქირიძე — წერილი 66
- მაია ბლიაძე — ფორტეპიანოს გაკვეთილები 68


## წმინდანები


ყველამ ვიცით, ცხოვრება ადვილი რომ არ არის, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია და ამასაც თუ გავაცნობიერებთ, უკვე წარმატება იქნება 72


## კითხვები მოძღვარს


„ლოცვა გვმართებს, რომ შევხვდეთ ისეთ მოძღვარს, ვინც ჩვენ გვჭირდება“ 73



ილია II

# ილია II: „უფალი მეფობს და არა – მე!“

2013 წლის 13 იანვარი საქართველოსთვის ისტორიული დღე იყო. ქვეყნის დედაქალაქში, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში, სამმა პატრიარქმა — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოს პირველმა და სერბეთის პატრიარქმა ირინეოსმა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელ მაღალ სასულიერო პირებთან ერთად წირვა აღასრულა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მართლმადიდებლობის ორიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. მართლმადიდებელი მწყემსმთავრები ილია მეორეს მე-80 დაბადების დღეს და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს ულოცავდნენ და მასთან ერთად მთელ საქართველოს ლოცავდნენ. ასეთი მადლიანი ახალი წელი იშვიათად თუ ჰქონია ჩვენს ქვეყანას.

წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მსოფლიო პატრიარქს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად მინანქრით შესრულებული დავით წინასწარმეტყველის ხატი უსახსოვრა.

— დღეს არის ხსენება წმიდისა წინასწარმეტყველისა დავითისა და შევთხოვთ მას, რომ საქართველოსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს. დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ჩვენ ვხედავთ ჩვენი ეკლესიის აღმავლობასა და დიდებას. დავით წინასწარმეტყველმა ისრაელი რომ გააერთიანა და ზეიმით შედიოდა იერუსალიმში, მთელი ერი აქებდა, მან კი გააჩერა მსვლელობა და უთხრა: „უფალი მეფობს და არა — მე“. დღეს, როდესაც აღინიშნება ჩემი აღსაყდრებისა და დაბადების თარიღები და როდესაც ამბობენ, რომ მე რაღაც გავაკეთე, მინდა გითხრათ, რომ ამ ყველაფერს უფალი აკეთებს, რადგან უფალი მეფობს. ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული, — მიმართა ილია მეორემ ღვთისმსახურებს და მრევლს.

**ჟურნალ „სარკის“ რედაქცია უერთდება სრულიად მართლმადიდებლური სამყაროს მილოცვებს ჩვენი პატრიარქისადმი და საქართველოს მწყემსმთავარს სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს, მხნეობას, თავის საყვარელ ქართველ ერთან მრავალი ბედნიერი წელიწადის გატარებას უსურვებს!**

## ბართლომეოს პირველი: «ქართველებში არის მართლმადიდებლობის დნმ»



შეხვედრა საპატრიარქოში

საქართველოს უმაღლესი პირები — პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე — ძველით ახალ წელს საპატრიარქოში მსოფლიოს 15 მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების გარემოცვაში შეხვდნენ.

საქართველოში ვიზიტით მყოფი სასულიერო პირები პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კანცელარიაში მიიღო, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი მსოფლიო პატრიარქს, ბართლომეოს პირველს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა. ოფიციალური შეხვედრის შემდეგ საზეიმო ვახშამიც გაიმართა, სადაც ამაღლების ტაძრის მგალობელთა გუნდმა და სოფო ნიჟარაძემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შექმნილი საგალობელი „წმიდაო ძლიერო“ შეასრულეს.

ვახშამს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ქალაქის მერი გიგი უგულავა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილიც ესწრებოდნენ. უწმინდესმა ვახშამზე მის მიერ შექმნილი ღვთისმშობლის საგალობლის ისტორია გაიხსენა:

— მე მახსენდება საახალწლო კონცერტი ბათუმში. იქ შუბერტის „ავე მარია“ შეასრულა სოფიკომ. ისეთი ნაზი იყო, ისეთი მოსაწონი, იმ საღამოს გადაწყდა, რომ მე უნდა დამეწერა „მარია“. ასე რომ, ქალბატონო სოფიკო, თქვენ გეკუთვნით ინიციატივა ამ დიდი საქმისა. მე მინდა, დავლოცო სოფიკო, რომ მომცა სურვილი, ენერგია და ძალა, დამეწერა ეს, — ბრძანა პატრიარქმა.

მართლმადიდებელი სამყაროს უმაღლესმა იერარქმა საქართველო 14 იანვარს დატოვა, ქართველი ერი კი შემდეგი სიტყვებით დალოცა:

— განცვიფრებული, კმაყოფილი და გახარებული ვარ ქართველი ხალხის რწმენის სიმტკიცით. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ გუშინდელი საღამოთი, როცა ძველით ახალ წელს საპატრიარქოში შევხვდი. იქ იყვნენ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, პატრიარქის სულიერი შვილები და, რაც ყველაზე მთავარია, ერთად ისხდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე. მე დავრწმუნდი ქართველი ერის ერთიანობაში, ასეთი ერთიანობის შექმნა კი მხოლოდ ილია მეორეს შეუძლია. გახარებული ვარ ქართველი ახალგაზრდებით, ისინი ევროპელი ახალგაზრდებისგან ძალზე განსხვავდებიან. შემიძლია ვთქვა, რომ ქართველებში არის მართლმადიდებლობის დნმ.

ყველა ქართველს მივულოცავ ახალ წელს! მშვიდობა, სიყვარული და ერთობა სუფევდეს! ილვაწეთ თქვენი ისტორიული და ლამაზი ქვეყნისთვის! მთელი გულით გაკურთხებთ! დარწმუნებული ვარ, ასეთ ერს დიდი მომავალი აქვს.


სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. დიზაინი — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიშელიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ელენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია. სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი — იზა ბარბაქაძე.



მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE




Cyan Magenta Yellow Black



■ ირაკლი ღარიბაშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილმა სტუდენტებს შსს-ში დასაქმება შესთავაზა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 10 წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის 300-ზე მეტ წარჩინებულ სტუდენტს შეხვდა. მინისტრმა ახალგაზრდებს საკუთარი ბიოგრაფია გააცნო, შემდეგ კი შსს-ს სისტემის განვითარების 2013 წლის სტრატეგია წარადგინა.

მინისტრის განცხადებით, სტრატეგიის გეგმა მან, პირველ რიგში, სტუდენტებს წარუდგინა, რადგან სწორედ ახალგაზრდები უნდა გახდნენ იმის გარანტი, რომ ქვეყანა და თუნდაც სამართალდამცავი სტრუქტურები გაჯანსაღდეს. ირაკლი ღარიბაშვილმა სტუდენტებს ახალი ინიციატივაც გააცნო და სამინისტროში დასაქმება შესთავაზა. მისი თქმით, ის პირადად მიიღებს სტუდენტებისგან მონაცემებს, მოხდება მათი კატეგორიზაცია და თუ მათი მხრიდან იქნება ინტერესი, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარჩინებული ახალგაზრდები დასაქმდნენ.

სამინისტროს სისტემის განვითარების სტრატეგიის გეგმის პრეზენტაციის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ახალგაზრდების შეკითხვები აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, მათ შორის, ამნისტიის კანონთან დაკავშირებით მინისტრის პოზიციას, სამინისტროს რესტრუქტურიზაციის პროცესს, კიბერდანაშაულთან, ქურდულ მენტალიტეტთან და „მოსმენების ინსტიტუტთან“ ბრძოლას.

შეხვედრა 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მისი დასრულების შემდეგ, მინისტრისა და სტუდენტების ურთიერთობა არაფორმალურ გარემოში გაგრძელდა. ახალგაზრდებმა ირაკლი ღარიბაშვილს ავტოგრაფები ჩამოართვეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

# სასამართლომ ოქრუაშვილის საქმეზე დაკავებულებიც გაათავისუფლა

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის შემდეგ უკვე მასთან ერთად ბრალდებული 6 პირი 2.000-2.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო.

ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნას ან ხელმძღვანელობას გულისხმობს და თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.



■ ირაკლი ოქრუაშვილი

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გასულ კვირას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა პატიმრობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გირაოს ოდენობა 15 000 ლარით განისაზღვრა. პატიმრობის გირაოთი შეცვლის შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა და მიზეზად ის დაასახელა, რომ ოქრუაშვილის მიმალვის საფრთხე არ არსებობს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით აღძრული საქმე უვარგისი ვაზნების შეძენას უკავშირდება. ოქრუაშვილის გათავისუფლების საფუძველი შექმნა საქალაქო სასამართლოს მიერ 10 იანვარს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, ყოფილ მინისტრს 10 ათასი ლარის გირაო შეეფარდა აღკვეთის ზომად. მანამდე პროკურატურამ არასაკმარისი მტკიცებულებების გამო ირაკლი ოქრუაშვილს მოუხსნა ფულის გათეთრების და კომპანია „ჯეოსელის“ აქციების უკანონოდ დაუფლების ბრალდებები, რისთვისაც 2008 წელს 11 წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

# ზურაბ ადეიშვილს წითელი ცირკულარით მოძებნიან

იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. საქართველოს პროკურატურამ უკვე გადაუგზავნა შს სამინისტროს თბილისის ინტერპოლის ბიუროს საქმის მასალები, საიდანაც საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ცენტრალურ შტაბ-ბინას გადაეგზავნება. შემდეგ მასალებს საერთაშორისო კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი დეპარტამენტი დეტალურად შეისწავლის და ადეიშვილზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდება.



■ ზურაბ ადეიშვილი

ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 4 მუხლითაა აღძრული. მას ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, პატიმართა დამამცირებელი მოპყრობის ორგანიზებაში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე მტკიცებულებების ფალსიფიცირების ორგანიზებასა და დანაშაულის პროვოცირებაში. პარალელურად იუსტიციის ყოფილი მინისტრის ადგილსამყოფელზე ახალი ინფორმაცია ჩნდება. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ადეიშვილი უნგრეთის დედაქალაქშია.

## კრიმინალური ქრონიკა

### ყაჩაღი ცხელ კვალზე დააკავეს

პოლიციამ ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, ყაჩაღობის ბრალდებით 1985 წელს დაბადებული ზურაბ დ. დააკავა. მან 2013 წლის 13 იანვარს ქ. თბილისში კაიროსა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურ „ვისოლის“ ოპერატორს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, 133 ლარი გასტაცა.

ზურაბ დ.-ს პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მას 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

### ქალმა ქმარს საკუთარი მამა მოაკვლევინა

კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული ლაშა გ. და 1985 წელს დაბადებული თამარ ნ. დააკავეს განზრახ მკვლელობის ბრალდებით.

ლაშა გ.-მ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ცივი იარაღით სიმამრს, 1942 წელს დაბადებულ ომარ ნ-ს, 6 ჭრილობა მიაყენა. ის შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მოკლულის ქალიშვილმა თამარ ნ.-მ თავის მეუღლეს, ლაშა გ.-ს მამამისის მკვლელობა შეუკვეთა. საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) აღიძრა. დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

### „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების ბრალდებით 3 პირი დააკავეს

10 იანვარს შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ნუცუბიძის ქუჩის №78 მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს-ფილიალის ყაჩაღობაში ბრალდებული 3 პირი დააკავეს.

დაკავებულებმა „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს-ფილიალზე შეიარაღებული თავდასხმა 8 იანვარს, 15.15 სთ-ზე განახორციელეს და იარაღის მუქარით ბანკიდან დაახლოებით 8 000 ლარი გაიტანეს. სამართალდამცავებმა ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს 2-ჯერ ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული გიორგი ყ., წარსულში ყაჩაღობისათვის 2-ჯერ ნასამართლევი, 1984 წელს დაბადებული ბესიკ ჯ. და წარსულში იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ნასამართლევი, 1984 წელს დაბადებული ლევან ხ. ისინი რუსთავში, მეგობრის ბინაში აიყვანეს.

დაკავების ადგილიდან სამართალდამცავებმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და მცირედი თანხა ამოიღეს.



Cyan Magenta Yellow Black

ცხოვრების გაკვეთილები

# პაატა ბურჭულაძე: „პატრიარქმა შემომითვალა, სიბინძურეს სიბინძურით არ უპასუხოო“

## „კარგი იქნებოდა, ყოველგვარ ინტრიგას გავრიდებოდი“



პაატა ბურჭულაძე

„ვარსკვლავი დაიბადა“, — ასე შეაფასა მუსიკალურმა კრიტიკამ 1984 წელს პაატა ბურჭულაძის დებიუტი ლონდონის სამეფო თეატრ „კოვენტ გარდენის“ სცენაზე. 29 წლის უცნობი ქართველი მომღერალი საერთაშორისო საოპერო სახლში ჩავიდა და მეორეხარისხოვანი როლით საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავები დაჩრდილა. აქედან დაიწყო პაატა ბურჭულაძის ბრწყინვალე კარიერა. „სახეზეა ძლიერი, შესანიშნავი ჟღერადობის, მუქი ფერის ბანი“, — წერდნენ ქართველ ბანზე.

ახლა უკვე ალბათ ყველას წარმოუდგენლად ეჩვენება, რომ მან თავის დროზე საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, დედის დაჟინებული თხოვნით ჩააბარა კონსერვატორიაში. უამრავი საპატიო წოდების და ჯილდოს მფლობელი ყველა წარმატებას იღბალს უმადლის და დღესაც კი ყოველდღე გაორმაგებული ძალებით მუშაობს საკუთარ თავზე, ხმაზე, ახალ პარტიებზე, ვიზუალზე... ოცნებობს, სცენაზე ყოფნის 50 წელი ისე აღნიშნოს, რომ ხალხს თავი არ მოაბეზროს.

ბატონი პაატას კარიერას ყველაფერი სხვა დანარჩენი ემსხვერპლა, მაგრამ არ ნანობს. ორი ბიჭის მამაა. ამბობს, რომ მათთვის არასოდეს ეცალა და ბიჭები ისე გაიზარდნენ, ვერ გაიგეს, რას ნიშნავს მამასთან გატარებული შაბათკვირა. ამის გამო ხშირად საყვედურობენ.

პირველად 18 წლის ასაკში გახდა მამა. მისი პირველი ცოლი ირინა ნატრიაშვილი იყო. პირველი შვილის დაბადებით გამოწვეული ემოცია იყო ძალიან დიდი და ლამაზი, მაგრამ, როცა მეორე ბიჭი შეეძინა, მაშინ მიხვდა, რას ნიშნავს, გერქვას მშობელი. მერე ოჯახი დაენგრა. ამ თემაზე ბატონ პაატას საუბარი არ სურს. იქნებ ცოლმა ვერ აიტანა მუდმივად სახლში არმყოფი ქმარი... ბატონი პაატას მეორე ნახევარი დღეს ანჟელა ვასილენკოა.

ცხოვრებამ ბევრი მწარე გაკვეთილი ჩაუტარა. ახალგაზრდობაში ხშირად ემოციებს ჰყვებოდა და ამის გამო ბევრჯერ ინტრიგებშიც გაიხლართა, რასაც ახლა ძალიან ნანობს. ახლა ზუსტად იცის, სად არის მისი ადგილი, რა უნდა, რაში ჩაერიოს და რაში არა, როდის მოიცადოს და როდის აჩქარდეს.

### ბიჭი განსხვავებული ხმით

— ბავშვობაში თანატოლებისგან მოუსვენრობით და უჩვეულო ხმით გამოვირჩეოდი. პატარაობისას ჩემი ხმა ხშირად მიქმნიდა პრობლემებს. გაკვეთილზე კლასელისთვის რომ გადამეჩურჩულებინა, მთელი კლასი ჩემკენ იყურებოდა. რა თქმა უნდა, მასწავლებლებიც მაშინვე შენიშვნას მაძლევდნენ. ერთადერთი, ვისაც ჩემი ხმა ახარებდა და მომავლის იმედით ივსებოდა, დედა იყო. კონსერვატორიაშიც სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით ჩავაბარე, მაგრამ არ ვფიქრობდი, რომ ცხოვრებას კლასიკურ მუსიკას დავუკავშირებდი. არც მამას უნდოდა, რომ ამ გზას გავყოლოდი და მისი პატივისცემით კონსერვატორიის პარალელურად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტიც გავხდი, სამშენებლო ფაკულტეტი დავამთავრე.

ჩემი საბოლოო პროფესიული არჩევანი სტუდენტურ სპექტაკლ გუნოს „ფაუსტში“ შესრულებულმა მეფისტოფელის პარტიის წარმატებამ განაპირობა. ჩემზე სცენის საოცარმა ატმოსფერომ იმოქმედა, თითქოს მაყურებელი გრძნობდა, ესმოდა, რისი თქმა მინდოდა ჩემი სიმღერით.

### ბედის რჩეული

— კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“ ბაბუა ტარიელის პარტიის შესასრულებლად მიმიწვიეს. ძალიან საინტერესო ხალხთან მომიწია ურთიერთობა — გივი აზმაიფარაშვილი, გიზო ჟორდანია, ნოდარ ანდღულაძე, თენგიზ მუშკუდიანი, თემურ ჯაფარიძე, ავთანდილ მამაცაშვილი, ჯანსუღ კახიძე...

ადამიანს ყველა წარმატებაში თავისი ნიჭი ეხმარება, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ყველაფერი იღბალზეა დამოკიდებული. თუ პიროვნება არ ხარ, ხმასაც და სიმღერასაც ფასი მალევე ეკარგება. როცა იღბალი გაქვს, საქმეში ბევრს აღწევ. უფლის წყალობით, ძალიან იღბლიანი ვარ. რა თქმა უნდა, მხოლოდ იღბლის ანაბარა, სწავლის და შრომის გარეშეც არაფერი გამოვიდოდა. ყველას ჰგონია, რომ მსოფლიოში რამდენიმე კარგი მომღერალია და დანარჩენები არვარგა. სინამდვილეში ბევრი კარგი მომღერალი გვყავს, მაგრამ მათ არ გაუმართლათ და საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოხვდნენ. ზუსტად იმ დროს მოვხვდი „კოვენტ გარდენის“ სცენაზე, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო. ვარსკვლავურ შემადგენლობაში შედგა ჩემი პირველი საერთაშორისო დებიუტი.

> „დღევანდელი თეატრი ველარ იტანს ზედმეტ კილოგრამებს. უარი ვთქვი გემრიელ სმა-ჭამაზე. მიყვარს მეგობრებთან ერთად მოლხენა. ამაზეც უარი ვთქვი“.

### ლა სკალა

— კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1978 წელს, ლა სკალას სტაჟიორი გავხდი. განუმეორებელი თეატრალური ატმოსფერო, საუკეთესო ვოკალისტები, დირიჟორები, პედაგოგები — ასეთ გარემოში სამი წლის გატარება უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ჩემი პროფესიული სრულყოფისთვის.

ჩემთვის ძვირფას მოგონებად რჩება მონაწილეობა ლა სკალას სპექტაკლში „ნაბუქო“. სწორედ ამ სპექტაკლით გაიხსნა ახალი სეზონი, რომელიც ყოველ წელს, ტრადიციისამებრ, 7 დეკემბერს იწყება ხოლმე. მილანში საოპერო სეზონის გახსნა ყოველთვის ზეიმია. ამ ზეიმში მონაწილეობა კი ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაც იყო და დაფასებაც.

ჩემს კარიერაში ორმა გამოჩენილმა ადამიანმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ჰერბერტ ფორ კარაიანმა მთლიანად შეცვალა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. მე თუ დღეს კარგი მომღერალი ვარ, სწორედ მას უნდა ვუმადლოდე. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი მაესტრო გარდაიცვალა.

მეორე დიდი პიროვნება და ჩემი დიდი მეგობარი ლუჩიანო პავაროტი იყო. ასეთი არტისტი ალბათ არც ყოფილა და არც არასოდეს იქნება. კარიერის დასაწყისში ეს ადამიანი ძალიან დამეხმარა და მის ხსოვნას კონცერტიც მივუძღვენი ჩილეში.

### სინანული

— ცოტა ჭკუით რომ მოვქცეულიყავი და იღბალთან და მუშაობასთან ერთად სწორად წარმემართა ჩემი ცხოვრება, უფრო მეტს მივაღწევდი. ეს არ არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ჩემი შემოქმედება მაქვს მხედველობაში. გაცილებით მეტი შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ მაინც მადლობა ღმერთს, რომ ეს ყველაფერი შევძელი.

ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი. ჩვენს სფეროში საკმაოდ ბევრი ინტრიგაა. ძალიან ჭკვიანი უნდა იყო და შეძლო, ემოციებს არ აჰყვე. ამ ყველაფრის გათვლა ძალიან ძნელია მაშინ, როდესაც დამრიგებელი არავინ გყავს. ახალგაზრდა კაცი მოვხვდი საზღვარგარეთ, უცებ აღმოვჩნდი ზენიტში და წარმოიდგინეთ, გარშემო რამდენი ინტრიგა დაიხლართა, იყო წაქეზებები და ერთი ამბები. ბევრთან უსიამოვნებები მომივიდა, ვერ შევთანხმდი დირიჟორებთან.

> „პატრიარქი გვეუბნება, არც ერთ სიბოროტეს სიბოროტით არ უპასუხოთ. ახლა მეც ყველა ახალგაზრდას ამას ვურჩევ. ყველა სიბოროტეზე გაჩერდით, კეთილი საქმეებით უპასუხეთ და სიკეთე ათჯერ მეტად დაგიბრუნდებათ უკან. მაშინ ეს არ ვიცოდი და ამან ძალიან ბევრი შეცდომა დამაშვებინა“.

ახლა ვხვდები, რომ კარგი იქნებოდა, თუ ყოველგვარ ინტრიგას გავერიდებოდი. ცუდია, რომ ამას ახალგაზრდა ვერ ვხვდებოდი. იმდენი რამ ხდებოდა ჩემ გარშემო, რომ უნებურად ჩავები ბრძოლაში. წლების წინ ისეთი გამოცდილება რომ მქონოდა, როგორიც დღეს მაქვს, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად წავიყვანდი ჩემს ცხოვრებას.

ჩვენი პატრიარქი გვეუბნება, არც ერთ სიბოროტეს სიბოროტით არ უპასუხოთ. ახლა მეც ყველა ახალგაზრდას ამას ვურჩევ. ყველა სიბოროტეზე გაჩერდით, ხმა არ ამოიღოთ, პირიქით, კეთილი საქმეებით უპასუხეთ და სიკეთე ათჯერ მეტად დაგიბრუნდებათ უკან. მაშინ ეს არ ვიცოდი და ამან ძალიან ბევრი შეცდომა დამაშვებინა.

### აპლოდისმენტების მიღმა

— ძალიან ბევრი რამ არის აპლოდისმენტების მიღმა. დანარჩენზე ყველაფერზე თითქმის უარის თქმა მომიწია. დიდი ძალა დავხარჯე იმაში, რომ ცოტა გავმხდარიყავი. დღევანდელი თეატრი უკვე ველარ იტანს ზედმეტ კილოგრამებს. ადრე იყო, რომ პავაროტი და მონსერატ კაბალიე სცენაზე დადგებოდნენ და ისე მღეროდნენ, საკუთარ წონას ყურადღებას არ აქცევდნენ. დღევანდელი თეატრი კი ითხოვს, რომ სცენაზე კარგად და ლამაზად გამოიყურებოდე. ამიტომაც იძულე-



Cyan Magenta Yellow Black

ბული გავხდი, უარი მეთქვა გემრიელ სმა-ჭამაზე. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად მოლხენა. ამაზეც უარი ვთქვი. მადლობა ღმერთს, რომ მოწევისთვის თავის დანებება ახალგაზრდობაშივე შევძელი. ყოველთვის ადრე ვიძინებ. გამოდის, რომ ფაქტობრივად ბევრ სიამოვნებაზე ვთქვი უარი. სხვათა შორის, ამ ნაირ-ნაირ სიამოვნებაზე უარის თქმა ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია.

## ოჯახისგან შორს

— გული მტკივა, რომ ჩემი შვილები ჩემთან არ გაიზარდნენ. ფაქტობრივად, მათ ვერასოდეს ვხედავდი, არ მინახავს მათი გაზრდა, რადგან საქართველოდან ყოველთვის წასული ვიყავი. ჩემს მეგობრებს შაბათ-კვირა შვილებისთვის აქვთ გამოყოფილი. ჩემი შვილებისთვის კი ეს უცხო იყო, არასოდეს მქონია მათთვის გამოყოფილი დღეები. თვეში ერთხელ რომ ჩამოვიდოდი და თვალს შევავლებდი, სულ ეს იყო. ბავშვებს ხომ ვერ წავიყვანდი, ჯერ ბაღში დადიოდნენ, მერე სკოლაში. მარტო არდადეგებზე თუ ვახერხებდით ერთად ყოფნას.



■ ლუჩიანო და პაატა

რას ვიზამ, ცხოვრება ასეთია. მე რომ მათთვის დიდი დრო დამეთმო, ჩემი კარიერა აღარ შედგებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ კარიერულ წინსვლაზე უფრო ვიფიქრე, ვიდრე ჩემს ოჯახზე. საერთო საქმისთვის, საქართველოსთვის ჩემი კარიერა უფრო საჭირო იყო.

**„გული მტკივა, რომ ჩემი შვილები ჩემთან არ გაიზარდნენ. ფაქტობრივად, მათ ვერასოდეს ვხედავდი... შემიძლია ვთქვა, რომ კარიერულ წინსვლაზე უფრო ვიფიქრე, ვიდრე ჩემს ოჯახზე“.**

ყველა კარგი მომღერალი თავის ოჯახს მოშორებულია, ყველას გვინდა, კარიერის ხარჯზე ოჯახი არ დაზარალდეს, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის. ჩემმა საქმემ ჩემი ოჯახური კეთილდღეობა შეიწირა.

პირველად 18 წლის ასაკში გავხდი მამა. ეს ისეთი შეგრძნება იყო, ვერც კი გადმოგცემთ! შუქრი 1973 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს დაიბადა. საღამოს 9 საათზე ექთანმა მახარა — ბიჭია, ბიჭიო. ამ წუთებს დაემთხვა არმიის დღესთან დაკავშირებული ფეიერვერკი, დიდი დღესასწაული მოეწყო შინ და გარეთ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩემსა და შუქრის შორის იმდენად პატარა ასაკობრივი სხვაობაა, რომ მეგობრები უფრო ვართ, ვიდრე მამა-შვილი.

სანამ შუქრი გაჩნდებოდა, არ ვიცოდი, გოგო იყო თუ ბიჭი. რომ მეკითხებოდნენ, პირველი შვილი რომელი გინდაო, ვპასუხობდი, რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭი იქნება თუ გოგო, მთავარია, ბიჭი იყოს-მეთქი. მართალია, შუქრი ჩემთვის წარმოუდგენელი ბედნიერება იყო, მაგრამ, როცა მეორე შვილი, ლექსო გამიჩნდა, მაშინ მივხვდი, რომ 18 წლის ასაკში საერთოდ ვერ ვაცნობიერებდი მამობას, მშობლის მოვალეობებს, მე თვითონაც ბავშვი ვიყავი.

მადლობა ღმერთს, შვილები ჩემს გზას არ გაჰყვნენ. მიხარია, რომ ორივე სხვა მიმართულებით, ბიზნესისკენ წავიდა. ძალიან იშვიათია, ხელოვნებაში წარმატებულ მამას ასევე წარმატებული შვილი მოჰყვეს. მხოლოდ მედეა ამირანაშვილს ვიცნობ ასეთს, ვინც პეტრე ამირანაშვილის გზა გააგრძელა და დიდ წარმატებას მიაღწია.

როცა დიდი კარიერის გაკეთებას იწყებ, ფაქტობრივად, პირადი ცხოვრება აღარ გაქვს. აღარც კი მახსოვს, რას ნიშნავს ოჯახური ცხოვრება. სულ ბოშასავით ვცხოვრობდი და დღესაც ასეა — მუდმივად აქეთ-იქით დავდივარ, სულ თვითმფრინავში ვარ და სასტუმროებში ვცხოვრობ. ამის მიუხედავად, არასოდეს მითქვამს, მეტი აღარ შემიძლია-მეთქი. ამისი თქმა არც შეიძლება, ღმერთმა დამიფაროს! პირიქით — უფრო მეტი და მეტი, წინ და წინ ვიყურები.

იცით, რამდენჯერ უსაყვედურიათ ჩემი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, რომ მათთვის დრო საერთოდ არ მაქვს?! მონატრებული აქვთ ჩემთან ურთიერთობა. ახლა კი ვარ თბილისში, მაგრამ იმდენი საქმე მაქვს, მათ სანახავად დრო არ მრჩება. სანამ დედა ცოცხალი იყო, თბილისში რომ ჩამოვდიოდი, 15 წუთით თუ შევურბენდი ხოლმე. სულ მეხვეწებოდა, შვილო, მოდი, მნახეო. ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ არ მქონდა ამისი საშუალება.

## განსაცდელი

— შუქრი თბილისში გაიზარდა და ავსტრიაში ზუსტად თბილისურად მოიქცა. მას არ ვამართლებ, მაგრამ რომ არა მისი თბილისური ხასიათი, 22 წლის ასაკში ციხეში არ ჩაჯდებოდა. შუქრის დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ არც მეგობრები გასცა და სწორედ ამიტომ დაისაჯა. მე ამ საქციელში ვერ გავამტყუნებ. რა თქმა უნდა, მაშინ ვუთხარი, თბილისურად ნუ იქცევი, ხმა ამოიღე, მაგით შენს მეგობრებს არც არაფერი მოემატებათ და არც დააკლდებათ-მეთქი, მაგრამ მაინც ისე მოიქცა, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ და 10 წელი ციხეში გაატარა. ბევრი ამბობს, რომ ვაჟკაცურად მოიქცა, მაგრამ ამ ვაჟკაცურობისთვის 10 წელი მიესაჯა.

იმ წლებში შუქრი ძალიან ბევრ რამეზე დაფიქრდა და ბევრი რამ ისწავლა. შეიძლება მისთვის ეგეც საჭირო იყო, სამაგიეროდ, დღეს უკვე ფეხზე დამდგარი კაცია და თავისი საქმე კარგად მიჰყავს. სიგარეტის მოწევას ციხეში დაანება თავი. ლექსების წერა და ხატვა დაიწყო. მოკლედ, ჯანმრთელ ცხოვრებას შეუდგა.

## შვილიშვილები

— 4 შვილიშვილი მყავს. როცა ჩემი პირველი შვილიშვილი დავინახე, სულ სხვა გრძნობა დამეუფლა, ვიდრე მაშინ, როცა პირველი შვილი შემეძინა. ვერც ჩემს შვილიშვილებს ვუთმობ დიდ დროს. სულ წასული ვარ და უკან საჩუქრებით ვბრუნდები, ასე ხომ მაინც უნდა დაამახსოვრდეთ ბაბუა. ტელევიზორში უფრო მხედავენ, ვიდრე რეალურად.

## ღირსეულების სახსოვარი

— ჩემს პირად არქივში საოპერო ხელოვნების ისტორიული მასალების გვერდით უნიკალური კოლექცია ინახება. ჩვენი დროის 200-მდე გამოჩენილმა დირიჟორმა საკუთარი ჯოხი მისახსოვრა. ჰერბერტ ფონ კარაიანს სულ სამი ჯოხი აქვს გაჩუქებული. მიხარია, რომ ერთი მე შემხვდა.

## ფონდი „იავნანა“

— 9 წლის წინ ძალიან მოულოდნელად ჩამოყალიბდა „იავნანა“. როცა ჩემი სასცენო მუშაობის 25 წელს აღვნიშნავდი, ჩემთან გაეროს მსოფლიო კვების პროგრამის წარმომადგენელი მოვიდა. მითხრეს, რომ საქართველოში 200.000-ზე მეტ გაჭირვებულ ადამიანს საჭმელს აჭმევდნენ და ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო. მერე მათ ავლაბარში, „მომავლის სახლში“ წამიყვანეს, მაშინ ეს ყველაზე კარგი სახლი იყო და, აი, ამ ყველაზე კარგ სახლში რომ შევედი, საშინელება დამხვდა. ვნახე, იქ როგორ გაჭირვებაში ცხოვრობდა ხალხი, მასწავლებლები მიზერული ხელფასებით როგორ უვლიდნენ ბავშვებს.

ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა და იმავე დღეს ჩვენ დავაარსეთ „იავნანა“. მაშინვე სცენაზე ვთქვი, საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ ფუძნდება და, ვისაც გინდათ, გვერდით დამიდექით-მეთქი. ჩვენს საქველმოქმედო კონცერტებში არაერთი ჩემი კოლეგა მონაწილეობს. რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით უფრო ადვილია მისგან თანხმობის მიღება.

**„რომ არა შუქრის თბილისური ხასიათი, 22 წლის ასაკში ციხეში არ ჩაჯდებოდა. 10 წელი ციხეში გაატარა. ბევრი ამბობს, რომ ვაჟკაცურად მოიქცა, მაგრამ ამ ვაჟკაცურობისთვის 10 წელი მიესაჯა“.**

თავდაპირველად ძალიან მინდოდა, იმ 12 მასწავლებლისთვის მიგვეხედა, ვისთვისაც სულ რაღაც 1100 ლარი იყო გამოყოფილი. შვილებივით უვლიდნენ ამ ბავშვებს და თავად საჭმლის ფული არ ჰქონდათ. მასწავლებლებს რომ დავეხმარეთ, მერე ნელ-ნელა ბავშვებზე მზრუნველობა ვითავეთ და ხომ ხედავთ, სადამდე მოვედით. ამ 9 წლის განმავლობაში თითქმის 800-ზე მეტი ბავშვი დაუბრუნდა დედ-მამას.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ერთხელ მაინც აუკრეფია ჩვენი ფონდის ნომერი, ვისაც „იავნანას“ ყულაბაში ფული ჩაუყრია. თუნდაც ერთი ბავშვის ცხოვრება რომ შეგვეცვალა, ამად ნამდვილად ღირდა ამ ფონდის დაარსება. ეს ბავშვები რომ გაიზრდებიან, არ არსებობს, სხვებს სიკეთე არ გაუკეთონ.



■ პაატა ბურჭულაძე და მისი მეუღლე ანჟელა ვასილენკო პლასიდო დომინგოსთან ერთად

**„ცოტა ჭკუით რომ მოვქცეულიყავი და იღბალთან და მუშაობასთან ერთად სწორად წარმემართა ჩემი ცხოვრება, უფრო მეტს მივაღწევდი. ეს არ არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შემიძლია, გაცილებით მეტი შეიძლებოდა გაკეთებულიყო“.**

ჩვენ შეგვეძლო, ამდენი ბავშვი უდედმამოდ დაგვეტოვებინა, ქუჩაში

→ 8



Cyan Magenta Yellow Black

გასულიყვნენ და გაბოროტებულიყვნენ. ახლა კი ისინი კეთილშობილი ადამიანები გაიზრდებიან. ყველას ჩვენი იმედი აქვს, მაგრამ ყველას ვერ ვეხმარები. ჯანდაცვის პროგრამა არ გვაქვს, რადგან ეს ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჯერჯერობით არ გვაქვს იმის საშუალება, რომ გადაუდებელ ოპერაციებში ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში დავეხმაროთ ადამიანებს.

## დიდი სულიერი გამოცდა

— მადლობა ღმერთს, რომ ყველა გაჭირვების თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, დეპრესია არასოდეს დამმართნია. შემოქმედებითი კუთხით, რა თქმა უნდა, კრიზისი მქონია, მაგრამ მთავარია, ამ დროს არ დაიბნე და ნაჩქარევი ნაბიჯები არ გადადგა. ალბათ გახსოვთ, რამდენი მაკრიტიკეს იმის გამო, რომ მოსკოვში ჩავედი იქაური საქველმოქმედო ფონდის მიწვევით და ანნა ნეტრებკოსთან ერთად ხალხს დავეხმარე. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვისი შვილები არიან. ჯერ ერთი, რუსები ჩვენი მეგობრები იყვნენ ყოველთვის, ბოლო წლებში მოხდა, რომ ერთმანეთს შევეჯახეთ. მათაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და საჭიროდ ჩავთვალე, რომ დავხმარებოდი.

მაშინ საქართველოში ძალიან უნდოდათ ჩემი ცუდად წარმოჩენა, მეც მზად ვიყავი, ამ ბრალდებებისთვის მეპასუხა, მაგრამ ჩვენმა უწმინდესმა შემომითვალა, ხმა არ ამოიღო, სიბინძურეს სიბინძურით არ უპასუხო და დაელოდეო. ძალიან ძნელი იყო ჩემი გაჩერება, მაგრამ გავჩერდი, დაველოდე და ხომ ხედავთ, ყველაფერი ისევ უკან შემოტრიალდა.

ცილისწამებამ ხანდახან შეიძლება გამაგიჟოს კიდეც, მაგრამ მივხვდი, რომ თუ ითმენ და არ პასუხობ, ყოველთვის გამარჯვებული რჩები. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი გამოცდა სწორედ მაშინ იყო. ახალგაზრდებსაც იმავეს ვურჩევ, სიბოროტეს სიკეთით უპასუხეთ და აუცილებლად გაიმარჯვებთ.

## გეგმები და ოცნება

— 2013 წელს ვერონაში, სცენაზე შევხვდი. მომავალ 2014 წელს სტრასბურგის სცენაზე შევხვდები. ყოველთვის გეგმის მიხედვით ვცხოვრობ. 2013 წელი და კიდევ მომავალი რამდენიმე წელი წინასწარ მაქვს დაგეგმილი. წელს ძალიან საინტერესო გასტროლები მაქვს ესპანეთში, ისრაელში, იტალიაში... ახლა ერთი თვით ვარ საქართველოში ჩამოსული სპეციალურად პატრიარქის იუბილესთან დაკავშირებით. აქამდე ასეთი საშუალება არ მქონია, რომ ამდენ ხანს აქ დავრჩენილიყავი.

ფონდში „ივერიისა“ ბევრი საქმე იყო. ყველანი ერთად აღვასრულებთ ჩვენი პატრიარქის კურთხევას, რომ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი აშენდეს. წელს კიდევ მეტი ადამიანი შემოგვიერთდება, უკვე 204 000 კაცია. ტაძრის საძირკველი ამოყვანილია. როცა საქართველოდან წასული ვარ, სამშენებლო სამუშაოებს იქიდანაც ვუყურებ, რადგან მახათაზე პირდაპირი ეთერის კამერა გვაქვს დამონტაჟებული და ჩვენს ვებგვერდზე www.maxata.ge ნებისმიერ დროს თქვენც შეგიძლიათ ნახოთ.

წელს სასცენო მოღვაწეობის 35 წელი მისრულდება. ეს კი მთელი ცხოვრებაა. ვოცნებობ, რომ სცენაზე 50 წლის იუბილეც გადავიხადო. მინდა, კიდევ 15 წელი ისე ვიმღერო, რომ ხალხმა არ მომიძულოს და ჩემი მოსმენა არ მობეზრდეს. თუ ახალგაზრდობაში, 10 წლის წინ ერთი საათი ვმუშაობდი, ახლა ორჯერ მეტად მაინც მიწევს მუშაობა. სცენას და სიმღერას მუდმივად ფორმაში ყოფნა სჭირდება.

✓ ქეთი დინოშვილი

# „რუსკა მაყაშვილს არ ეწყინოს, მაგრამ მე უკეთესი პრიზი შემხვდა!“



## გიორგი ვარდოსანიძეს 20 კილო აქვს დაკლებული

2013 წელი მსახიობ გიორგი ვარდოსანიძისა და მოცეკვავე სალომე ჭაჭუასთვის იღბლიანად დაიწყო. პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მართალია, ვერ გაიმარჯვეს, ფინალში რუსკა მაყაშვილთან და ოთო ფოლადაშვილთან დამარცხდნენ, მაგრამ ამაზე გული საერთოდ არ სწყდებათ, განსაკუთრებით — გიორგის, რადგან თვლის, რომ თავის კონკურენტზე ბევრად კარგი პრიზი ხვდა წილად. სამთვიანი რეჟიმი გიორგისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა და ყოველგვარი დიეტის გარეშე 20 კილო დაიკლო. როგორც ამბობს, ნევროზიც „აიკიდა“, მაგრამ შედეგი ამად ნამდვილად ღირდა.

**— ახლა, როცა ემოციები უკვე ჩაცხრა, როგორ შეაფასებდით ამ პროექტში თქვენს მონაწილეობას, რა მოგიტანათ ამ კონკურსმა?**

**გიორგი:** ძალიან დიდი და მაგარი გამოცდილება მივიღე. 10 სამეჯლისო და 2 სხვა ცეკვა ვისწავლე, რამდენად კარგად გამომივიდა, სხვა თემაა, მაგრამ ხომ ვისწავლე?! ამას გარდა, ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. პოპულარობას ვერ დავარქმევ, მაგრამ ხალხისგან მეტი სითბო და მხარდაჭერა ვიგრძენი. ეს არ მავიწყდება, ამ გრძნობას ვაფასებ და სულ ჩემთან ვატარებ. ხალხის მადლიერი ყოველთვის ვიქნები. მე და სალომეს მთელი ქვეყანა გვერდით გვედგა.

**სალომე:** ამ პროექტმა მეც ბევრი კარგი რამ მომიტანა. პირველ რიგში, კიდევ ერთი გამოცდილება მივიღე, რადგან ორი სეზონია, რაც ამ კონკურსში ვმონაწილეობ. ხალხის მხრიდან ძალიან დიდი სიყვარული და სითბო დავინახე. მიხარია, რომ ასეთი სითბო მოდის; მიხარია, რომ ჩემი ამდენი წლის შრომა, ვარჯიში დაფასდა.

**— გიორგი, წინა ინტერვიუში ნათქვამი გაქვთ, როცა გაიგეთ, სალომე თქვენი მეწყვილე იქნებოდა, გაგიხარდათ, მაგრამ ამავე დროს შეგეშინდათ კიდეც. პროექტის ბოლომდე გაგყვათ ეს განცდა?**

**სალომე:** ვეზიზღებოდი!

**გიორგი:** არა, იტყუება! რას ჰქვია, მეზიზღებოდი! თავიდანვე ვიცოდი, რა შარში ვყოფდი თავს. სალომეს გვერდით ცეკვას ერთი დიდი მინუსი და ერთი დიდი პლუსი აქვს. ცოტა რთულია, სალომე ცეკვას რომ იწყებს, ხალხის ყურადღება შენკენ გადმოიტანო. რაღაცას გააკეთებდა და მე არავის ვახსოვდი, თუმცა ეს პლუსი იყო, რომ მე კარგად მემუშავა, ღირსეული პარტნიორი ვყოფილიყავი. ეს ჩემთვის ათმაგად კარგი იყო, რადგან ასეთი პროფესიონალის გვერდით შენც თუ დაგინახეს, ძალიან მაგარია. რა ცეკვებიც კარგი გამოვიდა, ძირითადად სალომე აკეთებდა, მას ბრმად ვენდობოდი. თუ რაღაცას ვერ ვაკეთებდი, იმედიანად ვიყავი, რომ მასწავლიდა.

**— სალომე, როგორი მოსწავლე და პარტნიორი იყო გიორგი?**

**სალომე:** პროექტის დასაწყისში უფრო დამჯერი იყო. შუაში რაღაც „გაჭედვები“ ჰქონდა. ალბათ იმიტომ, რომ მუხლი სტკიოდა, გაცივდა, თუმცა ყველაფერში ბოლომდე მომყვებოდა. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით და ყველაზე მთავარი ის იყო, რომ გიორგის არაფერი ეზარებოდა.

**გიორგი:** აი, შუაში ყველაზე რთული პერიოდი მქონდა. ჩემი ორგანიზმი ისეთი გადაღლილი იყო, ორ მოძრაობას ვერ ვაბამდი. სულ ვწუწუნებდი, ნუ მთხოვ ისე, თითქოს მთელი ცხოვრება ამას ვცეკვავდი, შემიცოდე-მეთქი. სალომე, გაბრაზებული, ცალკე გადიოდა, მე აქეთ ცალკე ვიყავი, ვეუბნებოდი, თავი გამანებე, მაცადე-მეთქი.

**— სალომე, გიორგის ასეთი საქციელი გწყინდათ?**

> **სალომე: „გიორგის რაღაც „გაჭედვები“ ჰქონდა. ალბათ იმიტომ, რომ მუხლი სტკიოდა, გაცივდა, თუმცა ყველაფერში ბოლომდე მომყვებოდა“.**

**სალომე:** ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, თუმცა ახლა ეს ყველაფერი ძალიან კარგად მახსენდება და მადლობას ვუხდი, რომ ასე კარგად ამყვა და, წესით, თვითონაც მადლობას უნდა მიხდიდეს.

**გიორგი:** დიდი მადლობა, სალომე, არ გეგონოს, რომ დაუნახავი ვარ. რა თქმა უნდა, მასთან ცეკვა დიდი სკოლაა. ყოველ ორშაბათს რუსთაველის სცენაზე ისე ვნერვიულობდი, როგორც თეატრში პრემიერის დღეს. წარმოუდგენელი ნევროზი ავიკიდე. მხოლოდ იმ რეჟიმის წყალობით, ყოველგვარი დიეტის გარეშე, 20 კილო დავიკელი. 91 კილო ვიყავი, ახლა 71 კილო ვარ. მართლა სერიოზული ნევროზი დამემართა, ყველაფერზე ვფეთქდებოდი, ყველაფერი ნერვებს მიშლიდა, ყველაფერი მაღიზიანებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ამად ღირდა, არაფერს ვნანობ. იგივე რომ განმეორდეს, ისევ სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას.

**— სალომე, წინა პროექტში თქვენი შეყვარებული გიგი გაჩეჩილაძე მივიდა ფინალამდე, ამ სეზონზე პირიქით მოხდა, გიგი ჩამოშორდა კონკურსს და თქვენ გახვედით ფინალში.**

**სალომე:** ძალიან მინდოდა, ფინალში გავსულიყავით და გამიმართლა. გიგის წინა სეზონზე გაცილებით ძლიერი პარტნიორი, თიკო სადუნიშვილი ჰყავდა. მე — პირიქით (ლევან როსტოშვილი) და წელს ძალიან მინდოდა, კარგი მეწყვილე მყოლოდა. როცა



Cyan Magenta Yellow Black

გავიგე, რომ ამ პროექტში გიორგი მონაწილეობდა, მოვინდომე, ჩემი პარტნიორი ყოფილიყო. არ მინდოდა, ისევ სუსტი მეწყვილე მყოლოდა და პროექტიდან ისევ გამოვვარდნილიყავი.

**— ალბათ გული დაგწყდათ, თქვენმა შეყვარებულმა პროექტი რომ დატოვა, მით უფრო ძნელი იქნებოდა, როცა აუტსაიდერებში ერთად მოხვდით.**

**სალომე:** წესით, გიგის უნდა დაეტოვებინა კონკურსი, ისეთი მეწყვილე არ ჰყავდა, რომ „გაექაჩა“.

**გიორგი:** სალომეს შეყვარებული ჩვენ მოვიშორეთ, შეგვეწირა. ჩვენმა პირველმა აუტსაიდერობამ გიგი და თაკო გაჩეჩილაძე შეიწირა.

**— პროექტის მიღმა დარჩენილი გიგი ალბათ სულ თქვენს წყვილს გულშემატკივრობდა.**

**სალომე:** სულ გვერდში მედგა, კომპოზიციის შერჩევიდან დაწყებული, ყველაფერში მეხმარებოდა.

**გიორგი:** გიგი ყველაფერთან ერთად ნიჭიერი ქორეოგრაფიც არის. ცეკვის დადგმაში ძალიან გვეხმარებოდა, მარტივი ენით მიხსნიდა. ბიჭის ცეკვა სალომესთვის ხანდახან რთული ასახსნელი იყო, ამიტომ გიგი ძალიან მეხმარებოდა.

**— თითქმის სამი თვე იყავით ერთად, ერთმანეთს მანამდეც იცნობდით, თუმცა ასე ახლოს — არა. რა თვისებები აღმოაჩინეთ ერთმანეთში?**

**გიორგი:** სპექტაკლ „ვერის უბნის მელოდიებში“ მივიღეთ მონაწილეობა. ბათუმში ერთად ვიყავით, სალომესთან იქაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რეალური გაცნობა ამ პროექტიდან დაიწყო. ოთხი თვის განმავლობაში ყოველდღე, 24 საათი ერთად ვიყავით. ამდენ დროს სახლში არ ვატარებდი. სალომე ცოტა სხვანაირი მეგონა.

**— მაინც როგორი გეგონათ?**

**გიორგი:** სიმართლე გითხრათ, უფრო ცივი ადამიანი მეგონა, რადგან საერთოდ არ ლაპარაკობს, თუმცა ამ ბოლო დროს ავალაპარაკე. ამიტომ მეგონა, რომ ურთიერთობაში უფრო ცივი და რაღაც „ისეთი“ იქნებოდა. სალომე უბრალოდ კარგად უნდა გაიცნო.

**სალომე:** სხვათა შორის, გიორგი როგორიც არის, ისეთი მეგონა, სხვა წარმოდგენა მასზე არც მქონია.

**— სალომე, გიორგის სპექტაკლები თუ გინახავთ ან მისი მონაწილეობით სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“?**

**გიორგი:** არაფერიც არ აქვს ნანახი.

**სალომე:** სერიალში რომ მონაწილეობდა, ვიცოდი.

**გიორგი:** საერთოდ არ იცოდა, ვინ ვიყავი, ნუ, ახლა მეც ვიყო დიდი ვინმე, მაგრამ მაინც. არა უშავს, სამაგიეროდ ახლა აანაზღაურებს, ყველა სპექტაკლსაც ნახავს და ნელ-ნელა ჩემს პერსონასაც გაიცნობს.

**— გიორგი, თქვენი შეყვარებული მთელი ამ ორომტრიალში სად იყო?**

**გიორგი:** ჩემი მეგობრები, შეყვარებული, მშობლები ძალიან აქტიურები იყვნენ. ყოველთვის დარბაზში ისხდნენ, ბევრს ჟრიალებდნენ და მერე ყელი სტკიოდათ.

**— სალომე, გიორგის შეყვარებული გაიცანით?**

**სალომე:** რა თქმა უნდა. ძალიან ახლოს არ ვართ, მაგრამ ვიცნობ.

**გიორგი:** ყველა ყველას კარგად იცნობს.

**— პროექტი დამთავრდა, ახლა ახერხებთ ერთმანეთთან შეხვედრებს?**

**გიორგი:** მეც ძალიან დაკავებული ვარ, სალომეც, მოსწავლეები ჰყავს. 24 საათი ერთმანეთს ველარ ვხედავთ, მაგრამ ვცდილობთ, ტელეფონით მოვიკითხოთ. რადგან ჩვენი ურთიერთობა შედგა, ეს მეგობრობა არ დაიკარგება.

**სალომე:** გიორგი უკვე შოკშია, ცეკვა მოენატრა. იმ დღეს მომწერა, ცეკვა მინდაო. მანამდე რომ ვეუბნებოდი, იცოდე, ცეკვა ძალიან მოგენატრება-მეთქი, შანსი არ არისო, ამბობდა.

**გიორგი:** სულ ვწუწუნებდი, ცეკვა არასდროს მომენატრება, გამორიცხულია-მეთქი. 30 დეკემბრიდან 2 იანვრამდე სიცხე მქონდა, ვიწექი. 2 რიცხვში, დილით რომ გავიღვიძე და არც ცეკვა მქონდა საფიქრალი, არც კოსტიუმი, არც მუსიკა, ეს ყველაფერი რაღაცნაირად დამაკლდა.



გიორგი და სალომე

**გიორგი: „სალომე ცივი ადამიანი მეგონა, რადგან საერთოდ არ ლაპარაკობს. თუმცა ამ ბოლო დროს ავალაპარაკე".**

**— საზოგადოების დიდი ნაწილი თქვენს გამარჯვებას პროგნოზირებდა, თუმცა მეორე ადგილი გერგოთ წილად. აღიარეთ, გული დაგწყდათ?**

**გიორგი:** გული საერთოდ არ დამწყვეტია. იმედია, რუსკას არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ მასზე ბევრად კარგი პრიზი მივიღე და თან იმ წამსვე. ჩავჯექი და რუსთაველის თეატრიდან ამ პრიზით წამოვედი. ავტოფარეხში მშვენიერი, ულამაზესი ავტომობილი მიდგას და ძალიან კმაყოფილი ვარ. მანამდე რა მანქანაც მყავდა, ამას არც შეედრება. „მიცუბიში კოლტი“ საყვარელი იყო, წინ და უკან თავისთვის დაღოღავდა. ახლა „რენჯროვერ ევოუქი“ მყავს, აი, ასეთი დიდი განსხვავება არის!

**— ამბობენ, ბინა, რომელიც რუსკას პრიზად გადასცეს, ჯერ არც კი არის აშენებულიო. ამას გულისხმობდით, როცა თქვით, რომ უკეთესი პრიზი გხვდათ წილად?**

**გიორგი:** როგორც ვიცი, აშენებული კი არის, მაგრამ ჯერ არ მიუციათ და მალე მისცემენ. მეორე ადგილის პრიზი ბევრად მერჩივნა, მაგრამ ასევე ძალიან მინდოდა, სალომეს სივიში ჩაეწერა, რომ პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გამარჯვებული იყო. ეს მას საქმეში ძალიან გამოადგებოდა. პირველი ადგილი კარგია, რუსკასაც ძალიან უხარია, მაგრამ მე მოცეკვავე არ ვარ, რომ შემდეგში ამ ტიტულით ვიამაყო. ჩემთვის ფინალისტობაც ძალიან ბევრს ნიშნავდა. თან მე და რუსკას ერთად გვინდოდა ფინალში ყოფნა. პირდაპირ გეტყვით, რომ, ერთადერთი, სალომეს გამო დამწყდა გული, რომ მის ტიტულს სიტყვა „ფინალისტი“ არ შეემატა. თორემ მე ისეთი კმაყოფილი ვარ, ხმასაც კი არ ვიღებ.

**— სალომე, თქვენ და რუსკას პარტნიორი ოთო ფოლადაშვილი კმაყოფილი ხართ პრიზებით?**

**სალომე:** კი, ნამდვილად. წელიწადში ერთხელ, ყოველ აგვისტოს, შტუტგარტში დიდი და პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი ტარდება. იქ მსოფლიოში საუკეთესო მოცეკვავე წყვილები ჩადიან. მე და ოთოს ამ ტურნირში მონაწილეობას დაგვიფინანსებენ.

**— სალომე, გული ცოტათი მაინც არ დაგწყდათ, რომ ამდენი შრომის, ორი სეზონის წვალების შემდეგ გამარჯვებული მაინც ვერ გახდით?**

**სალომე:** მერე რა, ამ შრომას მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის არ ვდებდი, რომ პირველ ადგილზე გავსულიყავი. პირველი ადგილი ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ არც მეორე ადგილზე მქონია პრობლემა, ამის გამო არც დეპრესია დამწყებია. ვთვლი, რომ ფინალში ორივეს თანაბარი შანსები გვქონდა, რუსკას ცეკვაც ძალიან მაგარი გამოვიდა და გიორგისიც.

**— სალომე, მესამე სეზონში თუ მიიღებთ მონაწილეობას?**

**სალომე:** მგონია, რომ ხალხს მოვბეზრდი. დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ მონაწილეობას აღარ მივიღებ.

**— ორივეს გყავთ შეყვარებული. ასეთი დატვირთული რეჟიმი საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობებზე როგორ აისახა?**

**გიორგი:** ჩემს შეყვარებულსაც და გიგისაც ესმოდათ, რომ რაღაცეები უნდა მოგვეკლო. ურთიერთობებში სამი საათის ნაცვლად ერთი საათით უნდა შემოვფარგლულიყავით, რადგან საქმეს ასე სჭირდებოდა. ამიტომაც შეღავათები იყო თუნდაც მეგობრებისგან, შეყვარებულისგან. სახლში 11 საათზე კი მივდიოდი, მაგრამ მეორე დღეს 8 საათზე ვდგებოდი, ამიტომ მერჩივნა, კუნთები დამესვენებინა. ამ ყველაფერს მიგებდნენ. ეს თვეები ფაქტობრივად ამ საქმისთვის ვიყავი გადადებული. თეატრიც ძალიან დამეხმარა, რომ ეს ყველაფერი გაითვალისწინა.

**— სალომე, თქვენი ყველაზე კარგად ალბათ მაინც გიგის ესმოდა, რადგან თვითონაც იგივე აქვს გამოცდილი.**

**სალომე:** კი, როგორ არა, მაგრამ ხანდახან არც მაგას ესმოდა ხოლმე. დილიდან გიორგისთან ვიწყებდი ვარჯიშს, მერე მოსწავლეები მყავდა, მერე ისევ გიორგი და, გიგი რომ მენახა, სახლში ღამის 4 საათზე მივდიოდი. როცა მივხვდი, რომ ეს აღარ შემეძლო და ვეცემოდი, ვუთხარი. მოკლედ, გიგიმ გამიგო და ყველანაირად გვერდში მედგა.

**— ახლა რითი ხართ დაკავებული, როგორია თქვენი გეგმები?**

**გიორგი:** ახალ სპექტაკლზე ვმუშაობ. ასევე საკუთარი პროექტის გადაღებები მაქვს დაწყებული, რომელსაც ჯერ არ გაგიმხელთ, თუმცა მალე ნახავთ. რაღაც შემოთავაზებებია და იმის განხილვაც მიდის. ჩემი მეორე სახლი თეატრია, რომელსაც ყურადღება მოვაკელი და ამ ყველაფერს ახლა ვანაზღაურებ. კვირაში თითქმის 3-4 სპექტაკლში ვთამაშობ.

**სალომე:** ჩემს საქმეს დავუბრუნდი, რეჟიმში ჩავდექი, მოსწავლეებს ვამეცადინებ და, რაც ყველაზე მთავარია, ვვარჯიშობ. რაღაც შემოთავაზებები მაქვს, სადღაც წასვლასაც ვაპირებ და ვნახოთ, რა იქნება.

**— ფაქტია, რომ წელი ძალიან იღბლიანად დაგეწყოთ.**

**გიორგი:** ძალიან და, იმედია, მთელი წელი ასე გაგრძელდება ჩემთვისაც და სალომესთვისაც.

✓ **ეკა ლემონჯავა**



Cyan Magenta Yellow Black

განსაცდელი

# ლევან გოგიჩაიშვილი: „ირინკა ბათიაშვილზე გაბრაზებული არა ვარ, ის დასავით მიყვარს“

## რა დააშავა და რა შეიძინა ციხეში ყოფილმა პოლიტპატიმარმა



2013 წლის 13 იანვარს პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლევან გოგიჩაიშვილი გამოუშვეს. მან ციხეში 3 წელი და 7 თვე გაატარა. ლევანისთვის ეს მე-13 პატიმრობა იყო, ამჯერად ყველაზე ხანგრძლივი. მანამდე მხოლოდ ერთი თვით ან ორი კვირით აპატიმრებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რაც ძირითადად მთავრობის და განსაკუთრებით საქართველოს პრეზიდენტის მისამართით საპროტესტო აქციების გამართვით გამოიხატებოდა. ბოლოს 7 წლიანი პატიმრობა სხეულის განზრახ დაზიანებისთვის შეუფარდეს.

ყველაფერი ცნობილი ოპოზიციური პოლიტიკოსის, ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილის, ირინას დაბადების დღეზე დაიწყო. ირინა 2009 წლის 8 ივნისს დაბადების დღეს წყნეთში აღნიშნავდა. წვეულებაზე მეგობრები დაპატიჟა, რომელთა შორის ლევან გოგიჩაიშვილიც იყო. მას ხელი ჰქონდა ნატკენი — ფიქსატორი ეკეთა და დაბადების დღეზე წასვლა ეზარებოდა, მაგრამ მეგობარ გოგონას ხათრი ვერ გაუტეხა. წვეულების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, როცა სტუმრებს შორის ჩხუბი დაიწყო, რის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი, დავით ლეჟავა, დანით დაიჭრა ფეხში. ლევანი ამბობს, რომ იცოდა, ვარდების ხელისუფლება მის დაპატიმრებას რომ აპირებდა და ძალიან ფრთხილობდა. საბოლოოდ მას დანის ტარება და დავით ლეჟავას ფეხის არეში დაჭრა დაბრალდა.

ლევან გოგიჩაიშვილი ახლა 30 წლისაა. ამბობს, რომ ცხოვრების საუკეთესო წლების ციხეში გატარებამ ფსიქოლოგიურად ვერ გატეხა, მაგრამ იმ ჯოჯოხეთს, რაც გამოიარა, მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებს. გამოძიების ხელახლა დაწყებას ითხოვს და საქართველოს პრეზიდენტს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის უნდა უჩივლოს.

**— ლევან, შეიძლება გაიხსენოთ, რა და როგორ მოხდა იმ თქვენთვის საბედისწერო დღეს წყნეთში?**

— 2009 წლის 8 ივნისს ირინა ბათიაშვილმა დაბადების დღეზე დამპატიჟა. მაშინ ხელი მქონდა ამოვარდნილი, რადგან წინა დღეებში გადაცმულმა პოლიციელებმა ჩვენი აქციის დარბევა მოინდომეს. დიდი ჩხუბი მოხდა და მკლავი ამომიგდეს. ხელი ფიქსატორით მქონდა დამაგრებული. არ ვსვამდი და არ მინდოდა დაბადების დღეზე წასვლა. მერე ძალიან მთხოვა და წავედი. ჩვეულებრივი წვეულება იყო და არც არავის უჩხუბია. რომ გამოვედით, რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. მათ მივუახლოვდი, უბრალოდ კამათობდნენ. რომ ვნახე, ჩემი ნაცნობი და ახლობელი არავინ იყო, აღარც გავჩერებულვარ, წამოვედი. მეორე დღეს გავიგე, რომ იქ რაღაც მომხდარა. პირველად მაშინ გამიჩნდა ეჭვი, რაღაცას დამაბრალებენ-მეთქი, როცა გადაცემა „პატრულში“ ჩემმა გვარმა გაიჟღერა, რომ იმ დაბადების დღეზე მეც ვიმყოფებოდი და საეჭვოდ აღარ ვჩანდი. მივხვდი, რომ ისრები ჩემკენ იყო მომართული. 9 დღის შემდეგ დამაკავეს. სახლში ღამით მოვიდნენ და წამიყვანეს.

**— რატომ დაიწყო ჩხუბი?**

— არ ჩხუბობდნენ, უბრალოდ წაკინკლავდნენ, თორემ იქ ყველა ერთმანეთის მეგობარი იყო. უბრალოდ მე არ ვიცნობდი მათ კარგად. ნასვამები იყვნენ.

**— ფაქტია, რომ იქ ადამიანი დაიჭრა.**

— ძალიან მაინტერესებს ამ ჭრილობის ექსპერტიზა. ამბობდნენ, ბარძაყის არტერია აქვს გადაჭრილიო. ჩემი აზრით, იქ ვიღაცამ ბოროტად იხუმრა და იმ ბიჭს ფეხი გაეჭრა.

**— დაჭრილ დავით ლეჟავასთან მანამდე რა ურთიერთობა გქონდათ?**

— საერთოდ არ ვიცნობ. რომ დავინახო, ვერ მივხვდები, რომ ის არის.

**— ამ ბიჭის და გადებდათ ხელს, ჩემი ძმა ლევან გოგიჩაიშვილმა დაჭრაო.**

— ამ ბიჭის და დააკავეს და მას შემდეგ დამადო ხელი. დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა თუ გადატანა დასდეს ბრალად. ეს ბრალდება დიდ სასჯელს ითვალისწინებდა და არჩევანის წინაშე დააყენეს. ჩემზე ცუდად მათ ოჯახს მოექცნენ. მე დამიჭირეს, მაგრამ მათ ჩირქი მოსცხეს. მორალური თვალსაზრისით, ეს ბევრად უარესია.

**„ვაპირებ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის ვუჩივლო საქართველოს პრეზიდენტს, გივი თარგამაძეს და იმ ტელეკომპანიებს, რომლებიც დამნაშავედ უაპელაციოდ მალიარებდნენ. „პირველი არხის" ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში თქვა, გოგიჩაიშვილმა დანაშაული აღიარა".**

**— წყნეთში მომხდარზე დუმდა ირინა ბათიაშვილი, კომენტარს არ აკეთებდა. არც სხვები ლაპარაკობდნენ თქვენზე, როგორც პოლიტპატიმარზე.**

— თავიდან ირინაც აპროტესტებდა და სხვებიც. ალბათ ის უხერხულობას გრძნობს ამ თემასთან დაკავშირებით. მის ოჯახში მოხდა ეს ამბავი და... ირინას სულაც რომ ემღერა ამ თემაზე, მაინც ვერაფერს შეცვლიდა. სინამდვილეში სასამართლოში ეს საქმე მოვიგეთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, წავაგეთ. ახლანდელი სასამართლო რომ ყოფილიყო, როგორც ოქრუაშვილს მოუხსნეს ბრალი, ასევე იქნებოდა ჩემს შემთხვევაშიც.

ჩემს საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებია. ამბობდნენ, თითქოს ეს ლეჟავა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და 2-3 დღე კომიდან ვერ გამოჰყავდათ, რეანიმაციაში ჰყავდათ და ა.შ. არადა შსს-ს პალატაში კამერა ჰქონდა დამონტაჟებული ინფორმაციის მოსაპოვებლად. კადრებიდან ჩანს, რომ ზუსტად ორ საათში ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს, სადაც ახლობლები აკითხავდნენ და ყოველდღე ქეიფი და ერთი ამბავი ჰქონდათ. ეს ვიდეოები საქმის მასალებში დევს. ამ ვიდეოჩანაწერის გაშიფრულ ტექსტში წერია, რომ ირინა ლეჟავა ვითომ ეკითხება თავის ძმას, გოგიჩაიშვილმა დაგჭრაო და კითხვის ნიშანი უწერია. როცა ფირს უყურებ, კი არ ეკითხება, ეუბნება, იცოდე, გოგიჩაიშვილმა დაგჭრაო, ანუ თავის ძმას ეუბნება, იმან რა უნდა თქვას. ალბათ ეს გოგო რაღაცეებში ჰყავდათ შემჩნეული და გამოიყენეს. მტკიცებულებად აქვთ დაჭრილის დის ჩვენება.

**— ირინა ლეჟავა ინციდენტის დროს იქ იყო?**

— არა. ვითომ დას უამბო ძმამ და დამ გახსნა დანაშაული. დავით ლეჟავას ჩვენების მიცემას უკიჟინებდნენ, მაგრამ დის დაკავებამდე მას ეს არ გაუკეთებია და ამას იმით ხსნიან, რომ ვითომ შეუძლოდ იყო. არადა პალატაში მხიარული საზოგადოება იკრიბებოდა, სვამდნენ, რაღაცეებს ეწეოდნენ და ეს სიგარეტი არ იყო... მერე გოგოს იჭერენ და ძმა ჩვენებას მაშინვე იძლევა. სიმართლეც რომ იყოს ის ამბავი, რაც თვითონ შეკერეს, მაშინ ჩემი მხრიდან ეს აუცილებელი მოგერიება იქნებოდა და მეტი არაფერი. ხელის საშინელი ტკივილები მქონდა, ფაქტობრივად ვერ ვანძრევდი. ჩვენების მიხედვით, ის ბიჭი აცნობიერებს, რომ ფიზიკურად რაღაც მაწუხებს, მოდის და ხელს მირტყამს. მე ვითომ თავს ვიცავდი და დანა ამოვიღე ისე, რომ ეს ვერავინ შეამჩნია. წყნეთის პატარა ქუჩაზე, სადაც ლეჟავას 30-მდე მეგობარი იყო გამოსული და მე მარტო ვიყავი, ფაქტობრივად ინვალიდმა კაცმა მოვახერხე, რომ დამეჭრა. მერე ჩავჯექი მანქანაში, თანაც ისე, რომ სხვებმა ხელი დამიქნიეს და გამომაცილეს. ხულიგნური ქვენაგრძნობის კვალიფიკაცია მისცეს ამ ვითომდა ჩემს ქმედებას, რადგან ძალიან იყვირებდა, ჩემთვის განზრახ მკვლელობის მცდელობა რომ დაებრალებინათ.

ვაპირებ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის ვუჩივლო საქართველოს პრეზიდენტს, გივი თარგამაძეს და იმ ტელეკომპანიებს, რომლებიც უაპელაციოდ მაღიარებდნენ დამნაშავედ. „პირველი არხის“ ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში თქვა, გოგიჩაიშვილმა დანაშაული აღიარაო.

**— რას ამბობენ იქ მყოფები, ვინ დაჭრა ლეჟავა?**

— არ ვიცი. ვინც იქ იყო, ყველა დაკითხეს და ყველა ერთხმად ამბობს, რომ მე იქ არ ვუნახივარ. იქ ყველა ლეჟავას მეგობარი იყო. ჩემი მეგობარი მხოლოდ გიორგი ალხაზიშვილი იყო, რომელიც ასევე ლეჟავას მეგობარიც არის, ერთად არიან გაზრდილი. გიორგის ეუბნებოდნენ, რომ ჩემთვის დაედო ხელი →75



Cyan Magenta Yellow Black

მატება

# სოფო ხალვაში მეორე შვილს ელოდება

## „ოჯახში ყველას გვინდა, რომ პატარა რეზო ძოძუაშვილი დაიბადოს“



■ სოფო ხალვაში

მომღერალი სოფო ხალვაში ქალისთვის ყველაზე სასიამოვნო მდგომარეობაშია — ფეხმძიმობის მესამე თვე აქვს. ეს მისი მეორე შვილი იქნება. ორსულობის მიუხედავად, აქტიურად ცხოვრობს, თავის ბენდთან ერთად ყოველდღე რამდენიმე საათი მეცადინეობს, პრივატსაღამოებს მართავს და გერმანიაში გასტროლზეც კი იყო.

თითქმის 6 წელია, რაც ბედი მიშა ძოძუაშვილს დაუკავშირა. მათი პირველი შვილი, ქეთო, უკვე 5 წლისაა. ოჯახში ახალი წევრის შემომატებას ყველა მოუთმენლად ელის, განსაკუთრებით კი ქეთო. მშობლებს ასეთი პირობაც წაუყენა — მაიმუნი უყიდონ, დედა ბავშვს გაზრდის, თვითონ კი — მაიმუნს.

სოფო ხალვაში „სარკეს“ ამ სასიამოვნო სიახლესა და თავის დღევანდელ ცხოვრებაზე ესაუბრა. ამ წელიწადში ეს მისთვის პირველი ინტერვიუა და ჩვენს მკითხველებს სიხარულით მიულოცა შობა-ახალი წელი.

— **სოფო, მოდით, საუბარი თქვენი შემოქმედებით დავიწყოთ. რაზე მუშაობთ ახლა?**

— ახალი წელი სიახლეების მოლოდინით დაიწყო. იმედიანად ვარ განწყობილი. შარშან ჩემი ბენდი შევქმენი, რომელსაც ჯერ სახელი ვერ მოვუფიქრე. კონცერტებზე ასე გვაცხადებენ — სოფო ხალვაში და ლაივ ბენდი. სოლო გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტი, ბასგიტარა, ელექტროკლავიში, კლარნეტი, ფლეიტა — ჩემი ბენდი ასეთი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გასულ წელს ბევრი დახურული საღამო გავმართეთ.

— **მომღერლები ბენდის ყოლაზე ვერც კი ოცნებობენ, თქვენ ვინ შეგიწყოთ ხელი ამაში?**

— მომღერლისთვის ლაივ ბენდის ყოლა მართლაც დიდი ფუფუნებაა. როცა ფონოგრამით მღერი, ველარ ვითარდები, ჩარჩოებში ექცევი. ბენდთან ერთად მუშაობისას კი ყოველდღე იზრდები, მუსიკასაც სხვანაირად აღიქვამ. ყველა მომღერალს უნდა, რომ საკუთარი ბენდი ჰყავდეს და არც მე ვიყავი გამონაკლისი. ჩემი ინიციატივა და სურვილი იყო, ბენდი ჩამომეყალიბებინა, ამაში მეუღლემ ძალიან დიდი როლი ითამაშა, ასევე მუსიკოსმა ჭაბუკა ამირანაშვილმა, რომელიც ჩემს ხმისჩამწერ სტუდიაში მუშაობს და ამავდროულად ჩემი პედაგოგია — საქსოფონზე დაკვრა მან მასწავლა. ჩვენ ერთად შევკრიბეთ ბენდი.

— **თქვენი ქმარი მუსიკაში კარგად ერკვევა?**

— დიახ, მიშიკოს ძალიან უყვარს მუსიკა, ის უდაოდ კარგი მსმენელია.

— **ბენდთან ერთად თქვენი რეპერტუარი რა ჟანრშია?**

— გვაქვს ბლუზი, ფანკი, თანამედროვე მუსიკას ვმღერით. საქსოფონზე მე ვუკრავ და სოლისტიც თავად ვარ. ბენდის ბიჭები ძალიან კარგ მუსიკას წერენ. ერთობლივად ძალიან კარგად ვმუშაობთ. ჩემი მხრიდან ეს ახალი სიტყვა იქნება ესტრადაზე, აბსოლუტურად სხვა კუთხით წარვდგები მსმენელის წინაშე. ჩვენს მუსიკას ყველა თაობის ადამიანი მოუსმენს, კარგი პროგრამა შევადგინეთ.

— **შემოთავაზებები გაიზარდა?**

— სამწუხაროდ, ახალ წელს ბათუმში გავმართეთ კონცერტი და არაერთ პრივატღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა. რამდენიმე ხნის წინ გერმანიაში ვიყავი, ოღონდ ბენდის გარეშე. რეჟისორმა ლაშა ონიანმა გამართა ღონისძიება, დიუსელდორფში ქართული ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი და საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა. ჩემთან ერთად მოცეკვავეთა ანსამბლი იყო აჭარიდან.

— **ალბათ უფრო შემოსავლიანიც გახდა თქვენი საქმე.**

— ამ საქმეს ბიზნესის კუთხით არ ვუყურებ, ყველანი საკუთარ თავზე ვმუშაობთ, ენთუზიაზმზე ვაკეთებთ ყველაფერს, დღეში 5-6 საათს ვმეცადინეობთ. გვინდა, რომ კარგი შედეგი მივიღოთ. ადრე თუ გვიან შრომა დაგვიფასდება.

— **როგორც ვიცი, პირად ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გაქვთ. თავად უამბეთ ჩვენს მკითხველს ამის შესახებ.**

— დიახ, ამ წელს მეორე შვილს ველოდები. ჩვენს ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატება.

— **დაგეგმეთ მეორე შვილი თუ ეს მოულოდნელი სიხარული იყო?**

— სრულიად დაუგეგმავად გავხდით ამ სიხარულის მომსწრენი. პირველი შვილი საკეისრო კვეთით გავაჩინე და მიყოლებით მშობიარობა არ შეიძლებოდა.

**„სიყვარული ღვინოსავითაა, თავიდან მაჭარია და შემდეგ ღვინდება. ჩემს ქმარზე ვარ შეყვარებული, ვეპრანჭები და მეორე შვილს ერთად ველოდებით".**

— **ბავშვის სქესი უკვე იცით?**

— არა, ჯერ მხოლოდ 3 თვის ორსული ვარ.

— **ქეთომ უკვე იცის ეს ამბავი? ხომ არ ეჭვიანობს?**

— ქეთოს დიდი მოლოდინი აქვს. ამ ამბავს ოჯახის წევრები თანდათან ვაჩვევთ, რომ მერე არ იეჭვიანოს. იმით ვაწყნარებთ, რომ ქეთო უფრო გვეყვარება, ვიდრე ის.ამას საშინლად აპროტესტებს, ბრაზობს, გვეუბნება, მეორე ბავშვი ჩემზე ძალიან უნდა გიყვარდეთო.

— **როგორი ფეხმძიმობა გაქვთ?**

— ქეთო რომ გავაჩინე, 22 წლის ვიყავი. ისეთი ფეხმძიმობა მქონდა, ვერც ვაცნობიერებდი ჩემს მდგომარეობას. ახლაც ასეა, აქტიურად ვცხოვრობ. ბავშვი რომ დაიბადება, ალბათ მერე უფრო გამიჩნდება სხვა ინსტინქტები. განსაკუთრებული არაფერი მინდება და არაფერი მაღიზიანებს. გურმანი ვარ და თავს არაფერში ვიზღუდავ. შობას ძალიან ბევრი რამ მოვამზადე, ჩემი გაკეთებული კერძები ყველას მოეწონა. ქეთოზე რომ ვიყავი ორსულად, ძალიან მინდებოდა მჟავეს ჭამა, ახლა განსაკუთრებულად ერთი რამ ამორჩემებული არ მაქვს. ორსულობა ძალიან მშვიდად მიდის.

— **თითქმის არ გეტყობათ, რომ ორსული ხართ. წონაში საერთოდ არ მოგიმატიათ?**

— ჯერჯერობით ზედმეტი კილოგრამები საგრძნობლად არ მემჩნევა. ქეთოზე ორსულობის დროს 16 კილო მოვიმატე, მაგრამ მერე, ნელ-ნელა თავისით ჩავდექი ფორმაში.

— **თქვენს ქმარს, მიშას, ბიჭი ალბათ ძალიან უნდა.**

— ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება ბიჭის დედა გავხდე. სახლში ყველას უნდა, რომ პატარა რეზო ძოძუაშვილი გაჩნდეს. ოჯახში გვარის გამგრძელებელი აუცილებელია. მთავარია, ჯანმრთელი იყოს.

— **ქეთო მუსიკალური ბავშვია?**

— კარგი სმენა აქვს, „ბასტი ბუბუში“ დადის, სიმღერა ძალიან მოსწონს და ამ ყველაფრით ერთობა. სამომავლოდ თვითონ გადაწყვეტს, რა პროფესიას აირჩევს. 16 იანვარს 5 წელი უსრულდება, გაგეცინებათ და, ცოცხალი მაიმუნის ყიდვა მოგვთხოვა. უფრო პატარა რომ იყო, ჩვენი სახლის წინ, მაღაზიაში, ყოველდღე ჩამყავდა და თითო მაიმუნს ყიდულობდა. ბოლოს რომ მივხვდი, ასე აღარ შეიძლებოდა, ეს ნაყიდი მაიმუნები უკან ჩამქონდა, დახლზე ვდებდით და მერე ისევ სახლში ამოგვქონდა... (იცინის). ქეთო ინტერნეტში უყურებს, ოჯახში როგორ უნდა მოვუაროთ მაიმუნს. მეუბნება, შენ რომ ბავშვი გეყოლება, ის შენი შვილი იყოს და ჩემი შვილი მაიმუნი იქნებაო. ქეთოს უნდა, რომ და ჰყავდეს, მას ხან მარიამს არქმევს, ხან — ბარბარეს. ქეთოს ემოციებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ახლაც რომ გამოვიდეს თავისი ოთახიდან, გახარებთ, რომ მუცელში პატარა ბავშვი მყავს. ამ სიახლის შესახებ ყველას უყვება.

— **ცოლ-ქმარს ახლა რა ეტაპი გიდგათ, თქვენს ახლანდელ გრძნობას რას დაარქმევდით?**

— შვილი რომ იბადება, ოჯახს დიდ სტიმულს მატებს, ამ სიახლეს სხვანაირი ურთიერთობები მოაქვს. ცოლ-ქმარს შორის დამოკიდებულება ტკბება, თბება. რა არის სიყვარული, ასე ვერ აგიხსნით. ღვინოსავითაა, თავიდან მაჭარია და შემდეგ ღვინდება. პატრიარქმა თქვა, სიყვარული არის სიკეთეო. არ ვიცი, მეტი რა გითხრათ. ჩემს ქმარზე ვარ შეყვარებული, ვეპრანჭები და მეორე შვილს ერთად ველოდებით.

2013 წელს ეს ჩემი პირველი ინტერვიუა, ამიტომ მინდა, თქვენი საშუალებით ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი, გისურვებთ სიკეთეს, სიყვარულს, ჯანმრთელობას, ბარაქას და გამრავლებას!

✓ ლანა კიკნაძე



Cyan Magenta Yellow Black

## «მე და ჩემს ქმარს საყვარლები გვყავს და ეს ორივემ ვიცით»

14 წელი ისე ვიცხოვრე ქმართან, რომ მისი ღალატი გულში ერთხელაც არ გამივლია. ყოველთვის მიკვირდა იმ ქალების, რომლებსაც საყვარლები ჰყავდათ. ასეთი რამ წარმოუდგენლად მიმაჩნდა, მით უმეტეს, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამას მე თუ გავაკეთებდი.

ბოლო 3 წელია ქმართან, ბავშვების გარდა, არაფერი მაკავშირებს. ჩემ მიმართ აგრესიის მეტს არაფერს იჩენს. სულ იმას მეუბნება, რომ მისთვის შეუფერებელი ვარ და ცოლად არ უნდა მოვეყვანე. თურმე



ამდენი წლის შემდეგ მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. საყვარელი ჰყავს. თავიდან ვიბრძოდი, რომ ჩამოეშორებინა. მეგონა, ყველაფერში ის ქალი იყო დამნაშავე, მერე კი მივხვდი, რომ ამას აზრი აღარ ჰქონდა. ძალით ოჯახს ვერ შევაკოწიწებდი. იმ ქალს თუ ჩამოშორდებოდა, მერე სხვასთან წავიდოდა და ჩვენი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა. ასე რომ, მისთვის ბრძოლა შევწყვიტე.

ბავშვობიდან ერთ ბიჭს ვუყვარდი, რომლისთვისაც სერიოზულად არასოდეს შემიხედავს. მერე ისე მოხდა, რომ მან იმ კომპანიაში დაიწყო მუშაობა, სადაც მე ვარ. ერთმანეთს კარგი ნაცნობებივით მოვიკითხავდით ხოლმე. მერე ყველაფერი შეიცვალა. ქმრისგან შეურაცხყოფილი მას შევეფარე, ქმარს ვუღალატე.

გარედან ისე ჩანს, რომ ოჯახი მაქვს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. არც ქმარი მყავს და არც — ოჯახი. ერთ ოთახშიც კი არ გვძინავს. არ ვიცი, ასეთ ოჯახს რა ჰქვია. აღარ ვჩხუბობთ, ჩვენთვის ვართ. ერთადერთხელ წამეჩხუბა, შვილებს ცუდ მაგალითს აძლევო. ხვდება, რომ საყვარელი მეც გავიჩინე. მე შევახსენე, რამდენი წელი იყო, რაც ჩემთან ინტიმური კავშირი აღარ ჰქონია და გაჩუმდა. ყველაზე კარგად იცის, რომ საყვედურის უფლება არ აქვს. ჩვენს ოჯახში ისეთი სიმშვიდეა, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე. არავინ იცის, როდის რა მოხდება ან ასეთ ცხოვრებას როდემდე შევძლებთ. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ შეიძლება მე და ჩემი ქმარი საუკეთესო მეგობრებადაც კი ვიქცეთ...

საკუთარ თავს ვერ ვცნობ. მართლა არ მინდა, ჩემი შვილები ასეთ ოჯახში გაიზარდონ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობ. ცალკე გადასვლის საშუალება არც მე მაქვს და არც — ჩემს ქმარს. ორივენი იძულებული ვართ, ასე ვიცხოვროთ. ველოდები, ვის გვიმტყუნებს პირველად ნერვები.

**მკითხველი**

### გამოხმაურება

## „ჩემი დედამთილი მკითხავებში დადის"

ჟურნალ „სარკის“ მე-2 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „დედამთილმა სიკვდილის წინ გამიმხილა, ჯადო გაგიკეთეო“. გაოცებული ვარ, ასეთ ადამიანებს ღმერთის როგორ არ ეშინიათ. ჩემი დედამთილიც მკითხავებში დარბის. ვეხვეწები, ჩვენს ოჯახს ასეთ ცოდვაში ნუ აყენებ-მეთქი, მაგრამ არაფერი ესმის. ეს უკვე ჩვევად აქვს გადაქცეული. თქვენ წარმოიდგინეთ, არჩევნების წინაც კი იყო მკითხავთან, იქიდან მოსული თავის „პროგნოზებს“ აკეთებდა, დიდი პოლიტოლოგივით ლაპარაკობდა, იმ ჯადოქრების სიტყვებს იმეორებდა.

ეს ყველაფერი მზარავს. ასეთი ადამიანების არ მესმის და არც ის ვიცი, როგორ შეიძლება მათი მორჯულება. თუ ვინმე რაიმე რჩევას მეტყვის, მადლობელი დაგრჩებით. ოღონდ არ მითხრათ, ეკლესიაში წაიყვანეო. ეს უკვე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

**ერთგული მკითხველი**

## „იმის გამო ვისჯები, რომ დედაჩემის ნათლულის ცოლი გავხდი“

კარგად ვიცი, ჩემ ზურგსუკან ბევრი ჭორაობს, ათას ტყუილ-მართალს ამბობენ. ეს არც მიკვირს და არც მწყინს, სალაპარაკო თემა მივეცი და ხალხსაცმეტი რა უნდა. ბარემ დავწერ ჩემს ისტორიას ისე, როგორც სინამდვილეში იყო.

დედას ერთი ძალიან ახლობელი ადამიანი ჰყავდა, დებივით უყვარდათ ერთმანეთი. რაც თავი მახსოვს, მისი დაქალი სულ ჩვენ გვერდით იყო. ერთი დღეც ვერ ძლებდნენ უერთმანეთოდ. ის ქალი უფრო ადრე გათხოვდა და ბიჭი ეყოლა, დედაჩემს მოანთლინა. ასე რომ, ნათესავებიც გახდნენ. მე და ის ბავშვი სულ ერთად ვიყავით, მართალია, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ და-ძმასავით ვიზრდებოდით.

მართლა არ მახსოვს, დედის ნათლულის მიმართ გრძნობა როდის გამიჩნდა. ასე მგონია, დაბადებიდან მიყვარდა. ან იქნებ მართლა ბედისწერა მართავდა ჩემს ცხოვრებას...

სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ცუდი ამბავი შეგვემთხვა. ჩემი ბიძაშვილი გარდაიცვალა. ეს მთელი ოჯახისთვის დიდი ტრაგედია იყო. ის სულ რაღაც 19 წლის იყო. მძიმე სენი სჭირდა და ვერაფერი უშველეს. იმ დღეს, როცა ეს ამბავი გავიგე, სახლში მივედი. მარტო ვიყავი. დედაჩემის ნათლული მოვიდა, თანაგრძნობის ნიშნად გულში ჩამიხუტა. აი, მაშინ იფეთქა ჩვენ შორის გრძნობამ. ეს იყო ემოცია, რომელიც ვერც მე მოვთოკე და ვერც მან. მაშინ გამოვუტყდით ერთმანეთს, რომ ჩვენ შორის დიდი გრძნობა არსებობდა. აი, იმ ერთმა დღემ, იმ რამდენიმე წამმა, როცა ემოციები ვერ გავაკონტროლეთ, მთელი ჩვენი ცხოვრება შეცვალა.

სიყვარულს ორი წელი ვმალავდით. სულ ერთად ვიყავით, მაგრამ ეჭვის თვალით არავინ გვიყურებდა, ჩვენ ხომ ბავშვობიდან ერთად გვხედავდნენ. ერთ დღესაც დედაჩემის მეგობარმა იმ დროს შემოგვისწრო ოთახში, როცა ერთმანეთს ვეხვეოდით და ვკოცნიდით. გულწასული იქვე ჩაიკეცა. ეს ორი ოჯახისთვის დიდი დარტყმა იყო. დედებმა სცადეს ჩვენი დაშორება, ეგონათ, რომ ამას შეძლებდნენ. მერე, რომ გაიგეს, სარეცელიც გვაერთიანებდა, ფარ-ხმალი დაყარეს.

დავქორწინდით. ჩვენს რაიონში ეს იყო სენსაცია! ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა. მართალია, დიდი მორწმუნენი არ იყვნენ და, მგონი, არც იცოდნენ ნათელმირონობის არსი, მაგრამ მაინც გვკიცხავდნენ, გვლანძღავდნენ. დედაჩემს ერთმა მეზობელმა ასეც კი დასცინა, რა გინდა, მომავალი სიძე თავად გამოზარდეო. ჩვენი დედები ერთმანეთს დაშორდნენ, აღარ მეგობრობდნენ. ამ ამბავმა ორივე მოტეხა და გაანადგურა. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც გვამშვიდებდნენ, სისხლის აღრევა ხომ არ მომხდარა, არა უშავს, ღმერთი გაპატიებთო. ასე ტრაგიკულად დაწყებული სიყვარული ასევე ტრაგიკულად დამთავრდა...

შვილი გვეყოლა, მაგრამ — ავადმყოფი. ისევ ატყდა ერთი ამბავი, აი, ცოდვის ნაყოფი რომ არის, ასეთიც იმიტომ დაიბადაო. მხოლოდ სამი წელი იცოცხლა. ღმერთს ვეხვეწებოდი, ეცოცხლა და ამ ტვირთს ბოლომდე ვზიდავდი. ავადმყოფი შვილის ჩახუტებაც კი დიდი შვება იყო ჩემთვის, მაგრამ ესეც არ დამცალდა. ანგელოზად ზეცაში გამიფრინდა. ჩემსა და ქმარს შორის რაღაცნაირი სიყვარული გაჩნდა. ეს არ იყო ვნება ან ბობოქარი გრძნობა, თითქოს ერთ სხეულად შევიკარით, რომ ამდენი წინააღმდეგობისთვის გაგვეძლო. ერთ უბედურ დღეს კი ისიც დავკარგე. ჯანმრთელი გავაცილე სახლიდან და მიცვალებული შემომისვენეს, ავარიაში დაიღუპა.

ჩემმა დედამთილმა მაშინ დამწყევლა პირველად, მიკივლა, შენ დამიქციე ოჯახი, სახლში ბოროტი სული შემომისახლდიო. შეიძლება მართალიც იყო. მეც მგონია, რომ სწორედ ჩვენი ცოდვის გამო დავისაჯეთ.

მას შემდეგ წლები გავიდა. სხვა მამაკაცისკენ არასოდეს გამიხედავს და ეს ვერც წარმომიდგენია. 41 წლის ვარ და უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ მარტო უნდა ვიყო. ჩემი ქმარი მიყვარს, სულ მგონია, რომ მიყურებს, მითანაგრძნობს, როცა მე ვტირი, ისიც ცრემლებს ღვრის, როცა არ მძინავს, ისიც ღამეებს ჩემთან ერთად ათევს. ჩვენ მაინც ერთნი ვართ, სიკვდილმაც ვერ დაგვაშორა.

ეკლესიაში დავდივარ. ეს არის ჩემი ერთადერთი შვება. მართალია, მრევლმაც იცის ჩემი ცხოვრების შესახებ და ამას ყველას უყვებიან ხოლმე, მაგრამ არა უშავს, ამასაც შევეჩვიე. სულ მაქვს განცდა, რომ ტაძარში ჩემზე ცოდვილი არავინ დგას. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ეს სინანული ოდესღაც მაინც სიმშვიდეს მომანიჭებს.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ძველი შეყვარებული მზად არის, ორსულიც მიმიღოს“



ძნელი ყოფილა სწორი არჩევანის გაკეთება. მშობლები კი სულ მეუბნებოდნენ, არ შეცდე, კარგად დაფიქრდიო, მაგრამ მეგონა, ოჯახის შესაქმნელად სიყვარული საკმარისი იყო. არ მინდოდა იმ მაგალითების მოსმენა, თუ როგორ და რის გამო ინგრეოდა ოჯახები. არც ის მჯეროდა, რომ სიყვარული ოდესღაც ქრება. ვერ წარმომედგინა, რომ ბიჭი, რომელიც ჩემს მზესა და მთვარეს იფიცებდა, ოდესმე ცუდად მომექცეოდა.

ცხოვრებამ რქები მომტეხა და თანაც ძალიან მალე. გათხოვების შემდეგ მივხვდი, რომ ცუდ კაცს დავუკავშირე ცხოვრება. საშინლად მექცეოდა, პათოლოგიური ეჭვიანი აღმოჩნდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას არ სჯერდებოდა და მუშტებს მირტყამდა. თავიდან ყველაფერს ვითმენდი, არავის ვუმხელდი, მაგრამ ორსულიც რომ მცემა, მისი სახლიდან წამოვედი. ახლა ყოფილი ქმრის დანახვაც კი არ მინდა. ოთხ თვეში ბავშვი მეყოლება და ამ დღეს მოუთმენლად ველი. მამა მპირდება, რომ მე და ჩემს შვილს არაფერს დაგვაკლებს.

სანამ ჩემს მომავალ ქმარს შევხვდებოდი, ერთი ბიჭი მიყვარდა. მერე კი იმ უღირსი ადამიანის გამო მივატოვე. ძალიან განიცადა, მეუბნებოდა, რომ უჩემოდ იტანჯებოდა, მაგრამ მისი არ მესმოდა, რადგან ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. ქმარს რომ გავშორდი, ის ბიჭი ისევ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. მეუბნება, უშენოდ ვერ ვძლებ, მინდა, ჩემ გვერდით იყოო. ამბობს, რომ ჩემს შვილს საკუთარივით გაზრდის და კარგ მამობას გაუწევს. მისი ყურადღება და სიყვარული გულს მითბობს, იმედით მავსებს, რომ ცხოვრებაში კიდევ მექნება ბედნიერების შანსი... თუმცა არ შემიძლია, მის წინადადებას დავთანხმდე და ორსული ცოლად გავყვე. ასეთ საქციელს არც მამაჩემი მაპატიებს. მას კიდევ ერთ ტკივილს ვერ მივაყენებ.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

# „ვირტუალურ მამაკაცთან ფლირტი ძვირად დამიჯდა“

24 წლამდე აქტიურად ვცხოვრობდი. დედა ჭრიჭინას მეძახდა, სულ აქეთ-იქით დავდიოდი, ვსწავლობდი, ვმუშაობდი, უამრავი მეგობარი მყავდა. ექსკურსიებზე, ერთმანეთის სახლებში დავდიოდით. შეყვარებულობის პერიოდი ულამაზესად მახსენდება. მეგონა, რომ ჩვენზე ბედნიერი ოჯახი არავის ექნებოდა. პრინციპში, არც შევმცდარვარ, საოცრად კარგი ქმარი და შვილები მყავს, არაფერი მაკლია, მაგრამ დათმობებზე წასვლა მაინც მომიხდა.

გათხოვების შემდეგ ქმარმა გამომიცხადა, რომ მუშაობაზე ფიქრი თავიდან უნდა ამომეგდო. ცალკე გადავედით საცხოვრებლად და ორი ბავშვი სრულიად დამოუკიდებლად გავზარდე. სადმე წასვლის დრო არც მქონდა და ამის ნებას არც ქმარი მაძლევდა. ისიც კი არ მოსწონდა, მეზობელთან ყავის დასალევად ათი წუთით რომ შევირბენდი. ასე გადავიქეცი ჭრიჭინა ჭიანჭველად.

შვილებმა კომპიუტერზე მუშაობა მასწავლეს და ეს ნივთი ჩემთვის სამყაროსთან კავშირის საშუალება გახდა. უცებ, სულ რაღაც რამდენიმე საათში, ყველა ჩემი ყოფილი მეგობარი ვიპოვე და მიმოწერა გავაჩაღეთ.

კომპიუტერით ერთი ბედნაცვალი კაცი დამიახლოვდა. მერე კი ამ კაცმა ჩემთან ფლირტი დაიწყო. მწერდა, რომ ქვეყანაზე ჩემზე უკეთ ვერავინ უგებდა, რომ მე ვიყავი მისთვის ერთადერთი ნათელი წერტილი სამყაროში. ფლირტში ავყევი, ამან გამიტაცა და მომეწონა კიდეც. ქმრის ღალატზე არ მიფიქრია, ამას გულში არასოდეს გავივლებდი, რადგან ის უზომოდ მიყვარს.

ერთ დღეს საიტი ჩართული დამრჩა და სრულიად შემთხვევით ჩემმა ქმარმა იმ კაცთან მიმოწერა ნახა. გადაირია. ვერაფრით დავარწმუნე, რომ ეს მხოლოდ ფლირტი იყო. თანაც ჩემი წუწუნი წაიკითხა, სადაც ქმარზეც რაღაცეებს ვწერდი. ღირსი ვარ, რაც დამემართა! კაცზე, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს, სხვა, ჩემთვის სრულიად უცხო მამაკაცთან ვჭორაობდი...

მადლობა ღმერთს, ოჯახი შევინარჩუნე. ეს ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, მაგრამ მთავარია, რომ მოვახერხე. იმის შემდეგ კომპიუტერის დანახვაც არ მინდა. ყველა ქალს მოგიწოდებთ, ვირტუალურ მეგობრებს ნამდვილ ცხოვრებას ნუ დაანგრევინებთ!

**„სარკის“ მკითხველი**

# დიაბეტური ტერფის სინდრომი

შაქრიანი დიაბეტი დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ გავრცელებულ და პროგრესირებად ენდოკრინულ დაავადებას, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმში ჰორმონ ინსულინის აბსოლუტური ან შედარებითი უკმარისობით. ბოლო მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოში 371 მლნ დიაბეტით დაავადებულია აღრიცხული, 2030 წლისთვის ეს ციფრი მიაღწევს 552 მლნ-ს. გვინდა გესაუბროთ დიაბეტური ტერფის შესახებ. ეს სინდრომი დღეისათვის შაქრიანი დიაბეტის ყველაზე ხშირი გართულებაა, რომელიც მოიცავს ნერვების, სისხლძარღვების, კუნთოვანი და ძვლოვანი აპარატის დაზიანებას. დიაბეტური ტერფის სინდრომზე გვესაუბრება **ექიმი ენდოკრინოლოგი ინგა სისვაძე.**

– ***რითია საშიში დიაბეტური ტერფის სინდრომი?***

– მსოფლიოში ყოველ 30 წმ-ში ქვედა კიდურის ერთი ამპუტაცია კეთდება. ყველა ამპუტაციის 70% დიაბეტიან პირებზე მოდის. დიაბეტური ტერფი საშიშია არა მხოლოდ განვითარების სიხშირის მიხედვით, არამედ მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ძვირადღირებული სამკურნალო საშუალებები, ხანგრძლივად მიმდინარე შეუხორცებელი ჭრილობა, ეს ყოველივე მოუწესრიგებელ გლიკემიასთან ერთად ქმნის საკმაოდ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას.

– ***რა არის მისი ძირითადი გამომწვევი მიზეზები?***

– ტერფის ნერვული დაბოლოებების დაზიანება, პერიფერიული სისხლძარღვების დაზიანება და ტერფის ინფიცირება.

– ***როგორ შეიძლება გამოიხატებოდეს დიაბეტური ტერფის პირველი სიმპტომები?***

– პირველი სიმპტომები აღნიშნული ცვლილებებისა შეიძლება იყოს: ფერმკრთალი ტერფი, მოჭერის, ჩხვლეტის, სიცივის შეგრძნება, „ჭიანჭველების სირბილის“ შეგრძნება.

– ***რისკ-ჯგუფებზე და გართულებებზე რას გვეტყვით?***

– რისკ-ჯგუფებია: პერიფერიული ნეიროპათიის გამოვლენა, პულსაციის არარსებობა წვივის არტერიებზე, ტერფის დეფორმაცია, ტერფის გამოხატული ჰიპერკერატოზი, წყლულის არსებობა, ჩირქოვან-ნეკროზული პროცესი, ამპუტაცია ანამნეზში; ხოლო გართულებებს მიეკუთვნება: ყველა სახის მგრძნობელობის დაქვეითება (მაგ.: ტკივილის, ტემპერატურული), მიკროტრავმების განვითარება, რომელსაც ავადმყოფები ვერ შეიგრძნობენ, ასეთი მიკროტრავმები შესაძლებელია განვითარდეს, მაგალითად, ფეხშიშველი სიარულის დროს, ფეხსაცმელში შემთხვევით მოხვედრილი მცირე ნივთის ჩავარდნის დროს, არასწორად შერჩეული ფეხსაცმლის ტარების დროს, ფრჩხილების და კოჟრების დამუშავების, მოჭრის დროს. ტერფზე კანის დეფექტის ან წყლულის არსებობისას, კიდურში სისხლის მიმოქცევის დარღვევის ფონზე, ბაქტერიული და სოკოვანი მიკროფლორის გავრცელებისას არსებობს ტერფის განგრენის განვითარების მაღალი რისკი. ყველა არსებული ამპუტაციების 40-90% დაკავშირებულია შაქრიან დიაბეტთან.



– ***როგორ ვუმკურნალოთ დიაბეტურ ტერფს და შესაძლებელია თუ არა ამ პროცესის პროფილაქტიკა?***

– დიაბეტური ტერფის მკურნალობა გულისხმობს ბაზისურ მკურნალობას და დამატებით ჩარევას (ჩვენებებიდან გამომდინარე). დიაბეტური ტერფის მკურნალობა ეფექტურია, თუ დროულად იქნება მიღებული სათანადო ზომები. მისი მიღწევა შესაძლებელია დიაბეტის მოვლის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ წარმართული ტერფის სწორი მოვლის და პაციენტთა სათანადო განათლების ერთობლიობით. ჩვენს კლინიკაში დანერგილია დიაბეტური ტერფის დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდი. გახსოვდეთ, რომ დიაბეტური ტერფის (და, მითუმეტეს, განგრენის) განვითარება არ წარმოადგენს შაქრიანი დიაბეტის აუცილებელ გართულებას. პაციენტის დროული მიმართვა ექიმთან, პროფილაქტიკური და სამედიცინო ღონისძიებების დროული ჩატარება, უმრავლეს შემთხვევაში აცილებს მას დიაბეტური ტერფის სინდრომის და მისი გართულებების განვითარებას.

**ექიმი ენდოკრინოლოგი ინგა სისვაძე. ტელ.: 599-21-33-62**
**სისხლძარღვთა ქირურგი, პროფესორი იგორ მიქაძე. ტელ.: 599-51-90-28**
**პროფ. გ. აბზიანიძის სახ. ანგიოლოგია-სისხლძარღვთა ქირურგიის აკადემიური კლინიკა. მის.: თ. მღვდლის 13, ტელ.: 235-45-17.**



Cyan Magenta Yellow Black

## სახელები

# ომარ ფხაკაძის ქვრივი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს

## ლეგენდა, რომელიც ნათხოვარი ველოსიპედით დაიწყო



■ ომარ ფხაკაძე

ის საბჭოთა კავშირის ნომერ პირველ სპორტსმენად იყო დასახელებული, არადა მაშინ ქართველთა პირველობის აღიარება რუსებს ძალიან უჭირდათ. მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი გახლდათ! ამიტომაც უწოდებენ ახლა ასე — ლეგენდარული ველომრბოლელი ომარ ფხაკაძე.

ბავშვობაში მის ოჯახს ველოსიპედის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა და მეზობლისგან ნათხოვარ ველოსიპედზე ჯდებოდა. მოგვიანებით მისი სპორტული მონაცემებით გაოგნებულმა მწვრთნელებმა ქუთაისელი ბიჭი სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეს და მსოფლიო ჩემპიონად აქციეს.

მისი ვაჟი, უმცროსი ომარ ფხაკაძე, ახლახან საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ქვეყანაში, სადაც ველოსიპედს დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე უზარმაზარი „ძეგლი“ დაუდგეს, ველოსპორტი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ფხაკაძეების ოჯახი დახმარებას ითხოვს. დედა-შვილი — ომარ ფხაკაძე უმცროსი და დონარა ჯანუკაშვილი „სარკეს“ ოჯახის წარსულსა და აწმყოზე ესაუბრნენ.

**— ომარ, საქართველოში ველოსპორტის განვითარება მამათქვენის სახელს უკავშირდება. როგორ დაუკავშირდა მისი ბედი ველოსიპედს?**

**ომარი**: ალბათ ყველა ბავშვის ოცნება იყო, ველოსიპედი ჰქონოდა. მამას მშობლებს არ ჰქონდათ მისი ყიდვის საშუალება და მეზობლის ბავშვის ველოსიპედზე იჯდა ხოლმე. ქუთაისში ცხოვრობდნენ და მთელ ქალაქში დადიოდა იმ ველოსიპედით. დედამისი სულ ეჩხუბებოდა, ნუ ზიხარ მაგ ეშმაკის ბორბალზე, კისერს მოიტეხო.

**დონარა**: ომარი ძალიან ჯანმრთელი ბავშვი ყოფილა. მერეც ჯანმრთელი იყო. თავის და კბილის ტკივილი რა იყო, არ იცოდა. მეტყოდა ხოლმე, მინდოდა, „ბატონები“ შემხვედროდა, რომ სურვილი აესრულებინათ და ველოსიპედი ეყიდათო. მერე მამამისს მოუხერხებია და უყიდია. ომარი ოჯახში მერვე შვილი იყო. დედამისს ეშინოდა და თურმე ველოსიპედს უმალავდა, რომ არ წაქცეულიყო და რამე არ დამართნოდა. მეზობლები იხსენებდნენ ხოლმე, ხეები კანკალებდნენ, ქუჩაში რომ გაივლიდაო. ცელქზე ცელქი და მოჩხუბარი ყოფილა.

**ომარი**: მერე გაუგია, რომ ველოსპორტის რაღაც სექცია არსებობდა და იქ ჩაწერილა. თურმე შეჯიბრი ჩაატარეს ქუთაისის გზატკეცილზე. ერთ მწვრთნელს, კარლო შენგელიას, რომ დაუნახავს, როგორ ატარებ-

**„ფინიშთან რომ მივიდა, საბურავი გაუსკდა და დაეცა. ფინიშის ხაზი სრიალით გადაკვეთა და რეკორდი მოხსნა“.**



■ ცოლ-ქმარი

და ველოსიპედს, უთქვამს, ამას გზატკეცილზე რა უნდა, ისეთი ფინიში აქვს, ტრეკისთვის არის გაჩენილი და თბილისში წავიყვანოთო. თბილისში ველოტრეკზე რომ გაატარეს შესამოწმებლად, თუ რა მონაცემები ჰქონდა, წამმზომს დახედეს და არ დაიჯერეს, იფიქრეს, შეგვეშალაო. მეორედ რომ გაატარეს, უკეთესი შედეგი აჩვენა. მაშინ მამა 17 წლის იყო. ორი წლის მერე სპარტაკიადა მოიგო.

მთელი ბავშვობა ველოტრეკზე მაქვს გატარებული. მხოლოდ მე კი არა, მთელი ოჯახი — მამა, დედა, ჩემი და ბაია — ყველა ერთად დავდიოდით ვარჯიშებზე. პირველად რომ გამოვედი შეჯიბრზე, 5 წლის ვიყავი. ლოკომოტივის სტადიონზე ჩატარდა სამოყვარულო შეჯიბრი ბავშვებს შორის და იქ მივიღე მონაწილეობა. პირველი ადგილი დავიკავე. 4-5 წლის ასაკიდან არ გამომიტოვებია საბჭოთა კავშირის თუ მსოფლიო ჩემპიონატები, ყველას ვესწრებოდი. არ არსებობს პიროვნება, ვისაც იმ დროიდან მოყოლებული ველოსპორტში რამე გაუკეთებია და მე არ ვიცნობდე.

**დონარა**: ფრანგმა ველოსპორტსმენმა, მორელონმა, რეკორდი დაამყარა. ომარს მოუნდა ამ რეკორდის გაუმჯობესება. უთხრეს, სად იმათი ველოსიპედი და სად ჩვენიო. იმათი ველოსიპედები უფრო მსუბუქი იყო. ომარს უთქვამს, სავარჯიშო საბურავები დაუყენეთ და რეკორდს გავაუმჯობესებო. ფინიშთან რომ მივიდა, საბურავი გაუსკდა და დაეცა. ფინიშის ხაზი სრიალით გადაკვეთა და ის რეკორდი ასე მოხსნა.

ახლახან გავიგე, რომ კადაფისთვის სახელი ომარი ომარ ფხაკაძის პატივსაცემად დაურქმევიათ. ომარი მამამისთან სტუმრად არის ნამყოფი და ამიტომ სულ მეცოდებოდა, იმ კადაფის შვილს ასე რომ სდევნიდნენ. ამას წინათ კი ჯონი ცივაძემ თქვა ტელევიზიით, რომ თავისი შვილისთვის ჩემი ქმრის ხათრით დაურქმევია ომარი.

**ომარი**: მამა თბილისში რომ ჩამოვიდა, ჯერ სკოლა-ინტერნატში ცხოვრობდა, მერე მამიდასთან.

**— ლეგენდად დადის, როგორ თქვა ბინაზე უარი და მაშინდელ ცკ-ის მდივანს ველოტრეკის აშენება მოსთხოვა.**

**ომარი**: მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, მჟავანაძე იყო მაშინ ცკ-ის პირველი მდივანი. მან დაიბარა და უთხრა, რაც გინდა, მთხოვე — ბინა, მანქანა, აგარაკი, ყველაფერს გაგიკეთებო. მამაჩემს უთქვამს, არაფერი მინდა, ერთი ნორმალური ველოტრეკი ააშენეთ, სტანდარტებს რომ შეესაბამებოდესო. მაშინ ბინა არ ჰქონდა, ნაქირავებში ცხოვრობდა. მერე ბინაც მისცეს. სულ ველოტ-



■ დედა-შვილი

**„მამაჩემი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, მჟავანაძემ დაიბარა და უთხრა, რაც გინდა, მთხოვე — ბინა, მანქანა, აგარაკი — ყველაფერს გაგიკეთებო. მამას უთქვამს, არაფერი მინდა, ერთი ნორმალური ველოტრეკი ააშენეთო“.**

რეკზე ვიყავით, იქ ვცხოვრობდით. დილის 7 საათზე მაყენებდა, კუს ტბაზე დავრბოდით. იქიდან მივდიოდით ველოტრეკზე და საღამომდე იქ ვიყავით. სახლში მხოლოდ დასაძინებლად მოვდიოდით. ხან იქვე ვიძინებდით.

მამას უნდოდა, ველოტრეკისთვის დასაკეცი სახურავი გაეკეთებინა — კარგ ამინდში გახსნიდი, ცუდ ამინდში გადახურავდი. მაკეტიც არსებობდა, მაგრამ მერე კი იცით, რა პერიოდი დაიწყო და ყველაფრის მშენებლობა შეწყდა. რაც აშენდა მჟავანაძის დროს, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ტრეკი იყო. ახლანდელ სტანდარტებს კი აღარ შეესაბამება. გადახურული რომ ყოფილიყო, საუკუნეებს გაუძლებდა. 25 წელი გაძლო ღია ცის ქვეშ, როცა ათოვდა და აწვიმდა. ეს მასალა, ტალი, აფრიკიდან შემოიტანეს, რომელიც ყველაზე გამძლეა, რკინასავითაა. მამა მაშინ დირექტორი იყო. ბაღიც გააშენა, ხეები დარგო.

სად არ ვიარე — ცურვაზე, ფეხბურთზე, წყალბურთზე, კალათბურთზე, ჩოგბურთზე... 12-13 წლის ასაკში კი გადავწყვიტე, მეც ველოსპორტს გავყოლოდი, მაგრამ მამას რეკორდები ვერ მოვხსენი. მას საოცარი ნიჭი ჰქონდა, დიდი ფიზიკური ძალა და სისწრაფე. დარწმუნებული ვარ, სპორტის ნებისმიერ სახეობაში, რომელსაც ძალა და სისწრაფე სჭირდება, იმავე შედეგებს მიაღწევდა. წყალბურთში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან რომ ჩავიდოდა, უგებდა, ბურთს ვერ ართმევდნენ. სპრინტერი იყო.



Cyan Magenta Yellow Black

**დონარა**: ყველაფერში ნიჭიერი იყო, არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა. ოჯახთან ყოფნა უყვარდა და უნდოდა, შვილიც გვერდით ჰყოლოდა. მთელი ოჯახი ველოსიპედისტები ვიყავით. ჩვენი შვილები ტრეკზე არ დაბადებულან, თორემ იქ გაიზარდნენ. 4 თვისაც არ იყო ბაია, როცა ლიეპაიაში, ხარკოვსა და ტალინში წავიყვანე. 7 თვის იყო, რომ დავბრუნდით. ომარიც ასე გავზარდეთ. სპორტი მეც ძალიან მიყვარს. ტანმოვარჯიშე გახლდით.

— **ქალბატონო დონარა, როგორი ქმარი იყო ლეგენდარული სპორტსმენი?**

**დონარა**: ომარი ძალიან მკაცრი იყო. მეუბნებოდა, თეთრზე რომ გეტყვი, შავია, შენც უნდა თქვა, რომ შავიაო. უნდა გეცხოვრა მისი აზრებით და მე ეს გამომივიდა. იმდენად მიყვარდა ჩემი მეუღლე, ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ მას თავის საქმეში წარმატებისთვის მიეღწია.

— **თქვენი და ბატონი ომარის სიყვარულის ისტორია როგორ დაიწყო?**

**დონარა**: მინსკში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ვიყავით ერთად. იქ გოგოები ამბობდნენ, ვიღაც ქუთაისელი ველოსიპედისტი ძალიან ძლიერი ყოფილაო. უცბათ გავიხედეთ და კედელზე გადადიოდა — ფანჯრიდან ფანჯარაში უნდა გადასულიყო, რადგან რაღაც ფორმა დარჩა ოთახში. იმ სპარტაკიადის დროს მეც დავუნახივარ. მერე მისმა მეგობარმა, ოთარ სუჯაშვილმა, მოიყვანა ჩვენთან, დარბაზში და იქიდან დაიწყო ყველაფერი. მერე მითხრა, მინსკში რომ დაგინახე, შენ მიმართ მაშინვე სიმპათია გამიჩნდაო. მერე მოხდა ისე, რომ პირველ აპრილს „მომატყუა“ და ცოლად გავყევი.

— **შვილებთანაც მკაცრი იყო?**

**ომარი**: კი, საკმაოდ მკაცრი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რომ უნდა ჩატარებულიყო, შესარჩევ ტურნირებს ატარებდნენ ხოლმე. მაშინ მეორე ადგილი ავიღე. ჩემპიონატზე აღარ წამიყვანა — პირველ ადგილზე ვერ გახვედი და ხალხი რას იტყვის, რადგან ჩემი შვილი ხარ, იმიტომ მიმყავხარო. მერე მსოფლიო ჩემპიონატზე კი წავედი, მაგრამ ჩუტყვავილა შემხვდა და ექიმებმა შეჯიბრზე გასვლა ამიკრძალეს. არადა მაშინ მამა დარწმუნებული იყო, რომ მედალს ჩამოვიტანდი.

**დონარა**: ჩემს მეუღლეს საზღვარგარეთ მუშაობა შესთავაზეს. ეს მაშინ იშვიათად ხდებოდა. ჯერ მხოლოდ გოგონა გვყავდა. ვუთხარი, წავიდეთ-მეთქი და მითხრა, საქართველოში ველოსპორტი ჩაკვდეს და მე სხვაგან როგორ ვიმუშაოო. ომარი ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, რომელიც საბჭოთა კავშირში აღიარეს ნომერ პირველ სპორტსმენად. ვიქტორ სანაევს ოთხი ოლიმპიადა აქვს მოგებული, მაგრამ ისიც კი არ დაასახელეს. რუსეთმა ომარი აღიარა. 1965 წელს კი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

— **ფილმში „ხარება და გოგია“ ომარ ფხაკაძე ხარებას როლს საოცრად ბუნებრივად ასრულებს. ცხოვრებაში ჰგავდა თავის პერსონაჟს?**

**ომარი**: როგორსაც იმ ფილმში ხედავთ, ზუსტად ისეთი იყო ცხოვრებაში. ძლივს დაითანხმეს მამაჩემიც და ლევან თედიაშვილიც, რომ ფილმში მიეღოთ მონაწილეობა.

**დონარა**: ომარს არ ჰქონდა გარდასახვის უნარი. მოჩვენებითობა არ შეეძლო და მისი დათანხმება რთული იყო.

**ომარი**: მამამ თავიდან მტკიცე უარი თქვა. მერე დაურეკეს ცკ-დან, სამსახურიდან გაგიშვებთო და მამაც ასე დაითანხმეს და ლევან თედიაშვილიც. ლევანი მაშინ კაკაბეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ და ის წელი მისი მეურნეობისთვის ალბათ ყველაზე წამგებიანი იყო, რადგან ყოველდღე ან ბატკანს კლავდნენ და უმასპინძლდებოდნენ მთელ გადამღებ ჯგუფს. მთელი ფილმი კახეთშია გადაღებული, გარდა ბოლო სცენისა, როცა ყველას ხოცავენ. მეც მათამაშეს ერთ ეპიზოდში. ფილმი ბავშვების ჭიდაობით იწყება და იქ ვარ. ყველა სცენის გადაღების დროს ვახლდი. ისინი ქეიფობდნენ, ჩვენ კი ცხენებით დავქროდით. ლევანის ბიჭიც იქ იყო ხოლმე.

მამა იმ ფილმშიც ისეთივე სიტყვაძუნწია, როგორიც ცხოვრებაში იყო. ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა. ძალიან ფიცხი, ფეთქებადი გახლდათ.

**დონარა**: ამავე დროს ძალიან გულჩვილი იყო.

**„ახლახან გავიგე, რომ კალათისთვის სახელი ომარი ომარ ფხაკაძის პატივსაცემად დაურქმევიათ".**

შეეძლო, ფილმის ყურების დროს ეტირა. მაგალითად, „ნატვრის ხის“ თუ „ფესვების“ ყურებისას ტიროდა.

— **ომარ, თქვენ ახლახან ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტად დაინიშნეთ. რა მდგომარეობაა ახლა ამ სპორტში?**

**ომარი**: საერთოდ ქართულ სპორტშია ცუდი მდგომარეობა. თუ სახელმწიფოს არ ექნება ინტერესი, რომ სპორტი განავითაროს, ამას ვერც ერთი ფედერაცია და ადამიანი ვერ გააკეთებს. მაშინ ბილ გეიტსი უნდა იყო.

— **წინა ხელისუფლება სწორედ ველოსიპედს უწევდა პროპაგანდას.**

**დონარა**: ჩვენმა პრეზიდენტმა როგორც ეს სპორტი იცის, ზუსტად ისეთი ველოსიპედის ძეგლი დადგა. ჩემი რძალი მეუბნება ხოლმე, თქვენ მაინც როგორ ამბობთ ამას, ეს ხომ ველოსიპედის ძეგლიაო, მაგრამ ეს რაღაც ეშმაკეულია — საჭე უკუღმაა, სკამიც არასწორად... რაც ამ ძეგლზე ფული დაიხარჯა, მიეცა ველოსპორტის ფედერაციისთვის!

**„პრეზიდენტმა როგორც ეს სპორტი იცის, ზუსტად ისეთი ველოსიპედის ძეგლი დადგა. ეს რაღაც ეშმაკეულია — საჭე უკუღმაა, სკამიც არასწორად... რაც ამ ძეგლზე ფული დაიხარჯა, მიეცა ველოსპორტის ფედერაციისთვის!".**

**ომარი**: ველოსპორტის ფედერაციისთვის წელიწადში მხოლოდ 50 ათას ლარი იყო გამოყოფილი, რაც ერთი ნორმალური ველოსიპედის ფასიც არ არის. ეს 50 ათასი ლარი გამოყოფილი იყო შეჯიბრებებისთვის და რაღაც ღონისძიებებისთვის. ამ ფულით შეჯიბრზე წავა სპორტსმენი, მაგრამ მომზადება ხომ უნდა?! მწვრთნელებს ხელფასები არ აქვთ. ინვენტარი თუ არ იქნა, რა აზრი აქვს?! იაფფასიანი ველოსიპედები მაინც უნდა გვქონდეს, რომ ბევრი ბავშვი მივიღოთ და საბოლოოდ ნაკრები მოვამზადოთ. იმედია, რაღაცეები შეიცვლება. ახალი ტრეკი აშენდა დიდ დიღომში, მაგრამ ალბათ მალე გამოვა წყობიდან, რადგან ეს ის მასალა არ არის, რითიც უნდა გაეკეთებინათ. ის ფული, რაც მის მშენებლობას მოხმარდა, ფაქტობრივად ჰაერში გადაყრილი.

ფონდის გაკეთება მინდა, რომ ეს სპორტი ცოტა წამოვწიოთ. სპორტი ბავშვს ქუჩას და მავნე ჩვევებს აშორებს, თან ჯანმრთელები იზრდებიან. ქვეყნებში, სადაც სპორტი კარგადაა განვითარებული, ნაკლებია ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკომანია. იმედია, ხელისუფლების ხედვა შეიცვლება და ჩვენც რამე გვეშველება.

**დონარა**: კახი ასათიანს ვუთხარი ჯერ კიდევ როდის, რომ ამ სპორტს სათავეში ჩემი შვილი ჩასდგომოდა, რადგან უფრო ადვილი იქნებოდა, ომარ ფხაკაძის შვილს ინვესტორები და ბიზნესმენები მოეზიდა. ახლა მიხარია, რომ ველოსპორტის ფედერაციას ომარ ფხაკაძე ჩაუდგა სათავეში. მინდა, მომღერლებს ვთხოვო საქველმოქმედო კონცერტის ჩატარება, რომ ველოსპორტს დავეხმაროთ. ძალიან მინდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა, რომ დახმარება ვთხოვო. მინდა, სპორტის ამ სახეობაში რამე გავაკეთო, რომ ჩემს ქმართან პირნათლად წარვდგე.

✓ **რუსუდან ადვაძე**



■ ხარებას როლში



■ ოჯახი

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# მინდია უგრეხელიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებები მეხამრიდებია, რომ იმპულსურმა ადამიანმა ჯებირები არ გადალახოს“

## «ხუთჯვრიანი დროშის შეცვლა გულნამცეცობა იქნებოდა»



■ მინდია უგრეხელიძე

ამნისტიის კანონის მიღების შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად ემზადება. ამისკენ ახალ ხელისუფლებას ნაციონალების მიერ მრავალჯერ გადაკეთებულმა მოქმედმა კონსტიტუციამ უბიძგა, რომელიც პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნისა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის სერიოზულ რისკს ქმნის. ამ კრიზისის შემქმნელი შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტი, თუკი მან ყველასთან შეუთანხმებლად, ერთპიროვნულად გადააყენა მთავრობა, შემდეგ დანიშნა ახალი მთავრობა, რომელსაც, თავის მხრივ, არ ექნება პარლამენტის ნდობა.

უმრავლესობის მტკიცებით, მათ მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილება მხოლოდ რისკის თავიდან აცილებას ემსახურება და იქვე განმარტავენ, რომ ამით არ იზღუდება პრეზიდენტის უფლება, შექმნას მთავრობა, რომელსაც არ აქვს ხალხის მხარდაჭერა. უფრო მეტიც, პრეზიდენტს ეძლევა საშუალება, საკანონმდებლო ორგანო უთანხმოების შემთხვევაში ნებისმიერ დროს დაითხოვოს, მოქმედი კონსტიტუცია კი ამას 6 თვემდე უკრძალავს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ უმრავლესობის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ფართო მხარდაჭერა ექნება, რადგან ეს ცვლილება საჭიროა ქვეყნის სტაბილურობისთვის. პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი კი აცხადებს, რომ, ვინც ამ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს, საკუთარ მომავალს გაინადგურებს.

სადღეისოდ ამ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემაზე „სარკესთან“ სამართალმცოდნეობის დოქტორი მინდია უგრეხელიძე საუბრობს.

**— ბატონო მინდია, კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე რას ფიქრობთ, როგორ აფასებთ?**

— ამ ცვლილებებს დადებითად ვაფასებ. კონსტიტუციურ ჩვეულებში არის ისეთი ვითარება, რომელიც შეიძლება ვინმემ ბოროტად გამოიყენოს. ამიტომ ისეთი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი, რაც, ერთი მხრივ, ლაგამს ამოსდებს ცხენს, რომელიც არავინ იცის, როდის გაჭენდება და, მეორე მხრივ, ადამიანების ინტერესებს დაიცავს. თქვენ იცით, რომ ხალხი არის ხელისუფლების წყარო, მათი პოლიტიკური ნებაა მთავარი. იმისთვის, რომ ამ ნებას საფრთხე არ დაემუქროს, საჭიროა მეხამრიდების აღმართვა. წინადადება, რომელიც უმრავლესობამ წამოაყენა, არც სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება და არც ხალხის ნებას. იგი შექმნის პირობას, რომ გაუწონასწორებელმა და იმპულსურმა ადამიანმა ჯებირები არ გადალახოს.

ამ წინადადების საწინააღმდეგო არც ერთი სერიოზული მოსაზრება არ მომისმენია. ამის მიზეზი ის არის, რომ პირველად ჩვენი სამართლებრივი საკითხები გაცილებით სანდო ხელშია. ასეთ საკითხებზე ძალიან ხშირად ისეთ ადამიანებს ამუშავებდნენ, რომლებიც ან იურისტები არ იყვნენ, ან ძალიან ცუდი იურისტები გახლდნენ, რათა მერე მარტივად ემართათ. დავით უსუფაშვილი კი არაჩვეულებრივი იურისტია. ის ჩემი სტუდენტი იყო, დაბადებულია იურისტის ტვინით, ამიტომ იშვიათად შემიმჩნევია ამ მხრივ ხარვეზი. ამჯერადაც სწორ გზაზე დგანან და ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ, რომ არ მოხდეს დესტაბილიზაცია, კონსტიტუციური კრიზისი. წინა ხელისუფლებამ ასეთი ვითარება იმიტომ შექმნა, რომ მერე სათავისოდ გამოეყენებინა. როცა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია განგაშს ტეხდა და ამბობდა, ეს ამისთვის კეთდება და ნუ იზამო, კაციშვილი ყურს არ გვიგდებდა. ახლა ფაქტია, რომ ამ ვითარებას პირდაპირ დავეჯახეთ და ამ ცვლილებას მხარი უნდა დავუჭიროთ, რათა ცხენი არ გაგვიჭენდეს.

**— ატყობთ, რომ „გაჭენების“ სურვილი აქვს ვინმეს?**

— ეს საკითხი ნამდვილად არ უნდა იყოს იმ ადამიანის კონტროლქვეშ, თორემ ქვეყანას ხელისუფლების გარეშე დატოვებს. მე განსაკუთრებით მაშინებს იმ ადამიანების აქტიურობა, რომლებიც თვითონ არიან დამნაშავეები და მონაწილეები იმ ვითარებისა, რომელიც შეიქმნა. ამას წინათ წავიკითხე ბატონი ავთანდილ დემეტრაშვილის კომენტარი — ასეთი ცვლილება სხვაგან არსად არისო. მერე რა, რომ სხვაგან არ არის? ერთ დროს არც კონსტიტუცია იყო არსად, მერე ერთმა დიდმა ქვეყანამ მოიგონა და მთელმა მსოფლიომ კონსტიტუციური ცხოვრება დაიწყო. ბევრი რამ არ არის სხვაგან, მაგრამ თუკი საჭიროებამ მოითხოვა და ეს არ ეწინააღმდეგება მორალს, ლოგიკასა და, რაც მთავარია, ხალხის ინტერესებს, შეგიძლია გამოიყენო.

ბუნებრივია, კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი სხვაგან არ იქნება, რადგან ასეთი გიჟები სხვაგან არსად არიან, მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს ასეთი რამ. ამიტომ რა ვქნათ, დავიწყოთ ხელები გულზე და დაველოდოთ, სანამ არ გადავიჩეხებით?

**— ცვლილებები საკმაოდ ზღუდავს სააკაშვილის უფლებებს.**

— საკმაოდ — არა, ზომიერად. დაუკვირდით, როცა საქართველოში უსაშველოდ გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებები, ამას მთელი მოსახლეობა ყურისპარტყუნით შეხვდა და გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, სააკაშვილი ისე უცბათ გახდა მძლეთამძლე.

**„როცა საქართველოში უსაშველოდ გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებები, ამას მოსახლეობა ყურისპარტყუნით შეხვდა და გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, სააკაშვილი ისე უცბათ გახდა მძლეთამძლე“.**

ამის მერე რაღაც უფლებების ჩამორთმევა სულ რამდენიმე თვით, ვინმეს არ უნდა აკვირვებდეს.

კონსტიტუციის მე-8-9-10-11-15 მუხლებს თუ ნახავთ, იქ ადამიანებს აქვთ რაღაც უფლება და იქვე მოყოლებული აქვს მეორე ნაწილი, სადაც წერია, ეს უნდა შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ საშიშროება ემუქრება საზოგადოებრივ ღირებულებებსო. ეს ცვლილებები ნამდვილად ზღუდავს პრეზიდენტის უფლებებს და კიდეც უნდა შეზღუდოს!

**— ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მცირე ინექციებით ისე ცდილობს, პრეზიდენტის უფლებები შეზღუდოს, რომ სააკაშვილის თავმოყვარეობა არ შელახოს, ქვეყნისთვის კი უმჯობესი ის იქნება, რომ კონსტიტუციაზე ძირფესვიანად იმუშაონ.**

— რა დროს თავმოყვარეობაზეა საუბარი! კონსტიტუცია არის დოკუმენტი, რომელმაც ადამიანების უფლებები უნდა უზრუნველყოს. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, ვის აქვს თავმოყვარეობა და ვის — არა, ჩვენ ადამიანის უფლებების უნდა დავიცვათ და ამაში შეუვალი უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება არის კონკრეტული პერიოდისთვის გათვლილი, ანუ შესაძლო კრიზისის თავიდან ასაცილებლად და არ არის საბოლოო და სამუდამო. თუკი საქართველოს ოდესმე ჰქონია საშუალება, რომ ნორმალური კონსტიტუცია შეექმნა, ამის შანსი მას ახლა აქვს და ის ამას გააკეთებს. მით უმეტეს, რომ უზარმაზარი სამუშაოა გაწეული, რომელიც არ გაითვალისწინეს, მაგალითად, ჩვენი კონსტიტუციის განახლების დაახლოებით 90 გვერდიანი კონცეფცია, რომელიც საზოგადოებრივმა კომისიამ შექმნა.

**— და რომელმაც არ ისურვა სახელმწიფო კომისიასთან თანამშრომლობა.**

— არ მოინდომა იმიტომ, რომ კომისიაში პოლიტიკური სპექტრი სრულად არ იყო წარმოდგენილი. საზოგადოებრივმა კომისიამ პატიოსნად ჩამოაყალიბა ის შეხედულებები, რაც ხალხისთვის არის ყველაზე უკეთესი. აიღონ ის კონცეფცია და, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გამოიყენონ.

**„ამას წინათ წავიკითხე ბატონი ავთანდილ დემეტრაშვილის კომენტარი — ასეთი ცვლილება სხვაგან არსად არისო. მერე რა, რომ სხვაგან არ არის?.. ბუნებრივია, კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი სხვაგან არ იქნება, რადგან ასეთი გიჟები სხვაგან არსად არიან, მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს ასეთი რამ“.**



Cyan Magenta Yellow Black

— **უმცირესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები პოპულისტურ ნაბიჯად შეაფასა.**

— ყველაფრის თქმა შეიძლება, ენას ძვალი არ აქვს. თან ისიც უნდა ვთქვა, რომ დარჩიაშვილი ამ საკითხში ექსპერტად ვერანაირად ჩაითვლება. ეს არის მხოლოდ ლანძღვა, ამაში არ არის იურიდიული ანალიზი. ასე მეც შემიძლია ვთქვა, რომ დარჩიაშვილი წვერს ატარებს იმიტომ, რომ გახდეს პოპულარული და განსხვავებული სხვისგან, მაგრამ ეს მოსაზრება ხომ არაფერს ნიშნავს?

— **ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებით აცხადებს, უმცირესობა ვერ გაბედავს ამ ცვლილების წინააღმდეგ წავიდეს, რადგან ამით საკუთარ მომავალს გაასნადგურებსო. თქვენი აზრით, პროცესი რა სახეს მიიღებს?**

— არ ვიცი, ვინ რა ჭკუაზე იქნება, ვინ ვის მიიმხრობს... მე, როგორც უპარტიოთა პარტიის წევრი, მოგახსენებთ, რომ ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ გაექცევა იმ ლოგიკას, რომლითაც ეს წინადადებაა წარმოდგენილი. მაგრამ თუკი ვინმე სინდისთან კომპრომისზე წავა, ან ვინმეს ცოდნა არ ეყოფა, ან ვინმეს არ ენაღვლება, რას ამბობს და რა იქნება, ეს მისი საქმეა. ივანიშვილის ამ განცხადებას გააჩნია საფუძველი, რადგან ეს არის მართლზომიერი მოლოდინი იმისა, რაც ხდება ნორმალურ საზოგადოებაში. პრემიერი გამოდის ვარაუდებიდან, რომლებიც ნორმაში ჯდება და არა — პათოლოგიაში.

— **ამ ცვლილების შემდეგ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს მართლა დაეკარგება „გაჭენების“ განწყობა?**

— სააკაშვილს რამდენადაც ვიცნობ, მიუხედავად ყოველივე ამისა, შეიძლება მაინც მოინდომოს რამის გაკეთება. იგი ძალიან ჰგავს ო,ჰენრის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟს, რომელმაც ოღონდ კი რამე დააშავოს, შეიძლება ჩაიაროს და ფანჯარა გატეხოს.

— **ალბათ თქვენ იმის მომხრეც ხართ, რომ პარლამენტი თბილისში დააბრუნონ.**

— პარლამენტი — ეს ისეთი ინსტიტუციაა, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს სატახტო ქალაქში. ეს დაკავშირებულია უამრავ საკითხთან, პრაქტიკულობასთან, მოხერხებულობასთან. თვითონაც დაინახეს, რომ ამდენი სირბილი ქუთაისში მხოლოდ ზიანის მომტანია. თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციისთვის აკაკი ბობოხიძემ დამირეკა. მაშინ ითქვა ასეთი რამ, აგერ ევროპარლამენტის სხდომები სტრასბურგში ტარდება და არა — ბრიუსელშიო. იქ სხვა რამეა, აქ კი საქმე შეეხება სუვერენობის იდეას. შენ რომ ეროვნული სახელმწიფო ხარ და სუვერენიტეტი გაქვს, რა თქმა უნდა, მას სიმბოლიკაც ახასიათებს, ამიტომ პარლამენტის არსებობა დედაქალაქში არამარტო პრაქტიკულობით არის ნაკარნახევი. იგი არის ასევე ნაკარნახევი სიმბოლური, სუვერენიტეტული მოსაზრებებით. სატახტო ქალაქში უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც არამარტო გამოსცემს კანონს, არამედ აკონტროლებს კიდეც ყველაფერს.

— **რადგან სიმბოლიკა ახსენეთ, იმასაც შევეხოთ, რომ ყველა ელოდა, არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ნაციონალური ხელისუფლების მიერ მიღებული სახელმწიფო დროშა შეიცვლებოდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ახალი ხელისუფლება ამას არ აპირებს. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?**

— მე თვითონ გახლდით იმ კომისიის წევრი, სადაც თავის დროზე ეს საკითხები განიხილეს. მე, პირადად, დღევანდელი დროშის შეფერილობა მომწონს. თუ მაინცდამაინც იმიტომ ჩაუდგები ჯიბრში, რომ ის სააკაშვილის შემოტანილია, გულნამცეცობა იქნება. არ არის საჭირო ამ მიმართულებით წასვლა. მაგრამ თუ მაინც წავალთ, ჩემთვის ძალიან ძვირფასია დამოუკიდებელი საქართველოს დროშა, მაგრამ ის, პროფესიული თვალსაზრისით, არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც მას სჭირდება. ამ დროშის შენარჩუნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და, რამდენადაც მახსოვს, როცა ეს საკითხი კომისიაში იხილებოდა, ხუთჯვრიან დროშას მხარს ვუჭერდი.

# რამაზ საყვარელიძე:

# „რატომ არის ჩუმად დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის ბრალდებებზე?!“

საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამნისტიის კანონზე ხელმოწერას მიხეილ სააკაშვილმა თავისი გუნდის წევრების, ხათუნა ოჩიაურისა და ანდრო ბარნოვის გუბერნატორებად დანიშვნით უპასუხა, ივანიშვილის ხელისუფლება კი ჯაშუშების გათავისუფლებასა და ნაციონალი დეპუტატების დაშანტაჟებაში დაადანაშაულა. ამის ნათელ მაგალითად კი დეპუტატი მარიკა ვერულაშვილი მოიყვანა: „მე მინდა, მოგიყვეთ ყვარლის დეპუტატის, მარიკა ვერულაშვილის ისტორია. ჯერ მისი ოჯახის წევრები ატარეს დაკითხვაზე, შემდეგ მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი დააკავეს. მერე კი მისი მეუღლე ჰყავდათ დაკითხვაზე. მარიკას პირველი რეაქცია იყო ის, რომ ის წავიდოდა პარლამენტიდან, მაგრამ უთხრეს, რომ არსადაც არ წავიდოდა, უბრალოდ გამოვიდოდა უმცირესობიდან და მხარს საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუჭერდა“...

მთავარი პროკურატურა პრეზიდენტის ამ განცხადებას მყისიერად გამოეხმაურა განცხადებით, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე პროკურატურაში მარიკა ვერულაშვილის ოჯახის რომელიმე წევრი, მათ შორის მისი მეუღლეც, სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული არ ყოფილა.

რატომ იცრუა პრეზიდენტმა, რატომ აპელირებს რუსეთის ჯაშუშების თემით და ვინ ეცდება უმცირესობიდან საკუთარი ტყავის გადასარჩენად სააკაშვილისგან დისტანცირებას, ამ და სხვა აქტუალური კითხვებით ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს მივმართეთ.

— **ბატონო რამაზ, ალბათ არავისთვის იყო მოულოდნელობა, რომ ამნისტიის კანონს სააკაშვილი ხელს არ მოაწერდა, თუმცა ნაციონალებს რაღაც შეცდომები მაინც შეეძლოთ ეღიარებინათ ობიექტურობისთვის.**

— სააკაშვილს რომ ამნისტიისთვის ხელი მოეწერა, ეს იქნებოდა ხელმოწერა საკუთარ შეცდომებზე. ესენი კი შეცდომებს არათუ ხელმოწერით, ისედაც არ აღიარებენ. არჩევნებიდან ამდენი ხანი გავიდა და არცერთხელ უთქვამთ, ესა და ეს შეცდომა მოგვივიდაო. მხოლოდ იმას ამბობენ, პიარი არ გვქონდა, რომ ხალხისთვის ინფორმაცია მიგვეწოდებინაო. ღიმილისმომგვრელია, რომ ხელისუფლება, რომელიც მთელ მასმედიას აკონტროლებდა, წაგებას პიარის არქონას აბრალებს. სამაგიეროდ, სააკაშვილის მთელი ეს რიტორიკა მოწოდებულია იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა თვითონ არ აიღოს და ყველაფერი ახალ ხელისუფლებას გადააბრალოს. სააკაშვილი და მისი გუნდი განუწყვეტლივ ამბობენ, რომ კრიმინალური მდგომარეობა გაუარესდება. ამის საპასუხოდ კი მე ვიკითხავდი, რატომ არის ჩუმად დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის ბრალდებებზე? არ არის საკითხავი, ვის უშვებს ციხიდან თვითონ სააკაშვილი? რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ ძალიან საშიშ დამნაშავეებს უშვებს შეწყალებით. ანუ ისე ხომ არ არის, რომ, რასაც თვითონ აკეთებს, იმასაც ამნისტიას აბრალებს? სამწუხაროდ, ასეთ კითხვებზე დღევანდელი ხელისუფლება პასუხს არ იძლევა.

**„ნაცმოძრაობა რომ ახერხებს, სხვას დასდოს ბრალი რუსეთთან კაპიტულანტობაზე, ეს სხვა პარტიების ბრალია, რადგან ისინი დუმილს ამჯობინებენ... ამ არაშემტევმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ თვითონ სააკაშვილის გუნდი გადავიდა შეტევაზე“.**

— **სააკაშვილი აპელირებას ძირითადად რუსეთის აგენტების გათავისუფლებაზე აკეთებს.**

— ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინო იყო ფოტოგრაფების საქმე და კარგად ვნახეთ, მაშინდელი ხელისუფლება რა მოტივებით, რა „სერიოზულობით“ უდგებოდა მას. მარტო იმიტომ, რომ მათ 26 მაისის აქციის დარბევის სურათები გაავრცელეს, ჯაშუშობა დააბრალეს. ასე რომ, ჯაშუშობის ბრალდება →18

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
● ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
● სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
● ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
● სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

სააკაშვილის ხელისუფლებისთვის დასჯის, პოლიტანგარიშსწორების ინსტრუმენტი იყო. მის ამ განცხადებებს ერთი მთავარი ფუნქცია აქვს — დასავლეთს გააგებინოს, რომ ეს ხელისუფლება რუსეთის ჯაშუშებს ციხიდან უშვებს. სააკაშვილი ახლა თამაშობს იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება წარმოაჩინოს პრორუსულად. მან კარგად იცის, რას ამბობს და ეს შეფასებები ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული.

**— ნაციონალმა გოკა გაბაშვილმა პარალელი გაავლო 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ამნისტიასთან და ხაზი გაუსვა, რომ მაშინაც და ახლაც ხელისუფლებამ ეს რუსეთის მოთხოვნით გააკეთა. რამდენად აქვს საფუძველი ასეთ შეფასებას?**

— არა მგონია, სწორი იყოს ეს შეფასება იმ ხელისუფლების მიმართ, რომელსაც ქვეყნის დაცვა დიდი მსხვერპლის ფასად მოუწია. კარგად იცით, როგორი ტრაგიკული ბრძოლები მოჰყვა ამას. ამორალურია, როცა ის ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი ქართული გაანიავა, ბრალს სდებს იმ მთავრობას, ვინც ქართული საგანძური სიცოცხლის ფასად დაიცვა. სააკაშვილის ხელისუფლებამ „მოახერხა“, რომ იუნესკოს ბაგრატის ტაძარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სიიდან ამოეღო. ეს პარალელები მეტისმეტად ცინიკურად გამოიყურება.


■ რამაზ საყვარელიძე

**„ნაცმოძრაობასთან დაპირისპირებულმა პარტიებმა, მათ შორის — „ქართულმა ოცნებამ“, უფრო ენერგიული, მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგან. მაგალითად, ცრუ ბრალდებაზე სარჩელი უნდა შეიტანონ სასამართლოში. ყველა ასეთი განცხადება სასამართლო წესით უნდა იყოს განხილული“.**

**— უმცირესობამ ამნისტიას კაპიტულანტური ნაბიჯიც უწოდა. ამაზე რას იტყვით?**

— კაპიტულანტობაზე იმ პოლიტიკურმა ძალამ ილაპარაკოს, რომელმაც ტერიტორიები პრაქტიკულად რუსეთს ჩააბარა, სტრატეგიული ობიექტები კი რუსეთის ბიზნესს გადასცა. ეს მართლა ცინიზმია! ქართველმა საზოგადოებამ დაინახა, ნაცმოძრაობამ როგორ იმუშავა სწორედ რუსეთზე და არამარტო 2008 წელს, არამედ მთელი თავისი მმართველობის განმავლობაში. ნაცმოძრაობა რომ ახერხებს, სხვას დასდოს ბრალი რუსეთთან კაპიტულანტობაზე, ეს სხვა პარტიების ბრალია, რადგან ისინი დუმილს ამჯობინებენ. კაპიტულანტობა სწორედ ნაცმოძრაობის ქმედებებში იკითხება, ჩვენს უახლოეს ისტორიაში რუსეთისთვის ამის ნება სხვას არავის მიუცია. ამ არაშემტევმა პოლიტიკურმა რიტორიკამ, რომელიც ჰქონდა და დღესაც აქვს ნაცმოძრაობასთან დაპირისპირებულ პარტიებს, ის შედეგი გამოიღო, რომ თვითონ სააკაშვილის გუნდი გადავიდა შეტევაზე.

**— ნაცებს იმ კითხვაზე, თუ რატომ აღმოჩნდა გარკვეული ობიექტები რუსი ბიზნესმენების ხელში, პასუხი აქვთ, რომ ფულს წარმომავლობა არ აქვს.**

— ეს კაპიტულანტური პოლიტიკის გამართლებაა და სხვა არაფერი. თუ ფულს მართლაც არ აქვს წარმომავლობა, მაშინ რატომ არის, რომ რუსეთი თავის ბიზნესმენებს ხელიდან არ უშვებს და კონტროლქვეშ ჰყავს? ფულს თუ წარმომავლობა არ აქვს, მაშინ ივანიშვილს რუსეთის ბიზნესმენს რატომ უწოდებენ? რატომ ეუბნებიან, რუსული ფულით ხარ მოსული და იმ ქვეყნის დავალებას ასრულებო? აქაც ორმაგი სტანდარტია.

**— სააკაშვილის იმ განცხადებასაც შევეხოთ, როცა უმრავლესობა უმცირესობის დაშანტაჟებაში ამხილა. ხედავთ რაიმე შანტაჟის ნიშნებს?**

— სააკაშვილის წყალობით, უკვე ვიცით, მუქარა რას ჰქვია. ამის კარგი მაგალითები 26 მაისი და 7 ნოემბერია. მის მიერ დაჭერილი ხალხის შესახებაც ვიცით. სამწუხაროდ, ქართული მედიაც ამ ტიპის ბრალდებებს აჰყვა. მიდის მათი ნათქვამების, ბრალდებების შეფასება, მსჯელობა და, პრინციპში, ნაცმოძრაობასაც ეს უნდა. დააბრეხვებს რაღაცას და სულ არ აინტერესებს, რა თქვა, რადგან ვიღაცეებს მეხსიერებაში რჩებათ, რომ მართლა ასე იყო. რამდენად სწორია, ამას აღარავინ იკვლევს. ამიტომ ისევ და ისევ ნაცმოძრაობასთან დაპირისპირებულმა პარტიებმა, მათ შორის — „ქართულმა ოცნებამ“, უფრო ენერგიული, მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგან. მაგალითად, ცრუ ბრალდებაზე სარჩელი უნდა შეიტანონ სასამართლოში. ყველა ასეთი განცხადება სასამართლო წესით უნდა იყოს განხილული, თორემ ეს ამბავი არ დასრულდება და, იცით, რატომ? სხვანაირად ნაციონალური მოძრაობა მედიაში თავს ვერ დაიმკვიდრებს. სწორედ იმიტომ, რომ ამ სივრციდან არ დაიკარგოს და ყურადღების მიღმა არ აღმოჩნდეს, ნებისმიერ უაზრობას აბრეხვებს. არ მესმის, ეს საკითხი სასამართლო მსჯელობის საგანი რატომ არ ხდება.

ჩვენი პრეზიდენტი კი ყოველდღე ცრუობს, თან რამდენიმე ტყუილს ერთდროულად იძახის და ამაზე პასუხს არავინ სთხოვს. ქვეყანა ასე არ აშენდება. ამას „ოცნების“ საყურადღებოდ ვამბობ. მათ ასეთ პასიურობას ნაკლად ვუთვლი. პრეზიდენტი სასურველ შედეგს აღწევს, „ოცნების“ უსუსურობას აჩვენებს.

**— პრემიერმინისტრის „არადიპლომატიური“ განცხადება — ვინც ხმას არ მისცემს საკონსტიტუციო ცვლილებას, საკუთარ მომავალს გაანადგურებსო, პრეზიდენტმა ხელზე დაიხვია და მას პირდაპირი, უპრეცედენტო მუქარა უწოდა.**

— თუ მოინდომებ, მუქარა ყველაფერში შეიძლება წაიკითხო. სააკაშვილს, „ჩარეცხილების“ და „ნულოვანი ტოლერანტობის“ ავტორს, ვინმეს მუქარა გაუკვირდა?! ჩემი აზრით, ის, ვინც უდანაშაულო ადამიანებს ხელს არ გაუწვდის, ამ საზოგადოებაში მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. ნაცმოძრაობას, ისევ რომ მოინდომოს ხელისუფლებაში მოსვლა, საზოგადოებამ უნდა შეახსენოს, მისმა ლიდერმა როგორ თქვა უარი უდანაშაულო ადამიანების გამოშვებაზე.

**— კობა დავითაშვილი ირწმუნებოდა, რომ მათ ჰყავთ კონსტიტუციური უმრავლესობა და საკონსტიტუციო ცვლილებები არ გაუჭირდებათ. ზოგიერთი უფლებადამცველი ასეთი განცხადებების მიღმა ფარულ გარიგებებს ხედავს. რეალურია, რომ ასეთი გარიგებები ხდებოდეს?**

— ასეთ გარიგებებს მე არ შევაფასებ უარყოფითად. პოლიტიკური არენა გარიგებების არენაც არის. აბა, კოალიციური მთავრობები როგორ იქმნება? რომ გამოგვიჭედეს ყურები — კოჰაბიტაციაო, ეს ერთ-ერთ პუნქტად სწორედ გარიგებებს გულისხმობს, რომ ორივე მხარე გარკვეულ დათმობებზე წავიდეს. ასეთი რაღაცეები შეიძლება საზოგადოებისთვის დაფარულიც იყოს, რადგან პოლიტიკური სამზარეულოს სააშკარაოზე გამოტანა ყოველთვის სასურველი არ არის. მნიშვნელოვანი ერთი რამ არის, ეს გარიგება ხალხის ინტერესების გათვალისწინებით მოხდება თუ მათ საწინააღმდეგოდ. ეს კი მოგვიანებით გამოჩნდება. დეპუტატებს ვერ მოსთხოვ, ყველა დიალოგი საჯარო გახადონ, ასეთი რამ პოლიტიკაში არ ხდება.

**— როგორ წარმოგიდგენიათ 2013 წლის პოლიტიკური ცხოვრება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე?**

— სააკაშვილის გუნდში მისი მხარდამჭერი ძალიან ცოტა ადამიანია დარჩენილი. მის პარტიას დიდი კრიზისი ელოდება. მე ველოდები, რომ ნაცმოძრაობა რამდენიმე ნაწილად გაიყოფა და გამოიკვეთება ჯგუფი, რომელსაც პოლიტიკაში გარკვეული სახით დარჩენა მოუნდება.

**— ვის გულისხმობთ, ქვანიას ყოფილ თანაგუნდელებს თუ ბურჯანაძის კადრებს? მიმიხვდით ალბათ, რომ მაჭავარიან-ბაქრაძეზე მაქვს საუბარი.**

— ჩემი აზრით, მაჭავარიან-ბაქრაძის ფიგურები მართლაც გამოიკვეთება. მათში, ვისაც პოლიტიკაში დარჩენა მოუნდება, ვიგულისხმე ის ადამიანები, რომლებმაც საპარლამენტო მუშაობა იციან და ისინი, ვინც თავის დროზე კუნთებზე არ იყურებოდნენ. ასე რომ, შეიძლება ამათი ხაზი აღმოჩნდეს ცალკე და „კუნთიანი“ ნაციონალების — ცალკე.

**— უმრავლესობასაც ხომ არ ელოდება დაშლა?**

— უმრავლესობასაც იგივე პრობლემა აქვს, რაც ნაცმოძრაობას — თვითკრიტიკა აკლია. თუ კრიტიკულად არ მიუდგებიან საქმეს, შესაძლოა რთული მომავალი ერგოთ.პოლიტიკურად ცოტა მოდუნებული სტილი აქვს მმართველ პარტიას და არა მგონია, ეს გამოადგეთ.

**— ამას ზომიერებას უწოდებენ.**

— ზომიერებასა და მოდუნებას შორის ძალიან რთულია ზღვარის გავლება, მაგრამ მე მაინც მოდუნებას ვხედავ. გააქტიურება საჭიროა.



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ დატოვა ეკა ბესელიამ „რუსთავი 2“-ის პირდაპირი ეთერი

## „ამ ამნისტიით სააკაშვილის ხელისუფლება პოლიტიკურად გასამართლდა!“

2013 წლის 13 იანვრის 00 საათიდან ამნისტიის კანონი ძალაში შევიდა. ამნისტია 17 ათას პატიმარს შეეხო, მათგან საპატიმროებს 3.500-მდე მსჯავრდებული დატოვებს. 190 პოლიტპატიმარი 13 იანვრის შუადღისთვის უკვე თავისუფალი იყო. ციხის კარები მათ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ გაუღეს.

„სარკე“ ქალბატონ ეკას ამ ფაქტიდან რამდენიმე საათში ესაუბრა. იმ დროისთვის უკვე მომხდარი იყო ინციდენტი, როცა დეპუტატმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ჩართვა მოულოდნელად დატოვა. ინტერვიუ ამ თემაზე კითხვით დავიწყეთ.

**— ქალბატონო ეკა, „რუსთავი 2“-ის პირდაპირი ჩართვა რატომ დატოვეთ, რამე მოხდა?**

— კი, დავტოვე, ამას ჰქონდა მიზეზი. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა იმან, ვისაც ეს ჩართვა ეხებოდა. პარლამენტში დაგეგმილი იყო კათოლიკოს-პატრიარქის და მსოფლიო პატრიარქის ვიზიტი. 15 წუთის მოსულები იყვნენ, როცა „რუსთავი 2“-მა „კურიერში“ ჩართვა მთხოვა. მითხრეს, რომ ეს იქნებოდა 9 საათზე, ამიტომ დავტოვე ღონისძიება და მესამე სართულზე ავედი. მერე კი ნახევარ საათზე მეტი მალოდინეს. ჯერ მითხრეს, დასაწყისშიაო, მერე — მეორე სიუჟეტიაო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ გოკა გაბაშვილი იყო ეთერში. ვკითხე, ზუსტად მითხარით, როდის იქნება და მოვალ-მეთქი. არაო. ვიდექი და ვუსმენდი გაბაშვილის რაღაც ცრუ განცხადებებს და ამ დროს პატრიარქთან შეხვედრის ღონისძიებაც დამთავრდა. გავბრაზდი და წამოვედი. ის თუ თქვეს, რომ წამოვედი, ისიც ეთქვათ — რატომ!

**— არადა ისე გამოვიდა, რომ გაბაშვილის ბრალდებებს გაექეცით.**

— გაბაშვილის ცრუ განცხადებები არ არის ახალი და მისთვის პასუხის გაცემაც ნამდვილად არ მიჭირს. „რუსთავი 2“-ის არაკორექტულობის გამო წამოვედი. როცა პატრიარქი პარლამენტშია და შენ 35 წუთი ელოდები ჩართვას, ამ დროს კი არ გრთავენ, ეს უკვე უპატივცემლობაა.

**— მოდით, მაშინ ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან გასცეთ პასუხი გაბაშვილს. მან თქვენი ხელისუფლება რუსეთთან კაპიტულაციაში დაადანაშაულა.**

— კაპიტულანტური იყო მთელი მათი მთავრობა და ხელისუფლება, რომელიც ფეხქვეშ გაეგო რუსეთის ჯარს; მათი მინისტრი და გუბერნატორი იყო, რომ დაჰყვებოდა რუს სარდალს მძღოლად სამეგრელოში; მათი პრეზიდენტი იყო, გორში ვერტმფრენის ხმაზე რომ გარბოდა; მათი მინისტრები იყვნენ, წითელ ხიდთან რომ იდგნენ რიგში და ქვეყნიდან მირბოდნენ, რუსებს კი ხალხი შეატოვეს და ჩაახოცვინეს. ამათგან არათუ ვიღებ ბრალდებას, პირიქით, იქით ვუყენებ — მათ რუსეთის ოკუპანტი ჯარი შემოიყვანეს და ჩვენი ქვეყანის ტერიტორიის 20 პროცენტი დააპყრობინეს. ეს ის ხელისუფლებაა, კოდორში რომ ჩამოიყვანა რუსული ჯარი და მათ ქართული მიწა ჩააბარა. ომის შემდეგ კი რუსებს ენგურჰესი და ქვეყნის ენერგოსისტემა მისცა. მთელი სტრატეგიული ობიექტები დღეს რუსეთის ხელშია. ამ ყველაფრის მერე ვინ ლაპარაკობს კაპიტულანტობაზე? გაბაშვილი, რომელიც შევარდნაძის დროიდან მოდის და მთელი ოჯახი იმ ხელისუფლებას და საბჭოთა პროპაგანდას ემსახურებოდა, ესენი ლაპარაკობენ ჩვენს კაპიტულანტობაზე?! მათი ბოდვების არავის სჯერა.

**— მან რუსეთის ჯაშუშების გათავისუფლებაზე და ქვეყნის იმიჯის დაცემაზეც ილაპარაკა.**

— ჯაშუშებს და აგენტებს ეძახდნენ სწორედ იმ ფოტოგრაფებს, რომლებმაც 26 მაისის ფოტოები გაავრცელეს. მაშინ რომ არ გამოეშვათ, დღეს ისინიც ჯაშუშის სახელით გამოვიდოდნენ. გრიფი „საიდუმლო“ უნდა აეხსნას მაისაიას, კილურაძის და ყველა სხვა დანარჩენის საქმეს და ვნახოთ ერთი, ვინ იქნება ჯაშუში! მე ვარ მომხრე, ყველა საქმე გახდეს საჯარო, მერე დადგეს გაბაშვილი და გაამართლოს პროკურორების და მოსამართლეების გადაწყვეტილებები, რომლებიც პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებდნენ.

**— ალბათ მოელოდით, რომ ამნისტიის კანონი ძალაში უსუფაშვილის ხელმოწერით შევიდოდა.**

— რა თქმა უნდა, მოველოდი. უმრავლესობა სააკაშვილის პირადი პატიმარი იყო და მათი გათავისუფლება ყველაზე ნერვებისამშლელი სწორედ მისთვის აღმოჩნდა. როცა პატიმრების თემაზე მუშაობა დავიწყე, მივხვდი, რომ სააკაშვილის ყველაზე სუსტი და ნერვული წერტილი სწორედ ეს იყო. წონასწორობა ამიტომაც დაკარგა. პარლამენტმა მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება, რომელიც ისტორიაში შევა. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველომ პოლიტპატიმრები აღიარა. ცოტა დრო რომ გავა, მერე უფრო გამოჩნდება ამ მოვლენის მასშტაბურობა, სიღრმე და პოლიტიკური ასპექტები. პრაქტიკულად, ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური გასამართლება. ახლა იქნება სამართლებრივი პროცედურები, მაგრამ პოლიტიკურად მაშინ გასამართლდა, როცა პარლამენტმა აღიარა, რომ ქვეყანაში არის, მინიმუმი, 215 პოლიტპატიმარი. ამის მერე სააკაშვილი ველარ გაიმართლებს თავს დასავლელ მეგობრებთან და ვერ იტყვის, რომ ის იყო დემოკრატი მმართველი.

**— ციხის კარი პატიმრებს თქვენ და სახალხო დამცველმა გაუღეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ ამ დროს?**

— როცა ციხეში შევედი და ის დერეფანი გავიარე, სადაც ადამიანებს აწამებდნენ, სადაც ცნობილი კადრებია გადაღებული, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მერე შევედით დიდ სივრცეში, კარანტინს რასაც ეძახიან. 70 პოლიტპატიმარი დაგვხვდა, რომლებიც გათავისუფლების წამებს ელოდებოდნენ. ის განცდა, რომელიც იმ დროს დამეუფლა, არასოდეს დამავიწყდება — 70 ადამიანის თვალები სავსე იყო მადლიერებით, სიხარულით და ამავე დროს — ტკივილით.



ეკა ბესელია

გვერდით მომყვებოდა მარლენ ნადირაძე, გორის ყოფილი გამგებელი, ადამიანი, რომელიც 7 ნოემბერს ჩვენთან ერთად იდგა. ის 7 ნოემბრის შემდეგ დააკავეს და ამ დრომდე ციხეში ჰყავდათ. მეორე მხარეს იდგა ივა ჩიღვინაძე, რომელიც 26 მაისის მოვლენების მერე დააკავეს. იყვნენ ნაწამები ადამიანებიც, რომლებმაც საშინელი პერიოდი განვლეს, მაგრამ ის, რაც დღეს მოხდა, ამ ყველაფრის საპირწონეა.

სიკეთის გაკეთება არასოდეს უნდა ინანო. სააკაშვილმა შანსი, რომ საკუთარი შეცდომები ელიარებინა, ხელიდან გაუშვა. საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია, სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს.

**— რატომ არ რეაგირებს „ოცნება“ სააკაშვილის ბრალდებებზე?**

— ყველა განცხადებაზე პასუხის გაცემა სალ აზრს არის მოკლებული. ხშირად ისე არაადეკვატურად აკეთებს განცხადებას და იმდენად დაკარგული აქვს თვითკონტროლი, სიმართლე გითხრათ, მასზე პასუხის გაცემაც არასწორად მეჩვენება. არის მომენტი, როცა დუმილი უფრო ფასობს. როგორ მიულოცა ახალი წელი სააკაშვილმა მოსახლეობას, გაიხსენეთ. ჯაშუშური ქსელის ლეგენდაზე ლაპარაკობდა 31 დეკემბერსაც და 13 იანვარსაც. ვერ ხვდებიან თუ ვერ აცნობიერებენ, რომ ასეთი შეთხზული რაღაცეები აღარ მოქმედებს.

**— თუ ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს დაეუჯერებთ, სააკაშვილმა კარგად იცის, რას ლაპარაკობს და ამით დასავლეთზე მუშაობს, რომ ახალი ხელისუფლება რუსულ ძალად წარმოაჩინოს.**

— ველარ მუშაობს. ევროპაზე რომ ემუშავა, ახლა სხვა რეალობა იქნებოდა. შეგახსენებთ, როგორი განცხადებები კეთდებოდა საერთაშორისო საზოგადოებაში არჩევნებამდე. ყველა ამბობდა, არჩევნები ობიექტურად უნდა ჩატარდესო. სააკაშვილს ობამამ უთხრა, ველოდებით, ხელისუფლების გადაბარება როდის მოხდებაო. ჰილარი კლინტონმაც იგივე ფრაზა თქვა საქართველოში. ფაქტია, რომ სააკაშვილს დასავლეთში მხარდაჭერა არ აქვს. მას არასერიოზულად უყურებენ. იქ არის ლობისტური კომპანიები, ფიგურები, რომლებიც სააკაშვილისთვის მუშაობენ და ამისთვის საქართველოს მოსახლეობის ფულს ჯიბეში იდებენ.

**— სააკაშვილმა შანტაჟში დაგადანაშაულათ და მაგალითად მარიკა ვერულაშვილის ისტორია მოიყვანა. რა ხდება ვერულაშვილთან დაკავშირებით?**

— სააკაშვილმა მოიტყუა! პროკურატურას ვერულაშვილის ოჯახის არც ერთი წევრი დაუკითხავს. ადამიანებს სააკაშვილის გვერდით ყოფნა რცხვენიათ, არ უნდათ, მისი დანაშაულობების თანამონაწილეები იყვნენ. ეტყობა, სააკაშვილს ამის არ სჯერა და ფიქრობს, რომ გადაბირება ხდება. მოსამართლის თანაშემწეზეც ილაპარაკა. სად არის ის ადამიანი, რატომ არ ალაპარაკეს? დაავიწყდა, სწორედ მუქარით და ზეწოლით სასამართლოდან რომ გაყარეს მოსამართლეები — ტურავა, გვენეტაძე... მარინა ჭყონია დევნილთა სიაშია. ეს იყო მოსამართლე და ამერიკის მთავრობამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. გასცეს პასუხი, რატომ მისცა ამერიკამ მოსამართლეს პოლიტიკური თავშესაფარი!

**— თვითმმართველობის პრობლემაზეც უნდა გკითხოთ. ამ კუთხით „ოცნება“ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს?**

— თვითმმართველობაში ცვლილებები ბუნებრივად მოხდა. თუ სადმე ძალადობას ჰქონდა ადგილი, მაშინ კონკრეტული ფაქტები დადონ. ფოთშიც შეიცვალა საკრებულოს თავმჯდომარე, მერი, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ეს ზეწოლით მოხდა. ასეთი ბევრი რაიონია. სააკაშვილს დაენგრა ძალაუფლება — პირამიდა, რომლის თავშიც თავად იდგა, მის საყვარელ სიტყვას მოვიშველიებ — ჩამოიშალა!

✓ **პოლიტიკის რუბრიკა**
**მოამზადა მანანა გეგიამ**



Cyan Magenta Yellow Black

# დავით სერგიენკო: „მაქვს პატივი, ბიძინა ივანიშვილის შვილების ექიმი ვიყო“

## ჯანდაცვის მინისტრის ცხოვრება საჩხერემდე, საჩხერეში და საჩხერის შემდეგ



■ დავით სერგიენკო

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის მინისტრი, დავით სერგიენკო, წარმოშობით უკრაინელია. მე-19 საუკუნეში მისი პაპის მამა ჩამოვიდა საქართველოში და ქართველ ქალზე იქორწინა. მას შემდეგ თბილისელი სერგიენკოების ოჯახში დაბადებულ ვაჟებს ქართველი ქალები მოჰყავდათ ცოლად. ამიტომ ბატონი მინისტრი ამბობს, რომ მხოლოდ ალაგ-ალაგ გაბნეული უკრაინული გენები აქვს, სულითა და გულით კი ქართველია.

დავით სერგიენკო მინისტრად დანიშვნამდე, ბოლო 6 წელი საჩხერეში ცხოვრობდა. დედაქალაქში გაზრდილს პროვინციაში ცხოვრება გაუჭირდა, მაგრამ გაუძლო, რადგან იქ ისეთი სამედიცინო ცენტრი შექმნა, რომლითაც მთელი საქართველო ამაყობს.

მისი ასაკი 49 წელია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. სპეციალობით ბავშვთა და მოზარდთა კარდიოქირურგი და რეანიმატოლოგი გახლავთ. ასევე სწავლობდა ბოსტონისა და ბერლინის სამედიცინო სასწავლებლებში.

> „რასაც აკეთებ, ის კარგად უნდა შეასრულო. რაც არ იცი, იმაზე არ უნდა თქვა, რომ იცი და უნდა იყო გულწრფელი სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობებში“.

მისი ცოლიც, ლელა მიგრიაული, პედიატრია, მაგრამ ქმარმა ყველაზე საპატიო საქმე მიანდო — ოჯახის მოვლა. ორი შვილი ჰყავთ — 20 წლის ტყუპი გოგონები, ანი და ნინი. ორივე ქალიშვილი მშობლების კვალს გაჰყვა — სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

ბატონი მინისტრი პირად საკითხებზე საუბრისას პრესასთან თავშეკავებულია. ამბობს, რომ ამ ეტაპზე მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებია. თებერვლის ბოლოდან საქართველოს მთელ მოსახლეობას უფასო დაზღვევას ჰპირდება. მასთან ინტერვიუდან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შეიტყობთ, გავრცელდება თუ არა საჩხერის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უკვე აპრობირებული მეთოდი მთელ საქართველოზე და როგორ გახდა დავით სერგიენკო მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის შვილების ექიმი.

— **ბატონო დავით, ავტორიტეტული მედიცინის მუშაკები პირად საუბრებში ამბობენ, რომ მთელი საქართველოს დაზღვევა ფაქტობრივად შეუძლებელია. თქვენ რამდენად გაქვთ იმედი, რომ საჩხერის მოდელი მთელ ქვეყანაზე გავრცელდება?**

— დიდი სიამოვნებით მოვისმენდი ოპონენტების არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მოდელი არასწორია. არგუმენტებს თუ დამისახელებენ, შევეცდები, პასუხი გავცე.

— **ძირითადი არგუმენტი ბიუჯეტის სიმწირეა. რომელ ქვეყანაშიც საყოველთაო დაზღვევა მოქმედებს, იქ ამისთვის უზარმაზარი თანხაა გამოყოფილი. ჩვენ გვაქვს ეს თანხები?**

— ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას ერთი და იგივე ამოცანა აქვს და ის არც საქართველოსთვის არის განსხვავებული. ჩვენი პირველი ამოცანა ის არის, რომ ადამიანმა უბედური შემთხვევის თუ ჯანმრთელობის უეცარი გაუარესების დროს, უსახსრობის გამო, სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ დაკარგოს. მეორე ამოცანა გახლავთ ის, რომ თუ მოახერხა ადამიანმა და სიცოცხლე შეინარჩუნა, მკურნალობაში მის მიერ გადახდილმა თანხამ მისი და მისი შთამომავლობა არ გააღატაკოს, ანუ მოსახლეობა დაცული იყოს ე.წ. კატასტროფული სამედიცინო ხარჯებისაგან. რაც შეეხება საჩხერის საავადმყოფოს მოდელს, მას ბევრი მხარე ჰქონდა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა გავრცელდეს, ის არის, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მას მიმართავდა გადაუდებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უარს არ ეუბნებოდნენ. ამას საჩხერეში აქამდე საქველმოქმედო ფონდი ახორციელებდა და ახლაც ასე გრძელდება.

თებერვლის ბოლოდან საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქეს ექნება მინიმალური სადაზღვევო პაკეტი. ისინი აღარ იქნებიან იძულებული, რომ ჯანმრთელობის გამო გაყიდონ სახლ-კარი და მთელ ნათესაობას კრედიტი აალებინონ. ამ ხარჯებს სადაზღვევო პოლისი დაფარავს. გადაუდებელი მდგომარეობის გარდა, არის გეგმური ვიზიტები. როცა რამე შეაწუხებს ადამიანს, ოჯახის ექიმთან უნდა მივიდეს. ამის შესაძლებლობაც ყველა მოქალაქეს ექნება. ეს გათვლები უკვე ჩადებულია ბიუჯეტში და თანხაც გამოყოფილია.

— **თუმცა მოქალაქეებს არ ექნებათ საშუალება, სასურველ ექიმს მიაკითხონ. უამრავი არაკვალიფიციური ექიმია ჩვენს რეალობაში, რომლებიც ე.წ. ოჯახის ექიმებს შორისაც იქნებიან. არასწორად დასმული დიაგნოზი ხშირად უფრო ამძიმებს ადამიანის მდგომარეობას.**

— მოდელი ერთი და იგივეა — სამკუთხა, რომლის თითოეულ წვერზეც განთავსებულია ფასი, ხარისხი და ხელმისაწვდომობა. ჩვენ ჯანდაცვის გაზრდილი დაფინანსებით მივაღწიეთ იმას, რომ გავზარდეთ სამკუთხედის ერთ-ერთი წვერი — დაფინანსება, მაგრამ თუ არ ვიზრუნეთ ხარისხის გაუმჯობესებაზე, მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფა ეფექტური არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უკუშედეგი მივიღოთ და ამის გარეშე სამედიცინო რეფორმაზე ლაპარაკი არც უნდა დაიწყო. მაგიდაზე უკვე მიდევს სამუშაო ვერსია, რომელიც ყველაფერს მოიცავს. არ შეიძლება ერთი და იგივე სერვისი ერთ სამედიცინო დაწესებულებაში 100 ლარი ღირდეს და მეორეგან — 3 ათასი.

> „როცა რაგბის ვთამაშობდი, ის იყო ყველაზე კარგი და აქტიური პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, როგორც სპორტის, ასევე სწავლის, მეგობრებთან ურთიერთობის მხრივ. რაგბის თამაში არის ის სკოლა, რომელიც მთელი ცხოვრება მიგყვება“.

— **საჩხერეში ნებისმიერი დაავადების მკურნალობა და გამოკვლევა ფინანსდებოდა?**

— არა, ასე არ ყოფილა. პრიორიტეტებს ვსაზღვრავდით, თუ ვინ უფრო მეტად და სწრაფად უნდა დაგვეფინანსებინა. თავიდან კი იყო ისე, რომ პაციენტები თვითონ უკვეთავდნენ, ესა და ეს კვლევა მინდაო. მერე ეს შეიცვალა და ახლა ექიმი საზღვრავს შესაბამისი და სწორი გამოკვლევების გეგმას. ასე იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით.

— **როგორ მოხვდით საჩხერის საავადმყოფოში, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით?**

— ეს რა გამახსენეთ?! ეს იყო ალბათ 7 წლის წინ. როგორც პედიატრს, იქ რამდენიმე კონსულტაციის ჩატარება მომიხდა. მანამდე ჯოენის სამედიცინო ცენტრში ვმუშაობდი. ეს არის ბავშვთა და მოზრდილთა კარდიოქირურგიის კლინიკა. ასევე ვმუშაობდი ერთ-ერთ კერძო კომპანიაში. 2006 წლის 20 ნოემბერი იყო, როცა მივიღე შეთავაზება, რომ საჩხერის საავადმყოფოსთვის მეხელმძღვანელა.

— **ვისგან მიიღეთ ეს შეთავაზება?**

— დღევანდელი პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან.

— **მანამდე კი მისი შვილების პედიატრი იყავით.**

— დიახ, მისი შვილების ექიმი ვიყავი და ვარ კიდეც, ისევ მაქვს ეს პატივი.

— **როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა და რატომ გადაწყვიტა ბატონმა ბიძინამ, თქვენთვის ჩაებარებინა შვილების ჯანმრთელობა?**

— ვერ გეტყვით, ეს გადაწყვეტილება რა მოსაზრებით იქნა მიღებული, რადგან ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი უხერხულია. ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ, რასაც აკეთებ, ის კარგად უნდა შეასრულო. რაც არ იცი, იმაზე არ უნდა თქვა, რომ იცი და უნდა იყო გულწრფელი სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობებში. ალბათ ეს არის ამ ურთიერთობის საწინდარი.

სანამ საჩხერეში აღმოვჩნდებოდი, იმ საავადმყოფოს განვითარების პროექტი რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. მაშინ ის კლინიკა არსებობდა იმ ფორმით, როგორიც 1966 წელს აშენდა. ეს იყო ტიპური რაიონული საავადმყოფო, შესაბამისი კადრებითა და სერვისით. თავდაპირველი ამოცანა იყო, რომ მომხდარიყო, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე საკადრო გაუმჯობესება. წლების განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა სამედიცინო განათლების მიღება. მეცადინეობებს მოწვეული სპეციალისტები ატარებდნენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია 5 წლის წინ განხორციელებული პროექტი — ტელემედიცინა. იქ ნებისმიერი სახის რადიოლოგიური კვლევა წარმოებს და გვაქვს შესაძლებლობა, რომ მიღებული გამოსახულება გავაგზავნოთ მსოფლიოს წამყვან კლინიკებში. მინიმუმი — ორი და მაქსიმუმი 24 საათის განმავლობაში ჩამოგვდის ამერიკელი, ბრიტანელი თუ ავსტრიელი სპეციალისტების დასკვნები. არის საშუალება, რომ გადაწყვეტილება მივიღოთ და შემდეგ ეს მაღალი კლასის ექსპერტის დასკვნას შევადაროთ. საჩხერის საავადმყოფოს განვითარებამ წაიღო უდიდესი ფინანსური, ადამიანური და დროის რესურსები, რომ ერთი რიგითი საავადმყოფოდან წამყვან კლინიკად ქცეულიყო.

— **ბატონო დავით, სადაურია თქვენი გვარი?**

— ჩემი გვარი უკრაინულია. 1877 წელს პაპაჩემის მამა, რომელიც სამხედრო ექიმი იყო, ყირიმის ომის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და აქ ქართველ ქალზე დაქორწინდა. მე მისი მეოთხე თაობა გამოვდივარ. სწორი არ იქნება, ვთქვა, რომ უფრო ქართველი ვარ, ვიდრე უკრაინელი... ალბათ ქართველი ვარ და მხოლოდ გვარი და ალაგ-ალაგ გაბნეული უკრაინული



Cyan Magenta Yellow Black

გენეტიკური კოდი მირევია. ბევრ რამეს, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, ე.წ. 80-20-ის კანონი განსაზღვრავს. ანუ 40%-ს განსაზღვრავს გენეტიკა, 40%-ს — ის გარემო, სადაც იზრდები, 20% ჯერჯერობით უცნობია.

**— დიდი პაპის მერე თქვენს წინაპრებში ექიმები კიდევ იყვნენ?**

— არა, მის მერე სულ ინჟინრები და ფიზიკოსები იყვნენ. მე კი სკოლის ბოლო წლებში უკვე ვიცოდი, რომ ექიმი ვიქნებოდი. სხვა არჩევანი არც მქონდა. ყოველთვის მაინტერესებდა, რა ობიექტური, რა ბიოქიმიური პროცესების გამო ხდებოდა ადამიანი ავად. გადაწყვეტილების მიღებისას არც მიყოყმანია. მე-7 წელია აქტიურ სამედიცინო მუშაობას აღარ ვეწევი. საჩხერის საავადმყოფოში რამდენიმე კრიტიკული სიტუაციის მართვაში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ აქტიურ პრაქტიკას ჩამოცილებული ვარ.

**— თქვენი ცხოვრების წესი რამდენად შესაბამება მედიკოსთა მიერ დადგენილ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპებს?**

— ჯანდაცვის მინისტრის ცხოვრების წესი და რეჟიმი ძალიან არაჯანსაღია. დილიდან გვიან ღამემდე სამინისტროში ან შეხვედრებზე ვარ. ვცდილობ, ვიაქტიურო, ვივარჯიშო, მაგრამ... ერთი ველოტრენაჟორი ჩამოვიტანე საჩხერიდან, მაგრამ ისეთი სამუშაო მაქვს, ვარჯიშს ვერ ვასწრებ. სახლში მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ. ასეთი რეჟიმი ძალიან მაწუხებს და, იმედია, მალე რაღაც შეიცვლება. მანამდეც დიდი რესურსი მიჰქონდა სამსახურს, მაგრამ შედარებით მეტი დრო მრჩებოდა იმისთვის, რომ მეტნაკლებად ჯანსაღი ცხოვრების წესით მეცხოვრა.

სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას და მერეც რაგბის ვთამაშობდი. ის იყო ყველაზე კარგი და აქტიური პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, როგორც სპორტის, ასევე სწავლის, მეგობრებთან ურთიერთობის მხრივ. რაგბის თამაში არის ის სკოლა, რომელიც მთელი ცხოვრება მიგყვება. თუ ამ სკოლას ღირსეულად გაივლი და შეცდომებს არ დაუშვებ, ეს ურთიერთობები, უნარჩვევები, პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობები მთელი ცხოვრება გაგყვება. არ ვგულისხმობ უხეშ ფიზიკურ ძალას, არამედ სტრესთან გამკლავებას, იმ ღირებულებების შენარჩუნებას, რაც რაგბის ახასიათებს. ეს ყველაფერი მერეც გეხმარება, როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდები. ემოციების მართვას სწავლობ.

**— საჩხერეში ოჯახთან ერთად ცხოვრობდით?**

— საჩხერეში 6 წელი ვიცხოვრე. 2006 წლის 20 ნოემბერს გადავედი საცხოვრებლად და იქიდან 2012 წლის 15 ოქტომბერს წამოვედი. ძალიან რთული იყო იქ ცხოვრება, მაგრამ იმ სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბება იმდენად ამბიციური პროექტი იყო, რომ ამაზე სადარდებლად დრო არ მრჩებოდა. იმ 6-დან 4 წელი ჩემი ოჯახიც ჩემთან ერთად ცხოვრობდა.

**— გაგვაცანით თქვენი ოჯახი.**

— ჩემი მეუღლე ლელა მიგრიაული გახლავთ, ჩემი კოლეგაა, პედიატრი. 20 წლის ტყუპი ქალიშვილები გვყავს — ნინი და ანი. ორივენი სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები არიან. მეუღლე დიასახლისია, მაგრამ მუშაობს, რადგან, ჩემი აზრით, ყველაზე საპატიო საქმეს — შვილების აღზრდას ემსახურება.

**— ეს საპატიო მისია თქვენ ჩააბარეთ თუ თვითონ გადაწყვიტა, მხოლოდ შვილების აღზრდისთვის მიეძღვნა თავი?**

— რაღაცნაირად ასე მოხდა. ვეტო არ გვქონია დადებული, რომ მაინცდამაინც ასე ყოფილიყო.

**— შვილების არჩევანში ჩაერიეთ?**

— ერთს ჩემსავით ბევრად ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი სამედიცინოზე ჩაბარება. მეორეს სხვა არჩევანი არ ჰქონია და ვცდილობდი, ამეხსნა სხვადასხვა პროფესიის არსი, მაგრამ ბოლოს მაინც იგივე გადაწყვეტილება მიიღო, რაც მისმა დამ.

✓ რუსუდან ადვაძე





# გოგა ხაჩიძე: „თეა წულუკიანის ნათესავიც ვარ და ნოდარ ხადურისაც“

## რატომ არ ისურვა ყოფილმა მინისტრმა დათო ფორჩხიძესთან და დათო ხუჯაძესთან ერთად სიმღერა

„ფასიანი სექსი გააუქმეს და უფასო მშობიარობა შემოიღეს, არის მათში რაღაც“, „ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, მგონი, გვეკაიფება“, „აი ეგრე! გაგაკეთებინეთ ყველას ყურსასმენები! უსმინეთ ახლა თარგმანს! ძლივს არ დაგვიბრუნა ბ-ნ ბიძინამ ქართველობა... თქვენ გაიხარეთ, ბატონო ბიძინა, რა კარგია, არც ერთი ენა რომ არ იცით“, „პარლამენტში ზოგი პორნოს ყურებით ერთობა, ზოგი ჩემი სურათის ყურებით, რაც პრინციპში, ერთი და იგივეა“, „ჯერჯერობით არც ხორცი, არც ბუნდღა... ჯერჯერობით მხოლოდ ჩინჩლავს“, „წელს ბავშვები სანტა კლაუსს ძირითადად ეგეთ წერილებს მისწერენ: „ძვირფასო სანტა, არაფრის მოტანა არ მინდა, ოღონდ ეს წაიღე, რაა“, „შსს, თქვენი განცხადება წავიკითხე. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით გამიჩხრიკეთ სახლი?! ანუ ჩემს სახლში ეძებდით ჭეშმარიტებას?! ერთი მეც უნდა დავქექო კარგად, მთელი ცხოვრებაა მაგას ვეძებ!“...

**„ხალხის შევხვედრივარ, ერთმანეთს მივსალმებივართ. ძალიან მხიარული კაცი ჩანს. ახლა ჰალსტუხით არის შემოღობილი, თორემ მგონია, რომ ძალიან ხითხითა, მხიარული ადამიანია“.**

ამ და სხვა „ოპუსებს“ გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი, შორეულ წარსულში კი ჯგუფ „სახის“ წევრი, გოგა ხაჩიძე, საათში ერთხელ თუ არა, დღეში ერთხელ მაინც ავრცელებს სოციალურ ქსელში. მის მიერ გამოქვეყნებული სტატუსები სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემაც ხდება და ინტერნეტმომხმარებლებს შორის მის მლანძღავებს უფრო მეტს ნახავთ, ვიდრე მომხრეებს. მის მიმართ არცთუ სასიამოვნო დამოკიდებულების გამოხატვას არც ქუჩაში ერიდება ხალხი. მას კი პასუხი ერთი აქვს — აგრესიაზე იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებულიო, აცხადებს „სარკესთან“ საუბარში.

**— ბატონო გოგა, ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ არ გიფიქრიათ, რომ პოლიტიკისთვის თავი დაგენებებინათ და სხვა საქმე აგერჩიათ, თუნდაც მუსიკას დაბრუნებოდით?**

— პოლიტიკა ჩემთვის საყვარელი საქმე არ არის. ის ვალდებულებების და პასუხისმგებლობების ჯამია. ვიღაცეებს წარმოუდგენიათ, რომ სცენიდან გამოვიქეცი და უცებ პოლიტიკაში აღმოვჩნდი, მაგრამ ასე არ არის, ამისთვის ბევრი ვიშრომე. 2001 წლიდან, რაც პოლიტიკაში ვარ, სხვადასხვა საფეხური გავიარე. ვიყავი პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ ხაშურის ორგანიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, გამგებლის მოადგილე, მაჟორიტარობის კანდიდატი, პარლამენტის დეპუტატი, ჯერ ერთი რეგიონის გუბერნატორი, მერე — მეორე რეგიონის, მინისტრი და ასე შემდეგ. და მაინც, ჩემზე დღემდე ამბობენ, მომღერალი, მომღერალიო. რა არის ამაში ცუდი, არ მესმის!

**— ანუ პოლიტიკურ გარემოში ყოფნა მაინც მოგწონთ?**

— თავისუფალ გარემოში, როცა საჯარო პირი არ ვარ და სხვა ბევრ საყვარელ საქმეს ვაკეთებ, თავს გაცილებით კარგად ვგრძნობ. მგონია, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკის მიტოვება ღალატია, თორემ სხვა საქმეში გაცილებით უკეთესად ვიგრძნობდი თავს, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით. ჩემი ფინანსური მდგომარეობა ბოლო 11 წლის განმავლობაში გაუარესდა. ეს არ არის საქმე, რომელსაც ანგარებით ვაკეთებ. ფაქტია, რომ პოლიტიკაში ვღარიბდები.

ჰგონიათ, რომ მინისტრობა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ მანქანა, კაბინეტი და კომფორტია. ასე არ არის. ბევრს ვშრომობდი, ფიზიკურადაც კი. 8 წელი მაღალ თანამდებობებზე ვიყავი. ერთადერთი ადამიანი ვარ საქართველოში, რომელიც ორი რეგიონის გუბერნატორი იყო და არც ერთხელ ახალი მანქანა არ ჰყოლია. სადაც რა მხვდებოდა, იმას ვიყენებდი, ვარემონტებდი. სამი მინისტრის გამოცვლილი მანქანა დამხვდა და ისე წამოვედი, რომ კიდევ ის მანქანა დავტოვე.

არ ვიცი, ეს რატომ ხდება, მაგრამ პოლიტიკის გარეთ გაცილებით მეტ ფულს ვშოულობდი, ბევრი შემოსავალი მქონდა. პოლიტიკაში ყოფნის დროსაც ფინანსურად ძალიან საინტერესო წინადადებებზე მითქვამს უარი და, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ახლაც მიწევს. გულწრფელად რომ აღვწერო, როგორ ვცხოვრობ და რაზე ვამბობ ხოლმე უარს, ჩათვლიან, რომ არანორმალური ვარ.

**— მოდით, მაინც აღწერეთ თქვენი ერთი დღე.**

— ყოველდღიურობით ვარ დაკავებული. ვერ გეტყვით, რომ სტრესულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ან ეს ჩემთვის ტრაგედიაა. არც მინისტრობის დროს გამოვირჩეოდი თანამდებობრივი შეზღუდვებით პიროვნულ დონეზე და არც ახლა. მანქანა აღარ მყავს და ტელეფონზეც დეპოზიტს მე ვავსებ. ჩემთვის უფრო ყოფითი საკითხები შეიცვალა.

ქვეყანაში ბევრი რამ არ მომწონს. მგონია, რომ გავჩერდით და უკან მივდივართ. აი, მანქანა აღმართში რომ გაჩერდება და უკან დაგორდება, რაღაც ასეთი განცდა მაქვს. არ მომწონს, რომ ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარი „აღმოჩნდა“; რომ ბუნტის მომწყობები პოლიტპატიმრები არიან; რომ პედოფილები გარეთ უნდა გამოვიდნენ; არ მომწონს,

→22



Cyan Magenta Yellow Black

რომ რალაც მშენებლობები ჩერდება...

**— ის მოგწონდათ, რაც თქვენი ხელისუფლების დროს ციხეებში ხდებოდა?**

— რა კადრებიც ვნახეთ, დადგმულიც იყო, ფალსიფიცირებულიც და რეალურიც. არ ვამბობ, რომ ის კარგი იყო და რაიმე გამართლება აქვს, მაგრამ, როცა ათასი სისტემიდან არაფერია აწყობილი, ბუნებრივია, სადღაც პრობლემები დარჩება. რამდენიმე დღის წინ ციხეში ერთ-ერთმა პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო. ვიცით ვინმემ, ჩამოიხრჩო თუ ჩამოახრჩვეს? ახლაც არის ბევრი პრობლემა, რაც სააშკარაოზე არ გამოაქვთ. იმ ადამიანმა თავი რომ ჩამოიხრჩო, მაინცდამაინც ვიდეო უნდა ვნახოთ, რომ პროტესტი გამოვთქვათ?! ბევრი წელი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ციხეში მსგავსი პრობლემები აღარ არსებობდეს.

**— მინისტრობის შემდეგ სოციალურ ქსელში ძალიან გააქტიურდით. ეს თქვენი ახალი გატაცებაა?**

— არა, მაგრამ საკმაოდ. მობილური ტელეფონი მუდმივად ხელში მაქვს. სადმე მივდივარ თუ კომპიუტერთან ვზივარ, სოციალურ ქსელში აქტიურად ვარ. თანამედროვეობის ასეთ შემოთავაზებაზე უარის თქმა დიდი სიბრიყვე იქნებოდა. რამდენიმე ათეულ ათას ადამიანს შემიძლია პორტაბელურად ვეკონტაქტო და ჩემი აზრი მივაწოდო, მათიც გავიგო.

**— თქვენი სტატუსების უმეტესობა ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი ქილიკით, სარკაზმითაა გაჯერებული.**

— ირონია და სარკაზმი ის ფორმებია, რომელიც ქვეყანაში არავის აუკრძალავს. მთავარია, კანონი არ დავარღვიო. კანონი რის საშუალებასაც მაძლევს, ვცდილობ, ბოლომდე გამოვიყენო. „ფეისბუქს" თავისი ხიბლი აქვს. ზოგადად ასე ვცხოვრობ, რაღაცეებს იუმორის კუთხით ვუყურებ. მინისტრი აღარ ვარ და პოზიციაში, შეფასებებში გარკვეული თავისუფლება მომეცა. ზიზღის და სიძულვილის ენა ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ამიტომ ამ ფორმებს ვიყენებ.

**— ალბათ ბევრი შეტყობინება მოგდით და მათ შორის — შეურაცხმყოფელიც. რამდენიმე გამოაქვეყნეთ კიდეც. წვიმად გადაქცევასაც გთხოვდნენ, როგორც ერთ ძველ სიმღერაშია, თქვენ რომ მღეროდით.**

— ბევრი შეურაცხმყოფელი, მუქარით სავსე წერილი მოდის. ძირითადად ანონიმურად მწერენ. ეს ჩემზე დიდად არ მოქმედებს, გარკვეულწილად იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული. ყველაზე კარგი გამოსავალი სრული იგნორია. ცუდია, რომ ეს აგრესია არამხოლოდ ჩემზე, არამედ ჩემი ოჯახის წევრებზე, შვილებზე, ნათესავებზეც ვრცელდება. კარგს რომ ვაკეთებ, მაშინაც მლანძღავენ.

ჩემ მიმართ ძირითადად სტერეოტიპული დამოკიდებულებებია ხოლმე, რომ საქართველოს ტყე, მდინარეები, ჰესები გავყიდე. სამწუხაროდ, მინიმუმი ათი წელი მაინც საქართველოში არ დადგება დრო, როცა მთავრობის მიმართ სიძულვილში გადაზრდილი პრეტენზიები არ ექნებათ. ახლა ჩვენი პრეტენზიების ჭურჭელი აღარ არის აქტუალური, ახლა ახლანდელი ხელისუფლების ჭურჭელი დგას თავახდილი და ის გაივსება.

**— ვისზეც სტატუსებს წერთ — ბიძინა ივანიშვილი, თეა წულუკიანი, ამას წინათ ირაკლი ღარიბაშვილზე გეწერათ, გეკაიფებათ — თქვენი აზრით, ისინი კითხულობენ მათ?**

— ზუსტად ვიცი, რომ კითხულობენ, ეს მათ სახეებზე აწერიათ. მქონია, შემთხვევა, ვილაცაზე რაღაც დამიწერია, 5 წუთში ის ვილაც მინახავს და სახეზე რეაქცია დასტყობია.

**— ახალარჩეული პარლამენტის პირველივე სხდომაზე ბიძინა ივანიშვილს ანეკდოტის მოყოლა სთხოვეთ. არ თვლით, რომ ამომრჩევლები, რომლებმაც ხმა მოგცეს, თქვენგან მეტ სერიოზულობას მოითხოვენ?**

— ვილაცეებმა ჩათვალეს, რომ მაშინ უზრდელურად მოვიქეცი და მართლა არ მესმის, რატომ. მას შემდეგ, რაც ვერ მივიღეთ პასუხები კითხვებზე, თუ როდის რომელი დაპირება შესრულდებოდა ან საერთოდ შესრულდებოდა თუ არა, მივიჩნიე, რომ ბატონი ბიძინასგან მესამე ანეკდოტის მოსმენა საინტერესო იქნებოდა. ჩვენს კითხვებზე — როდის იქნება 220 ლარიანი პენსია, უფასო განათლება, როდის გაიაფდება საწვავი, და ასე შემდეგ, პასუხი ვერ მივიღეთ. მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, ან უნდა დავმშვიდობებოდი, ან იმ მომენტიდან რაღაც „სარგებელი" მიმეღო. ფაქტია, რომ მის ორ ანეკდოტზე „შედი, ქალო, ბუტკაში" და „იდგე, რაო" ათასობით ადამიანი ხალისობს. თუ პრემიერი მესამე ანეკდოტს მოგვიყვებოდა, კიდევ ბევრს გავახალისებდი, მაგრამ ის აღარ ყვება.



გოგა ხაჩიძე

**„8 წელი მაღალ თანამდებობებზე ვიყავი. ერთადერთი ადამიანი ვარ საქართველოში, რომელიც ორი რეგიონის გუბერნატორი იყო და არც ერთხელ ახალი მანქანა არ ჰყოლია. სადაც რა მხვდებოდა, იმას ვიყენებდი, ვარემონტებდი. სამი მინისტრის გამოცვლილი მანქანა დამხვდა და ისე წამოვედი, რომ კიდევ ის მანქანა დავტოვე".**

**— როცა თქვენ იყავით აღმასრულებელ ხელისუფლებაში, საზოგადოებას თქვენი მისამართითაც ჰქონდა მსგავსი კითხვები, პასუხს კი წლების განმავლობაში ამაოდ ელოდებოდა.**

— ჩვენ მსგავსი დაპირებები არ გაგვიცია.

**— თქვენს ხუმრობას არც პრემიერი ჩამორჩა და შეგახსენათ, რომ სამინისტროში ველოსიპედით დადიოდით.**

— პარლამენტის ტრიბუნიდან პრემიერის მიერ ჩემს ველოსიპედზე განცხადების გაკეთება დიდი პატივია. ეს მეორე დღესვე დავაფასე და პარლამენტის სხდომაზე ველოსიპედით მივედი. სამწუხაროდ, ჩემი ველოსიპედი არ მაქვს, ამიტომ ქუთაისში ვითხოვე და იმით მივედი. რაც შეეხება სამინისტროში ველოსიპედით სიარულს, ეს ნამდვილად მცდარი ინფორმაციაა. სამინისტროში ველოსიპედები გვყავდა და ახლაც არის. გვჭირდებოდა, რადგან ბევრი აქცია, ველომარათონი ტარდებოდა.

**— „ფეისბუქზე" გეწერათ, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჩემი ნათესავი აღმოჩნდაო. როდის აღმოაჩინეთ ეს?**

— ჩემი დის ქმრის ბებია (მარგარიტა) და ქალბატონ თეა წულუკიანის ბაბუა და-ძმა იყვნენ. სურამში ჩემი სახლის გასაჩხრეკად რომ შევიდნენ, ორი დღის შემდეგ მეც ჩავედი და იქ მითხრეს. სხვათა შორის, ბატონი ნოდარ ხადურიც ჩემი ნათესავი ყოფილა. აი, ბებიაჩემის და, ჟუჟუნა (ჟურნალისტებმა რომ იპოვეს), რომელიც მსაყვედურობდა, მის წინ არხში ნაგავი რომ იყო და რატომ არ მივდიოდი, რატომ არ ვწმენდდი, იმ ჟუჟუნას გაცილებით ახლო ნათესავი ხადური აღმოჩნდა, ვიდრე მე ვარ. ასე რომ, ველოდები, ქალბატონ ჟუჟუნას ჟურნალისტები როდის მოძებნიან და ჰკითხავენ, ამჯერად სხვა მინისტრზე რას ფიქრობს, რომელიც მისი უფრო ახლო ნათესავია. როგორც ვიცი, მასზე ნაწყენია, ოპერაციის დაფინანსებაზე თუ რაღაცაზე უარი უთქვამს.

**— პირადად თუ იცნობთ თეა წულუკიანს ან ნოდარ ხადურს?**

— არ ვიცნობ. უბრალოდ ველოდები, დაადასტუროს, რომ მარგარიტას ძმა მისი ბაბუა იყო. ხადურს შევხვედრივარ, ერთმანეთს მივსალმებივართ. ძალიან მხიარული კაცი ჩანს. ახლა ჰალსტუხით არის შემოღობილი, თორემ მგონია, რომ ძალიან ხითხითა, მხიარული ადამიანია. ეს მის „ფეისბუქსაც" ეტყობოდა. კიდევ ერთი პრობლემა, იცით, რა არის? მთავრობაში იუმორის გრძნობა არ აქვთ.

**— თქვენი ოჯახის წევრების რას საქმიანობენ?**

— მამაჩემი ხაშურის სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე გახლავთ მომარაგების საკითხებში. ხელფასი 160 თუ 170 ლარი აქვს. ამას წინათ მამაჩემი ხაშურის მაჟორიტარმა დაიბარა და უთხრა, რომ რამდენიმე პირი უნდა გაეთავისუფლებინა, მათ შორის ისიც. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა, როგორც ჩანს, მაჟორიტარმა მისი გათავისუფლება გადაიფიქრა. დედა 20 წელზე მეტია, ხაშურის სამშობიარო სახლში მუშაობს, ბებიაქალია.

**— პროექტში „ახალი ხმა" თქვენი ძველი მეგობარი დათო ფორჩხიძე ჟიურის წევრი იყო. ერთ-ერთ ტურში მან ასევე ძველი „სახე"-ელი დათო ხუჯაძე მიიყვანა და ერთად იმღერეს. მათთან ერთად თქვენ რატომ არ იმღერეთ?**

— მე მაინც მოქმედი პოლიტიკოსი ვარ და არ მინდოდა, ჩემი იქ ყოფნით პოლიტიკურად დამემძიმებინა ის ძალიან ხალასი და ლაღი სიტუაცია. ჩემი იქ მისვლა გარკვეულწილად პოლიტიკურ სუნს შეიტანდა იმ ყველაფერში.

**— შესაძლებელია ჯგუფი „სახე" აღდგეს?**

— „სახე" ვერ აღდგება, ეს გამორიცხულია. „სახე" თუ აღდგება, ეს იქნება მახე და არა „სახე". ეს ჯგუფი შეიქმნა, განვითარდა, გაიზარდა, მთაზე ავიდა და დამთავრდა. მისი აღდგენის მცდელობა საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობას ჰგავს და არ გამოვა.

**— ძველ მეგობრებთან ისევ ახლო ურთიერთობა გაქვთ?**

— დათო ფორჩხიძესთან — კი, დათო ხუჯაძესთან ურთიერთობა პრაქტიკულად არ მაქვს.

**— რატომ, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ხომ არა?**

— დათო მოსკოვშია და თან საერთო ინტერესები არ გვაქვს.

**— თქვენი პირადი ცხოვრება როგორ მიდის?**

— პირადი პირადია, ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

**— როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს, როგორც მამას?**

— სამი შვილი მყავს, 16 წლის მევი, 6 წლის დაჩი და 5 წლის ლუკა. ალბათ არც ისე კარგი მამა ვარ. არ ვიცი, კარგი მამა ისაა, ბავშვებთან რომ თამაშობს, კოტრიალობს თუ თავისი შვილის ქვეყნის მომავლისთვის ისეთ რამეს აკეთებს, რასაც ალბათ შვილი ვერც ხედავს. ვფიქრობ, რომ ზოგად კონტექსტში ცუდი მამა არ ვარ. კარგი მამობა მაინცდამაინც ის არის, რომ შვილი მხრებზე შემოისვა, იმან ჩაგაფსას და ბედნიერმა გამთბარი ზურგით გაიღიმო. შეიძლება მალე ასეთიც ვიყო. შინაგანად კარგი მშობელი ვარ, უბრალოდ, როგორც მამას, საკუთარ თავს ბევრ შენიშვნას მივცემდი.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# ელენე ფოჩხუა: „აღარ მინდა, სევდიანი სიმღერები ვიმღერო“

## „ჩემმა მშობლებმა ახალი წელი სასაფლაოზე აღნიშნეს“

მომღერალი ელენე ფოჩხუა დიდი ტრაგედიის შემდეგ, რომელიც მის ოჯახს დაატყდა თავს, მალე გავიდა სცენაზე. ამით ყველას დაუმტკიცა, რომ ძლიერია, მათ შორის, ძმის — სისასტიკით მოკლული გიორგი ფოჩხუას — სულსაც, რომელიც სიცოცხლეში ყოველთვის სთხოვდა დას, გამბედავი და მამაცი ყოფილიყო. ელენეს სცენა შვებას გვრის, მძიმე განცდებს დროებით ავიწყებს. რეპერტუარის განახლებაზეც ფიქრობს, უნდა, ახალი სიმღერები ჩაწეროს, მაგრამ არა — სევდიანი.

ეს ახალი წელი ყველაზე მძიმე იყო მთელი ოჯახისთვის, რადგან მას პირველად შეხვდნენ გიორგის გარეშე. მიუხედავად ამისა, ელენე თავს ისევ მოერია, ტკივილს ისევ სიმღერით შეებრძოლა.

**— ელენე, შევიტყვე, რომ შემოქმედებითად გააქტიურდით, პროექტს გეგმავთ. გვიამბეთ ამის შესახებ.**

— ჩემი და ჩემი ძმის ერთობლივი პროექტის დასრულებას ვაპირებ. ეს არის 12 ქვეყნის იავნანას პროექტი ნიკა მემანიშვილის ორკესტრის თანხლებით. ჩემთვის ერთ-ერთი დიდი წარმატება იქნება ამ პროექტის განხორციელება. შემდეგ გამოვა 12 ქვეყნის იავნანას ალბომი. მხოლოდ ეს შემიძლია ჩემი ძმისთვის გავაკეთო და სურვილი შევუსრულო. ეს პროექტი ადრე ერთად წამოვიწყეთ და მერე გარკვეული მიზეზების გამო შეჩერდა, მათ შორის, იმის გამოც, რომ სპონსორი არ გვყავდა. ახლა ყველანაირ ზომას მივმართავ და ამ საქმეზე დავრბივარ.

**— ყველას უკვირს თქვენი სიძლიერე. როგორ მოერიეთ თავს, როგორ შეძელით, საქმეს დაბრუნებოდით?**

— ამ ტრაგედიის შემდეგ მართლა უფრო ძლიერი გავხდი. ალბათ იმიტომ, რომ გვერდით გიორგი არ მყავს და ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთება მიწევს. ის ყოველთვის უკმაყოფილო იყო ჩემი მორიდებულობით, მეუბნებოდა, რომ „მიმწოლი“ ვყოფილიყავი. იყო სიტუაციები, როცა თანამდებობის პირებთან სპონსორობის საკითხებზე გიორგის უწევდა შესვლა. ამაზე მეუბნებოდა, მე რატომ უნდა ვიარო, სად, შენ რომ შეხვალ და სად მე, როგორც ელენე ფოჩხუას ძმაო. ახლა ამ ყველაფრის გაკეთება მე მიწევს და ორმაგად გაბედული გავხდი. ალბათ იმიტომ, რომ გიორგი აღარ მყავს და თან მინდა, მას დავუმტკიცო, რომ ეს შემიძლია. მგონია, რომ ის ამას დაინახავს.

გაჩერებას არ ვაპირებ. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა ამღერებსო, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან დიდი შვებაა, ამით დარდი გადამაქვს. ამ ტრაგედიის შემდეგ მალე ვიმღერე, რადგან ვიცოდი, ამ ყველაფრის მერე ან მალე ვიმღერებდი, ან — არასდროს. ჩემს თავს დღემდე ვებრძვი. სამსახურში ჩემი გასვლით ყველა გაოგნებული იყო, უკვირდათ, როგორ შევძელი. ძალიან გამიჭირდა, პირველი სამი დღე კი განსაკუთრებით რთული იყო. სხვათა შორის, ამ სტრესმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ ისეთი სიმღერის ტექსტი დამავიწყდა, რომელსაც წლები ვასრულებდი.

ვცდილობ, ამ ყველაფერს გავუმკლავდე. მე რომ სამსახურში არ დავდიოდე და არ ვმღეროდე, ცუდად გავხდებოდი. სახლში ვერაფრით გავჩერდები, გიორგიზე ფიქრები მაწუხებს. ვგრძნობ, რომ ის სულ ჩემ გვერდითაა. იყო შემთხვევა, როცა სიმღერის დროს ცრემლი მომადგა და ბგერა ველარ ავიღე, მერე კი უცებ ავიყვანე თავი ხელში.

**„შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა ამღერებსო, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან დიდი შვებაა, ამით დარდი გადამაქვს. ამ ტრაგედიის შემდეგ მალე ვიმღერე, რადგან ვიცოდი, ამ ყველაფრის მერე ან მალე ვიმღერებდი, ან — არასდროს. ჩემს თავს დღემდე ვებრძვი".**

**— მსმენელებისგან რას გრძნობთ?**

— ყველა მოდის და მეუბნება, ყოჩაღ, რომ ამხელა ტკივილის მიუხედავად სიმღერა შეძელიო. ზოგი გაოგნებულია. ბევრი ფიქრობს, რომ ამ ტრაგედიის მერე მხოლოდ სევდიანი სიმღერები უნდა ვიმღერო. ასე არ არის. ხანდახან რიტმულ, ენერგიულ სიმღერებსაც ვმღერი და ასეთ დროს მომღერალმა უნდა იმოძრაოს კიდეც. ეს ძალიან ძნელია ჩემთვის, ცოტა არ იყოს, კომპლექსივით გამიჩნდა, რომ ზედმეტად არ ვიმოძრაო სცენაზე. ვერ ვიტყვი, რომ დიდი პლასტიკით გამოვირჩევი და ბევრს ვმოძრაობ, მაგრამ მიყვარს, აუდიტორიას სახის გამომეტყველებით და თვალებით სიმღერას რომ ვუყვები.

**— რეპერტუარი შეცვალეთ?**

— აღარ მინდა, სევდიანი სიმღერები ვიმღერო, რასაც ადრე, გიორგის სიცოცხლეშიც ვმღეროდი. ვაპირებ, ახალი სიმღერა ჩავწერო, არც ძალიან მხიარული, მაგრამ არც სევდიანი.

**„ბევრი მეუბნება, რომ ორმოციც გავიდა, ოთხი თვეც და შავი აღარ უნდა მეცვას. არ მაქვს ფერადი სამოსის განწყობა".**

**— გიორგის ორმოცი დიდიხანია გავიდა, მაგრამ სამგლოვიარო შავ ფერს ჯერ ვერ ელევით?**

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით შავი მაცვია. არ გამომდის სხვა ფერის ჩაცმა. ბევრი მეუბნება, რომ ორმოციც გავიდა, ოთხი თვეც და შავი აღარ უნდა მეცვას. არ მაქვს ფერადი სამოსის განწყობა. სადაც გავდივარ, ქუჩაში თუ სხვაგან, ხალხი მოდის და მისამძიმრებს, ამიტომ უხერხული იქნება, ფერადი ტანსაცმელი მეცვას. არანაირ წესს არ მივყვები, ეს უბრალოდ ჩემი შინაგანი განწყობაა. არ ვიცი, როდის მომინდება ფერადის ჩაცმა. „იმედში“ საახალწლო გადაღებებზე ფერადი კოსტიუმი შეკერეს და, რა თქმა უნდა, ის ჩავიცვი, რადგან ასეთ დროს უარის თქმა არ გამოდის.



ელენე ფოჩხუა

**— თქვენს პატარა ოჯახსაც ძლიერი და ენერგიული სჭირდებით.**

— მე, ჩემი მეუღლე და შვილი, 3 წლის ლიზი, მარტო ვცხოვრობთ. აბსოლუტურად ყველაფერს ძალიან კარგად ვართმევ თავს. მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და, თუ თავის ქებად არ ჩამეთვლება, კარგი კერძები გამომდის, რაც ჩემი ქმრის წონაზე აისახება. ჩემი ერთადერთი ტკივილი გიორგია. ამბობენ, რომ დრო ტკივილს კურნავს, მაგრამ ასე არ არის, ეს არასდროს გავიწყდება. უბრალოდ, არ მაქვს უფლება, რომ დავეცე, რადგან მყავს შვილი, ძმისშვილი და არც გიორგის მოეწონებოდა ჩემი დაუძლურება. პირიქით, ვეცდები, რომ კარგად გამოვიყურებოდე და უფრო მხნედ ვიყო. ჩვენი მიზანია, რომ გიორგის შვილი, 2 წლის ლუკა ისე გაიზარდოს, როგორც მამამისს უნდოდა.

**— რისი გაკეთება სურდა გიორგის შვილისთვის?**

— რაც ყველა მშობელს სურს შვილისთვის — უნდოდა, საუკეთესო ბაღში და სკოლაში ესწავლა, საუკეთესო უნივერსიტეტი დაემთავრებინა. ამაზე ვზრუნავთ ყველა. გიჟი მამიდა ვარ. ძალიან დიდი ფული რომ მქონდეს, ალბათ ყველაფერს ლუკას ვუყიდდი.

**— თქვენი შვილი, ლიზი ხომ არ ეჭვიანობს ამაზე?**

— კი, ცოტას ეჭვიანობს. ახლა ლუკა ორი კვირით მყავდა ჩემთან. ჯერჯერობით ზუგდიდში ცხოვრობს, სანამ სკოლის ასაკამდე მივა და მის მიმართ მეტი სიყვარული გამოვხატე. ამაზე ლიზიმ ისე იეჭვიანა, რომ თუ ლუკას ვკოცნიდი, მაშინვე ლიზასაც ვკოცნიდი ხოლმე. ასე რომ, მეორე შვილზე ფიქრი ჯერჯერობით არ გამოგვივა, რადგან ლიზი პატარაა და ჯერ ვერ ხვდება, რომ საეჭვიანო არაფერია.

**— ახალ წელს სად შეხვდით, თბილისში თუ ზუგდიდში?**

— ძალიან მინდოდა, ჩემს მშობლებთან ვყოფილიყავი ზუგდიდში, მაგრამ არ გამომივიდა, რადგან საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მქონდა. ჩემთვის რთული იყო ეს ახალი წელი, მაგრამ მეც ვიცინოდი, ცოტა ვიმსახიობე კიდეც. ამ ახალ წელს პირველად შევხვდით გიორგის გარეშე. ჩემმა მშობლებმა ეს დღე სასაფლაოზე აღნიშნეს. ცხოვრება გრძელდება, მინდა, რომ ძლიერად ვიყო. შემდეგ წლებს იმედით ველოდები.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

# სალომე შარვაძე დიეტებით ქმარს ნერვებს უშლის

27 წლის მსახიობი სალომე შარვაძე გათხოვების შემდეგ ზედმეტ 5 კილოგრამს მუდმივად ებრძვის. ამისთვის მკაცრ დიეტებს მიმართავს, მაგალითად, მთელი კვირა მხოლოდ წყალს იღებს. შედეგსაც აღწევს, მაგრამ მერე ტორტის ერთი ნაჭერი ამ გარჯას წყალში უყრის. ახალგაზრდა მსახიობი გარეგნობაში ექსპერიმენტებს არ ერიდება. ახლახან ავტორუჯი ახალი მეთოდით მიიღო, მაგრამ არ გაუმართლა, კანი აუჭრელდა. ყველაზე დიდ ცვლილებებს კი 30 წლის ასაკისთვის გეგმავს — თმის ყვითლად შეღებვას და პლასტიკურ ქირურგებთან ვიზიტს აპირებს.

**— სალომე, რატომღაც მგონია, რომ სარკეს დიდ დროს უთმობთ — ჩაცმას მაკიაჟის გაკეთებას.**

— თუ განწყობაზე არ ვარ და სახლიდან გასვლა არ მინდა, მაშინ სარკის წინ მართლაც საათობით ვდგავარ. ბოლოს რაც ხელში მომხვდება, იმას ვიცვამ და სახლიდან ისე გავდივარ. მერე დისკომფორტს ვგრძნობ და ისევ შინ ვბრუნდები გამოსაცვლელად.

**— ანუ თქვენი გარეგნული იერის მიხედვით შეგვიძლია გავიგოთ, როგორ ხასიათზე ხართ.**

— კი, ასეთ დროს თმა უბრალოდ უკან მაქვს გადაწეული და შეკრული. ხანდახან ისეთ ფორმაში ვარ, ვერავინ მცნობს. სულ ვამბობ, რომ ორი ცხოვრება მაქვს — როცა კარგად გამოვიყურები და როცა უბრალოდ მაცვია. თუ ჩემს შვილთან, 5 წლის მართასთან ერთად ვარ, კედებით დავდივარ, რადგან უკან ბევრი უნდა ვსდიო.

**— შვილის გაჩენის შემდეგ საკუთარი თავისთვის ცოტა დრო გრჩებათ?**

— საკუთარ თავს უფლებას ვერ ვაძლევ, ფორმაში არ ვიყო. თითქმის ყოველთვის მოწესრიგებული ვარ. ის, რომ გცნობენ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, ჩვეულებრივად ვეღარ დადიხარ. ძალიან უკვირთ, როცა ბაზრობაზე მხედავენ. ჰგონიათ, რომ ცნობადმა სახეებმა იქ არ უნდა იარონ.

**— ყველაზე კრიტიკულად რას უდგებით საკუთარ გარეგნობაში?**

— თუ წონაში მომატებული ვარ, მანერვიულებს. წონას ვერ ვარეგულირებ, ვერც ვინარჩუნებ. რაც გავთხოვდი, ზედმეტ 5 კილოს მუდმივად ვებრძვი.

**— რა ხერხებით ებრძვით?**

— სასტიკი დიეტებით. ქმარი სულ ამის გამო მეჩხუბება, მეუბნება, რომ არ შეიძლება ისეთი დიეტების დაცვა, როგორსაც მე ვირჩევ. ერთ დღეს ვიტყვი, რომ ერთი კვირა მარტო წყალზე ვიქნები. დიეტის მერე სადმე წავალ, კარგ ტორტს გეახლებით და თავიდან იწყება ყველაფერი. ერთი პერიოდი მასაჟებს ვიკეთებდი და დიეტოლოგთან დავდიოდი. თუ ექიმს დაუჯერებ, კარგ შედეგს მიიღებ. მე, როგორც კი ორთვიან დიეტას ვასრულებ, მერე გემრიელ კერძებზე უარის თქმა მიჭირს. როცა ზედმეტი კილოგრამები გაწუხებს, სწორად ჩაცმა უნდა შეგეძლოს, რომ ნაკლი დაფარო.

**„მიყვარს სადა მაკიაჟი. არ მომწონს, როცა წითელი პომადა და ამოშავებული თვალები ერთად აქვთ".**

ახლა გადავწყვიტე, საერთოდ არ ვიფიქრო ამ თემაზე და მგონია, რომ უფრო გავხდები. ფილმის „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" გადაღებისას ზედმეტი წონის გამო ძალიან ვნერვიულობდი და, საბედნიეროდ, სასურველ შედეგს მივაღწიე, დავიკელი.

**— როგორ უნდა დაფაროს ზედმეტი კილოგრამები გოგონამ, რომელსაც ტიპური ქართული პრობლემა აქვს — სავსე თეძოები.**

— ვისაც თეძოების პრობლემა აქვს, დაბალწელიანი და ტანზე მომდგარი შარვლები არ უნდა ატაროს. უპირატესობა გრძელ, თავისუფალ მაისურებს უნდა მიანიჭოს. სამ და ოთხ კილოს სწორად შერჩეული სამოსით თავისუფლად დაფარავ.



■ სალომე შარვაძე

**„ძალიან უკვირთ, როცა ბაზრობაზე მხედავენ. ჰგონიათ, რომ ცნობადმა სახეებმა იქ არ უნდა იარონ".**

**— სალომე, გარეგნობაზე ექსპერიმენტების ჩატარება გიყვართ?**

— კი, ძალიან მიყვარს. ახლა კანი აჭრელებული მაქვს ზუსტად ექსპერიმენტის შედეგად, რადგან რუჯის ახალი სტილით მიღება ვცადე — შევისხი. რატომღაც ცუდი შედეგი მივიღე. თმა ბევრჯერ შემიღებავს. ვერ ვიტან ერთი და იმავე იმიჯით დიდხანს სიარულს. ჩემს სურათებს რომ ვათვალიერებ, მეცინება, იმიტომ, რომ სულ სხვადასხვანაირი ვარ. თმის ყვითლად შეღებვა კი არასოდეს მიცდია. 30 წლის მერე ამასაც გავაკეთებ. ისე, არ ვიცი, ამ ასაკს რატომ ვუცდი.

სტუდენტობისას ერთ ცნობილ ავანგარდისტ სტილისტს ვთხოვე, თმა ისე შემჭერი, დამეტყოს-მეთქი. სამ წუთში სალონიდან პანკი გოგო გამოვედი — გვერდებზე აპარსული თმით, შუბლზე ქოჩრით და უკან შეკრული ბოლოთი. ყველა მე მიყურებდა. სხვათა შორის, მომეწონა და ეს ვარცხნილობა მოვირგე, ყურიც კი გავიხვრიტე დამატებით. მერე მეგობარმა გოგომ მთხოვა, მეც მინდა ვარცხნილობის ამგვარად შეცვლაო. იმ სტილისტმა მას შუაში გადაპარსა თმა და მხოლოდ გვერდებზე დაუტოვა. ტიროდა, ისე არ მოეწონა. თან იურდიულზე სწავლობდა და საზღვარგარეთ აპირებდა გაცვლითი პროგრამით წასვლას. სურათის გადასაღებად პარიკის მორგება მოუწია.

ჩემს შვილზეც მიყვარს ექსპერიმენტების ჩატარება, მაგრამ დედა მიშლის. მაგალითად, ახლა მინდოდა, მისთვის თმა შემეჭრა და გვერდზე ამეპარსა, მაგრამ გადავიფიქრე.

**— მართა პრანჭია გოგოა?**

— კი, ჩემს კოსმეტიკას და ტანსაცმელს ძალიან ემტერება, ხან დამტვრეული მხვდება რაღაც, ხან — გაფუჭებული. ამას წინათ სადღაც ვიყავი წასული და სახლში რომ დავბრუნდი, მართა ჩემს სამოსში დამხვდა გამოწყობილი, მაკიაჟი ეკეთა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა.

**— ახლა რომ თავგადაპარსული დაბრუნდეთ სახლში, ქმარს რა რეაქცია ექნება?**

— ჩემი მეუღლე არაფერს მიშლის, მხოლოდ იმას აპროტესტებს, როცა მკაცრ დიეტაზე ვდგები. წითელი თმით რომ დავბრუნდე სახლში, რეაქცია არ ექნება. ერთი პერიოდი ცხვირის გახვრეტა და ტატუს გაკეთება მინდოდა. ამაზეც არ ჰქონდა პრობლემა, უბრალოდ მერე გადავიფიქრე. სადღაც გავიგე, რომ ქმარი ცოლისგან მოითხოვდა, გამოპრანჭული და მოწესრიგებული დახვედროდა სახლში. ასეთი რამ ჩემთვის სისულელეა. ქალი მოწესრიგებული უნდა იყოს, მაგრამ სახლში მაღალ ქუსლებზე და მაკიაჟით ვერ ვივლი. ნორმალური ქმარი მყავს, ჩემგან სასწაულებს არ ითხოვს. ვულგარულად, რა თქმა უნდა, არ ჩამაცმევს, თუმცა მე თვითონაც არ ვიცვამ ასე.

**— გიფიქრიათ პლასტიკური ქირურგის დანის ქვეშ დაწოლაზე?**

— ჯერ — არა და ასაკის მატებასთან ერთად ალბათ ყველანაირ ოპერაციას გავიკეთებ. არ მესმის იმ გოგოების, რომლებიც მოდის გამო იკეთებენ ოპერაციებს. ზოგს კეხიანი ცხვირი უფრო უხდება, ვიდრე მოჭრილი და ჩამოთხელებული.

**— შინაურ რეცეპტებს თავის მოსავლელად იყენებთ?**

— ხანდახან მომწონს, მაგრამ ამას დრო და ენერგია სჭირდება. ბებო ფარმაცევტი მყავდა. სახის საცხებს სულ თვითონ ამზადებდა და ასე უვლიდა თავს. ჩვენი თაობა გაზარმაცებულია. შევალთ და ვიყიდით ძვირადღირებული ბრენდის პროდუქციას, რომელმაც შეიძლება ისეთი ალერგია გამოიწვიოს, როგორც მე დამემართა რამდენიმე ხნის წინ.

**— მაშინ სცადეთ და ბებოს რეცეპტები გამოიყენეთ.**

— სამწუხაროდ, ბებოს რეცეპტები არ ვიცი. ერთხელ გამოვიყენე თმის ნიღბად კვერცხი და მაიონეზი, ხოლო კანისთვის — მაწონი. სულ ეს იყო.

**— კანს როგორ უვლით?**

— კოსმეტოლოგი მყავს, მაგრამ მასთან ისე იშვიათად დავდივარ, რომ მრცხვენია. ვიყენებ მკვებავს და ვცდილობ, მაკიაჟით არ დავიძინო. ერთხელ გადაღებიდან ისეთი დაღლილი დავბრუნდი, ტახტზე ჩამეძინა მაკიაჟით. მეორე დღეს კანი გაღიზიანებული მქონდა.

**— როგორია თქვენი მაკიაჟი?**

— ძალიან მიყვარს სადა მაკიაჟი. არ მომწონს, როცა წითელი პომადა და ამოშავებული თვალები ერთადაქვთ. ბევრი მაკიაჟი ეკრანზეც არ მიხდება. კორექტორს ვიყენებ, რადგან ხშირად უძილობისგან თვალები მაქვს ჩაშავებული. საერთოდ მოუხერხებელი ვარ. ამდენი ხანია მაკიაჟს მიკეთებენ და ახლახან ვისწავლე ტონალურის წასმა.

**— რა არის თქვენთვის აუცილებელი ატრიბუტი ან დეტალი, რის გარეშეც სახლიდან არ გახვალთ?**

— ისტერიკა მემართება მაშინ, თუ წარბების გაკეთებას ვერ ვახერხებ. თავად არ შემიძლია, მათ ფორმა მივცე, ამიტომ სტილისტთან დავდივარ. ქალი ყველანაირად მოწესრიგებული უნდა იყოს, მაგრამ ხანდახან არის მომენტი, როცა სრულყოფილად ფორმაში ყოფნა ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გამოდის.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# ლაშა თოფურია ცოლთან დუეტის ჩანერაზე ოცნებობს

## „მგონია, რომ ხალხი შეიკიდება და მაგრად „მეკაიფება"



■ ლაშა თოფურია

ლაშა თოფურიას, როგორც მუსიკოსს, დიდი ხანია იცნობენ, მაგრამ მხოლოდ ვიწრო წრეში. ფართო საზოგადოებამ კი ის პროექტიდან „ახალი ხმა" გაიცნო. მართალია, ნახევარფინალიდან პროექტის მიღმა დარჩა, მაგრამ მაინც კმაყოფილია, რადგან თავისი მუსიკა მსმენელამდე მიიტანა. ლაშამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ ფონენდოსკოპს გიტარა ამჯობინა. თავისი არჩევანი არასოდეს უნანია. თვლის, რომ მუსიკა მისი ცხოვრების საქმეა. ბევრჯერ იყო შეყვარებული, მაგრამ თიკო ავალიანი ის ერთადერთი აღმოჩნდა, ვისთანაც შეხვედრის შემდეგ ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. ცოლს მისი კარგად ესმის, ის მუსიკაც უყვარს, რასაც ქმარი ქმნის და ლაშას თაყვანისმცემელი გოგონების აქტიურობასაც გაგებით ეკიდება.

**— ლაშა, მართალია, „ახალი ხმის" ფინალამდე ვერ მიაღწიეთ, მაგრამ ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინეთ. სოციალურ ქსელებში გაქებენ, თქვენ მიმართ სიმპათიებს გამოხატავენ. ალბათ მათთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, როგორ გახდით მუსიკოსი, როგორ ცხოვრობთ შოუს მიღმა.**

— სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრე, პროფესიით ექიმი ვარ, მაგრამ ამ განხრით არასდროს მიმუშავია. ეს სფერო არასოდეს მაინტერესებდა. სამედიცინოზე სწავლას ძალიან ზედაპირულად ვეკიდებოდი. გამოცდისთვის წიგნს ხელში ერთი კვირით ადრე ვიღებდი, ძალიან მალე კი აღარაფერი მახსოვდა. პაციენტი ისე როგორ უნდა გაჭრა, როცა არაფერი იცი? შეიძლება მაინტერესებდა კიდეც, მაგრამ გიტარაზე იმდენად ვიყავი გადართული, რომ... ალბათ ეს საქმე უფრო მიყვარს და ამიტომაც მძლია.

**— ვინ შეგაყვარათ მუსიკა?**

— ჩემს ოჯახში მუსიკა ხშირად ისმოდა. საბავშვო ბაღში მუსიკალურ სპექტაკლებში ვმონაწილეობდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, ანსამბლ „დარიალში" ვმღეროდი. ქვეყანაში სიტუაცია რომ აირია, ფორტეპიანოს მიმართ გული გამიცივდა, რაღაც სიახლე მინდოდა, ამიტომ ხელში გიტარა ავიღე და ბენდი ჩამოვაყალიბე, რომელსაც „გრინ მამა" დავარქვით. ვოკალისტი არ გვყავდა და დიდი ხანი ვეძებდით.

> **„ქალში ყველაზე მეტად ამას ვაფასებ, კარგად ხარ თუ ცუდად, ყოველთვის შენ გვერდით უნდა იყოს".**

**— თქვენ რატომ მღეროდით?**

— არასდროს მიფიქრია, რომ მემღერა. მერე ბასისტმა შემომთავაზა, შენ იმღერეო. იდეა მომეწონა და სოლისტობაზე დავთანხმდი. მაშინ კონცერტებიც იშვიათად ტარდებოდა, როკის მიმართულებით ბევრი არაფერი კეთდებოდა, ამიტომ აქტიურად არსად ვჩანდით. ალბომი ჩავწერეთ, რომელსაც მხოლოდ ვიწრო წრეში უსმენდნენ, მაგრამ საკმაოდ დიდი მოწონებით სარგებლობდა. შემდეგ ჩვენი სარეპეტიციო ორჯერ გაქურდეს, ყველაფერი მოიპარეს. საქმის თავიდან დაწყება კი რთული აღმოჩნდა, ასე გადავედით პასიურ ფაზაში. როცა კონცერტებზე გვეძახდნენ, მსმენელის წინაშე მაშინ გავდიოდით.

**— მერე კი „ახალ ხმაში" გამოჩნდით.**

— ამ პროექტში მონაწილეობა ახლობლების რჩევით მივიღე. მითხრეს, რომ ყურადღება მხოლოდ მუსიკალურ მონაცემებს ექცეოდა. არ მომწონს, გარეგნობით ან ჩაცმულობით რომ გაფასებენ. მომღერალმა შეიძლება ფრედი მერკურივით ან ჯიმი ჰენდრიქსივით არ ჩაიცვას, მაგრამ მაინც განსხვავებულად გამოიყურებოდეს. პირადად მე ჩვეულებრივი ჩაცმა მიყვარს.

**— რა იმედებით მიხვედით პროექტში?**

— ვფიქრობდი, მაგარი ტიპი ვარ, სცენაზე გავალ და, რაც მინდა, ვიმღერებ-მეთქი, მაგრამ ჩემი გამოსვლა ხალხს ასე თუ მოეწონებოდა, ვერ ვიფიქრებდი. ესემესი თვითონ არასდროს არავისთვის გამიგზავნია. როცა ლაივ შოუზე ძალიან ცოტა ესემესი შემომივიდა, →26








Cyan Magenta Yellow Black

# გურამ ლომიძე ქართველ ქალზე უიმედოდ არის შეყვარებული

## „ქუჩის ბიჭს“ ამერიკაში მეორე ბიჭი ეზრდება

ცარსულში პოპულარული ჯგუფის, „ქუჩის ბიჭების“ წევრი, გურამ ლომიძე, ამერიკაში გატარებული 7 წლის შემდეგ ნანობს, რომ თავის დროზე არჩევანი არასწორად გააკეთა, ანუ იმ ქვეყანაში არ წავიდა, სადაც მეტად შეძლებდა თავისი მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენას, კერძოდ, რუსეთში. ამერიკამ ის სულ სხვა რელსებზე დააყენა. მზარეულობიდან დაიწყო და ახლა საკუთარი ბიზნესი აქვს. ბედს არ უჩივის, ფულიც აქვს, კარგი მანქანაც და ჩიკაგოდან, სადაც ცხოვრობს, ლას ვეგასშიც არცთუ იშვიათად დადის გასართობად, მაგრამ მაინც გული სწყდება, რომ აქტიურ მუსიკალურ საქმიანობას ჩამოშორდა.

32 წლის გურამის ზურგს უკან ორი დანგრეული ოჯახი და ორი შვილია. ხატია შამუგიას შემდეგ მან სიყვარული ამერიკაში იპოვა, მაგრამ სტაბილურ მეოჯახედ ვერც ამერიკელმა ქალმა აქცია. ახლა გურამი ისევ ქართველ ქალზეა შეყვარებული, მაგრამ ჯერჯერობით ეს გრძნობა ცალმხრივია.

— **გურამ, საქართველოში რა სიხშირით ჩამოდიხართ?**

— ნოსტალგია შემომაწვება ხოლმე და ხშირად მოულოდნელად ვიღებ გადაწყვეტილებას. ბარგს ვალაგებ და მოვდივარ. 2012 წელს ორჯერ ჩამოვედი საქართველოში — ზაფხულშიც ვიყავი და წლის მიწურულსაც. მეშვიდე წელი დაიწყო, რაც ამერიკაში ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში ეს პირველი ახალი წელი იყო, რომელსაც აქ შევხვდი. „ქუჩის ბიჭებმა“ არაერთ საახალწლო კონცერტში მივიღეთ მონაწილეობა. გარდა ამისა, შვილი, 10 წლის ნიკუშა მყავს და მასთან ერთად მინდოდა ამ დღესასწაულის გატარება. ახლა ვხვდები, რომ ქართული ახალი წელი მომენატრა. არც ზაფხულში ვყოფილვარ უქმად, რამდენიმე სოლო სიმღერა ჩავწერე, ჯგუფმაც შევქმენით ახალი სიმღერები. ერთი თვით ჩამოვედი, ნელ-ნელა ახლოვდება ჩემი წასვლის დრო და გული მწყდება.

— **სიმღერებს პერიოდულად წერთ. რა მოლოდინი გაქვთ, სად და როგორ მოახდენთ ახალი პროდუქტის პოპულარიზაციას?**

— ჯერ ჩვენი სიმღერები მხოლოდ რადიოებში ტრიალებს. როცა მუსიკალური არხები ამუშავდება, კლიპებსაც გადავიღებთ. ალბათ გახსოვთ, „ქუჩის ბიჭების“ ცხოვრებაში რამდენი კლიპი არსებობდა.

— **ამერიკაშიც ასერხებთ სიმღერას?**

— რაღაც საღამოებს ვმართავთ ხოლმე. საქართველოში წამოსვლამდე ქართული ეკლესიის მრევლმა ჩავატარეთ კონცერტი, სადაც ნიუ იორკიდან ნინი შერმადინი მოვიწვიეთ. ბევრი მსმენელი გვყავდა და ულამაზესი საღამო გამოვიდა.

**„სხვანაირად მიყვარს და მასთან ალბათ ამიტომ არ გამომივიდა არაფერი. ის ისე მიყვარს, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ“.**

— **ნინი ამერიკაში ახალი ჩასულია. თქვენი დახმარება ხომ არ სჭირდება?**

— ნინი ნიუ იორკშია. სოსო თოლორაიასთან ცხოვრობს და, როგორც ვიცი, ის ეხმარება. ნიუ იორკსა და ჩიკაგოს შორის ძალიან დიდი მანძილია, ასე რომ, ხშირი მიმოსვლა არ გვაქვს. რითიც შემეძლება, ყოველთვის დავეხმარები. ჩიკაგოში ბევრი ქართველი ემიგრანტი არ ცხოვრობს. 400-მდე ქართველი თუ შევიკრიბებით ხოლმე ქეიფის ან ღონისძიების დროს, თუმცა იქ ისე ვერ ვქეიფობ, როგორც აქ.

— **რა არის თქვენი შემოსავლის წყარო ამერიკაში?**

— ბიზნესში ვარ ჩართული, მაქვს საკუთარი კომპანია — ტვირთების გადაზიდვას ვახორციელებ.

— **მანამდე ბიზნესის კეთების გამოცდილება გქონდათ?**

— არანაირი გამოცდილება არ მქონია, ორი წელია, რაც ამ ბიზნესში ვარ და საქმე ცუდად ნამდვილად არ მიმდის.

— **ვინ დაგაყენათ გზაზე? ძნელია უცხო ქვეყანაში ყველაფრის ნულიდან დაწყება.**

— ჩემს ბიძაშვილს ჩიკაგოში რესტორანი ჰქონდა. თავიდან მასთან მზარეულად ვმუშაობდი, მერე შეფმზარეული გავხდი, შემდეგ — მენეჯერი. ცხოვრების ნულიდან დაწყების არასოდეს მეშინია, ახლაც რომ ვიწყებდე ყველაფერს თავიდან, არ შემეშინდებოდა.

— **საქართველოში ძალიან პოპულარული მომღერალი უცხო გარემოში, თანაც რესტორნის სამზარეულოში აღმოჩნდით. ალბათ ეს ძალიან რთული შესაგუებელი იყო.**

— ადამიანისთვის ყველაფრის თავიდან დაწყება ძალიან რთულია, მაგრამ უნდა გაბედო და ეს ნაბიჯი გადადგა. ამერიკაში ჩემი საქმე ისე ავაწყვე, რომ მცირედი შემოსავალი მუდმივად მქონდეს. მომავალ

ცოტა არ იყოს, დავფიქრდი. ნამდვილად არ მეგონა, დათოს გადასარჩენი თუ გავხდებოდი. ვფიქრობდი, რომ რაც ვიმღერე, მაგარი იყო. გულახდილად რომ გითხრათ, იცით, მონაწილეობა რატომ მივიღე? ცნობადი სახე გავხდი და აწი ბარში რომ მივალ, მეტს გადამიხდიან. პოპულარობა ჩემი იდეაფიქსი ნამდვილად არ არის. უბრალოდ, ის მუსიკა, რასაც ვაკეთებ, უფრო ცნობადი გახდება.

— **„სანო სტუდიაში“ რას საქმიანობთ?**

— ხმის რეჟისორი ვარ. თავის დროზე მერაბ სანოძეს მუსიკოსმა გია ქარჩხაძემ ურჩია ჩემი თავი. 10 წლის წინ მივედი სტუდიაში, 5 წელი ვიმუშავე, მერე წამოვედი, მაგრამ ისევ დავბრუნდი. პირველი 5 წლის განმავლობაში ამ სტუდიაში ისე ვმუშაობდი, დღის სინათლე არ მინახავს. მუსიკაზე ვიყავი გადაყოლილი. ეს ჩემს ცხოვრებაში ძალიან რთული პერიოდი იყო. ჩემი ცხოვრება იყო უზომოდ ბევრი ყავა და სიგარეტი. დღე და ღამე ერთმანეთში მქონდა არეული. სულ სხვა გალაქტიკაში ვცხოვრობდი. ერთი და იმავე რაღაცეების კეთებით დავიღალე, ღამეების თენება და ბარში დაკვრა მომბეზრდა, ამიტომ ყველაფერს გავანებე თავი და სახლში დავჯექი. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მერაბს ჩემი წასვლა შეიძლება გაუხარდა კიდეც, რადგან ჩემთან ურთიერთობა უკვე აუტანელი იყო. როგორც გითხარით, მერე ისევ იქ დავბრუნდი.

— **თქვენი ოჯახის წევრები რა აზრის არიან თქვენს საქმიანობაზე?**

— მშობლებთან, ძმასთან და მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ. საკუთარი თავის მიმართ იმდენად კრიტიკული ვარ, რომ ჩემი წარმატების ოჯახს უფრო სჯერა, ვიდრე მე. ძალიან ნუ ინერვიულებო, მეუბნებიან.

— **დიდიხანია დაქორწინებული ხართ?**

— ჩემი ცოლი თიკო ავალიანია, ერთმანეთი ორი წლის წინ ბათუმში გავიცანით. ჩვენს ურთიერთობაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ისე, ყველა რაღაც დოზით განსაკუთრებულია. თიკო კი იმით აღმოჩნდა განსხვავებული, რომ ჩემთვის ძალიან ცუდ პერიოდში გვერდით დამიდგა, ჩემ მიმართ დიდი თანადგომა გამოიჩინა. ქალში ყველაზე მეტად ამას ვაფასებ, კარგად ხარ თუ ცუდად, ყოველთვის შენ გვერდით უნდა იყოს. წყვილმა თუ ურთიერთთანადგომა არ იგრძნო, ყველაფერი ტყუილად ჩაივლის. ჩვენი სიყვარულის ამბავი ნამდვილად არ ჰგავდა რომეოს და ჯულიეტას ისტორიას, რადგან ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად მოხდა. ერთადერთი, ის მახსენდება, რომ შეყვარებულობის პერიოდში დაშორებულები ვიყავით. მერე შევრიგდით და გასულ ზაფხულს დავქორწინდით კიდეც.

**„შვილს ზაფხულში ველოდებით. როცა დაიბადება, ალბათ მერე მივხვდები, რა არის მამობა“.**

— **მისთვის სიმღერა თუ მიგიძღვნიათ?**

— ჩემი ერთი სიმღერა ძალიან მოსწონდა, ჩავწერე და მას მივუძღვენი.

— **რას საქმიანობს თიკო?**

— თიკო პროფესიით იურისტია და საია-ში მუშაობს. პროექტში ისე მგულშემატკივრობდა, რომ მერე მისი დამშვიდება მიწევდა.

— **უმღერით ხოლმე ცოლს?**

— კი, რა თქმა უნდა. როცა მთხოვს, ყოველთვის ვუმღერი. მთელი დღე რომ გიტარით ხელში ვიჯდე და ვიმღერო, ოჯახსაც მოვაბეზრებ თავს და მეზობლებსაც. სიმღერის ნიჭი თიკოსაც აქვს, მაგრამ ჩემთან ერთად სიმღერა ერიდება. დუეტის ჩაწერა მინდა. ველოდები, თავში კარგი მუსიკა როდის მომივა, რომ მერე მასთან დუეტი გავაკეთო.

— **კონკურსანტები ხშირად ერიდებიან შეყვარებულის ან ცოლის გამოჩენას, რადგან ფიქრობენ, რომ ამით საპირისპირო სქესის ხმებს დაკარგავენ. თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ? იქნებ ჯობდა, არ გაგემხილათ, რომ მეორე ნახევარი გყავდათ.**

— ფიქრადაც არ გამივლია, რომ ამის გამო გოგონები ესემეს-ებს აღარ გამომიგზავნიდნენ. რომც მეფიქრა, აზრს მაინც არ შევიცვლიდი. მე ყველაფერს ცოტა სხვა თვალით ვუყურებ. გათხოვილი მომღერალი რომ მომეწონოს, რატომ არ უნდა დავუმესიჯო?! სისულელეა! ბრმა კასტინგზე თიკოც წავიყვანე.

— **გულშემატკივარ გოგოებზე ცოლი არ ეჭვიანობს?**

— ეჭვიანობის საბაბს ნამდვილად არ ვაძლევ. ამდენი გოგო სიტყვებით სხვა რამის გამო მეფერება. ჩემთან დაწოლა კი არ უნდათ, უბრალოდ ჩემი სიმღერა მოსწონთ. ამიტომაც თიკოს საეჭვიანო არაფერი რჩება. სიმართლე გითხრათ, სოციალურ ქსელებთან საერთოდ არ მინდა შეხება მქონდეს, რადგან ზედმეტი ნერვიულობით და დაძაბულობით დავიღალე. „ლაშა, ძალიან მაგარი ხარ!“, „მიყვარხარ!..“ — ჩემს სოციალურ გვერდზე ასეთი თბილი სიტყვები მომდის. ამდენ სითბოს ნამდვილად არ ველოდი და ხანდახან მგონია, რომ ხალხი შეიკრიბა და მაგრად „მეკაიფება“. „ფეისბუქზე“ ჩემს გულშემატკივრებს რა ვუპასუხო, ისიც არ ვიცი. თიკო ჩემს საქმეში ისეა ჩართული, ხალხს ისიც ელაპარაკება ხოლმე.

— **დაოჯახებამდე ბევრჯერ გიყვარდათ?**

— ყველა გოგო მომწონდა. შეყვარებული ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ დაოჯახებული პირველად ვარ.

— **მამობისთვის ემზადებით?**

— კი, შვილს ზაფხულში ველოდებით, მაგრამ სქესს არ გეტყვით. როცა დაიბადება, ალბათ მერე მივხვდები, რა არის მამობა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black



■ მამა-შვილი — ნიკა და გურამი

**„ნიკა ცხრა კლასს რომ დახურავს, მინდა, ამერიკაში წავიყვანო და „ჰაი სქული" იქ დაამთავროს. ჩემ მიმართ გაუცხოება არ აქვს და არც გაბუტვა იცის".**

წელს ვგეგმავ, რომ ერთი წლით ჩამოვიდე და იმ მონატრებულ საქმიანობას მივხედო, რასაც სიმღერა ჰქვია.

— **აწყობილ ბიზნესს მიატოვებთ?**

— არა, დროებით დედაჩემის ძმისშვილებს დავუტოვებ. გაჩერებას არც იქ ვაპირებ და არც აქ. რუსეთი თუ შემიშვებს, იქაც შევალ და იქაც ავეწყობი. სამწუხაროდ, ამერიკის მოქალაქეებს არ აძლევენ რუსეთში შესვლის უფლებას.

— **ამერიკული ცხოვრების რიტმი როგორია?**

— იქაური ცხოვრების რიტმი რადიკალურად განსხვავდება ქართულისგან. ამერიკაში დრო ძალიან ჩქარა გადის. საჭიროა სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. იქ ძნელია ვინმეს ენდო. საქართველოში ძმაკაცობის ფენომენია, შეგიძლია, მეგობარს ენდო. ამერიკაში კი ცივი ურთიერთობებია, ადამიანები ერთმანეთის გამოყენებაზე არიან.

— **თქვენც ალღო აუღეთ იქაურ წესებს?**

— შვიდი წელია, იქ ვცხოვრობ და თავზემოთ ძალა არ არის. სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო.

— **ამ წლების განმავლობაში რა შეიცვალა თქვენში, რას ატყობთ საკუთარ თავს?**

— როგორიც ვიყავი, ისეთი ვარ, უბრალოდ გავიზარდე. ასაკი მომემატა, სხვა თვალით ვუყურებ ცხოვრებას.

— **თბილისში უთქვენოდ იზრდება თქვენი პირველი, სიყრმის შვილი ნიკუშა. არ გსაყვედურობთ, რომ მისგან შორს ხართ?**

— 14 წლის ვიყავი, როცა დედაჩემი საბერძნეთში წავიდა საცხოვრებლად და დღემდე იქ ცხოვრობს. რამდენჯერმე ჩავაკითხე და ისიც ჩამოვიდა. ეჭვი არ მეპარება, როგორც მე განვიცადე წლების წინ დედასთან განშორება, იგივე განცდა ექნებოდა ნიკუშასაც. მასთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს სოციალური ქსელით, ტელეფონით. ვცდილობ, ყურადღებიანი მამა ვიყო, საჩუქრებს ვუგზავნი. როცა ძალიან გვენატრება ერთმანეთი, მაშინვე თბილისში მოვდივარ. ნიკა ცხრა კლასს რომ დახურავს, მინდა, ამერიკაში წავიყვანო და „ჰაი სქული" (უმაღლესი სკოლა) იქ დაამთავროს. ჩემ მიმართ გაუცხოება არ აქვს და არც გაბუტვა იცის.

— **როგორც შევიტყვეთ, ამერიკაშიც იქორწინეთ. იქ როგორ წარიმართა ოჯახური ცხოვრება?**

— დიახ, იქ 2 წლის ბიჭი მყავს. მას ქართულად გიორგი ჰქვია, ამერიკულად — ლიამი. წლების წინ ამერიკელ გოგონაზე ვიქორწინე და 5 წელი ერთად ვიცხოვრეთ. ახლა განქორწინებულები ვართ, მაგრამ მასთანაც ვმეგობრობ და შვილთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— **როგორც ჩანს, ყოფილ ცოლებთან მეგობრობა კარგად გამოგდით.**

— მეგობრობა ყოფილ ცოლებთანაც გამომდის და საყვარლებთანაც, მაგრამ არა — ოჯახური ცხოვრება. ალბათ რთული ხასიათი მაქვს. როგორც ყველა ქართველ მამაკაცს, მეც თავისუფლება მიყვარს.

— **გიორგის ასწავლით ქართულ ენას?**

— რომ წამოიზრდება, ქართულს აუცილებლად ვასწავლი. მას ისე ხშირად ვერ ვნახულობ, რომ ქართულად ლაპარაკი ვასწავლო. გადაწყვეტილი მაქვს, დედაჩემი და უფროსი შვილიც ამერიკაში წავიყვანო. ყველა ერთად მერე უფრო შევძლებთ ლიამის ქართულად აღზრდას. დარწმუნებული ვარ, ძმებს კარგი ურთიერთობა ექნებათ.

— **არ გიჭირთ მარტოხელა ცხოვრება?**

— არა. დამლაგებელი მყავს, რომელიც სახლს კვირაში ერთხელ მისუფთავებს. საკუთარი სიამოვნებისთვის ყველაფერი მაქვს. სამზარეულოში კომფორტულად ბავშვობიდან ვგრძნობდი თავს. როცა ქართველები მოდიან ჩემთან, ქართულ კერძებს ვახვედრებ



■ ამერიკელ ცოლ-შვილთან ერთად

— ჩახოხბილს, ოსტრის, მწყერს, მწვადს... ყველანაირი საჭმლის გაკეთება შემიძლია.

— **მეგობარი ქალიც გყავთ?**

— ამ ეტაპზე არ მყავს. მინდა, იმას ვუყვარდე, ვინც მე მიყვარს და ისე, როგორც მე მიყვარს.

— **ხომ იყო თქვენს ცხოვრებაში ასეთი სიყვარული?**

— კი, იყო, არის და იქნება.

— **პირველ ცოლს, ხატია შამუგიას გულისხმობთ?**

— ამ შემთხვევაში — არა. ვისზეც გელაპარაკებით, მასთან სიახლოვე არ მქონია.

— **ვერ შეძელით მისი გულის მონადირება?**

— ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არ აეწყო. ის ქართველია და თბილისში ცხოვრობს. ქართველ ქალებზე ვგიჟდები, მათ ბადალი არ ჰყავთ!

— **რატომ არ აეწყო თქვენი ურთიერთობა, რამ შეგიშალათ ხელი?**

— როცა ამ ამბავს ვყვები, ყველა იმავე კითხვას მისვამს. სხვანაირად მიყვარს და მასთან ალბათ ამიტომ არ გამომივიდა არაფერი. ისე მიყვარს, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ. მეტს ნუღარ ჩამეძიებით.

— **თქვენს ამერიკულ ცხოვრებას დავუბრუნდეთ. იქ რაიმე უძრავ-მოძრავი ქონება გაქვთ?**

— ამერიკაში სახლის ყიდვას აზრი არ აქვს, მიწის გადასახადი ძალიან დიდია, იგივე უნდა იხადო, რაც ქირისთვის არის საჭირო. თუ მიწის გადასახადს ვერ გადაიხდი, ქონებას ჩამოგართმევენ. ასე რომ, იქ სახლის ყიდვა ჩემთვის გადაყრილი ფულია. თანაც დარჩენილი ცხოვრების იქ გატარებას არ ვაპირებ. მანქანა შევიძინე — „ბეემვე იქს 5". პირადი კომფორტისთვის ყველაფერი მაქვს.

— **როცა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეთ, საბერძნეთი რატომ არ აირჩიეთ, სადაც დედათქვენი ცხოვრობს?**

— საბერძნეთში წასვლას აზრი არ ჰქონდა, ქუჩაში გამოსვლები, აქციები იყო. ამერიკა კი სტაბილური ქვეყანაა, ამიტომ ვარჩიე იქ წასვლა. თბილისშიც არეულობა იყო, სამუშაო არ გვქონდა. ვფიქრობდი რუსეთში წასვლას, მაგრამ გეზი მაინც შტატებისკენ ავიღე.

— **ახლა რა მოლოდინი და იმედები გაქვთ?**

— იმის მოლოდინი მაქვს, რომ ჯგუფი „ქუჩის ბიჭები" ქართულ ესტრადაზე კვლავ იტყვის თავის სათქმელს, ამიტომ მომავალ წელს აქ დიდი ხნით დარჩენას ვგეგმავ. გვინდა, ფილარმონიაში სოლო კონცერტი გავმართოთ. ცოცხალი ორკესტრის თანხლებით ვიმღერებთ. საქართველოში მუსიკა არ განვითარებულა, წინა პლანზე ქალაქურმა ჟანრმა გადმოინაცვლა. ჩვენი ესტრადა ევროპულისკენ მიდიოდა, მაგრამ პროგრესი ვერ განიცადა და სხვა მხარეს გადაიხარა.

— **როგორ გახსენდებათ ის წლები, როცა პოპულარობის ზენიტში იყავით?**

— ფანტასტიკურად. ახალგაზრდობა მენატრება. ახლა 32 წლის ვარ და არ ვთვლი, რომ ასაკში შესული მამაკაცი ვარ, მაგრამ 19-20 წლისა სულ სხვანაირი ვიყავი. წლების წინ ესტრადაზე ბევრი შემოქმედებითი წინსვლა იყო, ყველა აკეთებდა სოლო კონცერტებს — ლელა წურწუმია, აჩიკო მეფარიძე, მერაბ სეფაშვილი, ჯგუფი „რონდო". ძალიან მენატრება ლიზა ბაგრატიონი. ახლა ეს ინტერესი გაქრა, მაგრამ იმედია, რომ ჩვენი ესტრადა ნელ-ნელა გაცოცხლდება.

**„ამერიკაში სახლის ყიდვას აზრი არ აქვს, მიწის გადასახადი ძალიან დიდია. თუ ვერ გადაიხდი, ქონებას ჩამოგართმევენ. ასე რომ, იქ სახლის ყიდვა ჩემთვის გადაყრილი ფულია. თანაც დარჩენილი ცხოვრების იქ გატარებას არ ვაპირებ".**

ამერიკელების არაფერიმომწონს, გარდა მუსიკისა. ერთი კი უდავოა, იქ სიცოცხლე ჩქეფს. ხშირად დავდივარ გასართობად, არაერთი ცნობილი მომღერლის კონცერტს დავსწრებივარ. თებერვალში „მარონ 5"-ის კონცერტზე ბილეთები უკვე დაჯავშნული მაქვს. კაზინოებსაც ხშირად ვსტუმრობ, მაგრამ ეს არ არის ჩვევა, გართობაა. საქართველოში უფრო ხშირად ვიგებ, ვიდრე იქ. აბა, „ლას ვეგასში" ვინ რას მოგაგებინებს?!

— **რაზე გწყდებათ გული?**

— ჩემი დიდი სინანული და გულისწყვეტა უკავშირდება იმას, რომ კარიერის ასაწყობად რუსეთში არ წავედი. ამ ნაბიჯით საყვარელ საქმეს, სიმღერას ასე დიდი ხნით არ ჩამოვშორდებოდი. შეცდომა იყო ჩემი ამერიკაში წასვლა, რუსეთში უნდა წავსულიყავი.

✓ ლანა კიკნაძე

# „ძველი ბიჭი“ შემიყვარდა“



მინდა, ჩემს გულისტკივილზე მოგიყვეთ, რომელიც არავინ იცის. გადავწყვიტე, თქვენ გიამბოთ, რადგან რჩევა ძალიან მჭირდება.

17 წლის გოგო ვარ, ძალიან ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე, სადაც უნდა წავიდე, ყველგან ჩემი ოჯახის ქება მესმის. მამაჩემი მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, დედაჩემსაც საკმაოდ კარგი სამსახური აქვს, ამიტომ ძალიან განებივრებული ვარ, თანაც დედისერთა და მთელი ყურადღება ჩემზეა გადმოტანილი. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჩემი რჩეული კარგ ოჯახში გაზრდილი ბიჭი უნდა ყოფილიყო. მაფრთხილებდა, რომ „ძველი ბიჭი“ არ უნდა შემყვარებოდა. ბედის ირონიით კი, ზუსტად ასეთი შემიყვარდა. ეს კი ასე დაიწყო:

ჩემს სკოლაში გადმოვიდა ბიჭი, რომელსაც ყველა ერიდებოდა, რადგან კარგი რეპუტაცია არ ჰქონდა. თავიდან მეც არ მომწონდა, მაგრამ შემდეგ დავუახლოვდი და მივხვდი, რომ ისეთი ადამიანი არ იყო, როგორიც ყველას ეგონა, უფრო სწორად, ასე მაშინ ვფიქრობდი. ძალიან შემაყვარა თავი, სკოლაშიც თითქმის სულ ერთად ვიყავით და სოციალურ ქსელშიც მარტო მის გამო მინდოდა შესვლა, რადგან ვიცოდი, რომ ის იქ დამხვდებოდა, აუცილებლად მომწერდა. მეგონა, რაც უნდა მომხდარიყო, სულ ჩემ გვერდით იქნებოდა. ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართ გულგრილი არც ის იყო.

ერთ დღეს დამირეკა და მთხოვა, შევხვედროდი. უარი ვერ ვუთხარი და პაემანზე წავედი. საღამო იყო, სახლში მოვიმიზეზე, რომ დაქალთან უნდა წავსულიყავი და დამაგვიანდებოდა. როდესაც შევხვდი, უცნაურად დამიწყო ლაპარაკი, მითხრა, რომ პრობლემები ჰქონდა და უნდოდა, ჩემთვის გული გადაეშალა. ისე შემეცოდა, რომ ჩავეხუტე. შემდეგ გრძნობებს, ვნებას ავყევით და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...

ახლა ვხვდები, შევცდი, ეს რომ გავაკეთე, რადგან ჩემი ასეთი საქციელი მომავალში პრობლემებს შემიქმნის. მთავარი კი ის არის, რომ მას ცოლადაც ვერ გავყვები, რადგან ჩემი მშობლები ამას არ დაუშვებენ. უფრო მეტიც, რომ გაიგონ, მასთან მაქვს ურთიერთობა, ჩემზე გული აუცრუვდებათ. იმ ბიჭსაც ძალიან რცხვენია ჩემი, როდესაც მხედავს, თვალს მარიდებს. არ ვიცი, რა გავაკეთო. თქვენი რჩევა მჭირდება და რაც შეიძლება მალე, სანამ ამ ამბავს ვინმე გაიგებს!

**„სარკის“ ერთგული მკითხველი, 17 წლის**

## „დედა მეჩხუბება, რომ სიყვარულისთვის ძალიან პატარა ვარ“



მართალია, ჯერ 11 წლის ვარ, მაგრამ უკვე შეყვარებული მყავს. ის ძალიან მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. დედა მეჩხუბება, რომ სიყვარულისთვის ძალიან პატარა ვარ. გთხოვთ, მომწერეთ, რა ვქნა, დედაჩემს როგორ გავაგებინო, რომ მეც ადამიანი ვარ და მეც მაქვს ჩემი გრძნობები.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**

# „უცნობი გოგო ზედმეტი ყურადღებით მაწუხებს“

ჩემი ამბის გამხელას ვერასოდეს გავბედავდი, რომ არა თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი ერთი წერილი, სადაც ერთი წერდა, გოგო ვარ და გოგო მიყვარსო. იმ იმედით, რომ ჩემი ვინაობა არ გამჟღავნდება და არც ტელეფონის ნომერი დაიბეჭდება, გწერთ იმას, რაც ბოლო დროს ძალიან მაწუხებს.

ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ. რაიმე გადახრა, მით უმეტეს, სექსუალური არ მაწუხებს. დავდივარ სკოლაში, მუსიკაზე, მასწავლებლებთან და ბევრი მეგობარი მყავს. მოკლედ, ისე ვცხოვრობ, როგორც ჩემი თანატოლები. სექტემბერში მათემატიკის მასწავლებელთან მივედი მოსამზადებლად. ის იტალიურ ეზოში ცხოვრობს. სანამ მის ოთახში შეხვალ, გრძელი დერეფანი უნდა გაიარო. კარგ ამინდში იქ მეზობლები სხედან ხოლმე. თავიდანვე შევამჩნიე გოგო, დაახლოებით 18-19 წლის, რომელიც უცნაურად მიცქეროდა. ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან მე ყოველთვის კარგად ვიცვამ და მეგონა, ჩემს ტანსაცმელს ათვალიერებდა. მერე კი მივხვდი, რომ ის გოგო სხვანაირად მიყურებდა.



არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ, მაგრამ შეყვარებული ადამიანის თვალებით მიყურებს. ამ სიცივეშიც კი იმ გაყინულ დერეფანში დგას და მელოდება. ამ ბოლო დროს კი საერთოდაც ეზოში მხვდება და ჩემთან გამოლაპარაკებას ცდილობს. ისე ჩამაშტერდება ხოლმე, რომ ტანში მაჟრიალებს. „ფეისბუქზე“ რამდენჯერმე მთხოვა დამეგობრება, მაგრამ იგნორირება გავუკეთე.

ერთ დღეს იმ გოგოს გვერდი დავათვალიერე და გადავირიე. ისეთი სტატუსები აქვს, ისეთ ლექსებს წერს, რომ... ერთი ლექსი ჰქონდა, სადაც ისეთ გოგოს აღწერდა, როგორიც მე ვარ. ერთი ჩანთა მაქვს, რომელზეც რბილი დათუნია მიკიდია. ლექსში გარითმული ჰქონდა, ეს დათუნია როგორ დახტის ჩანთაზე და ჩემს სხეულს როგორ ეხება. არ აწერია, ლექსები ვისია, მაგრამ ამას რა მიხვედრა უნდა?!

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ერთი-ორჯერ ჩემს სახლთან ახლოსაც შევნიშნე. მგონი, მითვალთვალებს კიდეც. ისე იქცევა, როგორც შეყვარებული ბიჭი. ღმერთმა დამიფაროს, რომ მასზე სხვანაირად ვიფიქრო! მისი გადამეტებული ყურადღება უკვე მაწუხებს. ერთადერთი გამოსავალი ის მგონია, რომ მშობლებს ვუთხრა, მათემატიკის მასწავლებელთან აღარ მატარონ.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურება**

## „უსიყვარულოდ გათხოვებას ძალიან ინანებ"

ჟურნალ „სარკეში“ დაიბეჭდა 18 წლის გოგოს წერილი, რომელიც წერდა, არ ვიცი, უსიყვარულოდ გავთხოვდე თუ ველოდო იმ ბიჭს, რომელიც არასოდეს შემიყვარებსო. მინდა, მას ვთხოვო, რომ არ იჩქაროს და არ გაჰყვეს მას, ვინც არ უყვარს. თუ ასე გააკეთებს, ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევა და ძალიან ინანებს. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ.

თავის დროზე არასწორად მოვიქეცი, უსიყვარულოდ გავთხოვდი, არც ქმარმა გამიმართლა და ახლა ორ შვილს მარტო ვზრდი. არასოდეს თქვა, დავიღალეო. ჯერ 18 წლის ხარ, რა დროს დაღლაზე წუწუნი ან გათხოვებაზე ფიქრია?! დამიჯერე, გულით გთხოვ! იმ ბიჭს თუ არ შეუყვარდები, სხვა შეგიყვარდება. არასწორი არჩევანით ცხოვრებას ნუ დაინგრევ.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black

## „თაყვანისმცემელმა საძინებელი ბუშტებით და ყვავილებით მომირთო“

15 წლის გოგო ვარ. 4 წლის ვიყავი, ერთი ბიჭი რომ შემიყვარდა და მას შემდეგ მისი ერთგული ვარ. ის კი მეგობრად მთვლის.



შარშან მშობლებთან ერთად დასასვენებლად ზღვაზე წავედი, იქ გავიცნი 21 წლის ბიჭი, ძალიან სიმპათიური და კარგი აღნაგობის. ჩვენ სულ ერთად ვსეირნობდით, თუმცა არც მიფიქრია, მისთვის სხვანაირად შემეხედა. ჩემ მიმართ განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენდა და მეგონა, რომ ეს მეგობრობით იყო გამოწვეული. თავს არ ვიქებ, მაგრამ ყველა მეუბნება, რომ ძალიან ლამაზი ვარ. მაქვს ცისფერი თვალები, ღია წაბლისფერი თმა, თანაც მაღალი და გამხდარი ვარ.

ერთ საღამოს ზღვის ნაპირზე მარტო რომ დავრჩით, მითხრა, ძალიან მიყვარხარ და შენ გარეშე წამსაც ვერ ვძლებო. მე ძალიან გამიკვირდა. ვუთხარი, ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა, თანაც სხვა მიყვარს-მეთქი. მითხრა, ალბათ ის ბიჭი რა ბედნიერია, მასაც როგორ ეყვარებიო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვუთხარი, მას არ ვუყვარვარ და ყურადღებასაც არ მაქცევს-მეთქი. ეს რომ ვთქვი, მერე თვითონვე ვინანე, მაგრამ სიტყვებს უკან ხომ ველარ წავიღებდი. მაშინ მთხოვა, თუ არ შეგიყვარდები, პირობას გაძლევ, აღარაფერს დაგაძალებ და მეგობრებად დავრჩეთო. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა და გონებაარეულმა დასტური მივეცი.

მთელ დღეებს ჩემთან ატარებდა და ცდილობდა, ჩემი გული მოეგო. მეც კარგ ხასიათზე დავდექი და ერთი პერიოდი ის ბიჭი თითქოს დავივიწყე კიდეც. თბილისში ისე წამოვედით, მასთან დამშვიდობებაც კი ვერ მოვასწარი. სახლში მისულს უეცრად ძალიან მომენატრა და დავურეკე, თბილისში ვარ-მეთქი. სანამ ის ჩამოვიდოდა, მანამდე ნათესავებთან რუსთავში წავედი.

მეორე დღეს, დილის 7 საათზე თვალები რომ გავახილე, მთელი ოთახი ბუშტებით და ყვავილებით იყო მორთული, თანაც თვითონაც იქ იყო. მოვეხვიე და ვაკოცე, შემდეგ მთელი დღე რომ ვსეირნობდით, იმაზე ვიცინოდი, როგორ შემოიპარა და როგორ ვერ შეამჩნიეს ჭორიკანა მეზობლებმა. მოკლედ რომ ვთქვა, ცოტა ხანში მომეწონა...

არ ვიცი, რა ვქნა და რა გადაწყვეტილება მივიღო, მირჩიეთ რამე.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

## „ბიჭმა, რომელიც მიყვარდა, შეურაცხყოფა მომაყენა“



ახალ სკოლაში გადავედი, რადგან ძველ კლასელებთან პრობლემები შემექმნა. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი და ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი აღმოჩნდა, მეგობრები გავიჩინე. მერე კი ყველაფერი შეიცვალა. ერთი წლის შემდეგ ჩვენს კლასში გადმოვიდა ბიჭი, რომელიც ძალიან შემიყვარდა. მის გამო მიტირია კიდეც. კლასელ გოგოებზე ვეჭვიანობდი, ამიტომ ყველას ჩამოვშორდი.

როცა იმ ბიჭმა გაიგო, რომ თავდავიწყებით მიყვარდა, ცუდად მომექცა, ჩამომშორდა და საბოლოოდ შემიძულა კიდეც. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, როდესაც გარეთ გამოვედი, მთელი სკოლა იქ დამხვდა, მათ შორის — ის ბიჭიც და გინება დამიწყო, შემაფურთხა კიდეც, რატომღაც ყველა იმ ბიჭის მხარეს აღმოჩნდა.

მერვე კლასში გადავწყვიტე, სხვა სკოლაში გადავსულიყავი, რადგან კლასელებს შორის ჩემი მეგობარი ვერ დავინახე. ახალ სკოლაშიც ბევრი მეგობარი გავიჩინე, მათთან თავს კარგად ვგრძნობ და მიხარია, რომ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

## „ბებიამ ჩემი საიდუმლო გათქვა“

ბევრი მეგობარი არასოდეს მყოლია, მაგრამ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი ბავშვი გავიცანი და დავუმეგობრდი. ჩემი წარსულის შესახებ არავინ იცოდა და არც არავინ მეკითხებოდა.

ერთხელ, როცა ჩემი მეგობარი სოფელში ჩავიყვანე, ბებიაჩემმა პირი მოაღო და ყველაფერი უამბო — როგორ მცემდნენ, როგორ ვშიმშილობდი კვირაობით და როგორ მიჭირდა. მე ძალიან შემრცხვა და მეგობრის დაჟინებული თხოვნით ყველაფერი მოვყევი. როცა თბილისში ჩამოვედით, დაქალმა ეს ამბავი მთელ სკოლას მოსდო და ყველამ ზურგი მაქცია. ახლა კი ძალიან მიჭირს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ




# ლუკა ზაქარიაძე: „ჩემი არჩევანი არ იყო, რომ მამასთან მეცხოვრა“

## რატომ არ იღიმება „საქართველოს ვარსკვლავი“

19 წლის ლუკა ზაქარიაძე პირველი „საქართველოს ვარსკვლავია“. ბათუმელი ბიჭი გამარჯვებამ დააბნია. უამრავი პრიზი მიიღო, მაგრამ ყველაზე მეტად გიტარამ გაახარა. ადრე თუ მუსიკაში თავის გზას ვერ ხედავდა, ახლა დარწმუნებულია, რომ ეს მისი ცხოვრების საქმეა. პარალელურად იურიდიულ განათლებას იღებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დიპლომი ჰქონდეს.

ლუკა შეყვარებულია, მაგრამ რჩეულის ვინაობას არ ამხელს. არც დედაზე ლაპარაკობს ბევრს. პატარა იყო, როდესაც მისი მშობლები დაშორდნენ. მამასთან ერთად ცხოვრობს, დედის ფუნქციები კი მამიდამ შეითავსა. ლუკას ამ თემაზე ლაპარაკი უჭირს, სამაგიეროდ ყველაფერს მუსიკაში დებს, თავის ტკივილსაც სიმღერით გამოხატავს და სიხარულსაც.

**— ლუკა, მგონი, თქვენ ხართ ერთადერთი გამარჯვებული, რომელიც ასეთ წარმატებას ცრემლების გარეშე შეხვდა.**

— გამარჯვება ისე გამიხარდა, რომ სიხარულისგან შოკში ჩავვარდი. მაყურებელთა 75-მა პროცენტმა მე დამიჭირა მხარი. მივხვდი, რომ მათ ჩემი მუსიკა უყვართ. იმ წუთში ლაპარაკის თავიც არ მქონდა. ჟურნალისტმა მაშინვე კომენტარის გაკეთება მთხოვა და ძლივს მოვაბი თავი, რომ რაღაც მეთქვა, ხალხიც მომესია და ამ ყველაფერმა ძალიან დამაბნია.

**— გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?**

— საახალწლო გარემოში. ტრადიციულად სუფრასთან ვიჯექი, იქ ითქვა ჩემი წარმატების სადღეგრძელო. გრანდიოზული არაფერი ყოფილა. დღესასწაული და ჩემი გამარჯვება წყნარად და ლამაზად აღვნიშნეთ. იმაზეც ვილაპარაკეთ, რომ ეს ტიტული დიდი პასუხისმგებლობაა. იმავე ღამეს მეგობრებთან ერთად ბაკურიანში წავედი.

**— ამ კონკურსამდე რა გზა გამოიარეთ, ვინ შეგაყვარათ მუსიკა?**

— ბავშვობა ღიღინ-ღიღინით გავატარე. შემდეგ მუსიკალურ წრეზე შევედი ფორტეპიანოსა და ხალხური სიმღერის განხრით. შევატყვე, რომ ეს საქმე შემეძლო. ყველა მეუბნებოდა, კარგი ხმა გაქვსო. ხალხურ სიმღერებში სოლისტიც ვიყავი, პიანინოზეც კარგად ვუკრავდი. კონცერტებზეც გამოვდიოდი და სცენაზე დგომას მივეჩვიე. ამიტომ ამ კონკურსში სცენაზე დგომის შიში არ მქონია, თავისუფლად ვგრძნობდი თავს. ყველაზე მეტად რა დამეხმარებოდა, თუ არა კომპიუტერი და იქ მოძიებული სიმღერები? როგორც მომღერალი, ამან ყველაზე მეტად დამხვეწა.

**„ჩემს თავში ვერ ვპოულობ ძალას, რომ ქართულ ესტრადას ვუსმინო“.**

**— ამ პროექტამდე რომელიმე კონკურსში მიგიღიათ მონაწილეობა?**

— არა, ამაზე არც მიფიქრია და არც ამის შემდეგ მივიღებ რომელიმე კონკურსში მონაწილეობას. დამწყები მომღერალი არ ვარ და კონკურსები აღარ მინდა! გამოჩნდება გზა, რომელსაც გავუყვები და ალბათ სტუდიებთან თანამშრომლობას დავიწყებ.

**— როგორც მუსიკოსს, რა მოგცათ ამ კონკურსმა?**

— ძალიან სერიოზული პროექტია, ყოველ ტურში მაყურებელი ახალს და უფრო მეტს ითხოვდა. როდესაც კონკურსანტები გვაკლდებოდნენ, უფრო ვნერვიულობდი და მაქსიმალურად ვიხარჯებოდი, რომ მეტი ამეთვისებინა და მუსიკას ჩავღრმავებოდი. ვცდილობდით, მაქსიმუმი გაგვეკეთებინა და მაყურებლისთვის სანახაობა შეგვეთავაზებინა.

**— ბევრი პრიზი გადმოგცეს. გულახდილად რომ გვითხრათ, ყველაზე მეტად რომელმა პრიზმა გაგახარათ?**

— პრიზებად მივიღე ბათუმში სასტუმროს ნომერი, ჟიურისგან მერგო ერთკვირიანი მოგზაურობა გოაში, ასევე მომცეს მანქანა „მინი კუპერი“. სცენაზე გიტარა რომ შემოიტანეს, მეგონა, ძმებს, თემურ და ვახტანგ ქანთარიებს, ჯგუფ „ერუ ც“-ს გადასცემდნენ, რადგან ძალიან კარგად უკრავენ, ნიჭიერები არიან და გიტარასთან ურთიერთობით გამოირჩევიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე მომცეს. ყველა პრიზს თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ, როგორც მუსიკოსს, ყველაზე მეტად გიტარა გამიხარდა. რადგან გიტარა მაჩუქეს, ე.ი. რაღაც შემიძლია. თანაც ძალიან კარგი ინსტრუმენტია.

**— ბათუმში თქვენი სასტუმროს ნომერი თუ მოინახულეთ ან მანქანის მართვის მოწმობა თუ გაქვთ?**

— სასტუმრო ჯერ შენების პროცესშია და არ მინახავს. რაც შეეხება მანქანას, უკვე გადმოვიფორმე, მაგრამ არც მართვის მოწმობა მაქვს და არც ტარება ვიცი. ჯერ მამაჩემს დავყავარ.

**— პროექტში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ უცნაური ხართ. მართლაც, სიმღერის თავისებური მანერა გაქვთ. ცხოვრებაში როგორი ხართ?**

— არაფრის კომპლექსი მაქვს და იმას ვაკეთებ, რაც საქმეს სჭირდება. ჩემს შინაგან რწმენას არასოდეს ვღალატობ. რადგან პროექტში ვიყავი და კამერა მიღებდა, სულ არ ვფიქრობდი, რომ უნდა მეთამაშა და ნამდვილი ლუკა არ უნდა გამოჩენილიყო. მე არასოდეს ვთამაშობ. ჩემში რა ემოციებიც არის და რაც სწორად მიმაჩნია, იმას ვაკეთებ. როცა ჩემზე ამბობენ, უცნაურიაო, არ ვიცი, რას გულისხმობენ, შეიძლება, ნაკლებად რომ ვიღიმი. შემიძლია გავიღიმო, მაგრამ არ მეღიმება და რა ვქნა? მაშინ უნდა ვითამაშო. ვიცი, ღიმილი პოზიტიურ ემოციას იწვევს სხვებში, ამიტომ ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩემი ღიმილი დააკლდა.

ხალხის 75-მა პროცენტმა ალბათ იმიტომ დამიჭირა მხარი, რომ მაყურებელთან ყოველთვის გულწრფელი ვიყავი. დაუმსახურებლად ამდენი ადამიანი ვერ შეგიყვარებს, ე.ი. შენგან რაღაც დადებითი, კარგი აურა მოდის. ყოველ ტურზე ბოლომდე ვიხარჯებოდი და სიმღერა რა ემოციასაც ითხოვდა ჩემგან, იმას ვდებდი. ბენდთან უფრო ახლოს ვიყავი ყოველთვის, ვიდრე კამერებთან.



■ ლუკა ზაქარიაძე

**„პატარა ვიყავი, როცა ოჯახში დედას და მამას შორის კონფლიქტები იყო... ამან უფრო ძლიერი გამხადა. ყველაფერს მუსიკით ვამბობ, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა და უკვე ბევრი რამ მოხდა“.**

**— ვაღიაროთ, თქვენს გულშემატკივრებს შორის ძალიან ბევრი გოგოა. თაყვანისმცემლები თავს ხომ არ გაბეზრებენ?**

— ვინც ჩემ მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი, არ მესმის, რატომ უნდა მივმართო ცუდად, მაგრამ, როცა ვიღაც ტელეფონზე უამრავჯერ გწერს, თან არ ხარ იმის განწყობაზე, რომ პასუხი გასცე, ცოტა მომაბეზრებელია. ქუჩაში კი ნებისმიერ ჩემს გულშემატკივარს შემიძლია ჩავეხუტო და მადლობა გადავუხადო სიყვარულისთვის.

**— მაგალითად, რას გწერენ?**

— შემიძლია წაგიკითხოთ: „შობას გილოცავ, მრავალს დაესწარი, დაე, თქვენს გულებში იშვას ქრისტე და განათდეს, როგორც აღმოსავლეთის ვარსკვლავი“, „ლუკა, შენ ათეისტი ხარ?“. კიდევ ბევრი სხვა კითხვა აქვთ ჩემთან.

**— რატომ ინტერესდებიან, ათეისტი ხართ თუ არა?**

— შეიძლება იმიტომ უჩნდებათ ეს კითხვა, რომ თვლიან, ვინც როკს უსმენს ან მღერის, ღმერთისგან შორს არის, მე კი ასე არ ვფიქრობ. მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ.

**— არის თქვენს ცხოვრებაში საყვარელი გოგონა?**

— შეყვარებული მყავს, მაგრამ ეს ჩემი პირადია და არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ერთი პერიოდი მან მუსიკას ოჯახის გამო თავი დაანება, რაღაც კონფლიქტი ჰქონდა... რა საჭიროა მოვყვე, ვინ არის, რას აკეთებს, უბრალოდ მე ის მიყვარს. როდესაც საქმე პირადს ეხება, ხელს ვერაფერი შემიშლის, ირგვლივ ყველაფერს ვივიწყებ და მარტო გრძნობებით ვმოქმედებ.

**— ის მაინც მითხარით, როგორია ის გოგონა თუნდაც გარეგნობით.**

— გარეგნობითაც ჩვეულებრივი გოგოები მომწონს და ხასიათითაც. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— როცა სიმღერას, სასცენო კოსტიუმს გთავაზობდნენ, უპრობლემოდ თანხმდებოდით?**

— ჩაცმაში პრეტენზიული არ ვყოფილვარ. რაც შეეხება მუსიკას, რამდენჯერმე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. მაგალითად, როკის ტურზე უფრო მძიმე მუსიკის შესრულება მომინდა, ამის გამო კონფლიქტიც მქონდა, მაგრამ ბოლოს მაინც დავთანხმდი და ერთ საათში სიმღერა მოვირგე. კარგადაც გამომივიდა, ხომ?

**— დაგეთანხმებით, ნამდვილად კარგი შესრულება იყო. თუ არ ვცდები, ჟიურის უთხარით, რომ ქართულ სიმღერებს არ უსმენთ. არ**



Cyan Magenta Yellow Black

**მოგწონთ ქართული ესტრადა?**

— მე ეგ არ მითქვამს. ვთქვი, რომ არსებობენ ქართველი მომღერლები, ვისაც არ ვუსმენ და მათი მოსმენა არც არის საჭირო. საქართველოში ბევრი კარგი მუსიკოსია, მაგრამ მე მაინც როკი, ბლუზი

**„გარედან ვჩანვარ სხვანაირი, მაგრამ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომელსაც მეგობრებთან და ოჯახთან ერთად ყოფნა უყვარს".**

მირჩევნია. ჩემს თავში ვერ ვპოულობ ძალას, რომ ქართულ ესტრადას ვუსმინო. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქართველი ფიქრობს ასე.

— **სიმღერის იქით როგორია თქვენი ცხოვრება, რა გატაცებები გაქვთ, რითი ხართ დაკავებული?**

— მეგობრებთან ერთად ყოფნა მიყვარს. გარედან ვჩანვარ სხვანაირი, მაგრამ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, რომელსაც მეგობრებთან და ოჯახთან ერთად ყოფნა უყვარს. იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ. სკოლაში წარმატებული მოსწავლე ვიყავი და უნივერსიტეტშიც ნორმალურად ვსწავლობ. როცა ვმეცადინეობ, სულ მგონია, რომ ეს დრო მუსიკას აკლდება და პროტესტის გრძნობა მიჩნდება. მუსიკა ყოველთვის ყველაფერზე მეტად მიყვარდა, მაგრამ ჩემს მომავალს ვერ ვხედავდი, არ ვიცოდი, გზა როგორ გამეგრძელებინა და როგორ მიმეღწია მუსიკაში წარმატებისთვის. ახლა კი გამიჩნდა შანსი, ხალხი ჩემი მუსიკით დავაინტერესო.

— **როგორ შეუთავსებთ მუსიკას და იურისტობას ერთმანეთს?**

— მგონია, რომ მუსიკაში უფრო წარმატებული ვიქნები, თუ ამ საქმეს ბოლომდე მივაწვები. იურისტის დიპლომს ავიღებ, ბავშვობიდან კარგად ვსწავლობ და არ მინდა, ჩემი ცოდნა ჰაერში დარჩეს. ვფიქრობ, რომ დიპლომი დღეს საჭიროა. მუსიკას კი უფრო სერიოზულად მოვეკიდები.

— **თქვენი ოჯახის წევრები გაგვაცანით. როგორც ვიცი, დედა საზღვარგარეთაა.**

— არა, საქართველოშია. მამაჩემი, ზურაბიც მღერის. სიმღერის ნიჭი გენეტიკაში გვაქვს. ბებიას ქართული ხალხური სიმღერები უყვარს, ლირიკული ხმა აქვს, მამიდასაც კარგი ხმა აქვს. მამა ქალაქურ

**„რა საჭიროა მოვყვე, ვინ არის, რას აკეთებს, უბრალოდ მე ის მიყვარს. როდესაც საქმე პირადს ეხება, ხელს ვერაფერი შემიშლის, ირგვლივ ყველაფერს ვივიწყებ და მარტო გრძნობებით ვმოქმედებ".**

სიმღერებს ასრულებს, მეც მსიამოვნებს მისი მოსმენა. ამ ჟანრსაც თავისი ხიბლი აქვს. სახლში ვმღერით ხოლმე და ხომ ხვდებით, ეს რამხელა სიხარულია.

— **დედას არ აქვს მუსიკასთან შეხება?**

— მგონი, იმასაც აქვს შეხება.

— **„მგონი" რატომ, არ იცით, მღერის თუ არა, თქვენთან არ ცხოვრობს?**

— არა.

— **თქვენი არჩევანი იყო, რომ მამასთან გეცხოვრათ?**

— არა. პატარა ვიყავი, როცა ოჯახში დედას და მამას შორის კონფლიქტები იყო. ეს ყველაფერი იმაში მეხმარება, რომ ჩემს სფეროში მაქსიმალურად ღრმად ჩავეფლო. ამ ფაქტმა უფრო ძლიერი გამხადა. ყველაფერს მუსიკით ვამბობ, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა და უკვე ბევრი რამ მოხდა. ჩემს ემოციებს მუსიკაში ვდებ, ცუდ და კარგ განწყობასაც. ვიცი, ჩემი ემოციები როგორ გამოვხატო.

— **მამას აზრით თუ ინტერესდებით, რას ფიქრობს თქვენს ნამღერზე?**

— როგორ არა, ყველას აზრი მაინტერესებს, მით უმეტეს, ოჯახის წევრების. სულ ვკითხულობ, რამდენად მისაღებია ჩემი ნამღერი, ვინმე ხომ არ გაგაბრაზეთ, რომ ვმღერი, ხომ არ მოგინდათ, ჩემთვის თავში ქვა ჩაგერტყათ. ასეთი უცნაური კითხვები მაქვს ჩემს მსმენელთან. ყოველთვის მზად ვარ, თქვენი შეფასებები მოვისმინო.

✓ **ქეთი დინოშვილი**



# „სალომეზე ფეხმძიმობისას ნიკორწმინდაში ვგალობდი"

## სალომე ქათამაძის ხმაურიანი ოჯახი



■ ალექსანდრე, გიორგი და თამუნა

ქართული შოუბიზნესის ახალგაზრდა და ახალ სახეს, სალომე ქათამაძეს, დიდი და, ცოტა არ იყოს, არასტანდარტული ოჯახი აქვს. მისი მამა, ნოდარ ქათამაძე, ერთ-ერთი ტაძრის მოძღვარია. ბაბუა, ამბროსი ქათამაძე, მთავარეპისკოპოსი გახლდათ, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. სალომეს მშობლები გაშორებულები არიან. დედის, თამუნა მდივანის ამჟამინდელი ქმარი, ალექსანდრე მდივანი, რომელსაც ახლობლები სიყვარულით კუკას ეძახიან, სალომესთვის მამაზე არანაკლებად ძვირფასია, მის ამაგზე ყოველთვის მადლიერებით საუბრობს. მათ ოჯახში ბევრი შვილია: სალომე, მისი ნახევარი და-ძმა — 11 წლის მარიამი და 7 წლის გიორგი, მამობილის შვილი პირველი ქორწინებიდან, 17 წლის ქრისტინე. ერთი სიტყვით, იქ დიდი სითბო, სიყვარული და მხიარულება ტრიალებს.

სალომეს დედას სახლში ვეწვიეთ, პატარა გიორგი სპეციალურად „სარკისთვის" ჩოხაში გამოწყობილი დაგვხვდა. ინტერვიუს სალომეს მამობილი, კუკაც დაესწრო, მიუხედავად დატვირთული სამუშაო რეჟიმისა (აეროპორტში მუშაობს). ჩვენი ინტერვიუ პროექტ „ახალი ხმის" ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე შედგა.



■ სალომე და-ძმასთან ერთად

— **ქალბატონო თამუნა, საკმაოდ დიდი ოჯახი გაქვთ. ალბათ დიდი ბედნიერებაა და ამავე დროს ტვირთიც ამ სახლის დიასახლისობა.**

— კი, დიდი ოჯახი გვაქვს და ვთვლი, რომ ეს უფლისგან ბოძებული ყველაზე დიდი საჩუქარი და სიმდიდრეა, რაც გამაჩნია. ახლა მე, მარიამი, კუკა და გიორგი ვცხოვრობთ ერთად, სალომე გაგვითხოვდა. სალომე და კუკას ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, ქრისტინე, ხშირად გვსტუმრობენ. მხიარულად და ხმაურიანად ვცხოვრობთ.

**„იმდენად მეშინია, ძალიან სუბიექტური არ ვიყო, რომ კომპლექსივით გამიჩნდა — სულ რაღაც შეცდომას ვეძებ. სალომეს გამოსვლების დროს ისე ვნერვიულობ, ალბათ ერთ-ორ კილოს ვიკლებ".**

— **ძალიან ახალგაზრდა ასაკში გამხდარხართ დედა.**

— კი, სალომე რომ გამიჩნდა, მე თვითონაც ბავშვი ვიყავი. 17 წლისა გავთხოვდი და 18 წლისას უკვე სალომე მყავდა. წლის და თვეების იყო, თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობოზე რომ ჩავაბარე. ჩვენ ქუთაისიდან ვართ და სალომეს დატოვება დედაჩემთან მომიწია. ბებიამ გაზარდა, მან მისცა მუსიკალური განათლება. დედაჩემისთვის სალომე შვილიშვილი არ არის, მესამე, ნაბოლარა შვილია.

— **სალომესგან შორს ყოფნა არ გიჭირდათ?**

— ძალიან გამიჭირდა, ღამეებს ვათენებდი ტირილით. ერთი სული მქონდა, შაბათ-კვირა როდის მოვიდოდა, რომ სალომესთან გავქცეულიყავი.

— **დედობის პასუხისმგებლობა თავიდანვე გქონდათ გაცნობიერებული?**

— გაცნობიერებული ნამდვილად არ მქონდა, ჯერ ერთი, პატარა ვიყავი და თან ქუთაისიდან მალე მომიწია წამოსვლა. სალომე უფრო დასავით მყავდა. დედაჩემი რამეს რომ უყიდდა, მე რატომ არ მიყიდე-მეთქი, ვამბობდი, როგორც ეს დების შემთხვევაში

→32

ხდება ხოლმე. დედობა უფრო სხვა ასაკში, მარიამზე და გიორგიზე გამოვცადე. იმ წლებზე, სალომეს ბავშვობაზე, ახლა მწყდება გული, რომ ერთად ვერ გავატარეთ, ისე არ ვიყავი მის გვერდით, როგორც მარიამთან და გიორგისთან ვარ.

— **როგორ შექმენით ოჯახი? ვიცით, რომ თქვენი პირველი ქმარი ახლა მოძღვარია.**

— მოძღვარი ჩვენი დაქორწინების შემდეგ გახდა. პრინციპში, სალომეზე ფეხმძიმობისას მთელი პერიოდი ნიკორწმინდის ეკლესიაში ვგალობდი. ბავშვობიდან ვმღეროდი. გალობას რომ ვუსმენდი, სურვილი გამიჩნდა, მეც მეგალობა. ჩემი ქმრის მამა მთავარეპისკოპოსი გახლდათ და მან მომცა კურთხევა, რომ მეგალობა, ისე არ შეიძლებოდა. ჩემი ყოფილი მამამთილი, მეუფე ამბროსი, არაჩვეულებრივი ადამიანი, ღირსეული ეპისკოპოსი იყო. სიყვარულით სავსე და სუფთა ადამიანი გახლდათ. მეორედ რომ გავთხოვდი, მაშინაც კი მლოცავდა. მეორე მეუღლე რომ გავაცანი, მითხრა, ისეთი კეთილი თვალები აქვს და ისეთი კარგი ბიჭია, ღმერთმა სულ ბედნიერი გამყოფოსო. ჩემი შვილების ფოტოები კედელზე ჰქონდა გაკრული და აქედან განსაზღვრეთ, როგორი ადამიანი იყო. ჩემი ყოფილი მამამთილი ზვიად გამსახურდიას გადასახლებაში გაჰყვა ოჯახთან ერთად. რა თქმა უნდა, ჩემი ქმარიც წავიდა და ჩვენც ერთმანეთს დავშორდით.

— **ანუ მეუღლეს იმ პერიოდში დაშორდით?**

— კი, მაშინ დავშორდით. ძირითადად რაც ემართებათ ხოლმე ადრეულ ასაკში შექმნილ ოჯახებს, ჩვენც ის დაგვემართა.

— **სალომე მაშინ რამდენი წლის იყო?**

— სამი წლისაც არ იყო.

— **მამასთან დაშორება განიცადა?**

— ზვიადის ამბების გამო მამამისი სულ წასული იყო და ხშირად ვერ ხედავდა, ამიტომ მის გარეშე არ გასჭირვებია.

— **მეორედ მალე გათხოვდით?**

— სალომე 6 წლის იყო, როცა კუკა გავიცანი. სხვათა შორის, მე და სალომემ ერთად გავიცანით. ქობულეთში ვისვენებდით და ისიც იქ იყო. კუკა მე და სალომეს თითქმის ერთდროულად შეგვიყვარდა, ოღონდ სხვადასხვანაირად. ერთმანეთს 2 წელი ვხვდებოდით და შემდეგ დავქორწინდით. ხომ იცით, ქალს რომ შეუყვარდება, აღარაფერზე ფიქრობს. ერთმანეთი იმდენად შეგვიყვარდა, გადავწყვიტეთ, რომ პრობლემებს ერთად დავძლევდით.

**„ჩემი ყოფილი მამამთილი, მეუფე ამბროსი, არაჩვეულებრივი ადამიანი, ღირსეული ეპისკოპოსი იყო. სიყვარულით სავსე და სუფთა ადამიანი გახლდათ. მეორედ რომ გავთხოვდი, მაშინაც კი მლოცავდა. მეორე მეუღლე რომ გავაცანი, მითხრა, ისეთი კეთილი თვალები აქვს და ისეთი კარგი ბიჭია, ღმერთმა სულ ბედნიერი გამყოფოსო".**

— **თქვენი ოჯახის წევრები ამ ნაბიჯს როგორ შეხვდნენ?**

— ეს კუკასთვისაც მეორე ქორწინებაა. მაშინაც ბავშვები გამოვდიოდით, 23-24 წლის ასაკში ვიქორწინეთ. ჩვენი ოჯახები წინააღმდეგები არ ყოფილან, უბრალოდ ეშინოდათ, ხომ არ ჩქარობენო.

— **თქვენს მეუღლესაც ჰყავს პირველი ქორწინებიდან გოგონა. მასთან ურთიერთობა ადვილად დაამყარეთ?**

— ქრისტინე 17 წლისაა. როცა გავიცანი, 2 წლის იყო. ჩვენთან ძალიან ხშირად მოდიოდა. ახლაც ხშირად მოდის და რჩება. არაჩვეულებრივი ბავშვია. საერთოდ ყველას არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. სალომესდა კუკას მამაშვილური, მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ქრისტინეც ასეა ჩემთან. ამას ბევრი შრომა არ სჭირდება, უბრალოდ ადამიანი უნდა გიყვარდეს და რთული არ იქნება. ბავშვებიც, სალომეც და ქრისტინეც ძალიან თბილები არიან. ასე რომ, მათი შეყვარება არ გაგვჭირვებია.

ვაჟი დაქორწინებიდან 6 წელიწადში შეგვეძინა. გიორგი იმის გამო არ გამიჩენია, რომ ბიჭი მინდოდა, უბრალოდ მოძღვარმა მითხრა, ისე არ გაზიარებ, თუ არ დაფეხმძიმდებიო. ექოსკოპიაზე რომ მითხრეს, ბიჭიაო, ჩემთვის ეს იმდენად დიდი შოკი იყო, სიხარულისგან ფულის გადახდაც კი დამავიწყდა, მერე მივბრუნდი და გადავიხადე, გაოგნებულები მიყურებდნენ. მეუღლეს რომ დავურეკე, სიხარულისგან გაგიჟდა.



■ სალომე ბავშვობაში

**„სალომე 5 წლის ასაკში მკვეთრად გამოხატული ინდივიდი იყო. ისე ვერ დაელაპარაკებოდი, როგორც პატარა ბავშვს. თუ რამე მოეწონებოდა, გააკეთებდა, თუ — არა, ვერ დააძალებდი. ახლაც რეპერტუარი თუ არ მოსწონს, ვერავინ ამღერებს. ბოლომდე დამჯერი არასოდეს ყოფილა".**

— **თქვენი მეუღლე რამდენადაა ამ დიდი ოჯახის საქმეებში ჩართული, გეხმარებათ?**

— ცოლ-ქმარს ყოველთვის გადანაწილებული გვაქვს პასუხისმგებლობა. კუკა ძალიან აქტიური მამაა, სალომესთვისაც ზუსტად ისეთივეა, როგორიც თავისი შვილებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტ ყურადღებასაც კი აქცევს.

— **სიმღერის ნიჭი თქვენც გქონიათ. არასდროს გდომებიათ, სცენაზე გამოსულიყავით?**

— ბავშვებზე და ოჯახზე გადავერთე, ამიტომ არც მსახიობური ნიჭი გამომიყენებია და არც მუსიკის. ვფიქრობ, რომ ამით ცუდი არაფერი მომხდარა. გული საერთოდ არ მწყდება, რადგან ჩემი ოჯახი მავსებს და ძალიან ბედნიერი ვარ. დედაჩემი მეხვეწებოდა, მუსიკას გავყოლოდი. როცა სამსახიობოზე ჩავაბარე, იქ კლასიკური ვოკალის განხრით გავდიოდი გაკვეთილებს. მაშინ აღმოვაჩინე, რომ ძალიან მდიდარი მეცოსოპრანო და ლირიკულ-დრამატული სოპრანო ერთად მქონდა.

— **სალომეს მუსიკალური ნიჭი რა ასაკში აღმოაჩინეთ?**

— მე და ჩემი მეგობარი ქუთაისში ვიყავით ჩასული. დასაკრავ ინსტრუმენტთან ჩემი მეგობარი იჯდა და სიმღერას „გზები მაინც გამინათე მთვარეო" ვმღეროდით. რაღაც ნოტი სწორად ვერ ავიღე. უცებ 5 წლის სალომემ ეს ნოტი ისე აიღო, ჩემი მეგობარი გაგიჟდა. არადა მანამდე არასოდეს უმღერია. როცა აღმოჩნდა, რომ სმენა ჰქონდა, დედაჩემმა მაშინვე ვოკალის პედაგოგ გალია შაცკოვასთან წაიყვანა. 12-13 წლისა უკვე თბილისში დადიოდა სხვა პედაგოგთან. სალომეც კლასიკური განხრით დაგვყავდა ვოკალზე. მას ძალიან ძლიერი ლირიკულ-დრამატული სოპრანო აქვს.

— **სალომე ძალიან აქტიური პიროვნებაა, ბავშვობაშიც ასეთი იყო?**

— კი, აქტიური იყო. სალომე 5 წლის ასაკში მკვეთრად გამოხატული ინდივიდი იყო. ისე ვერ დაელაპარაკებოდი, როგორც პატარა ბავშვს. გიორგიც ასეთია. არ ვიცი, ჩვენ ვზრდით ასე, თუ რა არის, მაგრამ სალომე თავიდანვე ასეთი იყო. თუ რამე მოეწონებოდა, გააკეთებდა, თუ — არა, ვერ დააძალებდი. ახლაც რეპერტუარი თუ არ მოსწონს, ვერავინ ამღერებს. ბოლომდე დამჯერი არასოდეს ყოფილა. სკოლაში კარგი მოსწავლე იყო. შემდეგ მუსიკალურ ათწლედში სწავლობდა, იქაც ძალიან წარმატებული გახლდათ. უცებ კი ჟურნალისტიკაზე ჩააბარა. გვეგონა, კონსერვატორიაში ჩააბარებდა, მაგრამ გამოგვიცხადა, ოპერა არ მინდაო. ჩვენ კი ძალიან გვინდოდა, საოპერო სცენაზე გვენახა, ამის ტალანტი და შესაძლებლობები ნამდვილად ჰქონდა. ჩემს გვარში არავინ მღერის, პირველი მე ვიმღერე და შემდეგ სალომემ. სხვათა შორის, მამამისიც კარგად მღერის.

— **სალომეს და-ძმა როგორი ბავშვები არიან, ჰგვანან უფროს დაიკოს?**

— მარიამი და გიორგი ძალიან გონიერი ბავშვები არიან, კარგად სწავლობენ. გიორგი სკოლაში არაფრით წავა, თუ გაკვეთილი მომზადებული არ აქვს. როგორც ყველა და-ძმა, ესენიც ჩხუბობენ, მაგრამ ერთმანეთზე გიჟდებიან. რამდენჯერ მინახავს, გიორგის რომ სძინავს, მარიამი ჩუმად მიდის და კოცნის ან პირიქით, გიორგი კოცნის, მაგრამ მაინც სულ რაღაცას ვერ იყოფენ. სალომე ამათ ძალიან ათამამებს.

— **სალომეს გათხოვებას როგორ შეხვდით?**

— მისი გათხოვება ძალიან არ მინდოდა. მინდოდა, ჯერ კარიერისთვის მიეხედა, მაგრამ სალომემ იმდენად მიგვაჩვია თავის დამოუკიდებლობას, აქაც ვერაფერს გავხდით.ისე, მგონი, კუკამ უფრო განიცადა სალომეს გათხოვება, ვიდრე მე.

— **სასიძოს იცნობდით?**

— კი, ვიცოდით, ვინც იყო გიგი ზამთარაძე. გიგი ბავშვებს ძალიან უყვართ. მას მუსიკასთან შეხება არ აქვს, მაგრამ საკმაოდ მუსიკალურია. სალომეს რეპეტიციებზე სულ დაჰყვება, ხელს უწყობს. ჩვენთან ხშირად მოდიან.

— **სალომემ ჯერ ფესტივალ „გოლდენ ტალანტში" გაიმარჯვა, მერე კონკურს „ახალ ხმაში" მონაწილეობდა. მისი ყოველი გამოსვლა მაყურებელში დიდ ემოციებს იწვევს. როცა თქვენს შვილს კონკურსებში უყურებთ, რა გრძნობა გაქვთ, როგორ აფასებთ მის გამოსვლებს?**

— სალომეს განსხვავებული ტემბრი აქვს. შეიძლება ვიღაცას მასზე მეტად სხვა მოსწონს, მაგრამ სალომე ჩემი შვილია და ძალიან მომწონს, თუმცა ისეთი სუბიექტურიც არ ვარ, რომ რაღაცეები ვერ დავინახო. ერთ დღეს ვუთხარი, სცენაზე დგახარ და იქნებ წონაში ცოტა დაიკლო-მეთქი. მან კი მიპასუხა, რატომ უნდა დავიკლო, მე ხომ ვმღერი, პოდიუმზე არ გამოვდივარ, თუ შენ მეტყვი, რომ ვერ ვმღერი, იმ დღიდან სცენაზე აღარ ავალო.

მისი გამოსვლა ემოციებს ნამდვილად იწვევს, სხვა შარმი აქვს. სალომე სცენაზე რომ გამოდის, თითქოს გაჯადოებს. მეკი მისი გამოსვლების დროს ძირითადად შეცდომებს ვეძებ. იმდენად მეშინია, ძალიან სუბიექტური არ ვიყო, რომ კომპლექსივით გამიჩნდა — სულ რაღაც შეცდომას ვეძებ. მისი გამოსვლების დროს ისე ვნერვიულობ, ალბათ ერთ-ორ კილოს ვიკლებ. ჩემი ქმარი სამსახურში ისე არ წავა, სალომეს ნამღერი რომ არ ჩართოს. მის ყველა მოსმენაზე უფრო და უფრო ემოციური ვხდები. ქუჩაში გასული ვგრძნობ, რომ ჩემი შვილი თითქმის ყველამ შეიყვარა და ძალიან დიდი მადლობა მათ ამისათვის!

✓ მაკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ აბრაზებს ჯაბა კილაძეს ეკა ნიჟარაძის ასაკზე საუბრები

მსახიობები ეკა ნიჟარაძე და ჯაბა კილაძე პროექტმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ კონკურენტებად აქცია, მაგრამ ეს მხოლოდ სხვის თვალში. სინამდვილეში კი ერთმანეთის დიდი გულშემატკივრები არიან, მათი მეგობრობა წლებს ითვლის. მსგავსმა თვისებებმა, საერთო ინტერესებმა მათ შორის არსებული ასაკობრივი ზღვარი წაშალა. მალე ისინი სპექტაკლის რეპეტიციებს შეუდგებიან, სადაც ორივე ერთად ითამაშებს.

**— გახსოვთ, სად და როგორ ნახეთ ერთმანეთი პირველად?**

**ეკა:** ჩემი და ჯაბას გაცნობის მომენტი არც მახსოვს. მე მის მშობლებთანაც ვმეგობრობ. ახლა ისევ დაიწყება ჩემს ასაკზე ლაპარაკი...

**ჯაბა:** შენს ასაკზე მე უფრო კარგად ვილაპარაკებ!

**ეკა:** ჯაბა ბუნებრივად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და ჩემს გულში. მას ახალგაზრდა მშობლები ჰყავს — თემო კილაძე და ციცინო კობიაშვილი. წლების განმავლობაში ჩემი კოლეგები იყვნენ. სანამ ჯაბა წამოიზრდებოდა და თეატრში მოვიდოდა, ჩვენ ვახლობლობდით. დღემდე ოჯახებით ვმეგობრობთ. ციცინოს ახლახან ჰქონდა პრემიერა, მაგრამ სპექტაკლი ჯერ ვერ ვნახე. ჯაბას მოვუბოდიშე, ვერ მოვედი-მეთქი და აღმოჩნდა, რომ თვითონაც არ ყოფილა... ახლა ჯაბასთან უფრო ვმეგობრობ, ვიდრე მის მშობლებთან. მასთან გაცილებით ხშირად მაქვს კონტაქტი.

**ჯაბა:** რაღაც ჯაჭვი გადაიბა. ეკას შვილებიც ჩემი მეგობრები არიან.

**ეკა:** ჯაბას ყოფილ მეუღლეს, თამთა ჭელიძეს, ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა ძალიან პატარა იყო. თამთას დედა ჩვენთან, ინსტიტუტში მუშაობდა. ბოლოს კი თამთა და ჯაბა დაწყვილდნენ. ერთი სამყარო გვაქვს და ყველა ერთად ვართ.

**— რა არის ის ძირითადი თვისება, რამაც ასე დაგაახლოვათ?**

**ჯაბა:** ჩვენ ზუსტად ერთნაირები ვართ. მეგობრობა 24 საათიან შეხებას არ ნიშნავს. ერთ თეატრში ვართ, ერთ სფეროში ვმუშაობთ.

**ეკა:** სპექტაკლებში ერთადაც გვითამაშია. ჯაბა და ნიკო (აწ გარდაცვლილი პოეტი და მსახიობი ნიკო გომელაური, ეკას ყოფილი ქმარი. ავტ.) თავისუფალ თეატრში ერთად მუშაობდნენ. მასთანაც მეგობრობდა. მე და ჯაბას ბევრი შეხების წერტილი გვაქვს. ძალიან ნიჭიერი, ხალისიანი, კარგი ხასიათის, კარგი გარეგნობის ბიჭია. კლუბებში ერთადაც ვერთობით.

რაც ყველაზე მთავარია, ერთმანეთის გულშემატკივარები ვართ და ეს პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მსვლელობაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. სამ თვეზე მეტ ხანს ერთად ძალიან მძიმე შრომა გავწიეთ.

**— პროექტში კონკურენტები იყავით და ამას როგორ ეგუებოდით?**

**ეკა:** ალბათ ვიღაცისთვის ასე იყო, მაგრამ მე არავის ვთვლიდი კონკურენტად, მით უმეტეს, ჩემთვის ისეთ უახლოეს ადამიანს, როგორიც ჯაბაა. ბევრჯერ ვთქვი, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვეჯიბრებოდი. სულ ვცდილობდი, ჩემი ნომრები უფრო და უფრო უკეთესი ყოფილიყო, რაც ზოგჯერ გამომდიოდა, ზოგჯერ — არა.

ჯაბა არანაკლებ მონდომებული იყო. სამწუხაროდ, მაშინ დატოვა პროექტი, როდესაც ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. როცა არ ველოდით, ზუსტად იმ დღეს გამოეთიშა კონკურსს.

**— ამ პროექტმა რა მოგცათ, გარდა იმისა, რომ სამეჯლისო ცეკვები ისწავლეთ?**

**ეკა:** მიუხედავად იმისა, რომ მე და ჯაბას ხალხი აქამდეც კარგად გვიცნობდა, ჩემი შვილები მეუბნებიან, თითქოს ხალხმა ახლა თავიდან გაგიცნოო. უფრო ცნობადი გავხდი, ვიდრე ვიყავი. არადა როგორ არ მიყვარს სიტყვა „ცნობადი“.

**ჯაბა:** ჯერ ერთი, მაყურებელმა აბსოლუტურად სხვა ამპლუაში გვნახა. მეორეც, საკუთარ თავს გამოცდა მოვუწყვეთ. ეკა ასე თუ ისე მოცეკვავე გახლდათ, მაგრამ მისთვისაც გამოწვევა იყო. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ეკა ყოველდღე როგორ წვალობდა. არასოდეს უთქვამს, რა ვქნა, არ გამომდისო. არც არავის გვქონდა ამის თქმის უფლება, რადგან გულშემატკივარი ჩვენ გამო ფულს ხარჯავდა და ესემეს-ებს გვიგზავნიდა.



■ ჯაბა და ეკა

> ● ჯაბა: „რა დიდი ასაკი ეკას აქვს?! ვინც ამის გამო აკრიტიკებდა, ბოროტები და შურიანები არიან. აბა, მათ შეძლონ ეკას ასაკში ასეთ ფორმაში ყოფნა!“.

**— ეს კონკურსი თქვენგან ფიზიკურ გამძლეობასაც მოითხოვდა და მორალურსაც. ბევრი გაკრიტიკებდათ. ეკა, თქვენს ასაკსაც უსვამდნენ ხაზს, ამბობდნენ, მონაწილეობა არ უნდა მიეღოო.**

**ეკა:** 41 წლის ვარ. საზღვარგარეთ ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება. ამ ასაკში ქმნიან ოჯახებს, კარიერასაც კი იწყებენ, შვილებს აჩენენ. ჩვენთან რატომღაც ითვლება, რომ თუ 40 წლის ხარ, საკუთარ თავს ხაზი უნდა გადაუსვა.

**ჯაბა:** თუ 22 წლის ხარ, კარგი „როჟა“ ხარ და თუ 40-ის, შენი დედა ვატირე?! ასეთი მიდგომა არასწორია! ეკამ ძალიან კარგად იცის თავისი შესაძლებლობები, მაგრამ ვიღაცეების კომენტარები მასზე ნამდვილად მოქმედებდა. რა დიდი ასაკი ეკას აქვს?! ვინც ამის გამო აკრიტიკებდა, ბოროტები და შურიანები არიან. აბა, მათ შეძლონ ეკას ასაკში ასეთ ფორმაში ყოფნა და ამდენის კეთება იმის პარალელურად, რომ შვილები ჰყავს და ცოტა ხანში ბებია გახდება. მისი ასაკის ქალებისთვის ეს სტიმული უნდა იყოს. არ არის აუცილებელი, ყველამ ცეკვა დაიწყოს, უბრალოდ კარგი იქნება, თუ ფორმის შენარჩუნებაზე არც ამ ასაკში იტყვიან უარს. ეკას ასაკის ქალების 80 პროცენტი სილამაზის სალონში წელიწადში ერთხელ თუ შევა, საკუთარ თავს არ უვლიან.

> ● ეკა: „პროექტში ჩემზე 20 წლით უმცროსი კონკურენტები მყავდნენ, რაზეც მეცინებოდა. მე და რუსკა მაყაშვილის დედა კურსელები ვიყავით, ის ჩემ თვალწინ გაიზარდა“.

**ეკა:** თუმცა მე იმ ქალების კატეგორიას არ განვეკუთვნები, ვინც თავს უვლიან. პირიქით, საერთოდ არ ვუვლი ჩემს თავს.

**ჯაბა:** ეკა შვილებს უვლის.

**— ეკა, მართლაც ძალიან კარგ ფორმაში ხართ. როგორ ახერხებთ ამას, დიეტას იცავთ, ვარჯიშობთ?**

**ეკა:** ქუჩაში ყველა მეუბნება, რა კარგ ფორმაში ხარ, როგორ გახდი და კარგად გამოიყურებიო. ეს კი მხოლოდ ჩემმა ყოველდღიურმა ვარჯიშებმა, შრომამ, სტრესმა განაპირობა. დიეტაზე არ ვყოფილვარ. შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურად საერთოდ მოვიშალე, აბსოლუტურად ყველა კუნთი მტკიოდა. მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ნახევარფინალამდე მივედი. ამდენი თვე ამ პროექტით ვიცხოვრეთ მეც, ჩემმა შვილებმაც და სიძემაც. ყველა ჩემზე იყო აწყობილი. არიქა, დაღლილი მოვიდა, ჭამე, დაისვენე, დაიძინეო. მართლა ფორთხვით ავდიოდი სახლში.

**— ასაკით თქვენზე პატარა კონკურენტები არ გაშინებდნენ?**

**ეკა:** არა. მართლაც ჩემზე 20 წლით უმცროსი კონკურენტები მყავდნენ. ჩემი შვილების ტოლები იყვნენ, რაზეც მეცინებოდა. მე და რუსკა მაყაშვილის დედა ერთად ვსწავლობდით, კურსელები ვიყავით. რუსკა ჩემ თვალწინ გაიზარდა. როცა დამირეკეს და მონაწილეობა შემომთავაზეს, ვიკითხე, ვინ იყვნენ მონაწილეები და ეგრევე ჯაბას გადავურეკე, რა ვქნათ-მეთქი. მაშინვე თანხმობა ვერ ვთქვი, ჩემს შვილებსაც უნდა დაველაპარაკებოდი, თეატრის ამბებიც უნდა გამერკვია.

**— ზოგჯერ საუკეთესო მეგობრებიც კამათობენ. თქვენ რაში ვერ თანხმდებით?**

**ეკა:** მე და ჯაბას ამდენი წლის განმავლობაში საერთოდ არაფერზე გვიკამათია.

**ჯაბა:** არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც შეიძლება ვიკამათოთ. ალბათ ძალიან ელემენტარულ რაღაცეებში განვსხვავდებით, მაგალითად, საჭმელების სიყვარულში. მე და ეკას დიდად განსხვავებული აზრები რომ გვქონდეს, ასე ახლოს არც ვიქნებოდით. არც ეკას რაიმე უარყოფითი თვისება მომხვედრია თვალში.

**ეკა:** ახალი სპექტაკლის რეპეტიციები გვეწყება, იქაც ერთად ვიქნებით, მაგრამ ჯერ მეტს ვერაფერს გეტყვით. ისე მომენატრა თეატრში რეპეტიციები, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება.

**ჯაბა:** მეც გულის ფანცქალით ველოდები.

**— ბევრს ქალისა და მამაკაცის მეგობრობის არ სჯერა, მით უმეტეს, მსახიობთა წრეში. ასეთი ურთიერთობა ხშირად ხდება ჭორის საბაბი...**

**ჯაბა:** რა სისულელეა! ბევრი მეგობარი გოგო მყავს და ისინი ჩემთვის ჩვეულებრივი, ნამდვილი მეგობრები არიან.

**ეკა:** მით უმეტეს, თეატრში ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ონისე ონიანიც ჩემი მეგობარია და ნიკუშა კუჭავაც. ამ ადამიანებს ცოლები ჰყავთ და რაზე შეიძლება ლაპარაკი!

**— საკუთარი გამოცდილებიდან რა შეგიძლიათ მითხრათ, მეგობრობა ჭირში მტკიცდება თუ ლხინში?**

**ეკა:** ჯაბა მე ყოველთვის გვერდით მიდგას. აუტსაიდერებში რომ ვიდექი, ჯაბა მაშინაც ჩემ გვერდით იყო, ჩემზე მეტად ნერვიულობდა. მერე ჩამოვიდა, მომეხვია.

**ჯაბა:** მეგობრობა ისაა, როცა სულ გვერდით უდგახარ. რა მნიშვნელობა აქვს, უჭირს თუ ულხინს. მე რომ გავიგო, ეკას რაღაცაში ვჭირდები, ნებისმიერ შემთხვევაში მის გვერდით აღმოვჩნდები.

**ეკა:** ჩემი შვილი, ჯეჯიკო, რომ უნივერსიტეტში აბარებდა, ჯაბამ უამრავჯერ დამირეკა, რას შვრებაო. როცა კარგად ვარ, მაშინაც ჩემ გვერდით არიან მეგობრები და როცა ცუდად ვარ, მაშინაც.

**— თქვენი უახლოესი გეგმები როგორია?**

**ეკა:** შვილიშვილს ველოდები და მის დასახვედრად ვემზადებით. აქამდე ამ ყველაფრისთვის არ მეცალა. ახლა კი ნელ-ნელა ჩვეულებრივ ცხოვრებას ვუბრუნდები.

**ჯაბა:** ეკას ყველაზე დიდი გეგმა ჰქონია. მე ახლა ცოტა უნდა ამოვისუნთქო. ჩემი ყველა გეგმა ისევ თეატრს უკავშირდება.

✓ ქეთი დინოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩვენი ტრადიციული სამოსი ერთდროულად თავმომწონეც არის და თავმდაბალიც“

## «წარსულში დაკარგული» ლუარსაბ ტოგონიძე

გასულ საუკუნეში, კომუნისტურ ხანაში, ყოველ 26 მაისს, ოთხი მეგობარი — კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი, საქართველოს დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სეირნობდნენ. ეს იყო პროტესტის ფორმა. ასე გლოვობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. ქართული ყოფიდან თანდათან გაქრა ტრადიციული სამოსი, ის მხოლოდ სცენასა და კინოს შემორჩა და მხოლოდ ნაციონალური კოსტიუმები გახდა, სხვა არაფერი. რამდენიმე წლის წინ კი, უკვე ამ საუკუნეში, ორმა მეგობარმა, ლევან ვასაძემ და ლუარსაბ ტოგონიძემ, ქართული სამოსის გაცოცხლება გადაწყვიტა და იდეას ხორციც შეასხა. ასე შეიქმნა ეროვნული ტანსაცმლის მაღაზია „სამოსელი პირველი“, სადაც ისინი მიდიან, ვისთვისაც ქართული ტრადიციული ჩაცმულობა ძვირფასი, საამაყო, ეროვნულობის ხაზგასასმელი და, თუ გნებავთ, უკვე მოდურიცაა.

„სარკე“ ზემოხსენებული ორი მეგობრიდან ერთს, ლუარსაბ ტოგონიძეს ესაუბრა. ტრადიციების სიყვარული და პატივისცემა მას ოჯახიდან მოსდევს. სულ პატარა იყო, როცა ჩოხაში პირველად გამოაწყვეს. დღეს უკვე თავის ხუთ შვილს ზრდის ამ ტრადიციებით. ბატონ ლუარსაბს გვერდით უდგას მეუღლე — ნინო მამულაშვილი, რომელსაც თავის მენეჯერს უწოდებს.

**— ბატონო ლუარსაბ, დაწვრილებით გვიამბეთ, როგორ გაჩნდა ნაციონალური ტანსაცმლის მაღაზიის გახსნის იდეა.**

— თავიდან გეტყვით იმას, რომ ყველა ადამიანს სიამოვნებს ყურადღება და როცა მის საქმიანობას წარმოაჩენენ. მე კი მერიდება ხოლმე,

**„5-6 წლის ვიყავი, როდესაც ჩოხა პირველად შეგნებულად ჩავიცვი. ეს მოხდა ახალი წლის დღესასწაულზე და ის ახალი წელი არასდროს დამავიწყდება".**

იმდენად ხშირად ახსენებენ ლუარსაბს. კარგია, იშვიათი სახელი როცა გქვია, მაგრამ ზედმეტი ყურადღება არ მომწონს. ვთვლი, რომ საშუალოზე მეტად ზარმაცი ადამიანი ვარ და ჩემი შესაძლებლობა სხვა ადამიანს რომ ჰქონოდა, უფრო მეტს მოასწრებდა. რაც შეეხება ეროვნული ტანსაცმლის მაღაზიას, ნაციონალურ სამოსს მხოლოდ სცენაზე ვხედავდით და გვინდოდა, რომ ეს ყოველდღიურ ყოფაში დაგვემკვიდრებინა. იდეა კი მე და ბიზნესმენ ლევან ვასაძეს გაგვიჩნდა, რომელიც ჩემი მეგობარია. ჩვენ საჭირბოროტო თემებზე ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე. ერთ დღესაც ასეთი თემა წამოიჭრა, თუ რატომ არ შეიძლება, ისეთი საწარმო შეიქმნას, რომელიც ჩვენს ტრადიციულ სამოსს დღევანდელ ყოფაში დააბრუნებდა. სცენისთვის განკუთვნილი კოსტიუმი სხვა არის, ყოფისთვის განკუთვნილი კი — სხვა. ამიტომ გვინდოდა სცენასა და საზოგადოებას შორის გაჩენილი უფსკრულის დაძლევა. რაც მთავარია, ამ ყველაფერს სათანადო წარდგენა უნდა ჰქონოდა და სიფრთხილით უნდა გაკეთებულიყო.

**— სურვილი კარგია, მაგრამ როცა საქმე ისტორიული ტრადიციის აღორძინებას ეხება, იქ დიდი ცოდნაა საჭირო. ვინ დაგეხმარათ?**

— ამ საკითხზე ბევრი ვიმუშავეთ და ამაში სამეცნიერო წრემ უდიდესი დახმარება გაგვიწია. ხელოვნებათმცოდნეებმა და ეთნოგრაფებმა კონსულტაციები უანგაროდ გაგვიწიეს. ჩვენ



■ ლუარსაბ ტოგონიძე და ლევან ვასაძე

უკან მთელი ჯარი დგას იმ ადამიანებისა, რომლებიც გვეხმარებიან. ჩვენი ამჟამინდელი ხელმძღვანელი არის საკმაოდ ნიჭიერი ქალბატონი ანა ნინუა, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგვეხმარა. აგრეთვე გვერდით დაგვიდგა მომღერალი ნიაზ დიასამიძე, რომელიც ჩვენი ლოგოს ავტორია, რაც ალბათ ბევრმა არც იცის. პრეზენტაციის გაკეთების დროსაც მან დიდი დახმარება გაგვიწია. ამ დღეს დავინახეთ, რომ სამოსი მხოლოდ სხეულის შემამკობელი კი არა, გარემოს შემამკობელია, თუკი ის სწორად არის წარდგენილი. ჩვენი ტრადიციული სამოსი ერთდროულად თავმომწონეც არის და თავმდაბალიც. მთავარი ის არის, რომ ყინული დაიძრა.

**— თქვენი მეგობარი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა, თუმცა პირადად მასზე ცოტა რამაა ცნობილი. თქვენს მეგობრობაზე გვიამბეთ.**

— მე და ლევანი ბევრმა გარემოებამ დაგვაკავშირა, უმთავრესად კი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. ერთმანეთი სწორედ კათოლიკოს-პატრიარქთან სტუმრობის დროს გავიცანით. მერე კი აღმოჩნდა, რომ მე და ლევანს ბევრი საერთო გვქონდა. ჩვენი დედები თურმე ჯგუფელები იყვნენ, საერთო მეგობრები გვყავდა და ა.შ. ხომ იცით, თბილისი პატარაა და ყველა ყველას იცნობს.

**— როცა ეროვნული სამოსის შექმნა დაიწყეთ, სად წააწყდით ყველაზე დიდ სირთულეებს?**

— ჩოხამ, ასე თუ ისე, საბჭოთა პერიოდი გამოიარა. ის იმდენად სრულყოფილი და დასამახსოვრებელია თავისი ფორმით, რომ დიდად მისი დეგრადაცია არ მომხდარა, თუმცა სამოსის ზოგიერთი ელემენტი დავიწყებას არის მიცემული და მათი აღდგენისას სიფრთხილე გვმართებს. ქალის ტანსაცმელზე მუშაობა გაცილებით რთული აღმოჩნდა. ბევრი ჩვენი მეგობარი გვირჩევდა, ნუ იჩქარებთ, ქალების თემას ჯერ ნუ შეეხებით, ძალიან რთულია და, ჯობია, თქვენი მთავარი მიზანი ჩოხების პოპულარიზაცია იყოს, მერე კი, ვინ იცის, რა მოხდებაო. რადგანაც ახალი და საინტერესო საქმე წამოვიწყეთ, ჩავთვალეთ, რომ გარკვეული რისკი აუცილებელი იყო. სამუზეუმო ექსპონატებს, ფოტომასალასა და სამეცნიერო ლიტერატურას გავეცანით. შემდეგ კი ავარჩიეთ ის, რაც ახალგაზრდა თაობისთვის უფრო მისაღები იქნებოდა.

ამ საქმის კეთება ცოტა რთული იყო, თუმცა — სასიხარულო. ისიც არ ვიცი, საბოლოოდ ჩვენმა კლიენტურამ უფრო დიდი სიამოვნება მიიღო, როცა ჩვენი პროდუქცია იხილა თუ ჩვენ, როცა მასზე ვმუშაობდით. შეიქმნა კოლექცია, რომელიც ასახავდა არამარტო ჩოხას, არამედ ქართველი მამაკაცების იმ დავიწყებულ სამოსს, რომელიც ბევრს არც გაუგია. მაგალითად, ქულაჯა — თავადური კაბა, რომელიც ჩოხის „წინაპარია“, ჩაქურა — დასავლეთ საქართველოს და შავი ზღვისპირეთის სამოსი და ა.შ. მკერავები, დიზაინერები, მოდელები, მოცეკვავეები — ყველანი ბედნიერები იყვნენ ამ კოლექციაზე მუშაობის დროს. გრძნობდნენ, რომ ისინიც ამ ლამაზი წარსულის ნაწილი იყვნენ.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა აღვნიშნო და, იმედია, არავინ მიწყენს. ზოგადად, მოდელები ძალიან კარგი გოგონები არიან, თუმცა, როცა მათ ტრადიციული სამოსი ჩაიცვეს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ რაღაც აკლდათ. ხოლო მოცეკვავეებმა როცა მოირგეს, მათ სიარულს, დგომას ეს სამოსი საოცრად მოუხდა.

ამან, უპირველესად, დიდი სიხარული მოგვიტანა. ისეთი განცდა გვაქვს, რომ რაღაც სასიკეთო საქმეს ვემსახურებით. ჩვენთან ყველა

**„მას რაღაც განსაკუთრებული ძალა გააჩნია იმიტომ, რომ მე ვხედავ თვალნათელ ფერისცვალებას იმ ადამიანებისას, რომლებიც ჩოხას მოირგებენ ხოლმე".**

ასაკისა და ყველა ეროვნების ადამიანი შემოდის. ახალგაზრდები აღფრთოვანებულები არიან, უხარიათ. უცხოელებისთვის ეს საინტერესოა, რადგან ჩვენი სამოსის გამორჩეულობით, სინატიფით და ელეგანტურობით ქართველების ხასიათის შეცნობა შეუძლიათ. საერთოდ ქართველები სიძველეებით ხშირად ვამაყობთ, მაგრამ ბევრს არ გვესმის ამ ყველაფრის მნიშვნელობა. ჩვენი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ მოგვეხდინა ქართული ტრადიციული სამოსის პოპულარიზაცია და ხალხს მეტი რამ გაეგო. დღეს უკვე ორი მაღაზია გვაქვს და შესაძლოა, კიდევ გავფართოვდეთ.

ჩვენი ტრადიციული სამოსი ამტკიცებს იმას, რომ ქართველები არამხოლოდ გადარჩენისთვის იბრძოდნენ. საკვირველია, როგორ ახერხებდნენ, რომ ყველა შემოტევისთვის გაეძლოთ, გამკლავებოდნენ და ამავე დროს ასეთ რაღაცეებს ქმნიდნენ. ამან კი იმის განცდა მოგვცა, თუ როგორ უნდა გახდეს წარსული ჩვენთვის მაგალითის მომცემი. ყველაზე მეტად იმან გაგვაოცა, რომ ესა თუ ის ტრადიციული სამოსი მხოლოდ გარედან კი არა, შიგნიდანაც ასევე სუფთად არის დამუშავებული.

**— რაც შეეხება სამოსის ფასებს, საზოგადოების ფართო ფენებისთვისაცაა ხელმისაწვდომი თუ მხოლოდ გარკვეული კლიენტურისთვის?**

— სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ, ჩვენი ფასები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ვცდილობთ, ის ხასიათი შევინარჩუნოთ, რაც ამ სამოსს ეკადრება. კი, ბევრი საყვედური მოვისმინეთ ფასებთან დაკავშირებით, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენი მიზანი კომერცია კი არა, წარსულის სურნელის გამოაშკარავება იყო. იქამდეც მივალთ, რომ ფასებს დავუკლებთ. ამას ჯერჯერობით ისიც ართულებს, რომ ბევრი ძვირფასი მასალისა და ქსოვილის ჩამოტანა უცხოეთიდან გვიწევს. ხალხი იმაში უნდა დავარწმუნოთ, რომ მას სწორედ ისეთი პროდუქცია უნდა, რომელიც დიდი შრომითა და სიყვარულით შეიქმნა, ვიდრე მიფუჩეჩებით



Cyan Magenta Yellow Black

გაკეთებული.

**— როგორ ფიქრობთ, საზოგადოება მზად აღმოჩნდა ასეთი სიახლის მისაღებად?**

— ბუნებრივია, ვიცით, რომ ხალხი ჩოხა-ახალუხით ქუჩაში ვერ ივლის. დრო შეიცვალა, მაგრამ ტრადიციულ სამოსს თავისი ნიშა უნდა ეკავოს. არ არის აუცილებელი, ყოველდღედ ტრადიციულად გამოვეწყოთ, მაგრამ ზოგჯერ ესეც საჭიროა, რადგან ჩვენი წარსული არ უნდა დავკარგოთ. ხალხი ამას ნელ-ნელა ეჩვევა. ბევრს არ სჯერა, რომ ადამიანებს ეს აინტერესებთ და გვეუბნებიან, ის დრო წავიდა და ხელოვნურად ვერ დააბრუნებთო, თუმცა იაპონიასა და ინგლისში არის სპეციალური მაღაზიები, სადაც ტრადიციულ სამოსს ყიდიან. იაპონიაში, ერთ-ერთ მაღაზიაში, კიმონო ორი ავტომობილის ფასი ღირს. ხელობა უნდა დაფასდეს. როცა ადამიანმა თავისი წარსული იცის, ის მერე თავისი ნიჭიერებითა და ამ ცოდნით სასწაულებს მოახდენს. იცით, რატომ არიან იაპონელი დიზაინერები წარმატებულები? იმიტომ, რომ თავიანთ ტრადიციებს კარგად იცნობენ და იქიდან ბევრ საინტერესო ელემენტს იღებენ, რომელიც სხვა ერს არ აქვს. როცა შენი დაფლული საგანძური გაქვს, ცოტა გარჯა და მისი ამოღება არ უნდა დაგეზაროს. ჩვენ ამ საქმიანობას მხოლოდ კონსერვატიულად არ ვუდგებით, აქ ბევრი ნოვაციაა, რაც სიფრთხილით კეთდება. ჯერ კიდევ შემეცნების პროცესში ვართ.

**— თქვენთვის ჩოხა რას ნიშნავს და თუ გახსოვთ, როგორ მოირგეთ ის პირველად?**

— ჩოხა ქართველობის ერთ-ერთი ნიშანია, საბჭოთა დროში კი ეს სამოსი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლო იყო. პირადად ჩემთვის ჩოხა ყოველთვის იდენტობა იყო. ეს არის პიროვნების ნაწილი, რადგან ჩვენი წინაპრები სწორედ ამ სამოსს ატარებდნენ. 5-6 წლის ვიყავი, როდესაც ჩოხა პირველად შეგნებულად ჩავიცვი, თუმცა მანამდეც მცმია. ეს მოხდა ახალი წლის დღესასწაულზე და ის ახალი წელი არასდროს დამავიწყდება, რადგან ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რაღაც ჯილდო მომცეს. ვგრძნობდი, რომ ის ბოლომდე არ მეკუთვნოდა, მაგრამ მინდოდა, გამემართლებინა. ჩოხასთან გაშინაურებული არასდროს ვყოფილვარ. არ გეგონოთ, რომ ეს სამოსი ზედმეტად გაფეტიშებული მაქვს. ბევრი ადამიანი მინახავს, ვინც ჩოხას ზემდეტ მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა

**„მოდელები ძალიან კარგი გოგონები არიან, თუმცა, როცა მათ ტრადიციული სამოსი ჩაიცვეს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ რაღაც აკლდათ. ხოლო მოცეკვავეებმა როცა მოირგეს, მათ სიარულს, დგომას ეს სამოსი საოცრად მოუხდა".**

მას რაღაც განსაკუთრებული ძალა გააჩნია იმიტომ, რომ მე ვხედავ თვალნათელ ფერისცვალებას იმ ადამიანებისას, რომლებიც ჩოხას მოირგებენ ხოლმე.

**— ცნობილია, რომ თქვენ საეკლესიო გალობის ცენტრის წევრიც ხართ. დიდი ხანია, რაც გალობთ?**

— დიახ. როდესაც 1998 წელს საპატრიარქოს მგალობელთა გუნდი დაარსდა, იმ 9 ადამიანს შორის ვიყავი, რომლებიც უწმინდესთან მივედით. მან გვითხრა, სამების ტაძარი რომ აშენდება, ასზე მეტი მგალობელი გეყოლებათო. იმ დროს ასეთი რაღაც წარმოუდგენელი იყო. ჯერ ერთი, რომ სამების ტაძრის იმ მასშტაბით აშენებას პირი არ უჩანდა და მეორეც, მგალობელი ბიჭების მოძებნა ძალიან ჭირდა. ახლა უწმინდესის წინასწარმეტყველებას ფაქტობრივად მივუახ-



■ ლუარსაბის და ნინოს ქორწილი

**„მე ზოგჯერ მჩვევია ოცნებებსა და წარსულში ჩაკარგვა, ნინოს კი ამ მხრივ ყოველთვის სწორი მიდგომა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი გამომაფხიზლებელია".**

ლოვდით. მთავარი არის, რომ დიდი საგანძური გვაქვს. ეს არის ის უძველესი საგალობლები, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა შემოინახეს. ჩვენ კი ვცდილობთ, რომ ეს ყველაფერი მთელ საქართველოში გავავრცელოთ.

**— კიდევ ერთ საინტერესო საქმეს ხართ შეჭიდებული, ეს არის საეკლესიო ისტორიის კვლევა. რატომ დაინტერესდით ამ ყველაფრით?**

— საეკლესიო ისტორია და სხვადასხვა სასულიერო პირების ცხოვრება სულ მაინტერესებდა. ვთვლი, რომ ეს ადამიანები გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი მოღვაწეობით. ამიტომაც გადავწყვიტე, მათ შესახებ მეტი რამ მცოდნოდა და ხალხისთვისაც გამეგებინებინა. ხშირად გული მწყდება, რომ ჩემი ინტერესების კონკრეტიზებას ვერ ვახერხებ. მართლა ბევრ რამეს მოვედე. ეს არის ეკლესიის ისტორია, გალობა, ტრადიციული სამოსი, ღვინო, ეთნოგრაფია. ჩემი დიდი გატაცება კი ათონის მთა არის. იმდენი ინტერესი მაქვს, რომ ერთი მიმართულების მონახვა მიჭირს. ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია და როცა ერთი საქმით დავინტერესდი, იმან მეორესთან მიმიყვანა, მეორემ — მესამესთან და ა.შ.

როცა სასულიერო მოღვაწეების გვარების ისტორიას ვიკვლევდი, უამრავი რამ გავიგე და ის ადამიანები ჩემთვის ახლობლები გახდნენ. ხშირად ხდებოდა ისე, ამა თუ იმ სასულიერო პირის ნათესავს რომ შევხვდებოდი, მათ წინაპარზე იმდენ რამეს ვუყვებოდი, თვითონაც უკვირდათ. ერთმანეთში ნათესავებივით ვსაუბრობდით. რაც ყველაზე მთავარია, ამ საქმეებმა უდიდესი სიხარული მომგვარა. სხვათა შორის, ამ ყველაფერში მყავს დიდი თანამოაზრე, ჩემი მეგობარი — გიორგი მაჩურიშვილი, რომლისგანაც უდიდეს თანადგომას ვგრძნობ. აგრეთვე, უდიდესი დრო მაქვს არქივში გატარებული და ეს ჩემთვის კიდევ ერთი სამყაროა. ეს არის დროის მანქანა და იქ ყოფნისას ჩემთვის რეალობასთან ზღვარი ქრება. მეგობრები მეხუმრებიან ხოლმე, შენ გარდაცვლილებთან უფრო მეგობრობ, ვიდრე ჩვენთანო. ჩემმა ინტერესებმა მთელი საქართველო მაჩვენა და დროში მამოგზაურა.

**— ბატონო ლუარსაბ, დარწმუნებული ვარ, რომ ოჯახში ტრადიციებს განსაკუთრებით იცავთ.**

— ხშირად ვამბობ, რომ რაც გამაჩნია, ყველაფერი ჩემი მშობლების დამსახურებაა. მათი დახმარებით გავაცნობიერე, რა არის ტრადიციები და სწორად მივუდექი. მე და ჩემი დები ყველა დღესასწაულზე მშობლებთან ერთად ვმღეროდით. ის ტრადიციები, რაც ჩემი ოჯახიდან მომდევს, თავისთავად ჩემს შვილებზე გადამაქვს. ეს უკვე ჩვენი ცხოვრების წესი გახდა. ბევრი ახალგაზრდა მინახავს, ვინც ტრადიციების მიმართ აგრესიულია, რადგან მასთან შეხება არ აქვს. დღე და ღამე კომპიუტერთან ჯდომით ამას ვერც ვერასდროს გაიგებენ. არის ასეთი გამოთქმა: „რა მიგიბარებია და რას ეძებ". ადამიანს რასაც მივცემთ და პატარაობიდან რასაც მივაჩვევთ, დიდობაშიც ისეთი იქნება. ბევრისგან გამიგია, სიგარეტი არ მოსწიო, შხამიაო და ამ დროს თვითონ ეწევა. იმას რა უნდა დაუჯერო? თუკი მაგალითი და გულწრფელობა არ არის, ადამიანს ვერაფერში დაარწმუნებ. მით უმეტეს, ბავშვები ტყუილსა და სიყალბეს ადვილად გრძნობენ. რასაც ადამიანს ასწავლი, იმის თავად თუ არ გწამს, არავინ დაგიჯერებს.

**— დიდი ოჯახის მამა ხართ. გვიამბეთ თქვენს ცოლ-შვილზე.**

— უფროსი გოგონები 10 და 8 წლისანი არიან, ბიჭი — 5 წლის, ხოლო უმცროსი გოგონები — 3 წლის და წლისა და სამი თვის. ჩემი მეუღლე არის ნინო მამულაშვილი. ის შვილებსა და ამ დიდ ოჯახს უვლის. აგრეთვე გვერდით მიდგას ყველა იმ საქმეში, რაც მე ჩამოვთვალე. ნინო ჩემი მენეჯერია და, რადგანაც ძალიან კარგი ორგანიზატორია, მისი რჩევები ბევრ რამეში მეხმარება. მე ზოგჯერ მჩვევია ოცნებებსა და წარსულში დაკარგვა, ნინოს კი ამ მხრივ ყოველთვის სწორი მიდგომა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი გამომაფხიზლებელია. რაც მთავარია, ხუთ შვილს ზრდის, დაჰყავს საბავშვო ბაღში, სკოლაში. მშობლებიც ძალიან გვეხმარებიან.

არის მძიმე დღეებიც, როდესაც ხუთ ბავშვთან ერთად მარტო ვრჩებით და ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელია. მათი მოვლა ძალიან დამღლელი არ არის, მაგრამ როცა ხუთივე ერთად არის, სახლში წყნარად ვერ დაჯდები. კომპიუტერთან იშვიათად ვზივარ, რადგან სახლში ხმაურია და ასეთ დროს კონცენტრაცია

**„ბევრი საყვედური მოვისმინეთ ფასებთან დაკავშირებით, მაგრამ რა ვქნათ? ჩვენი მიზანი კომერცია კი არა, წარსულის სურნელის გამოაშკარავება იყო. იქამდეც მივალთ, რომ ფასებს დავუკლებთ".**

მიჭირს. ვცდილობ, ჩემი ოთახიდან გამოვდევნო, მაგრამ ბავშვები, ხომ იცით, როგორებიც არიან, მაინც ხმაურობენ. უმცროსები უფრო ცელქები არიან, დიდებს კიდევ გავაგონებ რამეს, პატარებთან რთულია. ჩემს შვილებს ხუმრობით სახლის დამანგრევლებს ვუწოდებ, ყველაფერს ანადგურებენ. ჩემს კომპიუტერს კლავიატურა ამოუყარეს. არდადეგების დროს, როდესაც არც სკოლა აქვთ და არც ბაღი, ოჯახში განსაკუთრებული მხიარულება გვაქვს.

**— თქვენი ოჯახის დიდ-პატარა ეკლესიური წესებით ცხოვრობს?**

— რწმენის რიტმის შენარჩუნება ძნელია, მაგრამ აუცილებელი. როგორც კი ამ რიტმიდან ამოვარდები, დაბრუნება რთული ხდება. რწმენაზე საუბარი ძალიან მერიდება. ვცდილობთ, მთელმა ოჯახმა ეკლესიურად ვიცხოვროთ, თუმცა არავინ იფიქროს, რომ რადგან ვგალობ და ეკლესიის ისტორიაზე ვმუშაობ, ამიტომ ღრმა ქრისტიანი ვარ. სამწუხაროდ, ამ ყველაფრისგან შორს ვდგავარ. იმედი მაქვს, რომ მე და ჩემი ოჯახი დროსთან ერთად ეკლესიას უფრო მივუახლოვდებით. მთავარია, რომ რწმენის არსი გაცნობიერებული მაქვს. ძალიან მინდა, მეტად ეკლესიური გავხდე და საეკლესიო პირებს ცოტათი მაინც ვემსგავსო. ვის ცხოვრებასაც ვიკვლევ, მათი ცხოვრების წესი და თავგანწირვა ჩემთვის იდეალია.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# დოდო ხურცილავა შალვა რამიშვილზე ნაწყენია


■ დოდო ხურცილავა

## „ნანიკო ხაზარაძესთან რამდენჯერმე ვთქვი, რაც არ მომწონდა და პასუხად მივიღე, ნუ მძაბავო“

ყოფილი ტელესახე დოდოშკა (დოდო ხურცილავა) რამდენიმე თვეა თავის პირვანდელ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა — მომავალ თაობას თეატრს აცნობს. ტელევიზია ჯერ არ ენატრება, თუმცა მომავალში კვლავ ეკრანზე გამოჩენასაც არ გამორიცხავს. ის დღეს უკვე ღიად ლაპარაკობს იმის შესახებ, რა არ მოსწონდა გადაცემა „დღის შოუსა“ და თავის თანაწამყვანების, ია ფარულავასა და ნანიკო ხაზარაძის. ამის შესახებ ადრე შალვა რამიშვილის გადაცემაშიც ისაუბრა, რასაც მაყურებელთა მხრიდან სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა, მათ შორის ის, რომ პროტესტი დაგვიანებული იყო.

— **ქალბატონო დოდო, როგორც თავად არაერთხელ გითქვამთ, ტელევიზია თქვენი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. ახლა რას საქმიანობთ?**

— ქორეოგრაფიულ სკოლაში გაკვეთილებს ვატარებ ხელოვნების ისტორიაში და ამავე დროს მოზარდ მაყურებელთა თეატრში ძალიან საინტერესო პროექტზე ვმუშაობ. ბავშვებს ავუხსნით, რა არის თეატრი, მისი კომპონენტები, ვაჩვენებთ თეატრის სამზარეულოს, გავაცნობთ კოსტიუმებს, დეკორაციებს და ა.შ.

— **რომელიმე ტელეარხისგან შემოთავაზება არ მიგიღიათ?**

— ჯერჯერობით არაფერია. ტელევიზიებში ცოტა ამღვრეული სიტუაციაა. რომ დაწყნარდება, მერე შეიძლება გამოვჩნდე, თუ ვინმეს დავჭირდები. რამდენიმე პროექტიც მაქვს.

— **გენატრებათ კამერებთან მუშაობა?**

— ჯერჯერობით არ მენატრება. ძალიან კარგად ვარ იქ, სადაც ვმუშაობ, რადგან ჩემი სფეროა. საერთოდ, თეატრში მისვლა ყოველთვის მეჩქარება, იმდენად მიყვარს. მას დიდი მაგია აქვს. ტელევიზიისგან ჯერჯერობით ვისვენებ.

— **დასვენების პერიოდში „დღის შოუს“ ძველ გადაცემებს ხომ არ უყურებთ და აფასებთ საკუთარ თავს, როგორც წამყვანს?**

— არ მიყურებია. ძალიან მიჭირს ჩემი დაწერილის წაკითხვა, ჩემი გადაცემის ნახვა და ა.შ. სულ ვნერვიულობ, რომ სხვანაირად დავწერდი, ან სხვანაირ პასაჟს ჩავურთავდი... ამიტომ თავს აღარ ვიღიზიანებ ამ გადაცემის ყურებით, მით უმეტეს, რომ იყო შემთხვევები, როცა ცოტა უხერხულად ვგრძნობდი თავს. ლაპარაკს დავიწყებდი თუ არა, ორივე ერთად ამყვებოდა ანდა რომელიმე პარტნიორი არ ამბობდა იმას, რაც საჭირო იყო. ამასთან დაკავშირებით მერე საზოგადოებასთან კონფლიქტი იწყებოდა, რადგან მაყურებლები რეკავდნენ და უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ. გახსოვთ ალბათ სცენა, როცა ერთ-ერთი თანაწამყვანი ადგა და უხამსი მოქმედება უჩვენა მაყურებელს. ამ დროს თავზარი დამეცა, გული ცუდად გამიხდა...

**„გადაავლონ თვალი გადაცემებს და ერთხელ მაინც თუ დაინახავენ, რომ მე კვერი დავუკარი მიშას კარის სეფექალს მის ქება-დიდებაში, კი, ბატონო, მიწოდონ მედროვე!“.**

— **ასეთ დროს თანაწამყვანებს არაფერს უუბნებოდით, თუნდაც გადაცემის შემდეგ, რომ კორექტულად უნდა მოქცეულიყვნენ?**

— ამას აზრი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ერთ-ერთს ეგონა, რომ შოუს კეთება უხამსობის თქმა და მასხარაობაა. ეს სწორი არ არის. შოუ არასდროს არის უხამსობა და არავითარ შემთხვევაში არ არის ღადაობა. ეს სიტყვაც კი თავზარს მცემს! „დღის შოუ“ არ იყო სალაღაო გადაცემა. ისეთ თემებს ვეხებოდით, როგორიც იყო უშვილობა, დაავადებები, 1937 წელი და ა.შ. ან თუნდაც, როცა ვსაუბრობდით სამოსზე, რა არის აქ სალაღაო?! ძალიან დიდი მწერლები დიდ ყურადღებას უთმობნენ ქალის ჩაცმულობას. ლევ ტოლსტოი თავიდან ბოლომდე აღწერს კოსტიუმებს, თუ რა აცვია ანა კარენინას, როგორი ბეჭდები უკეთია და ა.შ. ეს უზარმაზარი და ულამაზესი ხელოვნებაა.

— **ეს გადაცემა ორი წელი გადიოდა ეთერში, ამ დროის განმავლობაში თანაწამყვანებთან ურთიერთობისას დისკომფორტი ნამდვილად არ გექნებოდათ. ამას როგორ ახერხებდით?**

— ეს ვალდებულებაა. შენ თუ იღებ პირობებს, იმ პირობებით უნდა ითამაშო. თუ არ გინდა, დაიხურე ქუდი და წადი. გადაცემასთან დაკავშირებით არსებობდა ხელშეკრულება, რომ სამი წლის განმავლობაში ვერ წამოვიდოდით იქიდან. ვინც წავიდოდა, 50 000 ლარი უნდა გადაეხადა. უკაცრავად, მაგრამ თქვენ ჩემს სახლს ხედავთ და ამ ფასად სახლს ვერ გავყიდდი. და კიდევ იყო ერთი მნიშვნელოვანი რამ — მე ვიღებდი სხვა სიამოვნებას, როგორიც იყო ის, რომ ქუჩაში ადამიანები სიყვარულს მიხსნიდნენ. ახლაც, ამდენი დრო გავიდა და ისევ ვგრძნობ ამ განწყობას. ამ ბედნიერებას ვერ გადაფარავს ის, თუ რა ხდება კულისებმიღმა.

— **ნანიკო ხაზარაძემ თქვა, რომ თქვენ პროტესტის გამოხატვის საშუალება გქონდათ მათთან, როგორც პარტნიორებთან.**

— დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მასთან ვთქვი რამდენჯერმე, რაც არ მომწონდა და პასუხად მივიღე, ნუ მძაბავო. როცა ადამიანი ამას გეტყვის, თავი უნდა დაანებო. მე ძალიან მიყვარდა ნანიკო, რამდენად იმსახურებდა ამ სიყვარულს, არ ვიცი.

— **სოციალურ ქსელში ბევრი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს განცხადებას. გეცხადვდნენ, აქამდე სად იყავით, ამბობდნენ, რომ მანამდე უნდა გამოგეთქვათ პროტესტი, სანამ გადაცემას დახურავდნენ. აღიარებთ, რომ ისინი მართლები არიან?**

— ვერ გავაკეთებდი ამას, რადგან კარგად მესმოდა, სადაც ვმუშაობდი. როცა რაღაც კრიტიკულს იტყვი, უნდა ადგე და წამოხვიდე. თქვენ არ გაგიგიათ, რომ ადამიანებს განსხვავებული აზრის გამო სამსახურიდან აგდებენ? მე ამის საშუალება არ მქონდა. არც ახლა მაქვს საშუალება. პრობლემა მქონდა და ახლაც მაქვს. იძულებული ვიყავი, ამეტანა ის, რასაც ვიტანდი. გასული წლის ივლისში რამდენიმე გამოცემას მივეცი ინტერვიუ, სადაც აღვნიშნე, რომ არ მომწონდა სატელიტური თეფშების დაყადაღება. ამასთან დაკავშირებით გადაცემის პროდიუსერი დაიბარეს და უთხრეს, რომ თავი შემეკავებინა ასეთი რაღაცების თქმისგან. სხვაგან რას ვამბობდი, იმას მიკონტროლებდნენ და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, გადაცემაში რომ მეთქვა რამე.

— **სოციალურ ქსელში დაიწერა, რომ თქვენ მედროვე ხართ, რადგან მხოლოდ ახლა გამოთქვით პროტესტი. შალვა რამიშვილმაც აღნიშნა მის გადაცემაში თქვენი სტუმრობის მერე, დოდოშკას ჰგონია, მისი დრო მოვიდაო. ასეთ შეფასებებზე მძაფრი რეაქცია გაქვთ თუ მათ მშვიდად აღიქვამთ?**

— რატომ ვარ მედროვე? რადგან იქ ვმუშაობდი, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი თანამოაზრე ვიყავი? საბჭოთა კავშირის დროს რომ ვმუშაობდით, ყველანი კომუნისტების მომხრე ვიყავით? თუ შიმშილით მოვმკვდარიყავით? იცით, მედროვეობა რა არის? ერთი ხელისუფლების მომხრე რომ ხარ და მისი შეცვლის მერე მეორეს უჭერ მხარს. გადაავლონ თვალი გადაცემებს და ერთხელ მაინც თუ დაინახავენ, რომ მე კვერი დავუკარი მიშას კარის სეფექალს მის ქება-დიდებაში, ან დადებით კონტექსტში ვახსენე იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკა, კი, ბატონო, მიწოდონ მედროვე!

თვითონ ბატონმა შალვამ, მგონი, ვერ გაიგო, მე რა ვთქვი. მე სრულიად გარკვევით განვაცხადე, რომ სააკაშვილის წინააღმდეგი ვიყავი იმ დღიდან, რაც ის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა. მან დასაწყისშივე, 2003 წელს, პითეკანტროფები გვიწოდა მათ, ვინც მისი მომხრეები არ ვიყავით, ასლან აბაშიძის მხარდამჭერებს კი ბაბუინები ეძახა. ადამიანი, რომელიც ამგვარ შეფასებებს აძლევს თავის თანამემამულეებს, თუნდაც ისინი მისი მომხრეები არ იყვნენ, აუცილებლად გააკეთებს შემდეგ ისეთ რაღაცეებს, რაც გაკეთდა.

— **შალვა რამიშვილმა რა გაიგო არასწორად?**

— მეწყინა, მეორე გადაცემაში ვიღაცას რომ უთხრა (არ მახსოვს, ვის), შენც ისე არ მოგივიდეს, როგორც დოდოშკას მოუვიდა და ჰგონია, რომ „მევიდა მისი დროო“. ჯერ ერთი, მე მისი დოდოშკა არ ვარ, მე ვარ ქალბატონი დოდო! როცა მას ბატონ შალვას ვუწოდებ, მანაც ანალოგიურად მომმართოს. მეორეც, არანაირად მიგულისხმია, რომ ჩემი დრო მოვიდა. ძალიან მეწყინა! თუ დააკვირდებით ჩემი ცხოვრების სტილს, ოდესმე იყო ჩემი დრო? საერთოდ, ყველა ქვეყანაში ყოველთვის ნაკლებადაა ინტელიგენციის დრო.

**„ვინც გადაცემიდან წავიდოდა, 50 000 ლარი უნდა გადაეხადა. უკაცრავად, მაგრამ თქვენ ჩემს სახლს ხედავთ და ამ ფასად სახლს ვერ გავყიდდი... მაშინაც და ახლაც ბანკის დიდი ვალი მაქვს“.**

— **ვიღაცამ შეიძლება თქვას, როგორც დღეს ხართ გადაცემის გარეშე, შეგეძლოთ, მაშინაც ისე ყოფილიყავით.**

— უკაცრავად, მაშინაც და ახლაც ბანკის დიდი ვალი მაქვს. გადაცემაში იმიტომ არ ვიყავი, რომ ნიცაში დასასვენებლად მევლო.

— **ია ფარულავამ თავის „ფეისბუქზე“ დაწერა, თუ დოდოშკას არ მოსწონდა გადაცემა, ნუ იმუშავებდა და ნუ შეუკვეთავდა ყოველკვირა ახალ ბეჭდებს ოქრომჭედელთანო.**

— ის ბეჭდები დედაჩემს და ბებიაჩემს ეკუთვნით, თავადაზნაურების წარმომადგენლები იყვნენ. ამის მთქმელი, მაპატიეთ და, გოიმია. ბომონდის წარმომადგენლები სხვის ბეჭდებზე არ ლაპარაკობენ.

— **დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ ყოფილ თანაწამყვანებთან?**

— იაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნანიკო თვითონ არ მირეკავს. ახალი წლები იყო და რომ სდომოდა, დამირეკავდა და მომილოცავდა. ამბობს, რომ მასთან ახლოს ვიყავი და უნდა მეთქვა, თუ რამე მაწუხებდა. თუ ახლო ურთიერთობა გვქონდა, მაშინ უნდა გაეგო, რასაც ვამბობდი. მისგან პასუხად მხოლოდ ეს სიტყვები მივიღე, ნუ მძაბავო.

✓ მანანა ნოდია

# გიორგი ნაზღაიძე საცოლესთან ერთად ამერიკაში საცხოვრებლად მიდის

მოდელ გიორგი ნაზღაიძის ცხოვრებაში ბევრი სიახლეა. ტელევიზიას და რადიოს დაემშვიდობა, სამსახურის გარეშე დარჩა, სამაგიეროდ დიზაინერობა დაიწყო. მოკლე დროში კოლექციის შექმნაც მოასწრო და ნიუ იორკში ჩვენებაც მოაწყო. ყველაზე მთავარი სიახლე კი ის არის, რომ ცოლს ირთავს, საყვარელი ქალი უკვე დანიშნა. რჩეულის ვინაობას არ ამხელს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ის ძლიერი და ლამაზია, ამერიკაში ცხოვრობს და ბიზნესითაა დაკავებული. მის ცხოვრებაში სხვა სიახლეებიცაა, მაგრამ არ ლაპარაკობს, ეშინია, ქართული შოუბიზნესის „შურიანი თვალი არ ეცეს“.

**გიორგი ნაზღაიძე:**

— საერთოდ არ მიყვარს სიახლეებზე ლაპარაკი, რადგან რასაც ვიტყვი, ბოლო მომენტში აღარ სრულდება ხოლმე, შურიანი ქართული შოუბიზნესის თვალი მოქმედებს. ვიტყვი იმას, რომ დანიშნული ვარ. ჩემი საცოლე თბილისში იყო, ახლა ისევ წავიდა. ბეჭდით დავდივარ, ასე რომ, უკვე დაკავებული მამაკაცი ვარ. რაც შეეხება ჩემს ახალ პროფესიას — დიზაინერობას, ჩვენება ჩატარდა ნიუ იორკში და კარგი შეფასებაც მივიღე. ახლა ქალის სამოსზე ვმუშაობ, ესკიზებს ვქმნი. თებერვლის ბოლოს კი ამ ქვეყნიდან (გულისხმობს საქართველოს. ავტ.) მივდივარ, რადგან ვთვლი, რომ აქ ბევრი რამ გავაკეთე, უკვე რეგალიებიც მაქვს და, მგონი, დამსახურებულადაც. ვფიქრობ, რომ აქ ჩემი თავი ამოვწურე. რაღა უნდა გავაკეთო? რაც უნდა მოინდომო, აქ მაინც ვერ მიხვალ იმ დონეზე, რომ ვიღაცამ დაგიფასოს. ჯობია, იქ წავიდე, სადაც დამაფასებენ.

**— ამერიკაში რა უნდა აკეთოთ?**

— ამერიკაში გავაგრძელებ ამ საქმიანობას და ალბათ მსახიობობასაც ვცდი, რომელიც ბავშვობიდანვე მინდოდა. არ ვიცი, იქიდან დავბრუნდები თუ არა.

**— ვინ არის თქვენი საცოლე?**

— არ მინდა მასზე დეტალურად საუბარი, სახელს და გვარს არ გეტყვით. ქართველი გოგოა, ოღონდ აქ არ ცხოვრობს, ნიუ იორკშია. ჩემი ასაკისაა, 27 წლის.

**— როგორ გაიცანით?**

— მე ბიზნესშემოთავაზება მქონდა მისგან, თანამშრომლობა კი ფლირტში გადაიზარდა, ბოლოს — დანიშვნაში. ალბათ მის გამოც ვტოვებ ამ ქვეყანას. საქართველოში ვინც უნდა მოვიდეს მთავრობაში, არც ქვეყანა შეიცვლება და არც ხალხის დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. აქ ყოველთვის იარსებებს ნაცნობობა და ა.შ.

**— თქვენი რჩეული ბიზნესლედია?**

— შეიძლება ასეც ეწოდოს.

**— საკმაოდ პრეტენზიული სასიძო იყავით ყოველთვის. რითი მოგხიბლათ?**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემ გვერდით მდგომი ქალი უნდა ყოფილიყო ჭკვიანი, ლამაზი, მაღალი, გამხდარი, გრძელთმიანი და აუცილებლად — ძლიერი ხასიათით. ასეთი გოგო ვიპოვე.

**— ზუსტად ასეთია, როგორიც აღწერეთ?**

— კი, ძალიან ძლიერია და ეს მომწონს. ყველაფერმა ერთად მომხიბლა. ვისაც ვეძებდი, ის ვიპოვე, ოღონდ საქართველოს საზღვრებგარეთ, მაგრამ ქართველია.

**— მარტივად და სწრაფად განვითარდა ეს ურთიერთობა?**

— იყო დაშორებებიც, შერიგებებიც და ა.შ. ჩემთან ურთიერთობა მარტივი არ არის. გარშემომყოფები ჩემგან სულ სიახლეებს ელიან და ეს ურთიერთობებშიც მახასიათებს. ამასაც თავისი ხიბლი აქვს.

**— თქვენი დანიშვნა რომანტიკულ გარემოში მოხდა?**

— კი, რომანტიკულ გარემოში, ფრანგულ რესტორანში, საკმაოდ განსხვავებულად მოხდა ეს ყველაფერი, მაგრამ დეტალებზე არ მსურს საუბარი.

**— მისთვის მოულოდნელი იყო თქვენი ეს ნაბიჯი?**

— არ ეგონა, ასეთი რომანტიკული თუ ვიქნებოდი.

**— ქორწილს როდის გეგმავთ?**

— ჯერ თარიღი არ დაგვითქვამს. ორივე ვფიქრობთ, რომ აქაც ვიცხოვრებთ.

**— თქვენთვის ეს პირველი ქორწინება არ იქნება. წინა სამწუხარო გამოცდილებას ახალ ოჯახში ალბათ გაითვალისწინებთ.**

— როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, კარგი მეოჯახე და ერთგული ქმარი ვიქნები. მეც ვიცი, რომ ასე იქნება. დარწმუნებული ვარ, კარგი მამა ვიქნები. მინდა, სამი შვილი მყავდეს — ერთი ცოდოა, ორი შეიძლება ერთმანეთს გადაეკიდოს და სამი მშვენიერი ვარიანტია.



■ გიორგი ნაზღაიძე

„ჯერ საერთოდ რა შოუბიზნესი გვქონდა და დღეს ისიც მკვდარია. ერთი მხრივ, მიხარია ეს ამბავი. ისინი, ვისაც ამბიცია ჰქონდათ, ძლივს დაეშვნენ მიწაზე. მომწონს, რომ მათ ეს ამბიციები გაუქრათ".

**— ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი?**

— ძალიან კარგად. ჩემთვის მთავარია, ორ ადამიანს უნდოდეს ერთად ცხოვრება. მე არ ვარ ისეთი ტიპაჟი, ცოლი დედას მივუყვანო და სახლში დავუსვა. მაქვს ჩემი შემოსავალი და შემიძლია საკუთარი ოჯახი შევინახო. ორივე ვიმუშავებთ და ერთმანეთს ხელებში არ შევხედავთ, რაც ზოგადად მომწონს წყვილებში.

**— დიზაინერობა რატომ გადაწყვიტეთ, ეს საქმე შემოსავლიანია?**

— დიზაინერობა მარკეტინგული გათვლით არ დამიწყია. ეს ქველმოქმედების გამო გავაკეთე. საქველმოქმედო ორგანიზაციამ, რომელიც ამერიკაშია დაფუძნებული, შემოგვთავაზა, ბავშვებს დავხმარებოდით. გამიჩნდა იდეა, რომ მოდა და ქველმოქმედება გაგვეერთიანებინა და პატარებს ასე დავხმარებოდით. თანხა მთლიანად ნაძალადევის ბავშვთა სახლს გადაეცა. ამ საქმეს გავაგრძელებ და როცა ჩემს სამოსს შეიძენენ, ფულს საქველმოქმედო მიზნებისთვის დავხარჯავ. სხვათა შორის, ჩემი კოლექციის დიდი ნაწილი ძალიან კარგად გაიყიდა.

**— მაქსიმალური ფასი რა იყო?**

— 250 ლარი. მამაკაცებისთვის გავაკეთე პიჯაკები, შარვლები, ჟილეტები და მაისურები. ფეხსაცმელი ოთხ ფერში გამოვიტანე. ჩემი მეგობარი ქეთი ყიფშიძე დამეხმარა, რომლის სამკერვალოშიც ეს ყველაფერი შევკერე.

**— როცა დიზაინერობას იწყებ, ავტომატურად აცხადებ პრეტენზიას, რომ გერქვას გემოვნებიანი. როგორ ფიქრობთ, გემოვნებიანი ჩამცმელი ხართ?**

— გარშემომყოფებისგან ყოველთვის ვიღებ კომპლიმენტებს, რომ გემოვნებით ვიცვამ. ყოველთვის კარგად გამოვიყურები და ვიცი, სად რა უნდა ჩავიცვა. წლების განმავლობაში მოდელი ვიყავი, თვალს ვადევნებდი მოდის ტენდენციებს, მაგრამ გემოვნება მაინც შინაგანია. ჩემს კოლექციაში იყო ის, რაც საქართველოს აკლია — ფერები.

**— გასული წელი როგორი იყო თქვენთვის?**

— ვერ ვიტყვი, რომ ცუდი წელი იყო, ვერ დავიწუწუნებ, მაგრამ მთავრობის შეცვლის შემდეგ ცნობადი სახეები ჩარჩოებში მოვექეცით. დავკარგე ორი სამსახური — ტელევიზიაში და რადიოში. ვინც უნდა მოდიოდეს მთავრობაში, ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს — ნიჭიერი უნდა დაფასდეს. ბევრი ნიჭიერი ადამიანი დარჩა უსამსახუროდ. საერთოდ იმაზე მწყდება გული, რომ ამ ქვეყანაში ნიჭის ნაცვლად სხვა რაღაცები ფასდება — ლოგინი, ნაცნობობა და ა.შ. აქ ურჩევნიათ, სამსახურში უნიჭო დაიტოვონ, ვიდრე ქუჩიდან აყვანილი ნიჭიერი.

**— რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი იყავით?**

— საერთოდ აპოლიტიკური ადამიანი ვარ, მაგრამ არჩევნებზე ვიყავი. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის მთავრობაში, სხვებს, ვინც პოლიტიკაში არ ერევა, შეზღუდვები არ უნდა ჰქონდეთ. ჯერ საერთოდ რა შოუბიზნესი გვქონდა და დღეს ისიც მკვდარია. ერთი მხრივ, მიხარია ეს ამბავი. ისინი, ვისაც ამბიცია ჰქონდათ, ძლივს დაეშვნენ მიწაზე. მომწონს, რომ მათ ეს ამბიციები გაუქრათ.

**— თქვენს ცხოვრებაში არაერთხელ იყო ცნობად სახეებთან სკანდალური „შეჯახებები“. ამას თქვენი ხასიათი განაპირობებს თუ უმეტესწილად სხვებისგან მოდის უარყოფითი იმპულსები?**

— ერთი, რაც ძალიან კარგი თვისება მაქვს, არის ის, რომ ყურადღებას არავის ვაქცევ.

„ჩემ გვერდით მდგომი ქალი უნდა ყოფილიყო ჭკვიანი, ლამაზი, მაღალი, გამხდარი, გრძელთმიანი და აუცილებლად — ძლიერი ხასიათით. ასეთი გოგო ვიპოვე".

შოუბიზნესში ბევრი შური, ბოროტება და ნაგავია. ჩემი აზრით, ძალიან დიდი ტყუილია, როცა ამბობენ, რომ მეგობრობენ და ერთმანეთი უყვართ. დროთა განმავლობაში მჟღავნდება ხოლმე, რომ ასე არ არის. ბევრი ჭორი გამიგია ჩემზე. ჩემმა ჩვენებამ რომ წარმატებით ჩაიარა, ათასნაირი რაღაც გავიგე, რომ ვიღაცის საყვარლობით მივაღწიე ამას, რომ მე თურმე ძალიან მახინჯი ვარ რეალურად და უამრავი ოპერაცია მაქვს გაკეთებული... ამაზე ყოველთვის მეცინება.

**— თქვენი და ია ფარულავას დაპირისპირება რითი დასრულდა? ეს საქმე სასამართლომდეც მივიდა.**

— ვინ არის ეგ ქალი?! ასეთს არ ვიცნობ!

✓ **მანანა ნოდია**

# ანნა იმედაშვილი: „ავარიაში უმეტესად კაცი მძღოლების გამო ვხვდები“

პროდიუსერისა და რეჟისორის, დათო იმედაშვილის ცოლი, შოუს „ახალგამომცხვარი“ წამყვანი, ანნა იმედაშვილი, ქმრისგან ნაირ-ნაირი მანქანებით არის განებივრებული. მართვაც მანვე ასწავლა. ამჟამად ანა ექსტრავაგანტურ, სტაფილოსფერ „კია სპორტიჯის“ საჭეს უზის. ისიც დათოს საჩუქარია. მან მანქანა შიგნიდან და გარედან თავისებურად გააფორმა და ცოლს სრულიად განსხვავებული, ექსკლუზიური ავტომობილი აჩუქა. ანნა მოწესრიგებული მძღოლია, მაგრამ 200 ლარიანი ჯარიმის გადახდა ორჯერ მაინც მოუწია სიმთვრალის გამო. არადა, როგორც ირწმუნება, სრულიად არამსმელია. თუ როგორ მოხვდა ამ გაუგებრობაში, ქვემოთ შეიტყობთ.

— **ანნა, თქვენი პირველი მანქანა რა იყო და როგორ ისწავლეთ მართვა?**

— დათომ პირველად „მიცუბიში პაჯერო იო“ მაჩუქა. ავტომობილი რომ იყიდა ჩემთვის და მის სანახავად ეზოში ჩავედით, მითხრა, დაჯექი და წავედითო. დაქალებიც ბედნიერად ჩამისხდნენ მანქანაში. როცა საღამოს ნაკლები მოძრაობა იყო, მე და დათო ქალაქში გავდიოდით და მართვას მასწავლიდა. შეიძლება ითქვას, რომ მანქანის ტარება ქმარმა მასწავლა. მართალია, ეს ძალიან დიდი ნერვების ფასად დაუჯდა, მაგრამ ამად ღირდა. მაშინვე მეუბნებოდა, მანქანას ქალივით კი არა, კაცივით მართავო.

— **მანქანის ქალივით მართვა როგორია?**

— ეგ ალბათ დათოს უნდა ჰკითხოთ, ის უკეთესად აგიხსნით. მეუბნებოდა, მანქანას კარგად ფლობო.

— **ესე იგი კრიტიკას არ იმსახურებდით?**

— ვგიჟდები სისწრაფეზე და სიჩქარე აკონტროლეო, ამას მეუბნებოდა. დათოს სულ სპორტული მანქანები ჰყავდა. მაშინ ავტომობილის მართვა კარგად არ ვიცოდი, მაგრამ მის მანქანაზე დავჯდებოდი თუ არა, ეგრევე სიჩქარეს ვკრეფდი. 6 წელია, რაც მანქანას ვმართავ და ამჟამად უკვე ვიტყვი, რომ სტაბილურად კარგი მძღოლი ვარ. საჭეს რომ მივუჯექი, 20 წლის ვიყავი. ალბათ გავიზარდე კიდეც და მშვიდი მძღოლიც ამიტომ გავხდი. თანაც მე და დათო ავარიაში მოვყევით და შეიძლება ამანაც გამოიწვია, რომ ზედმეტად ფრთხილი გავხდი.

— **მძიმე ავარია იყო?**

— 2007 წელს დათო ნინი ბადურაშვილის კლიპს იღებდა. ჩვენ და კიდევ რამდენიმე ადამიანი გადასაღები ადგილების შესარჩევად აჭარის მთებში წავედით დათოს სპორტული მანქანით. სანამ ქობულეთში შევიდოდით, მანქანა მოგვიცურდა და გადავიჩეხეთ. მადლობა ღმერთს, ქვემოთ ყანა იყო და რბილად, უკუსვლით ჩავეშვით. დათო მანქანას გაჩერებამდე, ბოლო წუთამდე მართავდა. ისიც კი მახსოვს, ავტომობილის სვლას სარკეებით როგორ აკონტროლებდა. ჩემს ქმარს სწრაფი მანევრირების დიდი უნარი აქვს, რითიც მე ვერ დავიკვეხნი. ღვთის წყალობით, ყველა უვნებელი გადავრჩით. დიდად არც მანქანა დაზიანებულა, ტრაქტორმა ამოიყვანა და გზა განვაგრძეთ. მადლობა ღმერთს, მას შემდეგ სერიოზული ავარია არ მოგვსვლია.

— **როცა საჭესთან თქვენი ქმარი ზის, თავს მშვიდად გრძნობთ?**

— დათოს მანქანის ძრავი 5,5-ია. სიჩქარეს რომ აკრეფს და საოცარი მანევრების კეთებას იწყებს, ვიძაბები, პანიკაში ვვარდები.

— **ქმრის მანქანით სარგებლობთ ხოლმე?**

— მისი სპორტული კაბრიოლეტის მართვა დიდი სიამოვნებაა. მთელი ზაფხული მისი მანქანით დავდივარ.

— **თქვენი მანქანებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვარდათ?**




**„მანქანის ტარება ქმარმა მასწავლა. მართალია, ეს ძალიან დიდი ნერვების ფასად დაუჯდა, მაგრამ ამად ღირდა“.**

— პირველი მანქანის შემდეგ, ბედობადღეს, დათომ „ჰიუნდაი ტუსონი“ მაჩუქა, რომელიც მართლა სიგიჟემდე მიყვარდა. ჩემი ძველი ავტომობილი კი დათოს ძმას გადავულოცეთ. ახალი მანქანიდან ორი დღე არ გადმოვდიოდი, ლამის იქვე დამეძინა, გაგიჟებული და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ გავყიდეთ.

— **თუ ასე გიყვარდათ, რატომ გაყიდეთ?**

— გასულ წელს დათომ ახალი „კია სპორტიჯი“ იყიდა ჩემთვის. ეს მანქანა ძალიან მოსწონდა, მე — არა. ვტიროდი, ახალი არ მინდა, ძველი მირჩევნია-მეთქი, მაგრამ მაინც იყიდა და „ტიუნინგი“ გაუკეთა. გარედან პრიალა იყო და გლუვი გახადა, ფარები დააბურვინა, სადაც პლასტმასები იყო, სტაფილოსფერი „ალკანტარებით“ გააფორმა, საჭეზე „კარბონები“ გაუკეთა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩემი მანქანა ექსკლუზიურია, სხვას არავის ჰყავს. ამას წინათ მალაზიასთან ვიდექით. გვერდით ზუსტად ჩემნაირი მანქანა გაჩერდა, მაგრამ რომ შევათვალიერე, ჩემსას არაფრით ჰგავდა. თავიდან ასეთი ავტომობილი თბილისში სულ სამი დადიოდა, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ერთადერთი და უნიკალურია.

— **ანუ ეტყობა, რომ ქალის მანქანაა?**

— კი. შავი „ჰიუნდაი“ რომ მყავდა, ძალიან მინდოდა, ფერადი „ჩუტყვავილებით“ გამეფორმებინა, მაგრამ დათო გადაირია. ჩემმა ახალმა მანქანამ „ტიუნინგის“ შემდეგ აგრესიული ფორმა კი შეიძინა, მაგრამ დათო მეუბნება, მაინც გოგოს ავტომობილს ჰგავსო. სპორტულიც არის და ბიჭიც მშვენივრად დაჯდება. დათო მანქანებზეა შეყვარებული და კარგადაც უვლის. მეც ყველაფერი მოწესრიგებული მაქვს.

— **მანქანის ნაწილებშიც კარგად გაერკვევით?**

— ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი ვიცი, მაგრამ ხმის მიხედვით შეიძლება მივხვდე, რა სჭირს.

— **როგორც მივხვდი, უპირატესობას ჯიპს ანიჭებთ და არა — სედანს.**

— ჩემთვის ჯიპი ძალიან კომფორტულია. საცობების დროს ადვილია მანევრირება. მე და დათო სათხილამუროდ გუდაურში ხშირად დავდივართ. ასე რომ, ჩვენთვის ჯიპი საჭიროა.

— **როცა გვერდით ქმარი გიზით, მისგან შენიშვნებს ხშირად იღებთ?**

— ბევრ შენიშვნას მაძლევს. ერთ ანეკდოტს მოგიყვებით. კაცი დილით ერბოკვერცხს იწვავს, უცებ სამზარეულოში ცოლი შეუვარდება და უკივლებს, რას შვრები, მარილი დაამატეო, კაციც დაამატებს; კარაქი დაამატეო, კაციც დაუმატებს; გადმოაბრუნე და ცეცხლს დაუწიეო, იმასაც შეასრულებს. ბოლოს შეეკითხება, რა გინდა, ადამიანო, კვერცხს მე თვითონ შევწვავო. ქალმა უპასუხა, მინდოდა, იგივე გეგრძნო, რასაც მე ვგრძნობ საჭესთან, როცა გვერდით მიზიხარო.

მგონია, რომ ეს ცოლ-ქმრის დილემაა, რომელიც არ მთავრდება. გამუდმებით ერთმანეთის შენიშვნებში ვართ. ისიც უნდა ვთქვა, რომ დათო, როგორც მძღოლს, სხვებთან ყოველთვის მაქებს. თუ მე ვუზივარ გვერდით, მეუბნება, პატრული ხარო, რადგან გამუდმებით შენიშვნებს ვაძლევ.

— **რადგან სიტყვამ მოიტანა, პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— მოწესრიგებული მძღოლი ვარ, მაგრამ, ამის მიუხედავად, სიმთვრალეზე ორი ჯარიმა მაქვს და ორივეჯერ დათოს მანქანას ვმართავდი. პირველად 30 გრამი ალკოჰოლი მქონდა დალეული და თან 3 საათი იყო გასული. გვიან ღამით კლუბიდან გამოვედი, სავსებით ფხიზელი ვიყავი. დათო ნასვამი მანქანას არასდროს მართავს, ამიტომ მე დავჯექი. სახლთან გამაჩერეს და 200 ლარით დამაჯარიმეს. მეორედაც რამდენიმე გრამი სასმელი მქონდა დალეული. პატრულს სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე. ნარკოლოგიურში წავედი, ტესტი ჩავიტარე და აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლი ჯერ კიდევ მქონდა ორგანიზმში. არადა მსმელი არ ვარ, მაქსიმუმი, კოქტეილი დავლიო. მადლობა ღმერთს, ამ ორ ჯარიმას შორის ერთი წელი იყო გასული, თორემ მართვის მოწმობას ჩამომართმევდნენ. მას შემდეგ ერთი წვეთიც რომ მქონდეს დალეული, საჭესთან არ ვჯდები, სახლში ტაქსით მივდივართ.

— **თბილისში წესრიგის დაცვა არ გიჭირთ?**

— კოშმარია! ვილაცის არასწორ მანევრირებას რომ არ შეეწირო, რაღაც უნდა გააკეთო, რომელიც ხან სწორია და ხან — არა. სტუმრად უცხოელები რომ გვყავდნენ, სულ გვეუბნებოდნენ, ასეთ მოძრაობაში მანქანის მართვას ან ორიენტირებას როგორ ახერხებთო. ამერიკაში რომ ვიყავი, საჭესთან იქაც ვიჯექი. ყველა თავის ზოლში დადის. არავინ გისიგნალებს. ყოველ მეორე მანქანას ძალიან მოხუცი მართავს. გადასახვევის მანიშნებელი რამდენიმე მეტრით ადრეა.

— **პირადად თქვენ თუ მოყოლილხართ ავარიაში?**

— კი და უმეტესად — კაცი მძღოლების დამსახურებით. ახალბედა მძღოლი ვიყავი, როცა გვერდიდან კაცმა დამარტყა. პატრულსაც და მეც გვიმტკიცებდა, რომ მე დავეჯახე.

— **ღვედს იყენებთ?**

— რა თქმა უნდა. ჯერ კანონიც არ იყო შემოსული, როცა მე და დათო ღვედს ვიკრავდით. პატარა რომ ვიყავი, მაშინაც კი ვიყენებდი, რაზეც მამაჩემი დამცინოდა. როცა ავარიაში მოვყევით, ღვედის კანონი მაშინაც არ იყო შემოსული, მაგრამ გვეკეთა და ამან გადაგვარჩინა. ჩვენს მანქანაში ულვედოდ არავის ვსვამთ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# კინოკრიტიკოსთა ფავორიტები



■ ჰელენ ჰანტი



■ ენი ჰეტეუეი

სანტა მონიკაში კინოკრიტიკოსების მიერ შერჩეული მსახიობების დაჯილდოება შედგა. ამ დღეს ჰოლივუდელებმა განსაკუთრებულად მოისურვეს გამოპრანჭვა, რათა კრიტიკოსების გული მოეგოთ. ამერიკისა და კანადის კინოკრიტიკოსების ასოციაციამ ეს პრიზები 2013 წელს მეთვრამეტედ დაარიგა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, თვალშისაცემი იყო ვარსკვლავების გარდერობი. მოდის კრიტიკოსების ყურადღების ცენტრში მოექცნენ ჰელენ ჰანტი ზუჰაი მურადის წითელი კაბით და ნაომი უოტსი ემილიო პუჩის დეკოლტირებული კაბით. ასევე კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა ემილი ბლანტმა მიუ მიუს თეთრი კაბით. ენი ჰეტეუეი კი ოსკარ დე ლა რენტას ოქროსფერ კაბაში გახლდათ მშვენიერი.

კინოკრიტიკოსთა რჩეულად ბენ აფლეკის ფილმი „ოპერაცია „არგო“ დასახელდა, თავად მსახიობმა კი საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში აიღო ჯილდო.

ჰოლივუდის ახალგამოჩეკილმა ვარსკვლავმა ჯენიფერ ლოურენსმა ორი პრიზი წაიღო სახლში — ექშენ ფილმის საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო კომედიური მსახიობი.



■ ამანდა სეიფრიდი

ენი ჰეტეუეიმ გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისათვის ფილმში „გარიყულნი“. ამ როლისათვის ენიმ 10 კილო დაიკლო, ამიტომაც ცერემონიალზე მთავარი განხილვის საგანი საოცრად გამხდარი მსახიობი იყო.



■ ემილი ბლანტი



■ ბრედლი კუპერი

კრიტიკოსებმა საუკეთესო მსახიობებად დენიელ დეი ლუისი ფილმისათვის „ლინკოლნი“ და ჯესიკა ჩესტეინი ფილმისათვის „მიზანი ნომერი პირველი“ დაასახელეს. საუკეთესო მძაფრსიუჟეტიან ფილმად „აგენტი 007: სკაიფოლის კოორდინატები“ გამოვლინდა, საუკეთესო კომედიურ მსახიობებად ბრედლი კუპერი და ჯენიფერ ლოურენსი დასახელდნენ, რომლებმაც ერთად ითამაშეს ფილმში „ჩემი ფსიქოპათი შეყვარებული“.


პიმაფუცინი®
ნატამიცინი
თეთრად შლის სამკურნალოდ

უსაფრთხოა ორსულობის დროს

ვაგინალური კანდიდოზის
ეფექტური მკურნალობა




ნებადართულია ორსულობის
ყველა ტრიმესტრში
და ლაქტაციის დროს

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე. ექიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება აღინიშნოს წვის შეგრძნება.

გაიცემა ურეცეპტოდ

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

astellas
იკითხეთ აფთიაქებში....

დისტრიბუტორი
„ავერსი ფარმა,“
აღმაშენებლის 148/2

სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება



# კრისტიან დიორი – არაფერი ახალი!

კრისტიან დიორის მოდის სახლმა 2013 წლის ზამთრის კოლექცია დახვეწილი შტრიხებით წარადგინა. მოდელებში მთავარი აქცენტი გამოყვანილ წელზე იყო გაკეთებული. ტანზე მომდგარი კაბები, ჟაკეტები, დამოკლებული შარვლები, ჰაეროვანი, მუხლქვემოთ სიგრძის ქვედატანები — ყველაფერი დიორის სტილში იყო და არაფერი ახალი, თუ არ ჩავთვლით დიდი რაოდენობით ტყავს და აბრეშუმისა და შიფონის შეხამებას. კოლექციაში არ იყო არც თამამი კონსტრუქციები და არც ფერთა მოულოდნელი შეხამებები. ზოგმა კრიტიკოსმა ამ კოლექციას „ფესვებთან დაბრუნება“ უწოდა, მავანმა კი — „უნიჭობა“.










# ამერიკელი ხალხის რჩეული ვარსკვლავები

ჰოლივუდში 2013 წლის პირველივე დღეებიდან ვარსკვლავების დაჯილდოება-წახალისება აქტიურად დაიწყო. 9 იანვარს „ნოკიას“ თეატრალურ ცენტრში ხალხის რჩეულები დააჯილდოვეს. ამ ცერემონიალს თითქმის არც ერთი ვარსკვლავი აკლდება ხოლმე, ამიტომ ამ დღეს წითელი ხალიჩა ისეთივე დატვირთული იყო, როგორიც ოსკარით დაჯილდოების ცერემონიალის დროს.

ჰეიდი კლუმი მდიდრულ შავ კაბაში პოზირებდა, ნაომი უოტსი მოშიშვლებული ზურგით კეკლუცობდა, ჯენიფერ ენისტონმა კი ტყავის კაბით დაამახსოვრა გარშემომყოფებს თავი, რომელიც ამ სეზონისათვის ყველაზე აქტუალურია.

ორგანიზატორებმა ცერემონიალი გრანდიოზულ შოუდ აქციეს. საღამოს წამყვანები ალიშა კისი და კრისტინა აგილერა იყვნენ. შოუს ერთ-ერთი ყველაზე გულისამაჩუყებელი მომენტი რობერტ დაუნი უმცროსის სიტყვა იყო, რომელიც მან საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ნომინაციაში გამარჯვების შემდეგ წარმოთქვა.

— ამ ჯილდოს ვუძღვნი ჩემს ფანს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა. ის 83 წლის გახლდათ და ჩემი ყველაზე ერთგული თაყვანისმცემელი იყო. ჯოის, ეს შენ გეკუთვნის! — ამ სიტყვებით მსახიობმა ჯილდო ზემოთ ასწია და ყველას დაანახა.


სანდრა ბულოკი


რობერტ დაუნი უმცროსი


ტეილორ სვიფტი


ჯენიფერ ენისტონი


ჯენიფერ ლოურენსი

ჯენიფერ ლოურენსი ხალხის რჩეულ მსახიობ ქალად დასახელდა. მანაც რობერტს მიბაძა და სამადლობელი სიტყვა თაყვანისმცემლებს მიუძღვნა.

— არ ველოდი, დიდი მადლობა თაყვანისმცემლებს! მინდა, ეს ჯილდო დავამსხვრიო და ნატეხები ჩემს ფანებს დავურიგო, — განაცხადა ლოურენსმა.

სანდრა ბულოკმა ხალხის სიმპათიის პრიზი იმის გამო დაიმსახურა, რომ აქტიურად იყო ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში. საუკეთესო კომედიურ მსახიობებად კი ჯენიფერ ენისტონი და ადამ სენდლერი დასახელდნენ, ხალხის რჩეული ფილმი „შიმშილის თამაშები“ გახდა. ხალხის რჩეულ მომღერლებად ჯეისონ მრაზი და კეტი პერი აღიარეს.




ზინერიტი®

ერითრომიცინი-40მგ, თუთიის აცეტატის დიჰიდრატი-12მგ

გაუსწორეთ თვალი ცხოვრებას!

ჩვენ გაძლევთ საშუალებას გაუმკლავდეთ ფერიმჭამელებს

ფერიმჭამელების სამკურნალო,

სწრაფი კლინიკური ეფექტის მქონე

კომბინირებული პრეპარატი

შესამჩნევი ეფექტი მკურნალობის დაწყებიდან 2 კვირაში




ზინერიტი დაიტანება კანის ზედაპირზე, დილა-საღამოს. პრეპარატი არ უნდა მოხვდეს თვალში, პირის ღრუსა და ცხვირის ლორწოვან გარსებზე. ზოგჯერ შესაძლებელია აღინიშნოს კანის ჰიპერემია და წვის შეგრძნება

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი: „ავერსი ფარმა,“ ალმაშენებლის 148/2

astellas

ზინერიტი®

იკითხეთ აფთიაქებ ში....

კარფური

ყოველთვის დაბალი ფასები

# ფასდაკლების აქცია კარფურში

## 16 იანვრიდან 22 იანვრის ჩათვლით!







## სასაჩუქრე ბარათები კარფურისგან!

აჩუქეთ საყვარელ ადამიანს
კარფურის სასაჩუქრე ბარათი,
რათა თავად აირჩიოს ის, რაც სურს!

სამუშაო საათები: 09:30–22:00
თბილისი მოლი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–16 კმ.

www.carrefour.com.ge | www.facebook.com/CarrefourGeorgia

# როგორ გადაურჩა ზაზა მარჯანიშვილი „კატრინას“

## „ლიტვაში 100 გრამ ზაფრანაში 80 ევრო გადავიხადე“

მუსიკოსი ზაზა მარჯანიშვილი 2 წელია, რაც საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა. 18 წელი ამერიკაში გაატარა, რადგან საქართველოში მხოლოდ „ცოცხალ დეკორაციად“ გრძნობდა თავს. სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მისი ცოლი, მარინა სალუქვაძე გახლავთ. 2 წელია, რაც დაქორწინდნენ, ერთად მოგზაურობა კი მხოლოდ გასულ წელს მოახერხეს, ისიც — საქმიანი ვიზიტით. 1 თვეში ზაზა ალბომის ჩასაწერად ამერიკაში წასვლას ამჯერად მეუღლესთან ერთად გეგმავს და ეს მათი პირველი ერთობლივი მოგზაურობა იქნება ოკეანის გაღმა.

**— ბატონო ზაზა, თქვენი პირველი მოგზაურობა თუ გახსოვთ?**

— ანსამბლ „ნერგებში“ ვმღეროდი, რომელმაც საოცარი მუსიკოსები გაზარდა. მათ შორის იყვნენ შესანიშნავი პიანისტი პაატა ანდრიაძე და მამუკა ღაღანიძე („შინის“ ერთ-ერთი წევრი). 6-7 წლის ვიყავი, როცა ანსამბლთან ერთად მაშინდელ ლენინგრადში გავემგზავრე. ეს ჩემი პირველი მოგზაურობა და ერთ-ერთი პირველი საპასუხისმგებლო კონცერტი იყო. ახალი წელიც იქ გავატარე. ძალიან ტკბილად მახსენდება.

**— მას შემდეგ ალბათ ბევრი ქვეყანა მოიარეთ.**

— მუსიკოსისთვის მოგზაურობა გასაკვირი არ არის. ახალგაზრდობაში ძალიან ხშირად მიწევდა ქვეყნიდან გასვლა. ეს ბოლო ერთი წელია, რაც საქართველოდან არსად გავსულვარ. ყველაზე ჩემეული ამერიკაა. იქ თითქმის 18 წელი ვიცხოვრე. ამერიკა ყოფილი საბჭოთა კავშირისხელაა და ამიტომ ძალიან რთულად დასახასიათებელი ქვეყანაა. პირველად იქ 1994 წელს მოვხვდი და რამაც გამაკვირვა, უჰაერობა იყო. ნიუ იორკში ჩასვლა ზაფხულში მომიწია. აეროპორტის კარი გაიღო და ჰაერი არ შემოვიდა, რამაც ძალიან დამაბნია. საშინელი სიცხე და თან ნესტი იგრძნობოდა.

სანამ წავიდოდი, ჩემი მეგობარი დათო ტურაშვილი მეუბნებოდა, მანჰეტენზე რომ გაივლი, ქართველი რომ არ შეგხვდეს, შანსი არ არისო. ორ მეგობართან ერთად ჩავედი. შენობებს ვათვალიერებდით და ვამბობდით: „ვაიმე, ეს რამხელაა, რა ლამაზია, რა ძველია“... უცებ ვიღაცამ გამოიარა და მოგვაძახა: „რა არის, თბილისია, ტოო!“. მაშინ გამახსენდა დათოს სიტყვები.

**— დიდხანს ეგუებოდით ამერიკას?**

— ამერიკასთან შეგუება პირველი დღიდან ბოლო დღემდე მიჭირდა. იქ ვიცხოვრე, მაგრამ მაინც აქაურად დავრჩი. ჩემმა საქმემ გამაძლებინა. ლას ვეგასში კინოსტუდია იყო და 6 თვე იქ ვმუშაობდი. ხუთსერიიანი ფილმისთვის მუსიკა დავწერე. იქ რაც ხდებოდა, ჩემთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია. მუსიკას ისე ვუყურებ, როგორც რელიგიას. მთავარია, ტყუილი არ გამოერიოს და მუსიკოსი წითელ თუმნიანებზე არ გაიყიდოს. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი კაცი გისმენს და სად უკრავ. როცა ინსტრუმენტს მივუახლოვდები, ვრჩებით მე და ღმერთი, რომელსაც ჩემი საქმის კეთება შევფიცე, ეს შემიძლია-მეთქი, ვუთხარი და როგორ ვუღალატო? 8 წლის განმავლობაში ლოს ანჯელესში კინომუსიკაზე ცნობილ თანაავტორებთან ერთადაც მიმუშავია. ესეც დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ყველაზე მეტად „საქართველოს ვარსკვლავზე“ ვინერვიულე. ამდენი ახალბედა მუსიკოსი ჩემს აკორდზე იყო დამოკიდებული და ერთი რომ შემშლოდა, დავიღუპებოდით. ამდენი ამერიკაში არ მინერვიულია.

**— ამერიკამდე საკმაოდ ხანგრძლივი გზაა, თვითმფრინავთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ძალიან უარყოფითი! ფრენის მეშინია და სულ ვნერვიულობ. საერთოდ სიმაღლის შიში მაქვს, სცენაზე რომ ვდგავარ, იქ მეშინია და ფრენის არ შემეშინდება?! ნარკოტიკთან შეხება არასდროს მქონია და ფრენის დროს დამამშვიდებელ აბებსაც არ ვსვამ. ვიცი, რომ მაინც არ იმოქმედებს. ვცდილობ, დავლიო. სან ფრანცისკოდან ჰიუსტონში ვბრუნდებოდი. ისეთი საშინელი შტორმი და წვიმა იყო, თვითმფრინავმა ბალანსი დაკარგა და გამოგვიცხადეს, თავები მუხლებთან ჩაწიეთ, ხელები თავზე შემოიწყვეთ და ვილოცოთო. ჩემ უკან ჩინელი ბიჭი იჯდა, ლოცვას იმხელა ხმით ყვიროდა, მის მოსმენას დაღუპვა სჯობდა. ისე ბღაოდა, მეორე სიკვდილი იმან გადამატანინა. ბოლოს, როგორც იქნა, თვითმფრინავი მაღლა ავიდა და ბევრი წრიული მოძრაობის შემდეგ გასწორდა.



■ ზაზა მარჯანიშვილი

**„ვენა კარგად დალაგებულ, მასტიკამოსმულ სახლს ჰგავს. პირველად რომ ჩავედი, სიგარეტის ნამწვი სად გადამეგდო, არ ვიცოდი. ისეთი სისუფთავე დამხვდა, მასთან შედარებით ამერიკა გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოდ მეჩვენა".**

**— 18 წელი საქართველოს გარეშე როგორ გაძელით?**

— საქართველოდან ზუსტად მაშინ წავედი, როცა ჩვენს ქვეყანას არ ემუსიკებოდა, რადგან სათავეში ულირსნი იდგნენ, კორუფცია სუფევდა და საშინელებები ხდებოდა. მე არ მინახავს, მაგრამ მიყვებოდნენ, მთელი სამეზობლო ცეცხლმოკიდებულ საბურავზე საჭმელს როგორ აკეთებდა. ეს ყველაფერი ვიცოდი და აქ რა მინდოდა?! ქართულ საქმეს ქართული სახელით ვაკეთებდი. მეუბნებოდნენ, სანამ შენს გვარს იტყვი, კონცერტი დამთავრდებაო, მაგრამ ამერიკაში სახელი არ გადამიკეთებია, იქაც ზაზა მარჯანიშვილი ვიყავი.

12 წლის შემდეგ ჩამოვედი საქართველოში და სულ სხვა ქვეყანა დამხვდა, სამწუხაროდ, ისევ არასტაბილური. რაღაც პერიოდი დარჩენას შევეცადე, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობის გამო ინსტრუმენტს ახლოს ვერ გავეკარე, არაფერი დამიწერია. მივხვდი, რომ საქართველოში მხოლოდ ცოცხალი დეკორაცია ვიყავი, რომელიც ოდესღაც ამერიკაში მოღვაწეობდა, ამიტომ ამერიკაში დაბრუნება გადავწყვიტე. უსამსახუროდ ცხოვრება ნებისმიერ ქვეყანაში რთულია, განსაკუთრებით კი — საქართველოში. იმ ადამიანის არ მწამს, რომელიც თავის სახელს მხოლოდ იმიტომ ქაჩავს, რომ უცხოეთშია ნამყოფი. მჯერა მხოლოდ მათი, ვინც თავიანთ საქმეს ყოველ წუთს აკეთებენ.

**— საქართველოში სამუდამოდ დაბრუნება როდის გადაწყვიტეთ?**

— 2011 წლის 13 მაისს დავბრუნდი. ამერიკიდან საქართველო ძალიან კარგად ჩანდა. აქაურ მდგომარეობაზე, მათ შორის კრიმინალზეც, მეგობრებს ხშირად ვეკითხებოდი. კრიმინალი ქვეყნის დონის მაჩვენებლის პირდაპირპროპორციულია. საქართველოზე კარგიც მესმოდა და ცუდიც. დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩემი ცოლი იყო, მარიკუნას გარეშე აღარ შემეძლო. ამერიკამ ჩემში თავისი მისია უკვე შეასრულა. ამ ქვეყანასთან ყველაზე ტკბილი მოგონებები მაკავშირებს. იქ მე ძალიან ბევრი რამ ვნახე, შევიგრძენი და ცხოვრების წესად ავირჩიე ის, რასაც მთელი გულითა და სულით ვუსურვებ ჩემს ხალხს — ერთობა, სითბო, სოლიდარობა და ყურადღება.

**— 18 წლიანი განშორების შემდეგ უკვე საქართველოსთან მოგიწიათ შეგუება?**

— შეგუება ძალიან გამიჭირდა, რადგან საშინელებას წავაწყდი. ნიჰილიზმია გაბატონებული. „ჩემო საყვარელო“, „ულამაზესო“, „უნიჭიერესო“, „შენ გენაცვალე“, „ჩემო ძმაო“ — ეს სიტყვები ძალიან გაუფასურებულია. ნახევარი საათის გაცნობილი ბიჭი რომ გეტყვის, შენს ძმობას ვფიცავარო, ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ასეთ სიტყვებს ამერიკაში ჰაერზე არ ამბობენ. იქ დამსახურებაა საჭირო. ყველაზე მეტად ამ ნიღაბთან შეგუება გამიჭირდა.

**— ამერიკის გარდა სხვა ქვეყნებშიც ხართ ნამყოფი. იქ რა აღმოაჩინეთ და იგრძენით?**

— ავსტრიაშიც ვარ ნამყოფი. ეს ის მხარეა, რომელსაც კარგად ვიცნობ. ვენა კარგად დალაგებულ, მასტიკამოსმულ სახლს ჰგავს. პირველად რომ ჩავედი, სიგარეტის ნამწვი სად გადამეგდო, არ ვიცოდი. ისეთი სისუფთავე დამხვდა, მასთან შედარებით ამერიკა გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოდ მეჩვენა. იმ პერიოდში იქ ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე ცხოვრობდა. ერთხელ ქუჩაში ერთად მივდიოდით, შუა გზაზე ლამაზად შეფუთული ნაგავი იდო პარკით. შეხედა მერაბმა და თქვა, აქ რამ მოგიყვანა, შე დალოცვილო, შენაო. ვენამ ჩემში პირველი შთაბეჭდილება სისუფთავით მოახდინა. მეორედ კი მაშინ გავოცდი, როცა ძალიან დიდ, ოთხსართულიან მაღაზიაში შევედი, სადაც, რაც მუსიკას შეეხება, ყველაფერი იყიდებოდა.

**— საზღვარგარეთ მუსიკალურ საკრავებს ხშირად ყიდულობთ?**

— გაგიკვირდებათ და, გიტარას ვყიდულობ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ფორტეპიანოსთან უფრო დიდი კავშირი მაქვს, ჩემი მუსიკის 70% გიტარაზე დავწერე და ფორტეპიანოზე მერე გადავიტანე. →44



Cyan Magenta Yellow Black

ბევრი გიტარა მაქვს, მაგრამ რომ დავინახავ, ახალი ინსტრუმენტი ისე მინდა, როგორც პატარა ბავშვს ნაყინი. ჩემს რესტორანშიც ყველა ინსტრუმენტი ჩემი შეძენილია.

**— ზოგადად შოპინგს რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში?**

— შოპინგი დიდად არ მიყვარს, უფრო მეტად სხვა რაღაცეები მაინტერესებს. საყიდლების გამო არც ერთ ქვეყანაში ჩავალ. აი, სუვენირების ყიდვა კი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით მაცივარზე მაგნიტით მისაკრავი მოსართავების.

**„მისისიპი მთელ ქალაქში შემოვარდა. კერძო სახლში ვცხოვრობდი, იქაურობა ერთი საათით ადრე რომ არ დამეტოვებინა, აღარც მე ვიქნებოდი. ყველაფერი დავკარგე, მათ შორის — ჩემი სტუდია, 2 მანქანა და უამრავი ფოტოსურათი".**

**— ამერიკასა და ევროპულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავება აღმოაჩინეთ?**

— ამერიკისგან განსხვავებით, ევროპული ქვეყნები სპეციფიკურია, თავიანთ ნაციონალობას დიდ პატივს სცემენ. საფრანგეთში ფრანგი სარგებლობს პოპულარობით და არა — გერმანელი, ინგლისშიც ასეა და იტალიაშიც. ჩვენგან განსხვავებით, ისინი თავისსას უფრო აღიარებენ. ავსტრიაშიც გავიარ-გამოვიარე, კლუბებშიც დავუკარი და მივხვდი, რომ ევროპულ ქვეყანაში სხვა ქვეყნის წარმომადგენელი წინ ვერ წავა. ამერიკა კი თავისუფლების ქვეყანაა. ამას წინათ ამერიკელი მეგობარი მყავდა სტუმრად, რომელიც სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რომ ჩვენი რესტორნის მზარეულებისთვის ლუიზიანური კერძების მოსამზადებლად კონსულტაცია გაეწია. ჩვენ იმხელა მეგობრობა გვაკავშირებს, ბავშვობის მეგობარს ვეძახი. რამდენიმე დღის წინ გავაცილე. აეროპორტში შემომიტრიალდა და მკითხა, სახლში როდის დაბრუნდებიო. სამხრეთ ამერიკელები გაგრძნობინებენ, რომ მათი სახლი შენი სახლიცაა.

**— საზღვარგარეთ ყოფნისას თქვენში ყველაზე დიდ ინტერესს რა იწვევს?**

— პირველ რიგში, ხალხის სახეები, ნაკვთები და გამომეტყველება მაინტერესებს. ყველას ვაკვირდები, რითი არიან განსხვავებულები და რამდენად ხშირად იღიმებიან. საქართველოში რომ დავბრუნდი, ქუჩაში მომღიმარი კაცის სახე ვერ ვნახე. ნიუ ორლეანი იმითაა განსხვავებული, შემთხვევით ვინმემ ფეხი რომ წამოგდოს, მერე თავისი ბებიის დედის ამბავს, მთელი ოჯახის ისტორიას მოგიყვება, ტელეფონის ნომერს გაგიცვლის და შენთან იმეგობრებს. ამერიკაში ყველა ერთმანეთს უღიმის.

**— ყველაზე მეტი მომღიმარი სახე სად ნახეთ?**

— კალიფორნიაში! აკაკი წერეთლის ლექსიდან ერთ-ერთი ფრაზა მახსენდება: „მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“. მომწამვლელი და ხელოვნური ღიმილი ახასიათებთ.

**— მუზეუმების დათვალიერება გიყვართ?**

— კი, დავდივარ მუზეუმებში, ოღონდ — თუ მასპინძელი წამიყვანს. მაგალითად, ჩემს ბავშვობაში სტუმარი აუცილებლად ლაღიძის წყლის დასალევად და სალობიეში უნდა წაგვეყვანა. მცხეთაში ჯვარზე უნდა აგვეყვანა და ბოლოს რომელიმე მინისტრის ოჯახში კარგად გამოგვეთრო. ჩემი საზღვარგარეთული ვიზიტები ძირითადად საქმიანია და თუ განრიგში ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობის დათვალიერება შედის, მაშინ მივდივარ და ვნახულობ.

მახსოვს, ნიუ იორკში ჩაწერაზე ჩავედი. აეროპორტიდან პირდაპირ სტუდიაში წავედი, 3 დღე იქ ვიყავი და მერე პირდაპირ აეროპორტში დავბრუნდი. ასეთ დროს რთულია რამის ნახვა. ბოლოს სან ფრანცისკოშიც იგივე დამემართა — გაუჩერებლად ვიმუშავე. იქ ერთი ყავახანა მაქვს აჩემებული, მაგრამ იმდენად მცირე ხნით ვიყავი და ისეთი გრაფიკით ვიცხოვრე, იქაც ვერ მოვახერხე წასვლა.

**— პირველად რომ ჩახვედით ამერიკაში, ინგლისური უკვე კარგად იცოდით?**

— ამერიკაში პირველად რომ ჩავედი, ინგლისური არ ვიცოდი. ჩემი მეგობრის დაბადების დღე იყო. ტორტი ვიყიდე და მაღაზიაში სანთლების საყიდლად შევედი, მაგრამ მის ნაცვლად თურმე პრეზერვატივები ვთხოვე. ტორტი მიჭირავს და კონსულტანტს ინგლისურად ვეუბნები, 33 ფერად-ფერადი პრეზერვატივი მინდა-მეთქი. „ქენდელს“ — სანთელი და „კანდომს“ — პრეზერვატივი ამერია ერთმანეთში. დიდხანს ვუხსნიდი გამყიდველს და როცა მიხვდა, რა მინდოდა, შებრუნდა და მთელ მაღაზიას მოუყვა, მაგრამ მე ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. გადავიხადეთ დაბადების დღე. დავწექით დასაძინებლად და ჩემს მეგობარს გავძახე, ნიკუშ, „კანდომს“ რას ნიშნავს-მეთქი. პრეზერვატივსო რომ მითხრა, მომენტალურად გამოვფხიზლდი. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი კურიოზი იყო!

**— ამერიკაში ყოფნისას უსიამოვნო არაფერი შეგმთხვევიათ?**

— როგორ არა. 2005 წლის 30 აგვისტოს იმხელა შტორმი იყო ახალ ორლეანში... „კატრინა“ დაარქვეს, ყველაფერი გაანადგურა. ლევის კედელი, რომელიც ქალაქს მდინარე მისისიპის აშორებს, რამდენიმე ადგილას გადატყდა და მისისიპი მთელ ქალაქში შემოვარდა. კერძო სახლში ვცხოვრობდი, იქაურობა ერთი საათით ადრე რომ არ დამეტოვებინა, აღარც მე ვიქნებოდი. ყველაფერი დავკარგე, მათ შორის — ჩემი სტუდია, 2 მანქანა და უამრავი ფოტოსურათი.

**„თვითმფრინავმა ბალანსი დაკარგა და გამოგვიცხადეს, თავები მუხლებთან ჩაწიეთ, ხელები თავზე შემოიწყვეთ და ვილოცოთო. ჩემ უკან ჩინელი ბიჭი იჯდა, ლოცვას იმხელა ხმით ყვიროდა, მის მოსმენას დაღუპვა სჯობდა. ისე ბლაოდა, მეორე სიკვდილი იმან გადამატანინა".**

**— უახლოეს მომავალში გეგმავთ სადმე გამგზავრებას?**

— ერთ თვეში ამერიკაში ალბომის ჩასაწერად ვაპირებ წასვლას. ამერიკა შემოქმედებითად ჩემთვის ყველაზე ნაყოფიერია, თუმცა მივხვდი, რომ თბილისსაც შეუძლია კარგი მუსიკა დამაწერინოს, რადგან აქედან დავიწყე და ფესვებიც აქ მაქვს. ამერიკაში ბევრი კარგი მეგობარი მყავს, მათთან სცენასაც ვიყოფდი და სტუდიასაც. წავალ, მაგრამ სამუდამოდ გამორიცხულია, ეს თბილისი ცოტა ჩემიც ხომ არის? ამერიკაში ამჯერად მარიკუნასთან ერთად წავალ. კი არის ნამყოფი, მაგრამ ერთად არ ვყოფილვართ. ამერიკაში ეს ჩვენი პირველი ერთობლივი ვიზიტი იქნება.

**— სად წაიყვანთ, პირველ რიგში, მეუღლეს?**

— საოცარი მეგობრები მყავს, უპირველესად მათ გავაცნობ და თან ყურში ჩავჩურჩულებ, ჰე, ბიჭო, ახლა არ შემარცხვინოთ, ცოლი მყავს ჩამოყვანილი და აბა, თქვენ იცით-მეთქი.

**— ბოლოს სად იყავით ერთად?**

— ერთი წლის წინ მე და მარიკუნა ლიტვაში ძალიან მნიშვნელოვანი, საქმიანი ვიზიტით გახლდით. ამერიკელი თეატრის რეჟისორი ლიტვაში სპექტაკლს დგამდა, სადაც ჩემი მუსიკა დასჭირდა და თანამშრომლობა შემომთავაზა. საკმაოდ დიდი სპექტაკლი იყო, 35 მსახიობი მონაწილეობდა. ფაქტობრივად, მუსიკალური სპექტაკლი გამოვიდა. ლიტვის თეატრი ძალიან ცნობილია და მათი დასი ევროპის ქვეყნებში ხშირად დადის.

**— რითი იყო გამორჩეული ლიტვაში მოგზაურობა?**

— მე და მარიკუნა საზღვარგარეთ ერთად პირველად ვიყავით და თან მოგზაურობა ერთ-ერთ უძველეს ქალაქში მოგვიხდა. ქალაქის შესასვლელთან ძალიან უცნაური ადგილია, რომელსაც „ჯვრების მთას“ უწოდებენ. თავის ჯვარს ყველა იმ პატარა გორაკზე არჭობს. დღეისათვის იქ 40.000 ჯვარი მაინცაა ჩარჭობილი. ეს ისეთივეა, როგორც ჩვენი ნატვრის ხე გახლავთ. მეც ჩავარჭე ჯვარი და სურვილიც ჩავიფიქრე. ამ ადგილს ყველა ქრისტიანი სტუმრობს.

**— როგორი თანამგზავრია თქვენი მეუღლე?**

— გადასარევი!

**— აღნიშნეთ, შოპინგი დიდად არ მხიბლავსო, მაგრამ ქალებს ძალიან უყვართ, დაყვებოდით ცოლს საყიდლებზე?**

— რაც მარიკუნას უყვარს, ყველაფერი მიყვარს და საყიდლებზეც დავყვებოდი. ჩემთვის ის ძალიან კომფორტული ადამიანია. ერთადერთი, რაც ლიტვაში არ მოგვეწონა, სამზარეულო იყო.

**— რატომ, რა დაუწუნეთ?**

— ალბათ ჰავა არ უწყობს ხელს და, კარტოფილის გარდა, არაფერი მოდის. მე და მარიკუნა ბაზარში წავედით, მწვანილი ვიყიდეთ. 100 გრამი ზაფრანა 80 ევრო ღირდა. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა? შევიძინეთ. მარიკუნამ გაიხუმრა, ბიზნესი ხომ არ დავიწყოთო. ჩახოხბილი გავაკეთე და ხაჭაპურები დავაცხვე. მე, როგორც ქართველმა ემიგრანტმა, ხინკლის გარდა, ყველა ქართული კერძის მომზადება ვიცი.

**— რომელი ქვეყნის სამზარეულო გიყვართ ყველაზე მეტად?**

— ინდური სამზარეულოც მიყვარს და იაპონურიც. კარგი სუში მიყვარს, რომელიც სამწუხაროდ საქართველოში ვერ დავაგემოვნე. იტალიური სამზარეულოც კარგია და ფრანგულიც. ჩვენ რომ სოუსს ვაკეთებთ, ირლანდიელებიც ზუსტად ასეთს ამზადებენ, ოღონდ როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, კარაქიანი პურით მიირთმევენ. ეგზოტიკურიც გამისინჯავს, მაგალითად, ბაყაყის ფეხები მივირთვი და ქათამი მეგონა. გველი — არა, მაგრამ გველთევზა ნაჭამი მაქვს და ის ყველაზე გემრიელი თევზია, რაც გამისინჯავს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# კო სამუი — ტაილანდის განძი



■ კო სამუი

ზამთრის მკაცრი სიცივეებისაგან თავის დასაღწევად ბევრი ტურისტი მიეშურება ტაილანდის ცნობილი კურორტის, კო სამუისკენ. ტაილანდის ყურეში სიდიდით მეორე კუნძული ბანგკოკიდან 560 კილომეტრში მდებარეობს. ოქროსფერი პლაჟები, ცისფერი ზღვა, მცხუნვარე მზე და სიწყნარე — ეს ამ კუნძულის მთავარი განძია.

კო სამუიზე დასასვენებლად საუკეთესო დრო ზამთარია, ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით. ამ დროს ჰავა ზომიერი და რბილია.

## კლიმატი

კო სამუიზე კლიმატი ტროპიკულია. გამოიყოფა 3 სეზონი: დეკემბერი-თებერვალი, რომელიც მშრალ სეზონად ითვლება, ამ დროს წვიმები იშვიათია, თუმცა არის მსუბუქი ქარი, ჩვეულებრივ კი, მზიანი დღეებია; მარტი-აგვისტო მზიანი და მშრალი პერიოდია, ტემპერატურა 35 გრადუსს აღწევს, აპრილში აღინიშნება ტაილანდური ახალი წელი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე დიდი დღესასწაულია; სექტემბერი-ნოემბერი წვიმიანი სეზონია. ამ პერიოდშიც ტემპერატურა საკმაოდ მაღალია, მაგრამ საღამოობით შესამჩნევად გრილა. ყველაზე ხალხმრავალი ტურისტული სეზონი 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდეა, ახალი წლის პერიოდში კი ტურისტების რაოდენობა იკლებს.

## ენა

როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი კუნძულების, მათ შორის კო სამუის ოფიციალური ენა ტაილანდურია. იგი ტაის ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, დამწერლობა კი სამხრეთინდურ გრაფიკაზეა აგებული. სახელმწიფო ენის შემდეგ ინგლისური ყველაზე პოპულარულია.

## ფული

1982 წლიდან კო სამუის ეროვნულ ვალუტას ბატი წარმოადგენს. მის გარდა, ამერიკული დოლარის გამოყენებასაც თავისუფლად შეძლებთ. 1 ამერიკული დოლარი 1.293 ბატის ტოლია.

ბოლო დროს ტაილანდის ნებისმიერ კურორტზე ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. თუ ადრე ხელის ქირის დატოვება აუცილებელი არ იყო, ახლა მის გარეშე შეუძლებელია. ნებისმიერი სახის დაწესებულებაში მომსახურე პერსონალისათვის 10% მაინც უნდა გქონდეთ გადადებული.

## გადაადგილება

ეგზოტიკურ კუნძულზე მოხვედრა თვითმფრინავით ან გემით შეგიძლიათ. კო სამუის საკუთარი აეროპორტი აქვს. თვითმფრინავის ბილეთის ფასი 450 დოლარიდან იწყება. ეს, რა თქმა უნდა, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან. გაგიკვირდებათ და, ხშირ შემთხვევაში, აზიის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი ტაილანდის ქალაქებიდან, კო სამუის მიმართულებით ფრენა გაცილებით ძვირია.

ტაილანდის ქალაქ სურატხანიდან კო სამუიში ჩასვლას ავტობუსით შეძლებთ, მგზავრობა 1 საათს გასტანს და 200-300 ბატი დაგიჯდებათ. ავტობუსზე მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ ბილეთის დაჯავშნა ერთი კვირით ადრე მაინც მოგიწევთ. თუ ამის დრო გაქვთ, იახტით ან გემით ჩასვლა ენით აღუწერელ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

კო სამუი საცობების სიმრავლით ცნობილი კურორტია, ამიტომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება დროის დაკარგვას ნიშნავს. ადგილობრივებისათვის ველოსიპედი შეუცვლელი ტრანსპორტია. თუ მის დასაქირავებლად ფული არ გეყოთ, მაშინ სამთვლიანი ტრანსპორტით, ე.წ. ტუკტუკით იმგზავრეთ, რომელიც საცობების შემთხვევაში საცალფეხო ბილიკებზეც გადაადგილდება. მგზავრობის ღირებულება ეს მძღოლზეა დამოკიდებული.

## სამზარეულო

ტაილანდური სამზარეულო ძირითადად ცხარე კერძებისგან შედგება. მარილის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში თევზის ან სოიას სოუსს იყენებენ. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ,



■ ჩანჩქერი ნა-მუანგი

თუ თქვენ მარილს მოითხოვთ და თევზის ან სოიას სოუსს მოგიტანენ.

ნაციონალურ კერძებს ქათმისა და ღორის ხორცით ამზადებენ. მათგან აღსანიშნავია ბუენგი და კრეპე. კერძებში ხშირად ბრინჯსა და მაკარონს იყენებენ. სანაპიროებზე განთავსებულ კაფე-ბარებსა და რესტორნებში, პირველ რიგში, ზღვის პროდუქტების დაგემოვნებას შემოგთავაზებენ.

ადგილობრივი მზარეულები საოცრად გემრიელი სანელებლებით ამზადებენ საჭმელს და თავიანთი ნახელავით ამაყობენ. თევზს ღია ცეცხლზე წვავენ. აზიის ამ ეგზოტიკურ კურორტზე ჭამა არცთუ ძვირი სიამოვნებაა.

სასმელებიდან ჩაი და ყავა ერთნაირად მოთხოვნადია. ალკოჰოლს რაც შეეხება, ლუდი პირველობს.

## ღირსშესანიშნაობები

კო სამუიზე, შეიძლება ითქვას, სიწყნარე მეფობს. ამას ხელს უწყობს კუნძულის ლანდშაფტი, ქოქოსის პალმების ხეივნები და ადგილობრივი მცხოვრებლების კეთილგანწყობა. კუნძულის ცენტრად და ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონად ჩავენგის პლაჟის მიმდებარე ტერიტორია ითვლება. წყლის დონე ამ სანაპიროზე საშუალოა, განსხვავებით ჩრდილოეთ სანაპიროსგან, სადაც ზღვა საკმაოდ დაბალია. აქ წყალქვეშ ცურვის სპეციალისტები დაგეხმარებიან, ზღვის ფსკერზე იმოგზაუროთ. სანაპიროზე შეგიძლიათ ითამაშოთ გოლფი, ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი და სხვ.

კო სამუის მთავარი ღირსშესანიშნაობებია ორი ჩანჩქერი — ხინ ლატი და 30 მეტრი სიგანის ნა-მუანგი, ასევე წყალქვეშა ნაციონალური პარკი ანგ-ტხონგი, ბატ-ხინ-ნგუს დიდებული ტაძარი ბუდას ოქროს ქანდაკებით და ორიგინალური მაიმუნების თეატრი. ასე რომ, გასაკვირი არაა, კო სამუიზე ჩასულ ტურისტებს იქ დაბრუნების დაუძლეველი სურვილი რომ უჩნდებათ.

## უსაფრთხოების წესები

კო სამუიზე კრიმინალი იშვიათობაა. ადგილობრივებს უზრდელები სძულთ და პირდაპირ შეტევაზე გადადიან. მართალია, კო სამუი ბუდისტური, შედარებით თავისუფალი და მეტად მშვიდი კურორტია, მაგრამ მაინც აკრძალულია სიყვარულის საქვეყნოდ დემონსტრირება, რელიგიისა და სამეფო ოჯახის გაკრიტიკება, ვულგარულად ჩაცმა, ხოლო მხარზე ხელის მოთათუნება ტაილანდელისათვის დიდი შეურაცხყოფაა. გარდა ამისა, ამ ქვეყანაში ადამიანის თავი სხეულის ყველაზე წმინდა ნაწილად ითვლება და ამიტომ შეხება არ შეიძლება.

ბუდას ყველა ქანდაკება წმინდადაა მიჩნეული და სასტიკადაა აკრძალული ფოტოების გადასაღებად მათზე აძვრომა. შორტები დაშვებულია მხოლოდ პლაჟზე და სასტუმროებში. სახლებსა და ტაძრებში შესვლისას აუცილებლად ფეხზე უნდა გაიხადოთ. ქალებს ტაძრებსა და სამეფო სასახლეში შესვლისას აუცილებლად უნდა ეცვათ გრძელმკლავიანი სამოსი. 2007 წლიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აკრძალულია.

## უბის წიგნაკი

ქვეყანა — ტაილანდი;
ქალაქი — კო სამუი;
მოსახლეობა — 55.000;
ფართობი — 228,7 კვ.კმ;
ვალუტა — ბატი;
ოფიციალური ენა — ტაილანდური.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# განაჩენი, რომელიც ქალმა საკუთარ თავს გამოუტანა

## „ჩემს დას შვილის დატოვებით წარსულისგან გათავისუფლება უნდოდა“



ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი მართა, სოფელში დასთან, მაიასთან ერთად ცხოვრობს. მათმა ახალგაზრდობამ დიდი ხანია ჩაიარა, მარტოხელა ხანდაზმული დები ერთმანეთს შეჰყურებენ და დღე არ გადის, იმ საბედისწერო შეცდომაზე არ იფიქრონ, რომელიც ერთმა მათგანმა ყმაწვილქალობაში ჩაიდინა. მაიას ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მიეცა შანსი, დედა გამხდარიყო, მაგრამ საკუთარ პირმშოზე თავისივე ნებით უარი თქვა. შეყვარებულისგან მიტოვებულმა ფეხმძიმე ქალმა, სახელისა და ოჯახის ღირსების შელახვის შიშით, ვერ გაბედა, თავი დაეცვა, ერთ შეცდომას მეორე დაუმატა და საბოლოოდ მარტოობისთვის გაიწირა.

**მართა:**

— ჩვენი ოჯახი მაღალმთიან სოფელში ცხოვრობდა. მამაჩემი რაიონში პატივცემული კაცი იყო. ოჯახს რუდუნებით უვლიდა, ცოლ-შვილს ხელისგულზე ატარებდა. შვილებს წესიერებას, ერთგულებას და სამართლიანობას გვასწავლიდა. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. დედამ, ქმარი რომ გამოიგლოვა, რკინის ქალამნები ჩაიცვა და მთელი ოჯახის სიმძიმე მარტომ იტვირთა. სამი და-ძმა ვიყავით: მე, მაია და მანუჩარი. მე უფროსი გახლდით, ამიტომ დედას საოჯახო და სოფლის საქმეეშიც ვეხმარებოდი. მაია ნაზი გოგო იყო, სკოლაში კი კარგად სწავლობდა. მასწავლებლები ძალიან აქებდნენ. მისი ნიჭიერება ყველას გვახარებდა. ნაბოლარა მანუჩარი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო.

მაია სკოლას რომ ამთავრებდა, მის ცხოვრებაში ცვლილება მოხდა. ჩვენი თანასოფლელი იმედო შეუყვარდა, წარმოსადეგი, თამამი, ალღოიანი ბიჭი. მაია მოკრძალებული გოგო გახლდათ, ამიტომ თავის გრძნობას საგულდაგულოდ მალავდა. მაგრამ, მისი მცდელობის მიუხედავად, იმედოს რა გამოეპარებოდა! გოგოსგან განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნო და მასთან დაახლოება სცადა.

— **მათი სიყვარული განვითარდა?**

— პირველი სიყვარული გამოუცდელი გოგოსთვის თავბრუდამხვევია. მე, როგორც გარეშე პირი, სიტუაციას უფრო საღად ვაფასებდი. ჩემს დას ვარიგებდი, იმედოსთან ურთიერთობაში ფრთხილად ყოფილიყო, გაქექილი ბიჭია და არ მოგატყუოს-მეთქი, ვეუბნებოდი. თავიდან მაია ჩემთანაც მალავდა თავის გრძნობას, ჩვენ შორის არაფერი ხდება, გეჩვენებაო. ამის გამჟღავნების რცხვენოდა. ალბათ ჯობდა, მის გრძნობას უფრო გაგებით მოვკიდებოდი და ჩემი დის თვალში მეტი ნდობა მომეპოვებინა — ეგებ ჩემთან ასე უფრო გულახდილი ყოფილიყო, თუმცა ალბათ მოვლენებს მაინც ვერ შევაჩერებდი.

სკოლის დამთავრების შემდეგ მაიამ თბილისში სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვა, ერთი წელი კარგად მოვემზადები და მერე ჩავაბარებო. თითქოს საკუთარ ცოდნაში ეჭვი ეპარებოდა, არადა მასწავლებლები ურჩევდნენ, დროს ნუ დაკარგავ, სცადე, აუცილებლად მოეწყობიო.

— **ფიქრობთ, რომ სინამდვილეში სოფელში შეყვარებულის გამო დარჩა?**

— ეჭვიც არ მეპარება. ვფიქრობ, იმედომ არ გაუშვა.

— **სწავლას მოწყურებული გოგო ამ სიტუაციას როგორ შეეგუა?**

— ალბათ იმედი ჰქონდა, ერთი წლის შემდეგ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა.

— **ამ დროის განმავლობაში რა მოხდა?**

— მაია თანდათან შეიცვალა, თითქოს გაიცრიცა და დაილია. ვცდილობდი, გული გაეხსნა ჩემთვის, მაგრამ იმ ეტაპზე ეს ვერ

> **„დავრჩით დები ერთმანეთის იმედად. დაკარგულ წლებს და დაშვებულ შეცდომებს მივტირით. მის შვილს ალბათ უკვე ცოლ-შვილიც ჰყავს და ბავშვები თავიანთი ჟივილ-ხივილით სხვის კერას ავსებენ. რაც წლები გადის, მაია მძაფრად გრძნობს იმ დანაშაულს, რაც შვილისა და საკუთარი თავის წინაშე ჩაიდინა. მეშინია, დარდისგან რამე არ დაემართოს".**

შევძელი. იმედოს გავლენა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იმ ბიჭმა ისარგებლა მიამიტი გოგოს სიყვარულით და შეაცდინა, მასთან სარეცელი გაიზიარა. ამის აღიარებას კი ჩემს დას სიკვდილი ერჩივნა.

— **ამას როგორ მიხვდით?**

— შემთხვევით მაიას პირადი ჩანაწერები წავიკითხე, სადაც ღმერთს სთხოვდა, ასეთ ყოფას სიკვდილი მირჩევნიაო.

— **ეს რომ გაიგეთ, რაიმე მოიმოქმედეთ?**

— იმედოს შევხვდი და გაცეცხლებულმა პასუხი მოვთხოვე. ყველაფერი უარყო. მეგონა, ამ საკითხში მაინც გამოიჩენდა კაცობას და ჩვენი შეხვედრის შესახებ ჩემს დას არ მოახსენებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, მაიას უსაყვედურა, რატომ დამაბეზღეო. ასე რომ, ჩემმა დამ ამ თემაზე თავად ჩამომიგდო საუბარი.

— **გამოგიტყდათ?**

— მითხრა, ეს რომ გამჟღავნდეს, თავს მოვიკლავო. მთის სოფელში ამ ფაქტის გამომზეურება მართლაც სიკვდილის ტოლფასი იყო. ამით არამარტო ქალიშვილის სახელი ილახებოდა, არამედ მთელი ოჯახის ღირსებაც. იმედოს უნამუსობა უკვე სახეზე იყო, მასთან ურთიერთობის გაგრძელება აღარც ღირდა. ახლა უკვე ჩემი დის სახელი და ღირსება უნდა გადაგვერჩინა. იმედოსთან ხელმეორედ მივედი და დავემუქრე, გაფრთხილებ, ვინმესთან თუ იტყვი იმას, რაც ჩემს დას დამართე, არ გაცოცხლებ-მეთქი.

— **თქვენი მუქარის შეეშინდებოდა?**

— ჩემი ხასიათი სოფელში ყველამ იცოდა. თუ რამეს ვიტყოდი, შევასრულებდი კიდეც.

— **იმედია, სიტყვის შესრულება არ დაგჭირდათ.**

— იმ ბიჭს იმის ვაჟკაცობაც არ ეყო, რომ ჩემთან ეღიარებინა. ქალთან უნამუსოდ მოქცევას არც მთაში აპატიებდნენ. ორი კვირის შემდეგ ბიძაშვილს გაჰყვა სხვა სოფელში, ვითომ სამუშაოდ, არ ვიცი...

— **მაიამ ეს ყველაფერი როგორ გადაიტანა?**

— ძალიან უგუნებოდ იყო, საჭმელსაც ვერ ჭამდა, სულ ჩამოხმა. ამას კიდევ უფრო დიდი განსაცდელი დაერთო — ორსულად აღმოჩნდა. თავიდან ამას ვერ ვხვდებოდით, მაგრამ მერე ტოქსიკოზი დაეწყო და...

— **დედა ვერაფერს ამჩნევდა?**

— დედა ფიქრებშიც კი ვერ დაუშვებდა იმას, რაც მისი ქალიშვილის თავს ხდებოდა. ჩემს დას კაცივით ამოვუდექი მხარში და ყველა უხერხული სიტუაციიდან გამომყავდა. ცოტა მუცელი რომ წამოეზარდა, სასწრაფოდ ჩამოვიყვანე თბილისში და ერთ სახლში მდგმურად დავაყენე. ოჯახში ვთქვით, ვითომ საგამოცდო საგნებში უნდა მომზადებულიყო. პირველ თვეებში მარტოს ვერ ვტოვებდი, მერე დედამ მოიტეხა ფეხი და იძულებული გავხდი, სოფელში დავბრუნებულიყავი. მაია იმ სახლის დიასახლისს ჩავაბარე, ვისთანაც მდგმურად ვიდექით — ძალიან ყურადღებიანი და თბილი ქალი იყო, ჩემს დას შვილივით პატრონობდა.

— **ბავშვის გაჩენა მაიას პირად ცხოვრებას შეცვლიდა.**

— ჩემმა დამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. ისე მოხდა, რომ მუცელი នაადრევად ასტკივდა და შვიდი თვისამ იმშობიარა. მაშინ სატელეფონო კავშირები არ იყო, რომ ჩემამდე ვინმეს ხმა მოეწვდინა. ბოლო ხანებში მაიას დეპრესიული განწყობა ჰქონდა და, როგორც ჩანს, საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა — სამშობიაროდან ბავშვის გარეშე გამოვიდა. შვილი იქ დატოვა.

— **როგორ ფიქრობთ, ეს რატომ ჩაიდინა — სირცხვილის, უპასუხისმგებლობის თუ სხვა**



Cyan Magenta Yellow Black

**მიზეზით?**

— არ უნდოდა, ოჯახისთვის ლაფი დაესხა თავზე, არადა უარესად მოიქცა. კრიტიკულ სიტუაციაში მის გვერდით რომ ვყოფილიყავი, ამის უფლებას არაფრით მივცემდი. გამოსავალი ყოველგვარი სიტუაციიდან არსებობს: რაღაცას მოვიფიქრებდი, ბოლოს და ბოლოს ჩემს თავზე ავიღებდი, ოჯახში, ნათესავებში და ახლობლებში ვიტყოდი, ვიშვილე-მეთქი. ჩემს დას შვილის დატოვებით წარსულისგან გათავისუფლება უნდოდა. თბილისში რომ ჩამოვედი და ასეთი ამბავი დამხვდა, კინაღამ გავგიჟდი. ვეჩხუბე, ჩემი ხელი მოგაკლდა და კიდევ ერთი სისულელე ჩაიდინე-მეთქი. ისეთი მოთქმა დაიწყო, ვერ ვაწყნარებდი. დიასახლისი გვიყვავებდა — ალბათ მაიასთვის ასე უკეთესი იქნება, მშვენიერი გოგოა, გათხოვდება, ის ბავშვი კი პრობლემებს შეუქმნიდაო. მაინც ვერ მოვისვენე და იმ სამშობიაროს მივაკითხე. ბავშვი მოვიძიე. ერთმა გამომლანძღა, შვილი დედამ მიატოვა და პასუხი მას მოსთხოვეთო. რა არ ვუთხარი, ისიც შევთავაზე, მილიციაში ჩივილს არ ვაპირებ, თუ ბავშვს გამომიჩენთ, ნებისმიერ თანხას გადავიხდი-მეთქი (ქვას გავხეთქავდი და ფულს ვიშოვიდი), მაგრამ, ეტყობა, დავაგვიანე და ბავშვი უკვე გაშვილებული ჰყავდათ.

— **მაიას ცხოვრება როგორ გაგრძელდა ამ ამბის შემდეგ?**

— იმ მდგომარეობაში, რომელშიც მაია იმყოფებოდა, უმაღლესში ჩაბარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამიტომ ხელი შევუწყვე, რომ ტექნიკუმი მაინც დაემთავრებინა, მერე კი ერთ რაიონში გაამწესეს სამუშაოდ. გარემოს ცვლილებამ სასიკეთოდ იმოქმედა მასზე, თანდათან საკუთარ თავს და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემმა დამ თვალებში გამოიხედა.

— **მის ცხოვრებაში არ გამოჩნდა მამაკაცი, ვისაც ბედს დაუკავშირებდა?**

— იმ რაიონში, სადაც მუშაობდა, მაიამ ხალხისგან დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ყველას უყვარდა, ძალიან აფასებდნენ. მეზობლები და თანამშრომლები ცდილობდნენ, მისთვის გაერიგებინათ მამაკაცები, მაგრამ ჩემი დის გულს არავინ ეკარებოდა. წარსულში დაშვებული შეცდომის შემდეგ მამაკაცების მიმართ უნდობლობა გაუჩნდა. კაცი ერთხელ გეტყვის, ორჯერ, შეიძლება მესამედაც დაგდოს პატივი, მაგრამ თუ

> **„ყველას ვურჩევ, ერთ შეცდომას მეორეს ნუ დაამატებენ — საკუთარ პირმშოს ნებით ნუ მოიწყვეტენ გულიდან. გარწმუნებთ, ეს ყველაზე მძიმე განაჩენია, რაც კი შეიძლება ქალმა საკუთარ თავს გამოუტანოს".**

ყინულივით დაუხვდები, იმ ქალთან წავა, ვისთანაც მეტ სითბოს იგრძნობს და უფრო იოლად ააგებს ურთიერთობებს. ასე რომ, ჩემი და საერთოდ გაუთხოვარი დარჩა. მერე საბავშვო ბაღში გადაიყვანეს სამუშაოდ — ეს კი ძალიან გაუჭირდა, თითოეული ბავშვი მის პატარას აგონებდა და ჭრილობას უხსნიდა. მერე ამასაც შეეჩვია, ასაკთან ერთად თითქოს გრძნობები დაუჩლუნგდა.

— **იმედომ ცოლი მოიყვანა?**

— უკრაინაში წავიდა და იქაური ქალი შეირთო. იქვე ჩასახლდა. როგორც ვიცი, შვილიც ჰყავს და შვილიშვილებიც.

— **თქვენც კენტად დარჩით. თქვენი ბედი რატომღა ვერ აეწყო?**

— მთელი ჩემი ახალგაზრდული წლები ოჯახის წევრებს შევალიე, მათი პრობლემებით ვიყავი დაკავებული და საკუთარ თავზე არც ვფიქრობდი. დედა რომ გარდამეცვალა, ავადმყოფ ძმას ვუვლიდი. ჩემს ძმას ძვლების დაავადება გამოუვლინდა და ინვალიდად დარჩა. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ასე ჩამოგვექცა ოჯახი. დავრჩით დები ერთმანეთის იმედად. დაკარგულ წლებს და დაშვებულ შეცდომებს მივტირით. მის შვილს ალბათ უკვე ცოლ-შვილიც ჰყავს და ბავშვები თავიანთი ჟივილ-ხივილით სხვის კერას ავსებენ. რაც წლები გადის, მაია უფრო მძაფრად გრძნობს იმ დანაშაულს, რაც შვილისა და საკუთარი თავის წინაშე ჩაიდინა. მე კი სულ მის ნუგეშისცემაში ვარ, მეშინია, დარდისგან რამე არ დაემართოს.

მაია არც პირველია და არც უკანასკნელი, ვისაც ასეთი რამ შეემთხვა — ალბათ არაერთი ორსული ქალია სიყვარულისგან გაწბილებული. ყველას ვურჩევ, ერთ შეცდომას მეორეს ნუ დაამატებენ — საკუთარ პირმშოს ნებით ნუ მოიწყვეტენ გულიდან. გარწმუნებთ, ეს ყველაზე მძიმე განაჩენია, რაც კი შეიძლება ქალმა საკუთარ თავს გამოუტანოს. არ არსებობს უკანონო შვილი! ყოველი ბავშვი უფლისგან მოვლენილია. ჩვენ კი, ადამიანები, პასუხისმგებელნი ვართ უფლის და არა — იმ საზოგადოების წინაშე, რომელსაც შეუძლია დაგვძრახოს და ჩვენი საქციელი განიკითხოს. პასუხისმგებელი ვართ ჩვენს ცხოვრებაზე, ყოველ ჩვენს მოქმედებაზე და ამას ვერსად გავექცევით.

✓ ნანა კობახიძე

## ეს იცოდით?

❖ ფოტოგრაფების 37% საუკუთესო ნამუშევრად საყვარელი ქალის ფოტოს მიიჩნევს.

❖ მამაკაცების 28% საყვარელ ქალთან ურთიერთობას უსიამოვნო სიტყვებით იწყებს.

❖ ნიუ იორკის უნივერსიტეტის მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ თუ ქალის შემოსავალი 10%-ით იკლებს, მისი წონა 2%-ით იმატებს.

❖ ინგლისელი კარიერისტების 89% დარწმუნებულია, რომ სამსახურებრივი რომანი სასარგებლოა ჯანმრთელობისა და კარიერისთვის.

❖ ქალების 47% ოჯახურ ცხოვრებას კარიერას უთავსებს.

❖ „ბაქტერია" და „ბაცილა" ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, ოღონდ პირველი — ბერძნული ენიდან მომდინარეობს, მეორე კი — ლათინურიდან.

❖ სიტყვა „ციფრი" არაბული წარმოშობისაა. მათ ძველი ინდოელებისაგან თარგმნეს ეს სიტყვა თავისებური ინტერპრეტაციით და „სიფრი" ანუ „ციფრი" უწოდეს, რაც შემდგომში მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

❖ ტვინის წონა ადამიანის სხეულის 2%-ს შეადგენს.

❖ ყველაზე დიდ კერძად მსოფლიოში ორიგინალურად შემწვარი აქლემი მიიჩნევა. შემწვარი აქლემის შიგნით მოთავსებულია ცხვარი, ცხვარში — ქათამი, ქათამში — თევზი, ხოლო თევზში — კვერცხი. ამ კერძს ბედუინები ძირითადად საქორწინო წვეულებისათვის ამზადებენ.

❖ როგორც არქეოლოგები ირწმუნებიან, პირველი წვნიანი კერძი ბეჰემოთის ხორცით იყო დამზადებული დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 6000 წლის წინ.

❖ ტიბეტში მასპინძელი სტუმარს აუცილებლად მიართმევს ადგილობრივი წესებით დამზადებულ ჩაის. ჩაის ფოთლები შეზავებულია მარილითა და ცხიმით. სტუმრისადმი განსაკუთრებულ პატივისცემად ითვლება, თუ მასპინძელი თავისი ხელით ჩაახლის ჩაიში ქათმის უმ კვერცხს.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარ პრეზიდენტად დღემდე ჯორჯ ვაშინგტონი მიიჩნევა, რომლის მთლიანი ქონება 900 მილიონი დოლარის ეკვივალენტი იყო.

❖ ყველაზე დიდი ქანდაკება, რაც კი ოდესმე ადამიანს ოქროსაგან შეუქმნია, ასურეთის დედოფლის, სემირამიდას ბრძანებით, ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნეში დამზადებული ქალღმერთ რეას ოქროს ქანდაკება გახლავთ, რომლის წონა 250 ტონას შეადგენდა. დღეს მისი არანაირი კვალი აღარაა შემორჩენილი.

❖ ქალაქი, სახელწოდებით რომი, მსოფლიოს ყველა კონტინენტზე არსებობს, გარდა ანტარქტიდისა.

❖ 1948 წლის 5-6 ოქტომბერს თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადთან უძლიერესი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც მთელი ქალაქი დაანგრია. ამ კატასტროფის შესახებ არც საბჭოთა კავშირის მოსახლეობას გაუგია და არც დანარჩენ მსოფლიოს.

❖ როგორც ამბობენ, კუნძულ ახალი გვინეის მცხოვრებლებს არასოდეს სტკივათ კბილები.

❖ საჰარის უდაბნო, რომელიც აფრიკაში მდებარეობს, ყოველწლიურად 650-700 მეტრით იზრდება სამხრეთის მიმართულებით.

❖ არქიტექტორთა დაგეგმარებით, ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიას, რომელიც ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრში მდებარეობს, თვითმფრინავის ფორმა აქვს.

❖ ნებრასკას შტატში ეკლესიებში დაცემინება კანონით იკრძალება.

❖ უძველესი სასახლე, სადაც მეფეები და დედოფლები კვლავ ცხოვრობენ და მათ სამეფო რეზიდენციას წარმოადგენს, უინძორების 900 წლის სასახლე გახლავთ ბრიტანეთში.



Cyan Magenta Yellow Black

# რა არის საჭირო ბედნიერებისთვის

რატომ არის ადამიანთა ერთი ნაწილი ბედნიერი, მეორე — არა? რა არის საჭირო შინაგანი ჰარმონიის მისაღწევად?

### დაუმეგობრდით იღბლიანებს

ადამიანებზე ოცწლიანი დაკვირვებით მეცნიერებმა დაადგინეს: თუ თქვენი მეგობარი ბედნიერია, მალე ბედნიერებას თქვენც იგრძნობთ. ბედნიერება გადამდებია, გარშემომყოფებზე ტალღის ეფექტით ვრცელდება.

### მატერიალურზე ნუ ჩაიციკლებით

ბედნიერებას ნუ აღიქვამთ, როგორც შეძლება-სიმდიდრეს, რომელიც დროთა განმავლობაში კონკრეტული პირობების დროს მიიღწევა. გაიხარეთ იმით, რაც მოცემულ მომენტში გაქვთ.

### თავს სხვებს ნუ შეადარებთ

ასეთ შემთხვევაში თავს ბედნიერად ვერასდროს იგრძნობთ. იფიქრეთ მხოლოდ საკუთარ თავზე, გააცნობიერეთ თქვენი ძლიერი მხარეები, მიღწევები. თავი შეიყვარეთ ისეთი, როგორიც ახლა ხართ.



ყველას აქვს დადებითი თვისებები, ყველა იმსახურებს პატივისცემას, ყველას აქვს ბედნიერების უფლება.

### მარცხს სამყაროს დასასრულად ნუ აღიქვამთ

მარცხის იგნორირება მოახდინეთ და ყურადღება წარმატებებზე გაამახვილეთ. წარმატებების აღრიცხვის ჟურნალი აწარმოეთ. წლის ბოლოს ყველა პლუსი გაგახარებთ.

### მხოლოდ პოზიტივი

დიდხანს სიცოცხლე რეალურად შესაძლებელია, მთავარია, სწორად აზროვნებისთვის განეწყოთ. არ შეგშურდეთ, გარშემომყოფებზე არ გაბრაზდეთ და წვრილმანებზე არ გაღიზიანდეთ. ნებისმიერი ნეგატიური ემოცია სასიცოცხლო ძალას გვართმევს, განვითარებაში ხელს გვიშლის, დაავადებების აღმოცენებას ბიძგს აძლევს. ყოველ ადამიანს შეუძლია თავისა და დამოკიდებულების შეცვლა სხვების მიმართ. ამით საკუთარ ჯანმრთელობას მხოლოდ არგებთ.

### მიწასთან კონტაქტი

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დროდადრო სახით ან მთელი ტანით ტალახში ამოსვრა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტალახში არსებული ზოგიერთი ბაქტერია ადამიანის ორგანიზმზე კეთილსასურველ გავლენას ახდენს, სეროტონინის (ნივთიერება, რომელიც პასუხისმგებელია კარგ განწყობასა და იმუნური სისტემის სტაბილურობაზე) დონეს ამაღლებს. თუ ტალახში ამოსვრა არ გსურთ, მაშინ მიწაში იფუსფუსეთ — ოთახის მცენარეებს მოუარეთ, აგარაკის ნაკვეთში იმუშავეთ.

### აკოცეთ და ჩაეხუტეთ

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სრული ბედნიერებისთვის ადამიანს დღეში არანაკლებ რვა კოცნა და შვიდწუთიანი მგზნებარე მოხვევა ესაჭიროება.

### ფასტფუდებზე უარი

გამოკვლევებით დადგინდა — ადამიანებში, რომლებიც ფასტფუდებით იკვებებიან, დეპრესიის განვითარების რისკი 51%-ით მაღალია. რაციონში რაც მეტია სწრაფი კვების პროდუქტები, ეს რისკი მით უფრო მაღალია.

# მოვიშოროთ ფუჭი შიშები

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება დაახლოებით 50% ნეიტრალური, 40% პოზიტიური და მხოლოდ 10% უარყოფითი მოვლენებისგან შედგება. ეს ნიშნავს, თუ გვსურს, თავი ბედნიერად ვიგრძნოთ, საჭიროა მთელი ყურადღება კარგისკენ მივაპყროთ და ცუდზე არ ვიფიქროთ.

მოდით, ვნახოთ რომელი ფუჭი შიში და წუხილი გვიწამლავს ცხოვრებას და მათ ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე დავფიქრდეთ.

### 1. ვადა

ვადაში ვერ ვასწრებ პროექტის დამთავრებას, მაღაზიაში შერბენას, ძაღლის გასეირნებას, ახლობელთან დარეკვას (სია უსასრულოა). დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სწორედ სიჩქარე გვიშლის ხელს ვადაში და ხარისხიანად გადავწყვიტოთ ამოცანები, რომლებსაც ცხოვრება და პროფესია გვისახავს.

### 2. კონკურენცია

დიახ, ეს ჩვენს საზოგადოებაში ძალიან მაღალია. ყოველ „მზისქვეშა ადგილზე" ერთდროულად რამდენიმე ადამიანს აქვს პრეტენზია და მისთვის ბრძოლაში თითოეული მათგანი თავის ინდივიდუალობას ივიწყებს.

### 3. რამდენიმე საქმის ავტომატურად შესრულება

სადღეისოდ მოდაშია საშუალო ადამიანისგან მოვითხოვოთ იყოს ცეზარი, რომელიც პერიოდულად სამი საქმის ერთდროულად შესრულებას ახერხებდა. საერთოდ, ადამიანის ფსიქიკას მხოლოდ ერთ საქმეზე კონცენტრირება შეუძლია. მოქმედებების ავტომატურობა შესრულების კრეატიულობასა და ხარისხს ამცირებს.

### 4. მატერიალური ფასეულობები და ფული

მაშინაც კი, თუ ყველაფერი საკმარისად გვაქვს, მაინც ვწუხვართ, რომ უცებ რაღაც დამთავრდება. მატერიალურის გამოდევნებაში ადამიანის სული ჭკნება, გულქვავდება, დეპრესიაში ვარდება, ვინაიდან შეუძლებელია ყველაზე მდიდარი გახდეთ.

### 5. სიბერე

ახალგაზრდობა, ბუნებრივი ან ხელოვნური გზით მიღწეული, სადღეისოდ მოდაშია. მიჩნეულია, ადამიანი, რომელიც ახალგაზრდულად გამოიყურება, აუცილებლად წარმატებული და ბედნიერია. ამიტომ 25 წლის ასაკში პირველ ნაოჭებზე ვწუხვართ.

### 6. ინფორმაცია

თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში მყარად ფესვგადგმულია, რომ „ინფორმაციის ფლობა ნიშნავს სამყაროს ფლობას", ე.ი. წარმატებულად ყოფნას. ამიტომაც ვწუხვართ იმაზე, რომ რაღაცის მოსმენა, წაკითხვა და გაგება ვერ მოვასწარით.

### 7. ცხოვრების ნორმები

ცხოვრებაში რომელი ჩვენგანი ერთხელ მაინც არ შეწუხებულა იმაზე ფიქრით, რომ არასწორად ცხოვრობს, ისე არა, როგორც მიღებულია, ისე არა, როგორც ყველა? სხვებთან მსგავსებაზე ფიქრითა და წუხილით მთავარს — ინდივიდუალობას ვკარგავთ, თავს ცხოვრების საუკეთესო წუთებს ვპარავთ, რომლებიც შეგვეძლო მხოლოდ საკუთარი თავისთვის მიგვეძღვნა, დაგვეხარჯა.

### 8. სიყვარული

ადამიანს მუდამ მასზე ღელვა-წუხილი ახასიათებს. თუ სიყვარული არ ეწვია, მარტოსულია. ან იპოვა და დაკარგვის საშინლად ეშინია, ან დაკარგულს მისტირის. მაგრამ თავად ეს ჯადოსნური გრძნობა ჩვენს სურვილზე დამოკიდებული არ არის. სიყვარული შეიძლება შევადაროთ ტყეს, მდინარეს, რომელიც ან არის, ან — არა და შიში და შფოთვა აქ არ დაგეხმარებათ.

### 9. უბედური შემთხვევა

ყოველდღიურად ტელევიზორის ეკრანიდან გვესმის ნეგატიური ინფორმაციის ნაკადი ტერაქტების, ავტო და ავიაკატასტროფების, ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ. მაგრამ თუ გაფრენა აუცილებელია, ვთქვათ, მნიშვნელოვან მივლინებაში, შფოთვა-წუხილს რა აზრი აქვს? გაფრენა მაინც მოგიწევთ.

### 10. ამინდი

სასაცილოა, მაგრამ მეტეოროლოგიური პირობები არამხოლოდ სინოპტიკოსებს, მფრინავებსა და გეოლოგებს აშინებთ. თუ დავითვლით, დღეში ადამიანი რამდენჯერ ისმენს, კითხულობს ან უყურებს ამინდის ცნობას, აშკარა ხდება, რომ ამინდი ბევრი ჩვენგანისთვის სერიოზული და მუდმივი წუხილის საბაბია.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# რა უნდა იცოდნენ ყავის მოყვარულებმა

ყავა ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში, რომელიც გამოფხიზლებასა და ენერგიით დამუხტვას ეხმარება. ამ არომატულ სასმელს ბევრი სასარგებლო თვისება აქვს, მაგრამ ჯანმრთელობისთვის მავნე ეფექტებიც გააჩნია.

წნევას სწრაფად სწევს მაღლა და ჰიპერტონიკებისთვის უკუნაჩვენებია. ერთი ფინჯანი შავი ყავა (განსაკუთრებით ხსნადი) ცარიელ კუჭზე მის ლორწოვანს აღიზიანებს და გულძმარვას, სიმძიმეს იწვევს. ყავით მეტისმეტად გატაცება მიზეზი ხდება გასტრიტის, ქრონიკული უძილობის, შფოთვის შეგრძნებების, ასევე ნერვულ სისტემას ფიტავს. ყავა ორგანიზმიდან კალციუმს რეცხავს, რაც განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ ქალებმა. როგორ გავანეიტრალოთ ასეთი უსიამოვნებები?



ყავა ნაღებით ან რძით დალიეთ — ასე უფრო უვნებელია კუჭისთვის. გარდა ამისა, კალციუმი არ იკარგება.

ყავა — დილის სასმელია. ეცადეთ, დღის მეორე ნახევარში არ დალიოთ, რათა ნერვული სისტემის აღგზნება არ მოხდეს და უძილობა არ გამოიწვიოს.

პერიოდულად ყავის მაგივრად ჩაი დალიეთ. მწვანე ჩაი უფრო მეტ კოფეინს შეიცავს, ამავდროულად იქ შერწყმულია სხვა ნივთიერებებთან, რომლებიც ყავის უარყოფით მოქმედებას ანეიტრალებენ. გარდა ამისა, მწვანე ჩაი ვიტამინების, ანტიმჟანგავებისა და იმუნიტეტის გამაძლიერებელი ნივთიერებების წყაროა. ასევე კარგად ამხნევებს მაგარი კაკაო და ცხელი შოკოლადი.

ეცადეთ, ნატურალური ყავის მოხმარება შეამციროთ და ვარდკაჭკაჭისა და ქერის ბაზაზე დამზადებული სასმელით შეცვალოთ. გემოთი ყავას ჰგავანან, ხოლო ნერვული სისტემისა და ჯანმრთელობისთვის ბევრად უფრო სასარგებლოა.

# დღეგრძელობაზე ვზრუნავთ

ახალგაზრდობის გასახანგრძლივებლად ზოგიერთ რამეზე უარის თქმა მოგვიწევს.

კერძის ხელმეორედ გაცხელება არ შეიძლება. თუ ხელახლა გაცხელებისას ზეთი 30 წუთზე მეტხანს დუღს, პროდუქტებში წარმოიქმნება ნივთიერებები, რომლებიც დაბერების პროცესს აჩქარებენ.

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ თუ მარილის მოხმარებას ორი მესამედით შევამცირებთ, ინსულტით სიკვდილიანობა 40%-ით, ხოლო ინფარქტით — 30%-ით შემცირდება. ყოველდღიურად ჩვენი ორგანიზმისთვის აუცილებელია ჩაის კოვზის მეოთხედი. ყველაფერი, რასაც ამ ნორმის ზევით ვიღებთ, არტერიული წნევის მომატებას იწვევს და სიცოცხლის ხანგრძლივობას ამოკლებს.

# საუკეთესო საუზმე აბებისთვის

ანტიბიოტიკების მიღება ჭამის დროს, მათი წვენით, მატონიზირებელი სასმელით ან რძით დალევა არ შეიძლება.

რკინის პრეპარატების აქტივობა ქვეითდება, თუ მათ ჩაით, ყავით, რძით დალევთ ან თხილეულს მიაყოლებთ.

ცხიმებით მდიდარი საკვები მნიშვნელოვნად ამცირებს ჭიების საწინააღმდეგო წამლების ეფექტურობას.

თრომბის წარმოქმნის საწინააღმდეგო საშუალებებით მკურნალობისას რეკომენდებული არ არისK ვიტამინის შემცველი ბოსტნეულის (სალათის მწვანე ფოთლები, კომბოსტო, ისპანახი, ჭინჭარი) ჭამა.

სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისას აუცილებელია საკვები, რომელიც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნის გაუმჯობესებას (ღვიძლი, თევზი, სტაფილო, კამა, ბროწეული, შავი მოცხარი, მარწყვი).

შარდმდენი საშუალებებით მკურნალობა ორგანიზმში კალიუმის ნაკლებობას იწვევს. დანაკარგს შეავსებს: ბარდა (ნებისმიერი სახით), ისპანახი, მჟაუნა, კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, ლობიო, ვაშლი, გარგარის ჩირი, ალუბალი, ატამი, ქლიავი.

# მენიუ ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით

ვარსკვლავებს პრაქტიკულად ყველა ცხოვრებისეულ კითხვაზე აქვთ პასუხი, მაგალითად, რომელი პროდუქტია ყველაზე მეტად სასარგებლოსწორედ თქვენთვის. მაშ ასე, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაიბადეთ?

ვერძისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ბოსტნეული და ხილი, განსაკუთრებით ნიახური, სტაფილო, კიტრი, ლიმონი, კალიუმით მდიდარი ისპანახი, კომბოსტო, ოხრახუში, კარტოფილი, ბანანი, ნიგოზი.

კუროსთვის ყოველდღიურად რეკომენდებულია ბოსტნეულის წვნიანი. ძალიან სასარგებლოა ქორფა ბოსტნეული, ტყის კენკრა, ასევე ვირთევზა.

ტყუპებს ესაჭიროება ბევრი ფოსფორი, (შეიცავს თევზი, სოკო). ყოველდღიურ მენიუში ჩართეთ სალათები, ვინეგრეტი, ბოსტნეულის საუზმე.

კიბორჩხალა თავს კარგად გრძნობს, თუ



საკვებად ხშირად იყენებს იოდით მდიდარ კრევეტებსა და ზღვის კომბოსტოს, ხილიდან: ყურძენს, ატამს, გარგარს, ნესვს.

ლომისთვის აუცილებელია ორგანიზმი კალიუმითა და მაგნიუმით მუდამ მარაგდება(?) 

ქალწული გვერდს ვერ აუვლის რძის პროდუქტებს, ყველს, ქორფა ბოსტნეულსა და მწვანილს. ეს პროდუქტები მდიდარია კალციუმითა და ვიტამინებით.

სასწორს, პირველ რიგში, ესაჭიროება ფოსფორი (შეიცავს თევზი). ასევე სასარგებლოა ქორფა ან ორთქლზე მომზადებული ბოსტნეული, ხილი, მრგვალი ბრინჯი, ზღვის პროდუქტები.

მორიელის (ღრიანკალი) მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს რკინითა და მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები (შეიცავს ისპანახი, ხახვი, ღვიძლი, კვერცხი).

მშვილდოსანს ჯანმრთელობასა და ტონუსს შეუნარჩუნებს კენკრა (მარწყვი, მოცხარი, მოცვი), როგორც ქორფა, ასევე მურაბის სახით. აგრეთვე ნებისმიერი ჯიშის ვაშლი.

თხის რქის მაგიდაზე ყოველდღიურად უნდა იდოს სეზონური ბოსტნეული და ხილი, მათ რიცხვში — საზამთრო, ყურძენი, ნესვი, ქლიავი. მის ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს ზღვის თევზი.

მერწყულმა თავის რაციონში უნდა ჩართოს ყველანაირი ბურღულეული, ასევე რკინით მდიდარი მცენარეული პროდუქტები: წიწიბურა, ვაშლი, ლობიო და სხვა პარკოსნები.

თევზებისთვის მეტად საჭიროა ზღვის პროდუქტები, განსაკუთრებით ვირთევზა. რაციონში ჩართეთ კიტრი, ბოლოკი, სალათა, ოხრახუში, საზამთრო, ნიახური, ლობიო, შვრიის ფაფა, სტაფილო, ფორთოხალი, გრეიპფრუტი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

# რატომ უფრთხის გიორგი მოსიძე მოთამაშე ქალებს

ინტელექტუალური ტელეთამაშის „რა? სად? როდის?“ წამყვანი გიორგი მოსიძე ქართველ ქალებს ქათინაურებს მხოლოდ სადღეგრძელოებში ეუბნება, რეალურად კი სულაც არ თვლის, რომ სხვებთან შედარებით ისინი რაიმე უპირატესობით სარგებლობენ. პროცენტულად საქართველოშიც იმდენივე სულელი ქალი ეგულება, რამდენიც სხვა ქვეყანაში. ჭკვიან მანდილოსანთან ურთიერთობა მისთვის კომფორტია, მაგრამ ქალი, რომელიც მოეწონება, ინტელექტუალური თამაშით გატაცებული არ უნდა იყოს. თავის ყველაზე სასურველ ქალს წლების წინ შეხვდა. ემილია ხალილოვა ის ერთადერთი აღმოჩნდა, ვის სამყაროშიც ყველაფერი აღმოაჩინა, რასაც ქალში ეძებდა.

— **ბატონო გიორგი, რა უნდა მოგეწონოთ ქალში, რომ დადებითად შეაფასოთ?**

— თქვენთან საუბარს ცნობილი ფრაზით დავიწყებ, რომ ქალებთან ერთად არსებობა არის გაუსაძლისი, მაგრამ უქალებოდ კიდევ უფრო გაუსაძლისია. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ქალი შეიძლება სულაც არ მომეწონოს, მაგრამ დადებითად შევაფასო. მაგალითად, ისლანდიის პრეზიდენტი, როგორც ქალი, არ მომწონს, მის მუშაობას კი დადებითად ვაფასებ. ქალი არც ძალიან მორცხვი უნდა იყოს და არც ძალიან თავისუფალი. მანდილოსანი, რომელიც მომეწონება, აუცილებლად უნდა იყოს ლამაზი, ჭკვიანი, ზრდილი და ისეთი ნაკითხი, რომ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და კინოზეც მელაპარაკოს. უნდა იცნობდეს პოეზიას, დრამატურგიას, სახვით ხელოვნებას.

— **და ალბათ ინტელექტუალური თამაშებითაც უნდა იყოს გატაცებული.**

— ინტელექტუალური თამაშები უნდა მოსწონდეს, მაგრამ არ არის სასურველი, თავად თამაშობდეს, რადგან ეს უკვე მაეჭვებს. მოთამაშე ქალი ჩემში თრთოლვას იწვევს, სასურველი არ არის იმიტომ, რომ მე თვითონ მოთამაშე ვარ და ამ შემთხვევაში გადაცემას „რა? სად? როდის?“ არ ვგულისხმობ. როგორც უილიამ შექსპირმა თქვა, ჩვენი ცხოვრება თამაშია, ჩვენ ყველანი კი მოთამაშეები ვართ. მეც ცხოვრებას ისე ვუდგები, როგორც თამაშს. ვინაიდან თავად გარკვეული ავანტიურიზმი გამაჩნია, ამიტომ ავირჩევდი მანდილოსანს, რომელშიც ეს ავანტიურიზმი ნაკლებად არის. სხვათა შორის, თავის დროზე ავირჩიე კიდეც.

— **როგორ შეხვდით თქვენს მეორე ნახევარს?**

— ეს იყო სტრასბურგში, 1996 წლის შემოდგომაზე. ჩვენი ნავი მიაპობდა მდინარე ილის ნაპირებს და იქ ჩვენ ერთმანეთს პირველი კოცნა ვაჩუქეთ... მე და ემილია ხალილოვამ ერთმანეთი ევროსაბჭოს ახალგაზრდულ ღონისძიებაზე გავიცანით, სადაც ორივენი საქართველოს მხარეს წარმოვადგენდით. პირველი გრძნობა იქ ჩაისახა. ჩვენი ურთიერთობა თბილისში სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, 1999 წლის 26 ივნისს კი ქორწილით დაგვირგვინდა.

**„ინტელექტი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ინტელექტუალი, უშნო და უგემოვნო ქალი ჩემში არანაირ ემოციას არ იწვევს“.**

— **რით მოგხიბლათ ემილიამ?**

— ემილია ჩემს იდეალთან ყველაზე მიახლოებულია — ლამაზი, ჭკვიანი და განათლებულია. თავს არასდროს მაბეზრებს და არც არასოდეს მაგრძნობინებს, მე თუ მოვაბეზრებ. კერძო ბიზნესითაა დაკავებული, თავისი შემოსავალი აქვს და მუდმივად ფულს არ მთხოვს. როდესაც ევროპაში ან კიევში საქმიანი მივლინება მაქვს, არასოდეს წუწუნებს და პრობლემებს არ მიქმნის. სამი ჭკვიანი, ლამაზი და ნიჭიერი შვილი გამიჩინა და მათი აღზრდით არის დაკავებული. ამავე დროს, ჩემი ცოლი ინტელექტუალურ თამაშს „რა? სად? როდის?“ უყურებს, როგორც კონკურენტს, რომელიც მას მეუღლეში ეცილება. ის რომ არა, ოჯახში მეტ დროს გავატარებდი.



■ გიორგი მოსიძე

**„პირდაპირ გეტყვით, უკრაინელი ქალები უფრო ლამაზები არიან, ვიდრე ქართველები“.**

— **რა შემთხვევაში შეიძლება ქალი მოსაბეზრებელი გახდეს?**

— როცა ქალი ცდილობს, შენს პირად სამყაროში შემოვიდეს და რაღაც ერთიანი შექმნას, ეს უკვე მომაბეზრებელია. ქორწინების მიუხედავად, ადამიანების პირადი სამყაროები არ უნდა გაერთიანდეს, ყველა თავის სამყაროში უნდა დარჩეს. ეს ბედნიერი და სტაბილური ოჯახური ცხოვრების წინაპირობა გახლავთ. არსებობენ გოგოები, რომლებსაც ილუზია აწუხებთ, რომ ქმართან ერთად ერთ მთლიან სამყაროს შექმნიან. მე ამ იდეის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

**„ემილია ჩემს იდეალთან ყველაზე მიახლოებულია — ლამაზი, ჭკვიანი და განათლებულია. თავს არასდროს მაბეზრებს და არც არასოდეს მაგრძნობინებს, მე თუ მოვაბეზრებ“.**

— **ქართველ ქალებზე ამბობენ, რომ ზედმეტად ზრუნავენ ქმრებზე და მართლაც უქმნიან განსაკუთრებულ გარემოს, სადაც ცხოვრება გაცილებით იოლია.**

— ქალი ქალია და ძალიან გთხოვთ, ეს ილუზიები და ზღაპრები თავიდან ამოიგდოთ! ქალი ასეთიც არსებობს და ისეთიც, მაგრამ არ ვთვლი, რომ ქართველები უცხოელებისგან დიდად განსხვავდებიან. მითი და ილუზია იმის შესახებ, რომ ჩვენ განსაკუთრებული ერი ვართ, დროზე უნდა დავანგრიოთ და იმ დიდ ევროპულ ოჯახში შევიდეთ, რომლისკენაც ამდენი წელია გეზი გვაქვს აღებული. ბევრ ქართველ ქალს ვიცნობ, რომელიც ისეთივე თავისუფალია, როგორც უცხოელი ან პირიქით, საერთაშორისო ღონისძიებებზე საკმაოდ შებოჭილ უცხოელებსაც არაერთხელ შევხვედრივარ.

— **თქვენ სხვა მამაკაცებივით არ ფიქრობთ, რომ ქართველი ქალი განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა?**

— ესეც ზღაპარია! პირდაპირ გეტყვით, უკრაინელი ქალები უფრო ლამაზები არიან, ვიდრე ქართველები. ეს საკამათო თემაც არ არის და კაცები, რომლებიც უკრაინაში არიან ნამყოფი, ალბათ დამეთანხმებიან. თუმცა სადღეგრძელოებში, რასაკვირველია, ქართველ ქალს ტრადიციული ქათინაურებით ვადღეგრძელებთ ხოლმე.

— **კიდევ ერთხელ რომ ჩამოგვიყალიბოთ ქალის იდეალი...**

— ჩემთვის ქალი ქალია! კიდევ ერთხელ გეტყვით, ქალი უნდა იყოს სიმპათიური, ჭკვიანი, განათლებული, მომთმენი და მზადმყოფი მსხვერპლშეწირვისათვის. ასეთი შეიძლება იყოს იაპონელი, ჩინელი, ქართველი და რუსიც. ისიც უნდა ვთქვა, რომ სულელი ქალების პროცენტული რაოდენობა ყველა ერში იმდენივეა, რამდენიც საქართველოში.

— **თქვენ გქონიათ სულელ ქალთან ურთიერთობა?**

— რასაკვირველია და არაერთხელ. ასეთ ქალებთან ნაკლებად მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ზოგჯერ სამსახურის გამო მაინც მიწევს, რას ვიზამ. მე მაქვს პატივი, ჭკვიანი ქალების გარემოცვაში ვიცხოვრო, ეს ეხება როგორც ინტელექტკლუბს, ასევე ჩემ ირგვლივ მყოფ ახლობლებსაც. როგორც კი ისეთ კომპანიაში მოვხვდები, სადაც არცთუ ჭკვიანი გოგოები იყრიან თავს, ამას მყისიერად ვგრძნობ და ინტერესს ვკარგავ.

— **როგორ გრძნობთ?**

— დასკვნის გასაკეთებლად მანდილოსნის რამდენიმე ფრაზაა საკმარისი. ღირს თუ არა მასთან ურთიერთობის გაგრძელება, ამის დადგენა მისი რამდენიმე წინადადების შემდეგაც შეიძლება. ქალის ბოლომდე ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მან ბოლომდე თვითონაც არ იცის, რა უნდა და თუ სრულყოფილად იცის, რა სურს, მაშინ ის ქალი არ არის.

— **თქვენი მეუღლე აზერბაიჯანელია. ქართულ ტრადიციებს როგორ ეწყობა თუ ასეთი ტრადიციები ოჯახში არ გაქვთ?**

— ჩემი მეუღლე თბილისში დაბადებული და გაზრდილია, ასე რომ, ჩვენს ტრადიციებთან შეგუება არც დასჭირვებია. ჩემი სიდედრ-სიმამრიც თბილისელი, მეიდნელი აზერბაიჯანელები არიან, უფრო მეტად თბილისელები, ვიდრე ჩვენი წინაპრები, რომლებიც წლების წინ რაიონებიდან დედაქალაქში ჩამოვიდნენ. ჩემი ცოლის ოჯახის ტრადიციებს თბილისურს დავარქმევდი, სადაც ყველაფერი ერთად არის შეხამებული.

— **ქმრებს საგარეო საქმით აქტიურად დაკავებული ცოლი მაინცდამაინც არ მოსწონთ. თქვენ როგორ ეგუებით ბიზნესმენ მეორე ნახევარს?**

— საქმიანი ქალები ძალიან მომწონს, მაგრამ ჩემი მეუღლე ძალიან არის დაკავებული. ამის გამო ხშირად ვწუწუნებ, რადგან ოჯახისთვის იმდენი დრო აღარ რჩება, როგორც ადრე. ამას მეორე მხარეც აქვს. ის თვითრეალიზებულია და თავს კარგად გრძნობს. ჩვენი კამათის თემა ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხებია ან შვილების აღზრდას უკავშირდება. როცა საქმე გადაწყვეტილების მიღებას ეხება, აზრებს თანაბრად გამოვთქვამთ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის მე ვიღებ, რად-



Cyan Magenta Yellow Black

გან ოჯახის უფროსი ვარ. ჩემი მეუღლის აზრებს ვითვალისწინებ, მაგრამ გადაწყვეტილებას ვიღებ არა ისე, როგორც მე მსურს, არამედ როგორც ყველასთვის ჯობს. ოჯახი იმისთვის გვქვია, რომ ერთმანეთის სურვილები გავითვალისწინოთ და კომპრომისის საფუძველზე ორივე კმაყოფილი დავრჩეთ.

**— შვილების აღზრდაში მონაწილეობთ თუ ეს საქმე ცოლისთვის გაქვთ მინდობილი?**

— რასაკვირველია, ვმონაწილეობ. უმცროსი გიორგი მოსიძე თებერვალში 10 წლის ხდება, ელენე 8 წლის გახლავთ, ნიკუშა კი ახლახან 2 წლის გახდა. ის ჩვენი ოჯახის სიხარული და იმედია. ელენე კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში ფორტეპიანოს განხრით სწავლობს და ნინო ანანიაშვილის საბალეტო სტუდიაშიც დადის. რამდენიმე წლის შემდეგ მუსიკოსობასა და ბალერინობას შორის არჩევანის გაკეთებაც მოგვიწევს. ჩემდა სამწუხაროდ, წიგნის კითხვას ძირითადად ვაძალებთ, მაგრამ დღეს ინტერნეტში იმდენი ინფორმაციაა, რა წიგნიც უნდა მოვუტანო, იმის მულტფილმი უკვე ნანახი აქვთ. ამის შემდეგ წიგნის წაკითხვა რთულია. ეს 21-ე საუკუნის პრობლემაა და ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხეთ.

**— გარეგნობით როგორი ქალები იქცევენ თქვენს ყურადღებას?**

— მე მეინსტრიმული გემოვნების წარმომადგენელი ვარ და ისეთი ტოპმოდელები მომწონს, როგორებიც ახლა არიან პოპულარულები, ანუ უპირატესობას გამხდარ ქალებს ვანიჭებ. თხელი და გემოვნებით ჩაცმული ქალები მომწონს. ინტელექტი ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ინტელექტუალი, უშნო და უგემოვნო ქალი ჩემში ემოციას არ იწვევს.

**— გემოვნება ყველას თავისი აქვს. თქვენი გაგებით გემოვნებით ჩაცმა რას გულისხმობს?**

— სტილში უნდა იჯდეს და შავ ფერებში გამოწყობილი არ უნდა იყოს, რაც საქართველოში ძალიან გავრცელებულია.

**— თქვენი აზრით, შავი ფერი რატომ არის ქალებში ასეთი აქტუალური?**

— იმიტომ, რომ ფერადების შეხამებას გემოვნება სჭირდება, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდება. ამის ტრადიცია საქართველოში არ გვაქვს, რადგან საბჭოთა პერიოდში ფერთა ასეთი გამა არ იყო. და კიდევ, ჩვენთან მუქი ფერის სამოსი იმიტომ აცვიათ, რომ ეს უფრო არაპრეტენზიულია და უფრო იაფად იშოვება. საქართველოში მასას რომ უგემოვნოდ აცვია, სიდუხჭირითაც არის გამოწვეული. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ქართველი გოგოები არიან

**„ისეთი ტოპმოდელები მომწონს, როგორებიც ახლა არიან პოპულარულები, ანუ უპირატესობას გამხდარ ქალებს ვანიჭებ".**

უგემოვნოები, რადგან თურქეთშიც ასევე უგემოვნოდ აცვიათ. თბილისის ქუჩებში უგემოვნოდ ჩაცმული ბევრი გოგო მხვდება. სამწუხაროდ, ოჯახში ისეთი არავინ ჰყავთ, ვინც რჩევას მისცემთ. შეიძლება ვთქვა, რომ ქართველი გოგონები ინგლისელებთან ან ფრანგებთან შედარებით, ნაკლებად გემოვნებიანები არიან.

**— ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდელ თანაცხოვრებაზე რა აზრის ხართ?**

— დაახლოებით 20 წლის წინ მეც საზოგადოების იმ ნაწილს ვეკუთვნოდი, რომლებიც ამის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ გლობალიზაციამ საქართველოს თავისი ხელი დაატყო და ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა იცვლება. ვფიქრობ, ძალიან მალე ჩვენშიც დამკვიდრდება გერლფრენდ-ბოიფრენდის თანაცხოვრების სტილი. იმის მიუხედავად, ჩემთვის ეს მისაღებია თუ არა, ასე იქნება. დროთა სვლას ვერაფერი შეაჩერებს.

**— თქვენმა შვილმა ელენემ რომ გადაწყვიტოს ასე ცხოვრება, არ დაუშლით?**

— 10 წლით ადრე მსგავსი პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, როგორც ყველა მამას, მეც მზარავს იმის გაფიქრება, რომ ჩემი გოგო ადრე თუ გვიან უნდა გათხოვდეს. რას ვიზამ, ამასაც შევეგუები ოდესმე.

✓ სოფიო ბოჭორიძე

## უსეინ ბოლტი წარმატების საიდუმლოს არ ამხელს



■ უსეინ ბოლტი

თანამედროვეობის ლეგენდარულმა სპრინტერმა, იამაიკელმა უსეინ ბოლტმა, ფარდა ახადა თავისი შთამბეჭდავი სისწრაფის საიდუმლოს, რომელმაც მას არაერთი გამარჯვება მოუტანა. აღმოჩნდა, რომ როდესაც ის ფინიშის ხაზისკენ მიქრის, ამ დროს თავისი მეგობარი გოგონას, მეგან ედვარდსის უკანალზე ფიქრობს.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე, ასმეტრიანი დისტანციის გარბენის წინ, მეგანმა უსეინს იამაიკის მცხუნვარე მზით განათებული თავისი უკანალის ფოტო გაუგზავნა. სურათის ქვეშ კი რომანტიკული წარწერა იყო: „როდესაც ფინიშის ხაზისკენ გაიჭრები, ჩემს უკანალზე იფიქრე“. სურათის ხილვის შემდეგ ბოლტი ადგილს წარმოუდგენელი სისწრაფით მოსწყდა და შედეგით 9,63 წამით ოქროს მედალს დაეუფლა.

სამწუხაროდ, 4X100-ზე ესტაფეტის მოსაგებად უსეინისთვის მეგანის უკანალი საკმარისი არ აღმოჩნდა და მოტივაციის მორიგი პორცია ითხოვა. გოგონას არ დაზარებია და ისეთი რამ გაუგზავნა, რომ იამაიკელებმა ესტაფეტა მსოფლიო რეკორდით მოიგეს. ის, თუ რა იყო ასახული ფოტოსურათზე, დღემდე უცნობია. შესაძლოა სწორედ მასში მდგომარეობს იამაიკელი მორბენლების მთავარი საიდუმლო.

## შარაპოვას ახალი ბოიფრენდი ჰყავს

ცნობილ ჩოგბურთელ მარია შარაპოვას ახალი ბოიფრენდი ჰყავს, ამის თაობაზე ინფორმაცია „ESPN“-ს ჟურნალისტმა დარენ როველმა გაავრცელა.

— მარია შარაპოვას გული ისევ დაკავებულია. მე მივიღე იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ის 21 წლის ბულგარელ ჩოგბურთელ გრიგორ დიმიტროვს ხვდება, — დაწერა სოციალურ ქსელში როველმა.



■ გრიგორ დიმიტროვი და მარია შარაპოვა

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის დეკემბერში შარაპოვა და დიმიტროვი ერთად დასეირნობდნენ მილანში. ისინი თავს მშვენივრად გრძნობდნენ და ბედნიერად გამოიყურებოდნენ. ბულგარელ ჩოგბურთელს შარაპოვასთან ურთიერთობის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

— ჩემს პირად ცხოვრებაზე კომენტარებს არ ვიძლევი, — განაცხადა დიმიტროვმა მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გამართული ტურნირის ფინალში ენდი მარეისთან დამარცხდა.

ბულგარელი ჩოგბურთელი საკმაოდ პერსპექტიულად ითვლება, ის ამჟამად ატპ-ს რეიტინგში 39-ე პოზიციაზეა, რაც მისი ასაკისთვის შესანიშნავი შედეგია.

შეგახსენებთ, რომ მანამდე მარია შარაპოვა სლოვაკ კალათბურთელ საშა ვუიაჩიჩზე აპირებდა გათხოვებას. დანიშნულებიც კი იყვნენ, მაგრამ შემდეგ მათ ურთიერთობაში კრიზისი დაიწყო და ერთმანეთს დაშორდნენ.

## ბრაზილიელი ფეხბურთელი გაძარცვეს

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბის „სან პაულუს“ 24 წლის თავდამსხმელის ვოლისონის სახლს მაკაიბიში თავს შეიარაღებული ბანდიტები დაესხნენ.

ბრაზილიელი ფორვარდი სახლში ისვენებდა, როდესაც 3 მძარცველი ბინაში შეიჭრა. მეოთხე ქუჩაში დარჩა და სიტუაციას აკონტროლებდა.

— მათ დამიყვირეს: „ადექი! ძარცვაა!“, — იხსენებს ვოლისონი, — ერთ-ერთმა პისტოლეტი ამოიღო და თავში ჩამარტყა. ეს ისეთი ძალით გააკეთა, რომ თავბრუსხვევა დამეწყო. სამწუხაროდ, მაკაიბიში დაცვა მოიკოჭლებს. ადრე ასეთი რამ თავს არასოდეს გადამხდენია. მომავალში უფრო კარგად დავფიქრდები, სანამ აქ ჩამოსვლას გადავწყვეტ.

საერთო ჯამში, თავდამსხმელებმა ფეხბურთელის სახლში დაახლოებით საათნახევარი დაყვეს. მათ წაიღეს კომპიუტერი, ტელეფონები, ვოლისონის სათამაშო მაისურები, ბუცები, საათები, პარფიუმერია და 500 ევრო. თავად ვოლისონი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# დროის შეგრძნება ხომ არ გღალატობთ?



**1. ტელევიზორში თქვენს საყვარელ ფილმს უჩვენებენ, თქვენ კი კიდევ უამრავი საქმე გაქვთ მოსასწრები...**

ა) ჯერ საქმეებს დაასრულებთ, შემდეგ კი ტელევიზორს მიუჯდებით — 10

ბ) საქმეებს მიატოვებთ და საყვარელ ფილმს უყურებთ — 5

გ) ფილმის ცქერას და საქმეს ერთმანეთს შეუთავსებთ — 0

დ) პროტესტის ნიშნად არც საქმეს გააკეთებთ და არც ტელევიზორს უყურებთ — 3

**2. შეკრებაზე სიტყვით გამოსვლა შემოგთავაზეს, თქვენ...**

ა) ეცდებით, რომ სიტყვა საინტერესო იყოს და არ მიაქცევთ ყურადღებას, რამდენ ხანს გაგრძელდება ის — 0

ბ) ეცდებით, განსაზღვრულ დროში ზუსტად ჩაეტიოთ — 10

გ) რამდენიმე არაჩვეულებრივი ფრაზით შემოიფარგლებით — 5

დ) წინასწარ არაფერს მოამზადებთ — 3

**3. ყველაზე უკეთ მუშაობა გამოგდით...**

ა) დილით ადრე — 3

ბ) დღის საათებში — 0

გ) საღამოს — 5

დ) თქვენი შრომისუნარიანობა დღის მონაკვეთზე არაა დამოკიდებული — 10

**4. დილით დგებით...**

ა) მაღვიძარას ზარზე — 5

ბ) თქვენით იღვიძებთ — 10

გ) ვინმემ უნდა გაგაღვიძოთ — 3

დ) თქვენით იღვიძებთ, მაგრამ ლოგინში კოტრიალი გიყვართ — 0

**5. დღესასწაულზე სტუმრად მიხვედით, იქიდან კი წამოხვალთ..**

ა) განსაზღვრულ დროს — 10

ბ) როცა სხვა სტუმრებიც დაიწყებენ სახლებში წასვლას — 5

გ) როცა ამას გარემოება გიკარნახებთ — 0

დ) წასვლაზე საერთოდ არ ფიქრობთ — 3

**6. საკვებს განსაზღვრულ დროს მიირთმევთ?**

ა) დიახ — 10

ბ) ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ არ გამოგდით — 5

გ) ეს არ გსურთ, მაგრამ მაინც იცავთ რეჟიმს — 3

დ) არა — 0

**7. შეხვედრაზე დაგაგვიანდათ და უკვე კარგა ხანია გელოდებიან...**

ა) დაგვიანებისთვის ბოდიშს მოიხდით — 10

ბ) თავს პირობას აძლევთ, რომ მეორედ ეს აღარ დაგემართებათ — 5

გ) იმედი გაქვთ, რომ არ გაგკიცხავენ და ამის შესახებ დაივიწყებენ — 3

დ) საგანგაშო არაფერია, რადგან ყველამ კარგად იცის, როგორი არაპუნქტუალურიც ხართ — 0

**8. როცა სადმე იგვიანებთ, თავს როგორ იმართლებთ?**

ა) სიმართლეს ამბობთ, მიუხედავად იმისა, ეს რა შედეგს მოგიტანთ — 10

ბ) ცრუობთ — 3

გ) სიტუაციის მიხედვით იქცევით — 5

დ) არაფრით, ეს მნიშვნელოვანად არ მიგაჩნიათ — 0

**9. თუ ვიღაცამ თქვენთან შეხვედრაზე დაიგვიანა...**

ა) მის მიმართ პატივისცემას დაკარგავთ და ყველაფერს პირში ეტყვით — 10

ბ) მას აღარასოდეს შეხვდებით — 5

გ) თანაუგრძნობთ, რადგან დაგვიანება თქვენც გჩვევიათ — 3

დ) ეს არანაირად გაღელვებთ — 0

**10. როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

ა) ისვენებთ — 3

ბ) ერთობით — 0

გ) სამომავლო საქმეებს აკეთებთ — 5

დ) თავისუფალი დრო არასოდეს გაქვთ — 10

**11. გაქვთ სპეციალური ბლოკნოტი, რომელშიც მნიშვნელოვან საქმეებს ინიშნავთ?**

ა) დიახ — 10

ბ) გაქვთ, მაგრამ ჩანაწერების გაკეთება გავიწყდებათ — 3

გ) ისედაც ყველაფერს მშვენივრად იმახსოვრებთ — 5

დ) არ გაქვთ — 0

**12. თავს კიცხავთ, როცა დაგეგმილ საქმეებს ვერ ასრულებთ?**

ა) დიახ, თუ დამნაშავე თქვენ ხართ — 5

ბ) დიახ, ნებისმიერ შემთხვევაში — 10

გ) არა, რადგან თქვენს ნაცვლად ამას სხვები აკეთებენ — 3

დ) არასოდეს, ხვალ მოასწრებთ ყველაფრის გაკეთებას — 0

**13. შეგიძლიათ თქვათ, რა დრო დაკარგეთ დღეს უქმად?**

ა) დაახლოებით — 5

ბ) ასეთ წვრილმანებზე არასოდეს ამახვილებთ ყურადღებას — 0

გ) იცით და აანალიზებთ, რატომ მოხდა ეს, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდეს — 10

დ) შეგიძლიათ — 3

**14. როგორ უყურებთ საქმეებს, რომელთა შესრულებაც დროშია შეზღუდული?**

ა) ცდილობთ, მათ თავი აარიდოთ — 3

ბ) ეს თქვენთვის პრობლემა არ არის — 10

გ) ეცდებით, შეასრულოთ, მაგრამ შეზღუდვები არ გიყვართ — 5

დ) უფრო გრძელვადიანი პროექტები გხიბლავთ — 0

**შედეგები:**

**0-50 ქულა** —თქვენ ადამიანების უმრავლესობას მიეკუთვნებით. გულმავიწყობა არ გჩვევიათ. მართალია, იდეალურად ვერ ანაწილებთ თქვენს დროს, მაგრამ სანერვიულო არაფერია. ადამიანთა უმრავლესობას დროის ზუსტად ასეთივე შეგრძნება აქვთ. თუ სადმე აგვიანებთ, ეს იშვიათად ხდება და მაქსიმუმი 10 წუთი გადააცილოთ დათქმულ დროს.

**51-95 ქულა** — პუნქტუალურობა თქვენი ძლიერი მხარე არ არის, თუმცა მაქსიმალურად ცდილობთ, არსად დაიგვიანოთ და დროის დათქმულ ინტერვალებში ჩაჯდეთ. როცა რაღაცას ვერ აკეთებთ, ან დროში იწვებით, ყოველთვის რეალური მიზეზების გამო. როგორც ჩანს, ცოტა მეოცნებე ნატურაც გაქვთ და ხანდახან ზედმეტად „გაერთობით" ხოლმე. კარგია, როცა ცხოვრებაში საქმისა და სამსახურის გარდა არსებობს სიყვარული, მეგობრები... ამ ურთიერთობებში კი რამის წინასწარ დაგეგმვა ცოტა ძნელია.

**100-140 ქულა** —პედანტს ნამდვილად ვერ გიწოდებთ, თუმცა დროის ერთობ გამძაფრებული შეგრძნება გაქვთ. სულ გეშინიათ, არსად დაგაგვიანდეთ, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანოთ, ამიტომ ერთობ მობილიზებული და დაძაბული ხართ. ეს კი ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. მიეცით თავს უფლება, ხანდახან ცოტა ამოისუნთქოთ, დრო თავის ნებაზე მიუშვათ და თავს განტვირთვის უფლება მისცეთ.

## სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 3 | 8 | | 9 | |
| | 4 | | | | | 5 | | 2 |
| | | 7 | | | 9 | 6 | | |
| | | | 3 | | | | | 1 |
| | 8 | | | 5 | | | 6 | |
| 3 | | | 4 | | 1 | | | |
| | | 6 | 1 | | | 8 | | |
| 5 | | | | | | | 7 | |
| | | 9 | | 2 | | | | 3 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | | 2 | | | 9 |
| 4 | | | 8 | | | 3 | | |
| | | 5 | | 6 | | | 8 | |
| 9 | | | | | 3 | 7 | | 4 |
| | 8 | | | 7 | | | | |
| | | 6 | 2 | | 5 | 1 | | |
| | 2 | | | | | 6 | 4 | |
| | | 3 | | 9 | | | | 1 |
| | | | 7 | 1 | | | | 5 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# გარესამყაროსთან ჩაკეტილი ხართ თუ გახსნილი?

**1. ერთ დღეს შეგიძლიათ ნახოთ ორი ფილმი, სპექტაკლი, იკითხოთ ტრანსპორტში, დანიშნოთ შეხვედრები და ერთი-ორზე მისვლაც მოასწროთ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**2. ცუდ ხასიათზე დგებით, თუ რადიო ან ტელევიზორი არ მუშაობს, თავს მარტოსულად გრძნობთ, თუ ტელეფონი გაგიფუჭდათ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**3. თქვენი ნაცნობ-მეგობრების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**4. ადვილად იმახსოვრებთ სახეებს, სიტუაციებს, ბიოგრაფიებს?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**5. გიყვართ მხიარული წვეულებები და მარტოობას გაურბიხართ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**6. გიყვართ ხუმრობა და ანეკდოტების მოყოლა?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**7. გსიამოვნებთ სადღეგრძელოების თქმა, ანეკდოტების მოყოლა, სუფრაზე ისეთ ადგილზე ჯდებით, საიდანაც ყველას და ყველაფერს კარგად დაინახავთ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**8. იცით, სად რა ხდება?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**9. ადვილად ეცნობით ადამიანებს, იგნებთ გზას უცხო გარემოში, ადვილად პოულობთ გამოსავალს რთული სიტუაციებიდან?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**10. ადვილად იღებთ გადაწყვეტილებებს მაშინაც კი, როცა იცით, რომ მთლად სწორი არ არის?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**11. რთულ სიტუაციებში გაქვთ უნარი, ყველაფერი კარგად მოიფიქროთ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**12. ბევრი იდეა და გეგმა გაქვთ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს რეალიზებას ახერხებთ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**13. არ მოგწონთ ადამიანები, რომლებიც თქვენი ჯანმრთელობის გამო ღელავენ?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**14. თქვენთვის მნიშვნელოვანია, რა შთაბეჭდილებას ახდენთ გარშემომყოფებზე?**

ა) დიახ — 10
ბ) არა — 0

**შედეგები:**

**140-70 ქულა** — თქვენ ასპროცენტიანი ექსტრავერტი ხართ, ადამიანი, რომელიც არასოდეს იკეტება საკუთარ თავში და ყველაფერი გარეთ გამოაქვს. მუდმივად აფართოებთ საქმიან და პირად კონტაქტებს. ცხოვრებისგან იღებთ ყველაფერს, რისი აღებაც შესაძლებელია.

**60-0 ქულა** — ტესტის შედეგების მიხედვით, თქვენ ინტრავერტი (საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი) უფრო ხართ, ვიდრე ექსტრავერტი. თქვენი კონტაქტები შეზღუდულია, ხშირად იკეტებით საკუთარ ნაჭუჭში, თითქოს ყველასგან და ყველაფრისგან დამალვა გსურდეთ. ასე ცხოვრება ძნელია, რადგან სწორედ ურთიერთობები ანიჭებს ადამიანს სიხარულს. დაფიქრდით ამაზე.

# ტელეწამყვანად გამოდგებით?



**1. სარკეში ჩაიხედეთ და თავს დააკვირდით — ორი თვალი, ორი ყური, ცხვირი, პირი — ყველაფერი ადგილზე გაქვთ?**

ა) მგონი, მთელი კომპლექტი ადგილზეა — 1
ბ) ორი კბილი მაკლია — 0
გ) ცალ თვალს რომ ვხუჭავ, ვერაფერს ვხედავ, ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს? — 0

**2. თვალის უნებლიე ხამხამი, ხელების და ფეხების კანკალი ხომ არ გაქვთ?**

ა) ჯერჯერობით, არა — 1
ბ) პერიოდულად ცალი თვალი მეჭუტება — 0
გ) დიახ, ხელები მიკანკალებს — 0

**3. ენა ხომ არ გებმით?**

ა) არა — 1
ბ) საუბარს რომ ვიწყებ, პირველ წუთებში მებმის, შემდეგ გამართულად ვლაპარაკობ — 0
გ) ენაბლუ კი ვარ, მაგრამ ეს მე არ მაწუხებს, ვინც მისმენს — მათი რა მოგახსენოთ — 0

**4. ანბანის ყველა ასოს კარგად გამოთქვამთ?**

ა) არამარტო ასოს, ციფრებსაც — 1
ბ) რამდენიმე ასოს გამოკლებით ყველას კარგად წარმოვთქვამ — 1
გ) ცოტა მიჭირს, მერე რა, ფონოგრამა ხომ არსებობს? — 0

**5. ხმამაღლა წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ფრაზები და დაითვალეთ, რამდენჯერ დაუშვით შეცდომა: „როდოდენდრონები დენდრარიუმიდან“, „33 ხომალდი ლავირებდა, ლავირებდა და ვერ ილავირა“; „ჩემს ქათამს ხან იქით გადავაფხარ-ბარკალ-კურტუმ-კუჭ-კისერებ, ხან აქეთ გადმოვაფხარ-ბარკალ-კურტუმ-კუჭ-კისერებ“.**

ა) არც ერთი შეცდომა დამიშვია— 1
ბ) ამერია სათვალავი, რამდენჯერ შემეშალა — 0
გ) მე ახალი ამბების წამყვანი ვიქნები, ენის გასატეხების წამკითხველი კი არა! — 0

**6. მეტეორიზმი ხომ არ გაწუხებთ?**

ა) არა — 1
ბ) გააჩნია, რას შევჭამ — 1
გ) ეთერში ყოფნისას ხმის ჩამხშობ პამპერსს გავიკეთებ — 0

**7. წარმოიდგინეთ, რომ პირდაპირ ეთერში ხართ და დაინახეთ, როგორ შეძვრა თქვენი მაგიდის ქვეშ წრუწუნა, რას მოიმოქმედებთ?**

ა) გინდაც სპილო შეძვრეს, ეს არ დამაბნევს — 1
ბ) ვაიმე, თაგვების მეშინია! — 0
გ) მომენტალურად წრუწუნაზე „ნადირობას“ გამოვაცხადებ — 0

**შედეგები:**

**7 ქულა** — თავისუფლად შეგიძლიათ ტელეწამყვანად მუშაობა. ალბათ უპრობლემოდ აგიყვანენ ყველა ცენტრალურ არხზე. ამობეჭდეთ ეს ტესტი თქვენი შედეგებით და ტელევიზიისკენ გაემართეთ სამუშაოზე მოსაწყობად.

**4-6 ქულა** — შეიძლება ახალი ამბების წაყვანა განდონ, ოღონდ რომელიმე რაიონის ტელეარხზე.

**3-0 ქულა** — ნებისმიერ ტელევიზიაში შეგიძლიათ იმუშაოთ, ოღონდ ტელემაყურებლები თქვენ ვერ უნდა გხედავდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

## მილიონერი მეეზოვე



ჩინეთში, ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანში, ცხოვრობს 53 წლის მილიონერი ქალი, იუ იუზენი, რომელიც მეეზოვედ მუშაობს და მისი ყოველთვიური ხელფასი 1.420 იუანს შეადგენს. როგორც თავად აცხადებს, ეს მაგალითია მისი ორი ზარმაცი შვილისათვის. იუს ქონება ქალაქ ხუბეის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში მდებარე მიწა იყო. ეს სოფელი 5 წლის წინ მთავრობამ მთლიანად შეისყიდა. აღებული თანხით იუმ სამსართულიანი სახლი ააშენა და სამუშაოდ ჩასულ ხალხზე თითო ოთახს 50 იუანად აქირავებდა. იუ ერთადერთი იყო იმ მხარეში, რომელსაც დიდი სახლი ჰქონდა. აღებული თანხით კი სხვა სახლები ააშენა და მოგვიანებით მათი გაქირავებაც დაიწყო.

დღეს იუს ყოველთვიური შემოსავალი 10 მილიონ იუანს აღემატება. იმის ნაცვლად კი, რომ სახლში დაჯდეს და შემოსავალი ითვალოს, მეეზოვედ მუშაობას აგრძელებს. კვირაში 5 დღე ის სახლიდან დილის 5 საათზე გადის და დაახლოებით 6 საათი სჭირდება 3.000 მეტრიანი ქუჩის დასასუფთავებლად.

იუ შვილებს დაემუქრა, თუ არ იმუშავებდნენ, სახლებს სხვებს აჩუქებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მუშაობა, თუმცა, დედისგან განსხვავებით, ძალიან ზარმაცები არიან და იუ შიშობს, რომ შვილები მის გარეშე ქონებას ვერ შეინარჩუნებენ.

## ყველაზე მსუქანმა კაცმა 211 კილო დაიკლო



ბრიტანელმა 42 წლის კიტ მარტინმა, რომელიც 370 კილოგრამს იწონიდა და მსოფლიოში ყველაზე მსუქანი ადამიანის ტიტულის მფლობელი გახლდათ, წონაში 211 კილოგრამი დაიკლო.

კიტს არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება. ჭარბი წონის გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც ჰქონდა. მისი თქმით, მხოლოდ საუზმეზე 8 ცალ ჰოთდოგს ჭამდა.

წონის დაკლებაში კაცს კუჭის დაპატარავების ოპერაცია დაეხმარა. ახლა კი უნდა, სხეულის წონა 88 კილოგრამზე დაიყვანოს.

## მე–16 სართულიდან გადმოვარდნილი ბიჭი გადარჩა



ჩინეთის ქალაქ უხანში 2 წლის ბავშვი, რომელიც მშობლებმა ბებიასთან დატოვეს, მე-16 სართულიდან გადავარდა და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ბავშვი ამ დრომდე რეანიმაციაშია და მისი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ექიმებს გადარჩენის დიდი იმედი აქვთ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბებია ერთი წუთით მიბრუნდა, ამ დროს ბიჭუნამ რემონტის გამო მინის გარეშე დარჩენილი ფანჯრიდან გადაიხედა, წონასწორობის შენარჩუნება ველარ შეძლო და გადავარდა. ბიჭუნას ერთი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა — დაზიანებული ელენთა ამოაჭრეს.

## ოქროს კაცი



ინდოელი ბიზნესმენი დატა პრუგი საკუთარ თავს ოქროს კაცს უწოდებს. ოქროზე უზომოდ შეყვარებულმა დატამ იუველირების 15 კაციან ჯგუფს 3,5 კილოგრამიანი ოქროს პერანგი დაამზადებინა. იუველირები 15 დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ.

— ოქროს პერანგი ჩემი ოცნება იყო. ეს ჩემს ტიტულს უფრო განამტკიცებს, — აღნიშნა კმაყოფილმა ბიზნესმენმა.

პერანგს ექვსი სვაროვსკის ღილი ამშვენებს.

— ადამიანები ყიდულობენ მანქანებს, სახლებს, ჩემთვის კი ოქრო ყველაზე დიდი ინვესტიციაა, — განუცხადა პრუგიმ ჟურნალისტებს.

მის მფლობელობაში დაახლოებით 100 კილოგრამი ოქრო, 5 კილოგრამი ოქროს სხვადასხვა აქსესუარი, 10 ოქროს ჯაჭვი, 6 სამაჯური და 25 საყურეა. დატა პრუგს ეს ქონება მცველებთან ერთად სულ თან დააქვს.





Cyan Magenta Yellow Black

## კატა ბრმა ძაღლს პატრონობს

უელსში მცხოვრებმა 87 წლის პენსიონერმა ჯუდიტ ბრაუნმა უპატრონო კატა შეიკედლა და პოუდიტატი დაარქვა. ჯუდიტს სახლში უკვე ჰყავდა 8 წლის ბრმა ძაღლი, სახელად ტერფელი და, ყველას გასაკვირად, კატა და ძაღლი მაშინვე დამეგობრდნენ.



ჯუდიტის თქმით, რაც ძაღლს კატარაქტა დაემართა, გარეთ გასვლა აღარ სურდა და თავის კუთხესაც იშვიათად ტოვებდა. ახლა კი პოუდიტატის დახმარებით სასეირნოდაც გავიდა.

## 2 წლის მილიონერი

ნიუ იორკში ჩასული პაკისტანელი ემიგრანტი ოჯახი მოულოდნელად მილიონერი გახდა. ბრუკლინის ერთ-ერთ მაღაზიაში 2 წლის ანაია ჰუსაინმა დედას ლატარიის ბილეთი მოსთხოვა, რომელიც დახლზე იდო. დედამ რატომღაც სურვილი აუსრულა და უყიდა. ამ ბილეთით ანაიამ 1 მილიონი დოლარი მოიგო.

## ლეოპარდებთან ფოტოსესია ტურისტს ძვირად დაუჯდა



ბრიტანელი ცოლ-ქმარი, ვაიოლეტ და არჩიბალდ დიმელოები, სამხრეთ აფრიკის ველური ბუნების დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. მაშინ, როდესაც ვაიოლეტი ლეოპარდებთან დაშვებულზე ახლოს მივიდა და ფოტოების გადაღება დაიწყო, ცხოველებმაც „გართობა“ გადაწყვიტეს და ქალს თავს დაესხნენ.

უცნაურია, მაგრამ დახმარების ნაცვლად მამაკაცი ფოტოაპარატით ხელში მათ გარშემო დარბოდა და სურათებს უღებდა. საბედნიეროდ, სამწუთიანი „ფოტოსესიის“ შემდეგ ქალი გადარჩა, მაგრამ სხეულზე სერიოზული იარები აქვს.

## რეკორდი სქაიდაივინგში



ჩრდილოეთ ილინოისში 138 სქაიდაივერისაგან (თვითმფრინავიდან პარაშუტით მხტომელები) შექმნილმა გუნდმა რეკორდი დაამყარა. 45 მეტრ სიგანეზე გაშლილები აკრობატულ მანევრში 220 კმ/სთ სიჩქარით დაეშვნენ. რეკორდსმენები 3 დღის განმავლობაში ვარჯიშობდნენ.

წინა რეკორდი 108 შემსრულებელმა დაამყარა 2009 წელს. ვერტიკალური სქაიდაივინგის შესრულებისას ერთი დაივერი ყოველთვის ყველაზე ქვემოთ არის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ ჰაერში დადგმული სცენის ნახვა ვერტიკალურად შეიძლება.

## ტყუპმა დებმა ერთდროულად იმშობიარეს



ამერიკაში, ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონის ცენტრალურ სამშობიარო სახლში, იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა. 25 წლის ტყუპმა დებმა, ეილ და ეშლი ნელსონებმა, ორსაათიანი ინტერვალით ერთსა და იმავე დღეს იმშობიარეს. ორივეს ვაჟები შეეძინათ, ეილს — დონივანი, ეშლის — აიდენი. ისინი დედების მსგავსად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

როგორც გაირკვა, დებს არ სურდათ, რომ ერთ დღეს ემშობიარათ. ისინი მთელი ბავშვობა ოცნებობდნენ, დაბადების დღე არავისთან ჰქონოდათ გასაყოფი, მაგრამ მათმა პატარებმა ასე ისურვეს.

## მოხუცი ქალი და-ძმის გვამებს სახლში ინახავდა

ჩიკაგოში პოლიციელებმა 90 წლის ქალის სახლში გარდაცვლილი და-ძმის გვამები აღმოაჩინა. პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, ერთ-ერთი მათგანი 1983 წელსაა გარდაცვლილი.

ქალმა პოლიციელებს განუცხადა, რომ თავის უმცროს და-ძმებს შეჰპირდა, მუდამ თქვენთან ვიქნებიო და ასეც მოიქცა. მეზობლებმა 90 წლის ქალი კარგად დაახასიათეს, მიუხედავად ამისა, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა.



Cyan Magenta Yellow Black



# კანის პრობლემები ორსულობის დროს

ორსულობის პერიოდში ქალის სახის კანის სტრუქტურა რადიკალურად იცვლება — ზოგს უფრო ნაზი და გლუვი უხდება, ზოგს კი შესამჩნევად უფუჭდება და თავს იჩენს უამრავი პრობლემა. მომავალი დედიკოების სანუგეშოდ შეიძლება ითქვას, რომ სწორი მიდგომის შემთხვევაში ეს პრობლემები მოგვარებადია.

გამონაყარი — თუ ატყობთ, რომ თქვენი კანის სტუქტურა აშკარად ფუჭდება მენსტრუაციის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი ალბათობაა, რომ ორსულობის პერიოდში თქვენთვის ეს პრობლემა აქტუალური იქნება.

ამის მთავარი მიზეზი ჰორმონალური ბალანსის დარღვევაა, უმეტესად ჰორმონ პროგესტერონის მომატებული რაოდენობა.

როგორც ექიმები გვირჩევენ, პირველ რიგში, საჭიროა დიდი რაოდენობით სითხის, განსაკუთრებით წყლის მიღება. რაც შეეხება სწრაფ კვებას, გარდა იმისა, რომ ასეთ პროდუქტებში არაფერია სასარგებლო (განსაკუთრებით ორსულობის პერიოდში), ის უარყოფით გავლენას ახდენს კანზეც.

ორსულობის პერიოდში შეგიძლიათ ისარგებლოთ სახის კანის გამწმენდი სპეციალური საშულებებით. რაც შეეხება მკვებავ კრემებს, მათთან მიმართებაში სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო და ჯობია, ექიმმა შეგირჩიოთ. თვითნებურად შერჩეულმა შესაძლოა კანის ფორების დახშობა გამოიწვიოს, რაც კანს ნორმალურად სუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

თუ კანის სტრუქტურის გაუარესება დაკავშირებულია ჰორმონული ფონის ცვლილებებთან, ეს იმას ნიშნავს, რომ მშობიარობის შემდეგ პრობლემები თავისთავად ალაგდება. თუ სიტუაცია არ გამოსწორდა ან უფრო გართულდა, აუცილებელია გარკვეული მკურნალობის ჩატარება.

კანის სიმშრალე — სპეციალისტების აზრით, ამის მიზეზი ძირითადად ჰორმონული ცვლილებებია. ესტროგენის შედარებით დიდი რაოდენობით გამომუშავების შედეგად მარილოვანი ჯირკვლების აქტივობა მცირდება. სწორედ ეს განაპირობებს კანის სიმშრალეს, ქავილს, აქერცვლას.

სიმშრალესთან ბრძოლის დროს არ არის საჭირო სახის დაბანა საპნით. სპეციალური დამატენიანებელი კოსმეტიკური რძის ან გამწმენდის გამოყენება ჯობია. მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ, რამდენად კარგად არის დატენიანებული სახლში, ოთახში ჰაერი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ მისი გამოშრობა!

ეს პრობლემა მაშინვე მოგვარდება, როგორც კი ესტროგენისა და პროგესტერონის დონე დაბალანსდება.

ორსულობის 9 თვის განმავლობაში მშვიდად რომ იყოთ და სწორად მოუაროთ კანს, სასურველია დერმატოლოგთან კონსულტაცია, რათა მისი კვალიფიციური რჩევებისა და მკურნალობის საშუალებით დაამარცხოთ კანის სიმშრალე.

სტრიები — ეს არის კანის პრობლემა, რომელიც, როგორც სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, ორსულების თითქმის 90%-ს აწუხებს. მათი არსებობა პირდაპირ კავშირშია ორსულის წონის მომატებასთან. როცა მუცელი სწრაფად იზრდება, ასეთ ცვლილებებს კანი ვერ უმკლავდება. თავიდან სტრიები მოვარდისფროა, შემდეგ კი ფერს იცვლის. სტრიების გაჩენა კანის ელასტიკურობასთანაცაა კავშირში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ექიმების დაკვირვებით, სტრიები უპირატესად პატარა ასაკის ორსულებში ჩნდება.

სტრიების პროფილაქტიკა თანამედროვე კოსმეტოლოგიური საშუალებებით ადვილია. არსებობს სტრიების საწინააღმდეგო უამრავი საშუალება — კრემები, ლოსიონები თუ სპეციალური ზეთები, რომლებიც ინტენსიურად უნდა გამოიყენოთ ორსულობის პირველივე თვეებიდან. კარგი ეფექტი აქვს ზეითუნის ზეთის შეზელვასაც.

მნიშვნელოვანია კვების რაციონის დაბალანსებაც — საკმარისი რაოდენობით სითხის მიღება, რაც იმის საწინდარია, რომ მშობიარობის შემდეგ კანი ელასტიკურობას ადვილად დაიბრუნებს.

არსებობს ძალიან წვრილი და უფერული სტრიები, რომლებიც მშობიარობის შემდგომ უკვალოდ ქრება, მაგრამ არსებობს ისეთებიც, რომელთაგან გათავისულება დამოუკიდებლად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში პლასტიკური ქირურგის დახმარება გარდაუვალია.

ჰირსუტიზმი (ჭარბთმიანობა) — როცა საკვერცხეების დისფუნქცია აღინიშნება, ორგანიზმში მომატებულია მამაკაცური ჰორმონების გამომუშავება და ამ დროს თავს იჩენს ჭართმიანობა. რაც მთავარია, თმის ზრდის ინტენსივობამ შესაძლოა მოიმატოს ორსულობის პერიოდში. თუ ადრე თმა შედარებით თხელი და ნაზი იყო, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ პერიოდში გაუხეშდეს და გასქელდეს. ამ შემთხვევაში დეპილაციისთვის განკუთვნილი სპეციალური კრემების გამოყენება დასაშვებია, მაგრამ მაინც უპრიანი იქნება, თუ კონსულტაციისთვის ენდოკრინოლოგს მიმართავთ.

ჰირსუტიზმის პრობლემა მშობიარობიდან საკმაოდ მალე კარგავს აქტუალობას, დაახლოებით 6-9 თვეში ყველაფერი მოწესრიგდება.

## კივი ორსულთათვის და ბავშვებისთვის

კივის დაახლოებით ოცდაათამდე სახეობა არსებობს. ის ერთნაირად უყვართ უფროსებსაც და პატარებსაც. რაც მთავარია, კივი საოცრად სასარგებლოა და მდიდარია მინერალებითა და ვიტამინებით.



ცე და პპ ვიტამინების ჯგუფის წყალობით, კივი ეფექტურია მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების პროფილაქტიკისთვის.

ამ ხილში შემავალი ე ვიტამინი არაჩვეულებრივი ანტიოქსიდანტია, რომელიც უჯრედების დაბერების პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს, ასევე იცავს ფილტვებს სხვადასხვა დაავადებებისგან.

კივიში შემავალი ბე ჯგუფის ვიტამინებიდან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ ბე9 ანუ ფოლიუმის მჟავა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე, ასევე მისი ფსიქიკის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაზე. ეს ვიტამინი ბავშვის ცხოვრების პირველ წელიწადს აუცილებელია.

კალიუმი დადებითად მოქმედებს ალერგიის დროს, აუმჯობესებს გულის მუშაობის პროცესს და თავის ტვინს ჟანგბადით უზრუნველყოფს.

რკინა ორგანიზმს ეხმარება სტრესთან, ტრავმებთან გამკლავებაში.

ყველაფერი კარგია, მაგრამ ზომიერების დაცვა კივისთან მიმართებაშიც აუცილებელია. 2-3 წლამდე პატარებს ჭარბად ნუ მისცემთ. მათ მწიფე ნაყოფი შეურჩიეთ და დღეში 2 ცალი სრულიად საკმარისია. კივის ნატურალური წვენი კი სხვა ხილის წვენს შეურიეთ და ბავშვებს ისე ასვით.

უნდა აღინიშნოს, რომ კივი განსაკუთრებით სჭირდებათ მომავალ დედიკოებს ორსულობის პირველ ტრიმესტრში.



Cyan Magenta Yellow Black

# კარგი განწყობა და ბუნებრივი საკვები — ეფექტური იარაღი ზამთრის დაავადებების წინააღმდეგ

ზამთარი გამორჩეულია ვირუსების, გაციებისა და გრიპით დაავადების სიხშირით. იმისათვის, რომ ორგანიზმი ბრძოლისუნარიანი იყოს და იოლად დაამარცხოს ახალი აგენტი, ზამთრის პერიოდისთვის იმუნიტეტი საკმაოდ უნდა გავიძლიეროთ.

როგორც პედიატრები ირწმუნებიან, პატარების ხშირი ავადმყოფობის მიზეზი პირდაპირ კავშირშია მათ დასუსტებულ იმუნურ სისტემასთან, ამიტომ დედიკოებმა უნდა იცოდნენ, რა ითვლება იმუნიტეტის სისუსტედ და რა — ნორმად.



მოწყენილობა, დეპრესია და ხელოვნული საკვები იმუნიტეტის პირველი მტერია. ეცადეთ, შვილი პატარაობიდანვე მიაჩვიოთ კარგი განწყობის შექმნას. ეს ეფექტური იარაღია იმუნიტეტის დასაცავად. თუ მუდმივად მხნედ, ოპტიმისტურად და შემართებით ხართ, ეს იმის საწინდარია, რომ თქვენი შვილიც კარგ ხასიათზე და განწყობაზე იქნება.

ძლიერი იმუნიტეტისათვის აუცილებელია ბუნებრივი საკვები. საჭმელი, რომელიც გაჯერებულია სხვადასხვა სახის ხელოვნური დანამატებით, იმუნური სისტემის გადაძაბვას, მისი ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. თუ გვსურს, ვიყოთ ჯანმრთელები, იმუნიტეტი სათანადოდ ძლიერი იყოს, უარი უნდა ვთქვათ სწრაფ კვებაზე და უპირატესობა ნატურალურ საკვებს მივანიჭოთ.

პატარების სწორი რაციონი და კვების გონივრულად დაგეგმვა ძალიან საპასუხისმგებლოა, ამიტომ გონივრულად იქცევიან მშობლები, რომლებიც ცდილობენ, შვილების საუზმე ცილებითა და კალიუმით იყოს გაჯერებული. თუ დილით ბავშვს რძიან ფაფას, ხაჭოს და არაჟანს აჭმევთ, ეს საუკეთესო და, პედიატრების აზრით, ყველაზე მართებული ვარიანტია. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვების რაციონში როგორც მცენარეული ცილების, ისე ცხოველურის რეგულარულად ჩართვა. კვირაში 2-ჯერ მაინც ბავშვმა ხორცი უნდა მიიღოს. რაც შეეხება მცენარეულ ცილებს, ამ თვალსაზრისით ჩემპიონი ლობიოა. არ უნდა დაივიწყოთ რძის პროდუქტები და თევზეულიც.

სუპერპროდუქტი იმუნიტეტისათვის ბულგარული წიწაკა გახლავთ. ყველამ იცის, რომ გაციების, ვირუსებისა და სურდოს დროს ჟოლოს მურაბიანი ჩაის დალევა ეფექტურია, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ დეტალზე — ბულგარული წიწაკა არაფრით ჩამოუვარდება ჟოლოიან ჩაის. მასში დიდი რაოდენობითაა ცე და პე ვიტამინები, რომლებიც კომბინაციაში საოცარ ეფექტს იძლევა. ბულგარული წიწაკა მდიდარია ბეტა-კაროტინითაც.

ასკილი და მისი საიდუმლო — მშრალ ასკილში 10-ჯერ მეტი ვიტამინია, ვიდრე მოცვში. მას მსუბუქი შარდმდენი თვისებაც აქვს, რაც კარგია გაციებისა და ვირუსული დაავადებების დროს.

✓ რუბრიკა მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

ყველაზე ჭკვიანი

- შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 10 ან 11 წლის?
- ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
- არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?

**მაშინ შენ შეგიძლია გახდე გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ მონაწილე!**

**ამისათვის საჭიროა:**

- შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.
- მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

**ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს!**

## მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ——————————————

——————————————

მისამართი ——————————————

——————————————

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ——————————————

——————————————

დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ——————————————

——————————————

სკოლა ——————————————

——————————————

კლასი ——————————————

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ——————————————

——————————————

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ——————————————

——————————————

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ——————————————

<u>ყურადღება:</u> კონკურსანტი ბავშვის ასაკი 2013 წლის 1 იანვრისთვის არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 11 წელს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: ქ.თბილისი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2", სანდრო ეულის 5ა, თბილისი 0186.

ბ ლ ა ნ კ ი  უ ფ ა ს ო ა



Cyan Magenta Yellow Black



# ზურგმა რომ არ იავადმყოფოს

## ხერხემალი — სიცოცხლის ხე

ძველი ბრძენი ჩინელები ხერხემალს „სიცოცხლის ხეს“ უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ მის მდგომარეობაზე დამოკიდებულია მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობა. ამას თანამედროვე ექიმებიც ამტკიცებენ. ძველად იმასაც ამბობდნენ: „ადამიანი იმდენად ახალგაზრდაა, რამდენად ახალგაზრდაცაა მისი ხერხემალი“. ესეც სრული სიმართლეა.

ზოგჯერ ტკივილი ზურგში იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მას ყურადღებას აღარ ვაქცევთ. არადა მეტად მნიშვნელოვანია ხერხემლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ვინაიდან მის დაავადებებს შეუძლია მთელი ორგანიზმის, მათ შორის შინაგანი ორგანოების მდგომარეობა სერიოზულად გააუარესოს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ხერხემლის უმნიშვნელო გამრუდებაც კი შინაგანი ორგანოების გადაწევა-გადაადგილებას იწვევს, მათ ნორმალურ ფუნქციონირებას არღვევს და დაავადებები ვითარდება. ასე, მაგალითად, ხერხემლის პრობლემებმა შეიძლება წყლულოვანი დაავადების, ნაღვლის ბუშტში კენჭების გაჩენის, ქრონიკული პათოლოგიების გამწვავების პროვოცირება მოახდინოს. კისრის განყოფილების ოსტეოქონდროზი ხშირად თავის მუდმივი ტკივილის მიზეზი ხდება, ხოლო სქესობრივი ფუნქციის პრობლემები შეიძლება ხერხემლის გავის განყოფილებაში იმალებოდეს. რით აიხსნება ასეთი უცნაური ურთიერთკავშირი? საქმე ისაა, რომ ჩვენს შინაგან ორგანოებს ხერხემლის შიგნით გამავალი ზურგის ტვინის ნერვები მართავენ. ოსტეოქონდროზი, მალებშუა თიაქარი და სხვა დაავადებები ასე თუ ისე ამ ნერვებზე გავლენას ახდენენ: აწვებიან, ჭიმავენ, წიწკნიან. საბოლოო ჯამში, ამ ნერვების ზემოქმედების ზონაში მყოფი ყველა შინაგანი ორგანო იტანჯება.

### პროფილაქტიკა

ჯანმრთელობის პრობლემა თავიდან რომ აიცილოთ, ხერხემელზე იზრუნეთ: სიმძიმეს ნუ ასწევთ, მეტი იმოძრავეთ, თუ სამსახურში ფეხზე დგომა დიდხანს გიწევთ, ფეხების მდგომარეობა ხშირად შეცვალეთ.

ვინც დიდ დროს ატარებს კომპიუტერის წინ, დიდი რისკია, ხერხემლის პრობლემები გაუჩნდეს. ისწავლეთ სწორად ჯდომა. სამუშაო ადგილზე სკამი უნდა იყოს მაგარი და სწორი საზურგეთი. საჭიროა, გამართულად, თავდაუხრელად ჯდომა. ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს, უმჯობესია ქვესადგამზე შემოაწყოთ, რათა მუხლები თეძოს დონეზე მაღლა იყოს. ყოველ 5 წუთში სხეულის მდგომარეობა შეიცვალეთ, ხოლო ყოველ საათში ადექით და გაიარეთ.

მჯდომარე ცხოვრების წესის დროს მალებს ნაკლები საკვები ნივთიერებები მიეწოდება, რაც მათ ნაადრევ გამოფიტვას იწვევს. მოძრაობის ნაკლებობის კომპენსაციას ფეხით სეირნობა, ცურვა ეხმარება.

ძილის დროს სწორი მდგომარეობა ასევე მეტად მნიშვნელოვანია ხერხემლის ჯანმრთელობისთვის. დაიძინეთ მაგარ ლეიბზე, მისი ზედაპირი თანაბრად სწორი უნდა იყოს. ბალიში არც ძალიან მაგარი და არც ძალიან რბილი შეარჩიეთ. მნიშვნელოვანია, რომ ძილის დროს მხრები ლეიბზე იდოს და არა — ბალიშზე. ნუ დაიძინებთ მუცელზე გვერდზე მიბრუნებული თავით, ვინაიდან ტვინის სისხლით მკვებავი სისხლძარღვები იგრიხება.

სახლში მოერიდეთ უხერხულ პოზებს, გამოიყენეთ გრძელტარიანი იატაკის საწმენდი ჯოხი, მძიმე ჩანთას ერთ ხელში ნუ ატარებთ, ტვირთი ორივე ხელზე თანაბრად გაანაწილეთ.

ხერხემლის დაავადებების საუკეთესო პროფილაქტიკაა რეგულარული ფიზკულტურა. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა: ცურვა, სრიალი, ველოსიპედი, სირბილი ან უბრალოდ სიარული.

ხშირად ზურგში ტკივილი დაკავშირებულია ნერვის ანთებასთან. ნერვულ უჯრედებში ნივთიერებათა ნორმალური ცვლისთვის აუცილებელიაB ჯგუფის ვიტამინების მიღება.

### ყურადღება!

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ ზურგში ტკივილს თან ახლავს: იდაყვში ან მუხლში კანკალი; ხელებსა და ფეხებში სისუსტე; წონაში უეცარი დაკლება; მაღალი ტემპერატურა; შარდვის დარღვევა; ტრავმა ან დაცემა; სიმპტომების გამწვავება და ტკივილის გაძლიერება. ეს სიმპტომები შეიძლება სერიოზული დაავადებების მიმანიშნებელი იყოს.

# დროში შემოწმებული რეცეპტები

## ბუნების ძალა სნეულებების წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ აფთიაქში ნებისმიერი წამლის შეძენა შეიძლება, ხალხური საშუალებები თავის პოპულარობას არ კარგავს.

რით არის სასარგებლო ბუნებრივი საშუალებები? პირველ რიგში, თავისი ნატურალური შემადგენლობით და მავნე ქიმიის არარსებობით. აგრეთვე იმით, რომ წლის ცივ დროს ნატურალური პროდუქტები შეგიძლიათ პროფილაქტიკისთვისაც მიიღოთ.

ხალხური საშუალებებით მკურნალობა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ვიდრე ექიმის მიერ გამოწერილ აფთიაქის წამლებს იღებდით. სამაგიეროდ, მათ არ აქვთ გვერდითი ეფექტები, როგორიცაა: თავბრუ, გულისრევა, ტაქიკარდია, ძილის დარღვევა, რაც ზოგჯერ თანამედროვე პრეპარატების მიღებისას ვლინდება. არის კიდევ ერთი პლუსი: პროდუქტებისგან დამზადებული წამალი ხელმისაწვდომია ნებისმიერი საფულისთვის.

შევარჩიეთ მხოლოდ ის ხალხური რეცეპტები, რომლებიც ნამდვილად მუშაობენ, ხოლო მათი მოსამზადებელი პროდუქტები ყოველთვის მოიძებნება მაცივარში ან მაღაზიაში.

### ლიმონი

ხველა: 2 ლიმონი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ და 100 გრამი თაფლი დაუმატეთ. ნარევი თითო ჩაის კოვზი ჭამის შემდეგ მიიღეთ.

შაკიკი: დაბალი წნევის დროს ყავა ლიმონით დალიეთ.

### დიდი კამა

ყაბზობა: დიდი კამის ეთერზეთი ნაწლავების მუშაობას ასტიმულირებს, ყაბზობასა და მუცლის შებერილობას ხსნის (არაუმეტეს 10 წვეთი შაქრის ნატეხზე).

შეშუპება: დიდი კამის ჩაის მსუბუქი შარდმდენი მოქმედება აქვს.

### წითელი ხახვი

ოტიტი: ანთების პროცესის შესაჩერებლად, დღეში 3-ჯერ, ყურში ხახვის წვენში დასველებული ბამბის ტამპონი ჩაიდეთ.

ქოლესტერინის მაღალი დონე: გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის დღეში ნახევარი ბოლქვი ჭამეთ.

### შავი ბოლოკი

გაციება და გრიპი: გული ამოაცალეთ და შიგ თაფლი ჩაუშვით. როდესაც წვენი გამოიყოფა, ყოველ საათში 1 სუფრის კოვზი მიიღეთ.

პიგმენტაცია: ფაფა მოამზადეთ და 20 წუთიანი კომპრესი გაიკეთეთ.

### კოჭა

სიმსუქნე: კოჭა შეიცავს ნივთიერება გინგეროლს, რომელიც კოჭას ცხარე გემოს აძლევს, ცხიმის უჯრედების დაწვას ხელს უწყობს, გახდომას ეხმარება.

რყევა: თუ კოჭას ქორფა ფესვის ნატეხს დაღეჭავთ გაფრენამდე ან მანქანით გამგზავრებამდე ნახევარი საათით ადრე, გულისრევა არ იქნება.

### კომბოსტო

წმენდა: 100 მლ კომბოსტოს წვენი უზმოზე, საჭმლის მომნელებელ სისტემას შესამჩნევად ასუფთავებს, ტოქსინები და შლაკები გამოაქვს.

ართრიტი: ღამით სახსრებზე კომბოსტოს ფოთლების კომპრესი გაიკეთეთ და თბილი შარფით შეიხვიეთ.

### ქათმის ბულიონი

გაციებით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების ინფექციები: დადუღებული ბულიონი ბრონქების გამტარობას აუმჯობესებს, ხოლო მის შემადგენლობაში არსებული ამინომჟავა ცისტეინი ნახველის გათხელებას ეხმარება და ამგვარად, მის გამოდევნას აჩქარებს. დაავადების მიმდინარეობის შესამსუბუქებლად, პირველი დღეებიდანვე დალიეთ ქათმის ბულიონი.

### შაქარყინული

ხველა: ყელის დასარბილებლად შაქარყინული დღეში რამდენჯერმე მოწუწნეთ.

უძილობა: დაძინებამდე ნახევარი საათით ადრე, ფინჯანი მელისას ნახარში შაქარყინულით დალიეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— ორი თვეა სისტემატურად მაქვს მაღალი წნევა, ამ დროს მარცხენა ხელ-ფეხში ძალა მეცლება, გულის არეში ვგრძნობ ტკივილს. რა შეიძლება იყოს?**

— მაღალი წნევის დროს აღნიშნული სიმპტომები ბუნებრივია. უნდა მიმართოთ კარდიოლოგს და ჩაიტაროთ გამოკვლევა. საჭიროა სწორი მკურნალობის ჩატარება. თვითნებურად მიღებული პრეპარატები და ერთჯერადად, მყისიერად წნევის დაწევა დიდ შედეგს არ მოგცემთ. საჭიროა გულის კარდიოგრამის გადაღებაც. ექიმი თუ საჭიროდ ჩათვლის, შეიძლება თირკმლების გამოკვლევაც დაგჭირდეთ.

**— 8 წლის გოგო ღამით ისველებს. რა გავაკეთო?**

— ბავშვებში ღამით შარდის შეუკავებლობა ხშირად ღრმა ძილით არის გამოწვეული, მაგრამ მხედველობიდან არც შარდსასქესო ორგანოების პრობლემა უნდა გამოგრჩეთ. ეცადეთ, ბავშვი ყოველ ღამე ერთსა და იმავე დროს გააღვიძოთ, რომ მოშარდოს. ბავშვების უმეტესობას შარდი გამთენიისას ეპარებათ. ძილის წინ მიეცით ტკბილი საკვები, რაც ფხიზელ ძილში დაეხმარება.

**— ვარ სამი წლის გათხოვილი, არ დავფეხმძიმებულვარ. მითხრეს, მილები გაქვს გადაკეტილიო. გავიწმინდე, მაგრამ არ მიშველა. ახლა მეუბნებიან, ლაპარასკოპიით ოპერაცია გაიკეთეო. რას მირჩევთ?**

— ლაპარასკოპიით ოპერაცია ხშირად საუკეთესო გამოსავალია პრობლემის მოსაგვარებლად. აღნიშნული ოპერაციის დროს უმნიშვნელო პრობლემაც გამოჩნდება და მისი დროულად მოგვარებაც არის შესაძლებელი.

**— გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი. ყველაფერი ნორმაში მაქვს, მხოლოდ ეოზინოფილები მაქვს მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომებით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

**— იმუნიტეტის ასამაღლებლად რა შეიძლება, რომ მივიღო?**

— უმჯობესია, ექიმს მიმართოთ და მის მიერ დანიშნული წამლებით დაიწყოთ ორგანიზმის მოძლიერება. მცდარია მოსაზრება, რომ ვიტამინებით მდიდარ აბებს თუ მიიღებთ, იმუნიტეტს გაიძლიერებთ. თვითნებურად ნუ დატვირთავთ ორგანიზმს. სახლის პირობებში კი კარგია, თუ ყოველ დილით, უზმოზე ერთ კოვზ თაფლს მიიღებთ.

**— ვარ 23 წლის, პულსი სულ აჩქარებული მაქვს, ზოგჯერ 150-მდე ამდის, მაქვს აკვიატებული შიშები, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— თქვენი სიმპტომები შეიძლება ენდოკრინოლოგიური, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური ცვლილებებით იყოს გამოწვეული. გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს, რომლის კონსულტაციის შემდეგ შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ, რომ გამოირიცხოს ვეგეტონევროზი.

**— ციკლის დროს ქმართან ვცხოვრობ, ეს დაფეხმძიმებას ხელს შეუშლის?**

— მენსტრუაციული ციკლის დროს ქალი პრაქტიკულად არ ფეხმძიმდება. სპეციალისტთა უმეტესობა ციკლის პერიოდში სქესობრივ კავშირს კრძალავს.

**— დიდი ხანია ვიღებ სომნორიცს, ძალიან მივეჩვიე, თუ არ მივიღე, ცუდად ვხდები. რა შეიძლება გამოიწვიოს მისმა ხანგრძლივმა მიღებამ?**

— სომნორიცი ძირითადად გამოიყენება, როგორც საძილე საშუალება, რომლის ხანგრძლივი და ჭარბი დოზით მიღებას საკმაოდ ბევრი უკუჩვენება აქვს. ხშირად ეს ძილში შფოთვის, კოშმარული სიზმრების, ოფლიანობის, პირის სიმშრალის, უსიამოვნო გემოს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გაღიზიანებითაც გამოიხატება. უმჯობესია, ნელ-ნელა შეამციროთ მისი დოზები ან მიმართოთ ექიმს, რომ სხვა პრეპარატით ჩაგინაცვლოთ, თუ ამის საჭიროება არსებობს.

**— მაქვს ქავილი და გამონადენი. რას მირჩევთ?**

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, ჩაიტარეთ ნაცხის ანალიზი და მკურნალობაც შესაბამისი დაგენიშნებათ. გამონადენი და ქავილი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოკოვანი დაავადებით, ასევე ტრიქომონითაც, საჭიროა დროული მკურნალობა.

**— მთელს სხეულზე, განსაკუთრებით ხელებზე, მეტყობა ვენები ძალიან. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული?**

— პათოლოგიას ნამდვილად არ მიეკუთნება. ზოგ ადამიანს ვენები კანთან უფრო ახლოს აქვს, ამიტომ მკვეთრად შესამჩნევი ხდება. თუ გაწუხებთ, მიმართეთ ანგიოლოგს, სისხლძარღვების სპეციალისტს.

**— ვარ 33 წლის, გაკეთებული მაქვს საკეისრო. მაქვს ტრიქომონაც. შეიძლება თუ არა ეს იყოს უშვილობის მიზეზი?**

— საკეისრო კვეთა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უნაყოფობის მიზეზი არ ხდება. რაც შეეხება ტრიქომონას, მისი სწორი და სრულფასოვანი მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ დაფეხმძიმება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

**— მიჩნდება ნახეთქები ქულებზე, რაც მტკივნეულია. რითი შეიძლება იყოს გამოწვეული?**

— ქუსლებზე ნახეთქების გაჩენას ძირითადად ავიტამინოზი იწვევს. შეიძინეთ A ვიტამინის ან ზეითუნის ზეთის შემცველი კრემები და ქუსლების დარბილების და მკვდარი უჯრედების მოცილების შემდეგ კანში შეიზილეთ.

## ბროწეულის წვენის ანტისტრესული ეფექტი



ბროწეული — ეს აღმოსავლური ლამაზმანი A, C და E ვიტამინების (ანტიმჟანგავები, რომლებიც მავნე თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს) წყაროა. დამტკიცებულია, რომ ბროწეულის წვენის ყოველდღიურად გამოყენება ორგანიზმზე (უჯრედულ დონეზე) დადებითად მოქმედებს, ხოლო ზამთარში ბროწეული ვიტამინების ნაკლებობას ადვილად ავსებს. ბროწეულის წვენი მადას აუმჯობესებს, ნივთიერებათა ცვლას ააქტიურებს, მაღალ ტემპერატურას დაბლა სწევს, მოქმედებს, როგორც აღმდგენი-გამაძლიერებელი საშუალება ინფექციური დაავადებების, ორგანიზმის გამოფიტვის შემდეგ.

ახლახან ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბროწეულის წვენის რეგულარული მოხმარება სტრესის ჰორმონების რაოდენობას ამცირებს, სისხლის წნევის ნორმალიზებას ეხმარება. ბროწეულის წვენის ანტისტრესული ეფექტი დაძაბულობას ხსნის, ნერვებს ამაგრებს, ძილს აუმჯობესებს, ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვის ადვილად გადატანას ეხმარება.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.**

# ნაოჭებთან ნაადრევი ბრძოლა კანს მალე აბერებს



აუცილებელი არ არის დროის მანქანის გამოგონება კანის დაბერების შესაჩერებლად. რამდენიმე ჯადოსნური „ელექსირი“, კანის მოვლის წესების დაცვა და სილამაზე თქვენი ერთგული თანამგზავრი გახდება.

25 წლის ასაკში თვალის კუთხეებში მიმიკური ნაოჭების გაჩენა ჯერ კიდევ საბაბი არ არის, ასაკის საწინააღმდეგო ყველა საშუალება სასწრაფოდ შეიძინოთ. კოსმეტოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ კანის დაბერებასთან ბრძოლაში პირველი ნაბიჯები 30 წლიდან უნდა გადაიდგას. თუ ნაოჭებს ომს ძალიან ადრე გამოუცხადებთ, კანის დაბერების პროცესი უფრო აქტიურად წარიმართება.

ძირითადი მიზეზი, რის გამოც კანი ნაოჭებით, ნაკეცებით იფარება, დატენიანების ნაკლებობაა. ასაკის მატებასთან ერთად, ორგანიზმის მიერ კოლაგენის (ბუნებრივი ცილა, რომელიც პასუხისმგებელია კანის სიგლუვესა და ტონუსზე) გამომუშავება მცირდება და კანი ტენს ინტენსიურად კარგავს, ამიტომ პროცესი რომ არ გაღრმავდეს, ქაფით, გელით ან რძით დაიბანეთ.

## ნაოჭებთან ბრძოლა ღამით ჯობია

გახსოვდეთ, ასაკობრივ ცვლილებებთან ბრძოლა უმჯობესია ღამით, ვინაიდან ღამით მთელი ორგანიზმი (და კანიც) უფრო სწრაფად განახლდება. თქვენი კანის მოვლის დილის პროგრამა კი პრაქტიკულად უცვლელი უნდა დარჩეს. მაგრამ წლის დროის მიუხედავად, მზისგან დამცავი მსუბუქი კრემის ჩართვა არ დაგავიწყდეთ.

ძილის წინ აუცილებლად უნდა გამოიყენოთ გამწმენდი საშუალებები. შეარჩიეთ ისეთები, რომლებიც უმეტესად ნატურალური ინგრედიენტებისგან შედგება, რათა ეფექტი მყარი იყოს. შეიძლება შედეგი ისეთი სწრაფი არ იყოს, სამაგიეროდ (რაც ყველაზე მნიშვნელოვანია) მოქმედია. ნატურალური კომპონენტები კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავებას (პასუხისმგებლები არიან კანის ახალგაზრდობასა და სილამაზეზე)ააქტიურებს და პრობლემის შიგნიდან მოშორებას ეხმარება.

## სწორად შერჩეული კრემი

თუ გადაწყვიტეთ, ნატურალური კრემი შეიძინოთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ საფუთავზე მითითებული იყოს: „გაიარა კლინიკური გამოცდა“, „დერმატოლოგიური ტესტირება“ ან „სერტიფიცირებულია“. ეს მნიშვნელოვანია, სხვაგვარად მისი ეფექტურობა და წარმომავლობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

ასაკის საწინააღმდეგო კრემში უნდა იყოს: კოენზიმQ10 (უჯრედის განახლების სტიმულატორი); პეპტიდები (პასუხისმგებლები არიან კანის აღდგენაზე); ვიტამინები A და C (ბუნებრივი ანტიმჟანგავებია, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს და მათ მავნე ზემოქმედებას ებრძვიან); ჰიალურონის მჟავა (პასუხისმგებელია კანის უჯრედებში ტენის საკმარის რაოდენობაზე).

## ბუნებრივი გამწმენდები

გაწმენდის ძირითადი მიზანია კანის გარქოვანებული ნაწილაკების მოცილება.

კვირაში 1-2-ჯერ კანი კვერცხით გაიწმინდეთ. 1 კვერცხის ცილა ათქვიფეთ და სახეზე, ყელსა და დეკოლტეს მიდამოში თხელ ფენად დაიდეთ. 15 წუთი გაიჩერეთ. ამ დროს სასურველი არ არის საუბარი, მით უფრო გრიმასები. ამის შემდეგ გაფილტრული წყლით კარგად დაიბანეთ. კრემი არ წაისვათ, კანი დაასვენეთ.

აიღეთ მცენარეული ზეთი, იოგურტი, ნაღები ან უცხიმო არაჟანი და რომელიმე ამქერცლავი კომპონენტი (ყავის ნალექი, შვრიის ფანტელი, ქატო, სიმინდის ფქვილი, ზღვის მარილი) დაუმატეთ. მაგალითად, შვრიის ფანტელი ყავის საფქვავში დაფქვით. 2 სუფრის კოვზი მიღებული ფქვილი 1 ჩაის კოვზ წყალში გახსენით და რამდენიმე წვეთი ზეითუნის ზეთი დაუმატეთ. სახეზე მასაჟის მოძრაობებით წაისვით, ჩამოიბანეთ.

ხილის მჟავებით გაწმენდა. ქიმიური წმენდის შემადგენლობა შეიძლება მომზადდეს ფორთოხლის, ყურძნის, კივის, ანანასისგან. კივის მცირე ნაჭერი და გრეიპფრუტის რამდენიმე წილაკი დასრისეთ. მიღებული ფაფა სახეზე დაიდეთ, 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

## დილიდანვე მშვენიერი

არაჟნის ნიღაბი: დილით სახე დასვენებული და ნორჩი რომ ჩანდეს, გაიკეთეთ არაჟნის ნიღაბი, რომელშიც დამატებული იქნება 4-5 სუფრის კოვზი გახეხილი სტაფილო. ეს ნარევი სახეზე ნახევარი საათი გაიჩერეთ. შემდეგ ქაფითა და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ბავშვის საპონი უნივერსალური კოსმეტოლოგია. კანის წესრიგში დაცვას ეხმარება ასეთი ნიღაბი: 50 გრამი საბავშვო საპონი გახეხეთ და წყალი დაუმატეთ. როდესაც საპონი გაიხსნება, შიგ ჩაუშვით 1 სუფრის კოვზი ქაფურის სპირტი, 2 ჩაის კოვზი ბორის მჟავა, 1 სუფრის კოვზი წყალბადის ზეჟანგი და 2 ჩაის კოვზი გლიცერინი. ეს მასა სახეზე დაიდეთ (თვალებისა და ტუჩების მიდამოს მოერიდეთ). 10-15 წუთის შემდეგ ნიღაბი ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით მოიცილეთ.

ყოველ დილა-საღამოს კანი ყინულის კუბიკით გაიწმინდეთ. ამ პატარა საიდუმლოს წყალობით, ყოველთვის შესანიშნავი ნორჩი კანი გექნებათ და ამავდროულად არც გაციებით დაიტანჯებით.

ორგანიზმი ტოქსინებისგან რომ გაიწმინდოს და სახის ფერი გაუმჯობესდეს, 10 დღის განმავლობაში, საკვების ყოველ მიღებამდე ერთი საათით ადრე, ალუბლის 1 ჭიქა წვენი დალიეთ.

კომბოსტოს დამატენიანებელი: კომბოსტოს ფოთოლი დააქუცმაცეთ და ნახევარ ჭიქა რძეში მოხარშეთ სრულ დარბილებამდე. შემდეგ ფაფად აქციეთ. მიღებული თბილი მასა სახესა და ყელზე 15-20 წუთი დაიდეთ, შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი ნიღაბი მშრალ კანს არბილებს. თუ კანის გასწორება გსურთ, კომბოსტოს ფოთლები ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, თაფლი შეურიეთ და ნიღაბი სახეზე 15 წუთი გაიჩერეთ.

პირშუშხას წვენის ნიღაბი: პირშუშხას წვენი და არაჟანი (თანაფარდობით 1:1) შეურიეთ, სახეზე 5 წუთი გაიჩერეთ. ეს ნიღაბი სახეს ასუფთავებს, ჭორფლისა და პიგმენტური ლაქებისგან წმენდს. ამავდროულად თმის ძირებს ამაგრებს და ქერტლის გაჩენას ებრძვის. ფაფა თავზე დაიდეთ და 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

## კანი ტონუსში — მასაჟი კოვზებით

კანის მოვლაში ახალი სიტყვა ვერცხლის კოვზებით მასაჟია. ის ნაოჭებს შესანიშნავად ასწორებს და სახის ოვალს ჭიმავს.

სახეზე წაისვით მკვებავი შრატი. კოვზი მასაჟის ხაზების მიმართულებით წრიულად ამოძრავეთ: სახის ცენტრიდან ზევით, საფეთქლებისკენ, თვალების ირგვლივ და ქვევით. შრატის ნარჩენები მოიცილეთ და კრემი წაისვით.

## ექსპრეს ნიღაბი შეშუპების წინააღმდეგ

თვალების ქვეშ შეშუპებისა და წრეებისგან გიხსნით ჩვენი დამხმარეები: კარტოფილი (კანიდან ზედმეტ წყალს გამოიწოვს) და ოხრახუში (თვალების ირგვლივ ნაზ კანს სიმტკიცეს შემატებს). უმი კარტოფილი გახეხეთ, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და არაჟანი შეურიეთ. თვალების ქვეშ 20 წუთი დაიდეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



ზესტაფონელი ამორძალების კუნძულზე მოხვდა. დაესივნენ ამორძალები და მოკვლა დაუპირეს. ზესტაფონელმა ჭკუა იხმარა და დაიძახა:

— აბა, იმან მომკლას, ვინც თქვენ შორის ყველაზე მახინჯია!

ზესტაფონელი გადარჩა.

ცოლი: თუ იმ კახპას არ მიატოვებ, იცოდე, თავს მოვიკლავ!

ქმარი: მორჩი ერთი! ვიცი მე შენი ტუფტა დაპირებები!

❖ ❖ ❖

— ბოლოს და ბოლოს მიჰყვები ცოლად ლაშიკოს?

— არა, უფრო სწორად, ვერა.

— რატომ?

— მისიანებს არ მოვწონვარ, განსაკუთრებით ცოლს.

❖ ❖ ❖

— ხვალ ჩემი ქმრის დაბადების დღეა.

— მერე უყიდე საჩუქარი?

— არ ვიცი, რა ვუყიდო. რაც მე მჭირდება, თითქმის ყველაფერი უკვე აქვს.

❖ ❖ ❖

ინგლისელი ქალი სექსის შემდეგ:

— ო, რა შესანიშნავი იყო!

ფრანგი ქალი სექსის შემდეგ:

— ძალიან სასიამოვნო იყო, ჟორჟ, კიდევ ხომ არ?..

კახელი ქალი სექსის შემდეგ:

— შე ვირო, შენა! დათხლიშე მთელი ლოგინი. ხვალ სად დაიძინებ, იმასაცაი ვნახამ!

❖ ❖ ❖

— შვილო, — ეუბნება დედა სანდროს, — რა უნდა უთხრა სტუმრებს, როცა მათ ვაცილებთ?

— აწი ჩვენ გესტუმრებით, თუ კაია!

❖ ❖ ❖

— რა მსგავსებაა ქართველ ღარიბსა და ქართველ მდიდარს შორის?

— ორივეს მერსედესი ჰყავს.

— და განსხვავება რაა?

— მდიდარი მერსედესს სხვას არეცხვინებს, ღარიბს კი ცოლი ურეცხავს.

❖ ❖ ❖

პაციენტი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, როგორი ნიშნებით ხასიათდება სკლეროზი?



კაცი ტელეფონზე რეკავს:

— ალო, შენ ხარ, საყვარელო?

— არა, შენი ცოლი ვარ!

— გუშინ რომ ჩამოგითვალე, იმ ნიშნებით.

❖ ❖ ❖

— ალო, ექიმო, გვიშველეთ, ჩემმა ქმარმა თაგვი გადაყლაპა!

— ჩემს მოსვლამდე პირი გააღებინეთ და პირთან ყველის ნაჭერი დაუჭირეთ. იქნებ თაგვი გაბრიყვდეს და ყველისთვის ამოძვრეს.

ცოტა ხანში ექიმი ადგილზე მივიდა და ხედავს, კაცის პირთან თევზი უჭირავთ.

— მე ხომ ყველი გითხარით?

— თაგვს აღარ დავეძებთ, ახლა ვცდილობთ, იქნებ როგორმე კატა ამოვიტყუოთ.

❖ ❖ ❖

— მომწყინდა ერთფეროვნება, სულ ცოლთან სექსი.

— შენც ადექი და თამაში მოიგონე, ვთქვათ, ექიმობანა. ვითომ შენ ექიმი ხარ, ის პაციენტი. ერთი საათით წარმოიდგინე ეს ამბავი.

— ესე იგი ექიმობანა... ერთი საათით... მაგრამ მე სულ 5 წუთი მყოფნის სექსისთვის.

— შენც ადექი და მისაღებში აცდევინე ის 55 წუთი.

❖ ❖ ❖

ლოთი იღვიძებს და ნელ-ნელა იხსენებს:

— ვაიმე, რა სწორავოი დღე იყო გუშინ... პარასკევი... ასწორებს პარასკევი... ძაან მევასება, იმიტომ, რომ წინ შაბათი და კვირაა... მერე „შხამიანი“ ორშაბათი... არ მევასება, მაინც პარასკევი ჯობია, დღეს შაბათია, დავლევ... ხვალ კვირა... დავლევ, ზეგაც კვ...

ამ დროს ცოლის ხმა სამზარეულოდან:

— აეთრიე და წადი დღეს მაინც სამსახურში... სამშაბათია ბოლოს და ბოლოს!

— შენ დაგმარხე ოთხშაბათს! — ბუზღუნით დგება კაცი...

❖ ❖ ❖

ექიმი:

— ბატონო პროკურორო, ახლავე გაათავისუფლეთ ჩემი პატიმარი შვილი, თორემ გადავკეტავ...

— გზას?

— არა, თქვენი ჟანგბადის მილს!



— გოგონი, შენთვის არავის უთქვამს, რომ ლამაზი ხარ?

— არა!

— არა, მაინც რა პატიოსანი ხალხი წამოვიდა, რა!

❖ ❖ ❖

ბურანში მყოფი ქმარი ცოლს მიმართავს:

— ლალი, საყვარელო... ჩუსტები გამაძრე და ტელევიზორი გამორთე...

— ცოტა მოითმინე, ჯერ ისევ კინოთეატრში ვართ, — ხმადაბლა პასუხობს ლალი.

❖ ❖ ❖

აგრაფინა ბებიამ ტელევიზორში ნახა ახალგაზრდა ნუდისტი გოგო, რომელიც თაყვანისმცემლებს ეუბნებოდა, მე გახდილი კი არ ვარ, უბრალოდ, სექსის კაბა მაცვიაო. დაიმახსოვრა აგრაფინამ ეს ეპიზოდი და ზაფხულში, ქობულეთის პლაჟზე გავიდა სულ შიშველი. შეზლონგზე გაჭიმული გურული ისიდორე ამის დანახვაზე წამოხტა.

— რაია, ციცა, არ გრცხვენია, ამ პაპანაქება სიცხეში რომ გადედიშობილებულხარ?

— უვიცო, — გადაიხარხარა აგრაფინამ, — შიშველი ხომ არ გგონივარ? უბრალოდ, სექსის კაბა მაცვია.

— მერე და ვერ გააუთოვე? — შეეჭვდა გურული.



— რატომ შორდებით ცოლს?

— ცხოვრებაში სხვადასხვა ინტერესები გვაქვს, ბატონო მოსამართლევ.

— მაინც რა?

— იმას კაცები უყვარს, მე პირიქით, ქალები.



— გუშინ იგრე დავთვერ ზაქროსთანა, რო დილით ახალშობილივით გამოვიყურებოდი.

— ეგ როგორ, ტიტველი იყავ?

— არა, კომბოსტოებში დამძინებია და იქ მიპოვეს.

● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ● ●

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

1. ჰამლეტის სატრფო; 2. ... მორიკონე; 3. ჩასაძრომი ჭრილი სცენაზე, გემზე; 4. მოსაპირკეთებელი ფილა; 5. საცალფეხო გზა; 6. სურათი ზღვის ხედით; 7. ... ჯაყელი; 8. საფუტკრე; 9. ცხვრის ჯოგი; 10. სპორტის სახეობა; 11. თავისუფალი ფორმის ნარკვევი; 12. მზის შუქი რამეზე დამდგარი; 13. ოთახი გემზე; 14. რძის პროდუქტი; 15. ამბოხება; 16. ბერძნული ანბანის ასო; 17. უქოჩრო თუთიყუში; 18. სოფელი ლეჩხუმში; 19. ... მონტანი; 20. მუსიკალური თემის სახესხვაობა; 21. შეძახილი ცეკვის დროს; 22. ჰოლივუდელი კინომსახიობი; 23. გარიჟრაჟი; 24. საგრილობელი; 25. კუნძული ინდონეზიაში; 26. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 27. მოგრძო თხელი პური; 28. ინდოელი ქალის კაბა; 29. პირველი; 30. ბილიარდის ჯოხი; 31. კედლის სანათი; 32. ყვავილის ნაწილი; 33. ქათმის მსგავსი ფრინველი; 34. ... ლესკო; 35. ლათინური ასო რ-ს სახელწოდება; 36. ხანა, ეპოქა; 37. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 38. ქალაქი იტალიაში; 39. ტიბეტური ხარი; 40. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 41. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 42. იალქანი; 43. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 44. შტატი აშშ-ში; 45. ... კორო; 46. ფასი კერძო ბაზარში; 47. პირის ნაცვალსახელი; 48. მკერავის ნივთი; 49. მწერალი ... გრინი; 50. „... ერგასის დღე“; 51. ს. თაყაიშვილის კინოროლი; 52. ცალკე თავი საჭმელი; 53. ... ბოლდუინი; 54. ლაბორატორიული ჭურჭელი; 55. იტალიელი მსახიობი ქალი; 56. შტატი აშშ-ში; 57. წონის ძველებური ერთეული; 58. ... საკანდელიძე; 59. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 60. ტროპიკული ხილი; 61. ხვავი; 62. ხარიხა საქათმეში; 63. ოსმალეთის სულთნის სასახლე; 64. ერთგვარი მაგარი ღვინო; 65. რისკენაც მიისწრაფიან.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. კონტრა; 2. ნაფოტი; 3. კია; 4. ბრუტო; 5. ტარიგი; 6. მაშია; 7. ტრიუმფი; 8. ანძა; 9. ტრიბუნა; 10. გეიშა; 11. გუგა; 12. სუ; 13. იმერეთი; 14. ტატამი; 15. პრესტიჟი; 16. პინია; 17. პიპეტი; 18. კოჰაბიტაცია; 19. ჩაი; 20. აბონენტი; 21. ეტრატი; 22. ელისტა; 23. ოკა; 24. სირ; 25. ბეი; 26. სე; 27. ალაპი; 28. ტარო; 29. სანტიმი; 30. სუთი; 31. ვატი; 32. აჟანი; 33. ტბა; 34. სიტრო; 35. მინტაი; 36. მის; 37. ნუ; 38. ჯოან; 39. პორფირი; 40. ემუ; 41. ვეტო; 42. ტენცო; 43. ერი; 44. რე; 45. ეშმაკი; 46. ვიზავი; 47. გერი; 48. სერ; 49. რიმესა; 50. ტერცია; 51. სპარტაკი; 52. იარუსი; 53. ასტატი; 54. ზარხოში; 55. ცნობა; 56. ავი; 57. ჩოგანი; 58. ია; 59. გვეტაძე; 60. გალონი; 61. სიგელი; 62. ახო; 63. ოპალი; 64. სირია; 65. სელი. **სურათებზე:** მარი ჯანაშია; თემო გოცაძე; ზაზა მიქაშავიძე; ნინელი ჭანკვეტაძე.

**კოდი: ცეხული.**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. ნოტი
2. ზღვის მოლუსკი
3. უბანი ძველ თბილისში
4. ერთი მუშკეტერ-თაგანი
5. მავნე მწერი
6. დაჯგუფება, კლასიფიკა-ცია
7. უარყოფი-თი ნაწილაკი
8. მადლის დაუნახა-ვი
9. ... ბრანდო
10. ნადირობის ქალღმერთი
11. ... ნორისი
12. აღმოსავ-ლეთი
13. იუპიტერის თანამგზავ-რი
14. ჭამის სურვი-ლი
15. ქიმიური ელემენტი
16. ბატონო ინგლისუ-რად
17. კენკრა შავი ნაყოფით
18. ქალბატონო ფრანგულად
19. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა
20. ციხე-გალავანი სოლოლა-კის მთაზე
21. გასეირნება ბავშვის ენაზე
22. ... კაპონე
23. ყვავილი
24. ეგვიპტის მზის ღვთაება





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ნო; 2. ბრედ; 3. პო; 4. ემე; 5. იო; 6. ოტია; 7. ადის; 8. არმია; 9. ტურ; 10. ტურისტული; 11. ტრამპლინი; 12. ვერაგი; 13. ელვა; 14. იაკი; 15. მარში; 16. რგოლი; 17. რეპი; 18. სალასტო; 19. პირუეტი; 20. ავგაროზი; 21. კუ; 22. ალეკ.**სურათებზე:**შოკოლადი; სიგარეტი; შამპანური; ყვავილი.



Cyan Magenta Yellow Black

**დაფნა დიუ მორიე**

# საზღვარზე

დასაწყისი №51.2012–№1.2013

ცოტა რომ გაიარა, ერთ-ერთი ოთახიდან ნიკის სიცილის ხმა მოესმა. შეილამ ნაბიჯს აუჩქარა, იმ ადგილს რომ გასცლოდა. იმავ წამს კარი გაიღო და ქალიშვილმა იქიდან გამოსულ იმ ყმაწვილს მოჰკრა თვალი, რომელიც დილით სამარხის გათხრაში მონაწილეობდა და რომელიც მისმა ხუჭუჭა თმამ დაამახსოვრა. ანაზდად თავში გამაოგნებელმა აზრმა გაუელვა, თავის ოთახში შევარდა და საწოლზე დაემხო.

„ჰო, რა თქმა უნდა... სამარხზე მომუშავე ყველა ძალიან ახალგაზრდაა, ნიკისა და ბობის გარდა! ეს კუნძული ჰომოსექსუალების ბუდეა... ამიტომაც დაითხოვეს ნიკი ფლოტიდან... მამამ ის სწორედ ამგვარი ორიენტაციის გამო არ დააწინაურა, ნიკი კი მასზე დაიბოლმა და მათი ურთიერთობაც ამით დამთავრდა... დედასთან გადაღებული ფოტო უბრალოდ შირმაა და მეტი არაფერი... პატარა ბიჭების გარემოცვაში, როგორც რომელიღაც რომაელი იმპერატორი... ერთადერთი კაცი, რომელიც მომეწონა, გეი აღმოჩნდა!.. არა, მე აქ ზედმეტი ვარ... რაც მალე გავეცლები აქაურობას, მით უკეთესი!“.

მოზღვავებული ემოციების დასაცხრომად შეილა სააბაზანოში შევარდა და თავის დაბანას შეუდგა. ეს წესი გამოცდილი ჰქონდა: როცა ზომაზე მეტად აღელდებოდა, წყლის ჭავლი დამამშვიდებლად მოქმედებდა...

ის იყო, თმა შეიმშრალა და თავზე პირსახოცი წაიკრა, რომ კარზე კაკუნი გაისმა.

— შემოდით! — ბრაზით ისროლა ქალიშვილმა.

კარი გაიღო და ოთახში სტიუარდი შემოვიდა.

— მაპატიეთ, მის, — თქვა მან, — კაპიტანი თავისთან გიხმობთ.

— ვწუხვარ, მაგრამ დალოდება მოუწევს. როგორც ხედავთ, ახალი თავდაბანილი ვარ.

— მის, — ჩაახველა ბობმა, — მინდა გითხრათ, რომ კაპიტანს ლოდინი არ უყვარს.

— მართლა? მაშინ წამოვალ, რა პრობლემაა.

და შეილა, რომელიც თავისი ფიზიონომიით ახლა ლონდონელ ქალიშვილს კი არა, არაბ შეიხს უფრო ჰგავდა, კმაყოფილ სტიუარდს უკან გაჰყვა.

— უკაცრავად, — ბობმა კარი შეაღო, — სერ, მის ბლერი გეახლათ.

შეილა ნებისმიერ ამაზრზენ სანახაობას ელოდა: აქა-იქ მიწოლილ, ნარკოტიკებით გაბრუებულ შიშველ ბიჭებს, მათ შორის კი ასევე შიშველ ნიკს, დირიჟორის რანგში სექსუალური ილეთების დემონსტრირებით გართულს... დიდი იყო ქალიშვილის გაოცება, როცა ამის ნაცვლად მაგიდასთან მსხდომი 7 ახალგაზრდა დაინახა, მაგიდის თავში კი სავსებით სერიოზული კაპიტანი. იქვე, კუთხეში, მერვე ყმაწვილდი იჯდა საყურისით თავზე. ბიჭებმა „შეიხს“ თვალი შეავლეს და მზერა აარიდეს.

ნიკმა წარბები აზიდა, მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი აიღო და შეილას დაანახა:

— მაპატიეთ, თქვენი მყუდროება რომ დავარღვიე, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა. ამ ჯენტლმენებს და მე გვაინტერესებს, რას ნიშნავს ის რიცხვები, ამ ფურცელზე რომ წერია?

— რომელ ფურცელზე? — თავი მოიმიამიტა ქალიშვილმა.

— რომელსაც თქვენ ტურისტულ მეგზურში ჩადებულს ატარებდით.

— და რომელიც თქვენ ამწაპნეთ!

— ესეც საჭიროებამ მოითხოვა, — გაიღიმა კაპიტანმა.

„საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა“, — გაახსენდა შეილას და დაიწყო:

— კაპიტანო ბარი, თქვენგან ინტერვიუს რომ ვღირსებოდი, პირველ კითხვად სწორედ ეს უნდა დამესვა, მაგრამ მეეჭვება, პასუხი მიმეღო, რადგან ეს რიცხვები თქვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია და საიდუმლოს შემცველი. ასე რომ არ იყოს, თქვენი ჯენტლმენები ქურდობას არ იკადრებდნენ.

— ლოგიკურად მსჯელობთ, — შენიშნა ნიკმა, — მაინტერესებს, ეს თარიღები საიდან გაქვთ?

— რედაქციაში მომცეს. საწყისი მონაცემების ნაწილია, მის გაშიფვრას კი თქვენგან ველოდი.

— ჟურნალ „პროჟექტორის“ რედაქციას გულისხმობთ?

— რასაკვირველია.

— სადაც თქვენ მავან გადამდგარ სამხედრო მეზღვაურზე ანუ ჩემზე სტატიის დაწერა დაგავალეს, მსოფლიოს რომ შეეტყო, რით ცხოვრობს ის, როგორ კლავს დროს, რა მისწრაფებები აქვს, რას ჭამს, რას სვამს და ასე შემდეგ. ასეა, ხომ?

— აბსოლუტურად.

— თქვენს კოლეგებს კი იგივე დაავალეს, ოღონდ სხვა გადამდგარ სამხედროებზე.

— სრული ჭეშმარიტებაა. ამგვარი ნარკვევების სერიის იდეა ახალი ხილია და ჩვენი ჟურნალის რეიტინგს ნამდვილად აამაღლებს.

— სამწუხაროდ, მთელი ეს თქვენი რიტორიკა წმინდა წყლის ბლეფია.

— რა თქვით? — შეცბა შეილა.

— როგორც „პროჟექტორის“ გამომცემელმა განგვიმარტა, არანაირი სერიის გამოქვეყნება არ იგეგმება და არავითარი ჯენიფერ ბლერი მათი თანამშრომლების სიაში არ ირიცხება, სულ უმნიშვნელო თანამდებობაზეც კი.

„გამომიჭირა. ახლა რა ვქნა? ტვინი გაანძრიე, შეილა!“.

— იცით... — დაიწყო ქალიშვილმა, — აქ ერთგვარი საჩოთირო სიტუაცია შეიქმნა... თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ მარტოს გველაპარაკა?!

— რაკი ასე გსურთ, ცხადია, შეიძლება, — თქვა კაპიტანმა.

შვიდი ყმაწვილი სწრაფად წამოიჭრა ზეზე და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

— თქვენი ნებართვით, რადისტი აქ დარჩება, — შენიშნა ნიკმა, — რადიოგრამები წამდაუწუმ მოდის. თქვენი ნათქვამიდან კი ის ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებს.

— არაა პრობლემა.

— რაკი ასეა... — ნიკი სავარძელში გადაწვა და სალი თვალი გაუშტერა ქალიშვილს, — დაჯექით და მოყევით.

შეილა ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა და დაიწყო:

— „პროჟექტორის“ გამომცემელმა თქვენ სიმართლე გითხრათ. მე ჟურნალისტი არა ვარ და არანაირ ჟურნალში არ ვმუშაობ. მე მსახიობი ვარ, თუმცა თეატრალურ სამყაროში ჩემი სახელი ცოტა ვინმემ თუ იცის. ერთ ახალგაზრდულ დასში ვირიცხები, რომელიც ძირითადად გასტროლებით არსებობდა. ამას წინათ კი მაგრად გაგვიმართლა — ლონდონში, ვიქტორიას რაიონში, ახალი თეატრი გაიხსნა ყველა მსურველისათვის ანუ დასისათვის. აი, იქ კი ჯენიფერ ბლერს ნებისმიერი ძაღლიც იცნობს. თუ გსურთ, შეგიძლიათ გადაამოწმოთ.

— მჯერა თქვენი. მერე?

— მერე ის, რომ ამ სეზონზე შექსპირის კომედიებში მთავარი როლები შემომთავაზეს.

— ეს უკვე სიმართლეს ჰგავს, — გაიღიმა ნიკმა, — მომილოცავს.

— პრემიერა სამ კვირაშია. მოლოცვები იმ დროისთვის შეინახეთ. სხვათა შორის, თეატრში არც კი იციან, ირლანდიაში რომ ვარ. ეს სანაძლეოს გამო გავაკეთე, — „წავიდა ტყუილები“, გაიფიქრა შეილამ და განაგრძო, — ერთ ჩემს არათეატრალ მეგობარს ფლოტში ბევრი ნაცნობი ჰყავს. ჰოდა, მას ხელში თარიღებიანი ფურცელი ჩაუვარდა, რომელზეც თქვენი სახელი ეწერა. მიხვდა, თარიღები რომ რაღაცას ნიშნავდა, მაგრამ — რას, არ იცოდა. ერთ საღამოსაც, როცა ვახშმად ზომაზე მეტი დავლიეთ, მითხრა: შენ მსახიობი კი ხარ, მაგრამ 50 ფუნტზე დაგენიძლავები, რომ ჟურნალისტის როლს ვერ ითამაშებ და იმ ტიპისგან, ანუ თქვენგან, ინტერვიუს ვერ აიღებო. ამან, ცხადია, გამაბრაზა და დავთანხმდი. აი, რატომ მოვხვდი თქვენთან.

— საინტერესო ისტორიაა, — შენიშნა კაპიტანმა.

— მანამდე თქვენ შესახებ სამხედრო-საზღვაო სახელობით ცნობარში ამოვიკითხე, რომელსაც ერთადერთ ბიბლიოთეკაში მივაგენი. როგორც აღმოჩნდა, ზემოხსენებული თარიღები იმ პერიოდს მიეკუთვნება, როცა თქვენ ფლოტიდან წამოხვედით. ამან კი მაფიქრებინა, რომ ეს თარიღები მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენთვის. სხვათა შორის, ეს აზრი მაშინვე გამიჩნდა, როგორც კი ქაღალდის დაკარგვა აღმოვაჩინე. უფრო მეტიც — შემიძლია ახლა თქვენც დაგენიძლავოთ, რომ ამ თარიღების მიღმა რაღაცა ბნელი, კანონსაწინააღმდეგო საქმეები იმალება.

კაპიტანი ბარი თავისი ცალი თვალით ჭერს მიაშტერდა. ის თითქოს დაბნეული ჩანდა და პასუხი ვერ მოეძებნა.

— გააჩნია, როგორ შევხედავთ, — თქვა ბოლოს ხმადაბლა, — რას ვუწოდებთ ბნელს. იმან, რასაც მე და ჩემი ახალგაზრდა მეგობრები სავსებით გამართლებულად ვთვლით, თქვენ შეიძლება შოკში ჩაგაგდოთ.

— არც ისეთი მშიშარა ვარ.

— გეთანხმებით, მაგრამ ამაში ჩემი მეგობრებიც უნდა დავარწმუნო, რაც არც ისე იოლია. წარსული ამბები მათ არ ეხება, რადგან მაშინ ბავშვები იყვნენ. რაც შეეხება იმას, რასაც ჩვენ დღეს ერთობლივად ვაკეთებთ, ეს უკვე ყოველ ჩვენგანს ეხება და მერე როგორ. თუ ჩვენი საქმიანობის იოტისოდენა დეტალმაც კი სააშკარაოზე გაჟონა, კანონის გუშაგებთან სერიოზული პრობლემები შეგვექმნება.

„ნუთუ არქეოლოგიური მონაპოვრების კონტრაბანდას ეწევიან? ან იქნებ მართლა ცისფერები არიან? თავისი ზნეობრივი მოწოდებებით განთქმულ ეირეში ამგვარი გადახრები ალბათ დასჯადია“.

ნიკი წამოდგა:

— გინდათ ნახოთ, რას ვსაქმიანობთ?

— რას გულისხმობთ? — ქალიშვილს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა, თან თავიდან პირსახოციც გადმოუვარდა.

კაპიტანი პირსახოცს დასწვდა, შეილას გაუწოდა და თქვა:

— სანახაობა ნამდვილად შთამბეჭდავია. თავად თქვენ მასში მონაწილეობას არ მიიღებთ და მხოლოდ შორიდან დააკვირდებით.

— თუ სიმართლე გინდათ... — ქალიშვილმა უარის თქმა დააპირა, მაგრამ ნიკმა აღარ დაამთავრებინა:

— თუ სიმართლე გინდათ, ამას მე მოვითხოვ. ის, რასაც დაინახავთ, რაღაცას მიგახვედრებთ. გზის ნაწილი წყალზე იქნება, ნაწილი — ხმელეთზე.



Cyan Magenta Yellow Black

მან კარი გამოაღო. მთელი გუნდი, ბობის ჩათვლით, დერეფანში გაჭიმულიყო.

— ყველაფერი რიგზეა, — ისროლა ნიკმა, — მის ბლერისგან უსიამოვნებებს არ ველით. აბა, ყველამ საბრძოლო პოსტები დაიკავოს!

ახალგაზრდებმა ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს დერეფანი. ნიკი შეილას მიუბრუნდა:

— პალტო ჩაიცვით და შარფი გაიკეთეთ, თუ გაქვთ, რასაკვირველია. შესაძლოა ციოდეს. ეცადეთ, სწრაფად იმოქმედოთ.

კაპიტანი თავის ოთახში შევიდა, შეილამ კი თავისას მიაშურა.

როცა ის ისევ გამოჩნდა დერეფანში, ნიკი უკვე უცდიდა და თან საათზე იყურებოდა. კაპიტანს მაღალყელიანი სვიტერი და ბრეზენტის კაპიუშონიანი ლაბადა ეცვა.

— წავედით, — თქვა მან.

დერეფანში მხოლოდ ბობი იდგა და ხელში შიპი ეჭირა.

— წარმატება, სერ, — თქვა სტიუარდმა.

— გმადლობ, ბობ. მაგას მხოლოდ ორი ნატეხი შაქარი, მეტი არა, — დაარიგა კაპიტანმა.

— დიახ, სერ, — იყო პასუხი.

ნაპირთან მოტორიანი ნავი, უფრო სწორად, კატერი იდგა, რომლის მოტორიც ოდნავ გუგუნებდა. ბორტზე მხოლოდ ორნი იყვნენ — მაიკლი და ხუჭუჭთმიანი ყმაწვილი.

— კაიუტაში შედით და ფეხი არ მოიცვალოთ, — უბრძანა შეილას ნიკმა, თავად კი სამართავ ბლოკს მიაშურა.

კატერი ტბაზე მისრიალებდა. კუნძული აღარ ჩანდა. კაიუტაში მყოფმა შეილამ მალე დაკარგა ორიენტაცია. ციცქნა ილუმინატორში ხან მხოლოდ წყალი ჩანდა, ხანაც ლელქაშიანი, რომელსაც კატერი სწრაფად მიარღვევდა, თან ისე უხმაუროდ, თითქოს მოტორი საერთოდ გამორთულიაო.

— მოვედით, — ჩაესმა თვლემამორეულ შეილას კაპიტნის ხმა, — აქედან ხმელეთი იწყება...



ფურგონი ჯერ ოღროჩოღრო გზაზე მიდიოდა, მერე კი შოსეზე გავიდა. შეილამ წამოჯდომა სცადა და თავი ხის თაროს აარტყა. ზევით რაღაცა ახრიგინდა, თითქოს დაგორდაო.

— ფრთხილად, თორემ მთელი ეს პური თავზე დაგვეყრება, — თქვა ნიკმა.

— პური?

ეს პირველი სიტყვა იყო, რომელიც ქალიშვილმა კუნძულის დატოვების შემდეგ წარმოთქვა.

ნიკმა ფარანი ჩართო:

— აქ მარტო პური კი არა, ბევრი სხვა რამეცაა.

ირგვლივ თაროები მართლაც უამრავი პროდუქტით იყო სავსე.

— გაგვიმართლა, — თქვა ნიკმა, თაროდან პური გადმოიღო, შუაზე გატეხა და ნახევარი შეილას გაუწოდა, — მოგშივდებოდათ... იქნებ რამე მისატანებელსაც მივაგნო.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ისინი მადიანად შეექცეოდნენ ყველსა და პურს, ზედ კი ლუდს აყოლებდნენ.

— ხომ არ გცივათ? — შეეკითხა კაპიტანი.

— არა, არა, — მიუგო ქალიშვილმა, — ლუდმა შემახურა კიდეც.

— ძალიან კარგი.

— მართლა, მაიკლი და ხუჭუჭთმიანი სად არიან? — გაახსენდა შეილას.

— წინ, მძღოლის გვერდით.

— თქვენ, რა, ფურგონი გაიტაცეთ?

— გავიტაცეთ? ეს რამ გაფიქრებინათ? — ეწყინა ნიკს, — მალდონეჯელმა ბაყალმა გვათხოვა და საჭესაც თავად უზის.

— გასაგებია.

— ახლა მომისმინეთ. საზღვრამდე 36 მილია, თანაც სწორი გზა. ასე რომ, შეგიძლიათ ისევ წათვლიმოთ.

— გმადლობთ, შევეცდები.

შეილა მატარებლით ჩრდილოეთ ინგლისში, პანსიონში სასწავლებლად მიემგზავრება. ის ვაგონის ფანჯრიდან პერონს გადაჰყურებს, იქ კი მამა დგას და გამოსამშვიდობებლად ხელს უქნევს.

— არ წახვიდე, მამა! — უყვირის შეილა, — არ დამტოვო, არა!..

ვაგონს თეატრალური საგრიმიორო ცვლის, სადაც სარკის წინ ცეზარის კოსტიუმში გამოწყობილი შეილა დგას „მეთორმეტე ღამიდან"... უეცრად ვაგონი-საგრიმიორო ირყევა და ფეთქდება.

შეილამ ისევ აჰკრა თავი ხის თაროს. ნიკი იქ აღარ იყო, ფურგონი კი უძრავად იდგა. დრო აღარ არსებობდა. „უზადო მამაკაცზე რომ გავთხოვდე და 15 შვილი ვშობო, ყველანაირი პრიზი რომ მოვიპოვო და მათ შორის რამდენიმე ოსკარიც, 90 წელს რომ გადავაბიჯო და ისევ ახალგაზრდა ვიყო... ეს ღამე მაინც განუმეორებელი დარჩება".

ფურგონის კარი გაიღო. შეილამ ცივი ჰაერი იგრძნო.

— კაპიტანმა თქვა, თუ ფეიერვერკები უყვარს, გადმოვიდესო, — მხიარულად ჩაარაკრაკა ხუჭუჭთმიანმა ბიჭმა, — მართლა კარგი საყურებელია!

ქალიშვილმა თვალები მოისრისა და ყმაწვილის დახმარებით ფურგონიდან გადავიდა. ირგვლივ ისე ბნელოდა, რამდენიმე გზისპირა უსახური შენობის გარდა ვერაფერი გაარჩია.

სამაგიეროდ შორს, ჰორიზონტს მიღმა, კვამლის სვეტები აღმართულიყო, ცას კი ცეცხლის ალები აცისკროვნებდა.

ნიკი და კიდევ ორნი კაბინასთან იდგნენ და ალაპლაპებულ ცას გასცქეროდნენ. ერთი მაიკლი იყო, მეორე კი ფურგონის მძღოლი. ხუჭუჭთმიანი კაბინაში მოკალათებულიყო და მიმღების ყრუ ხმას უსმენდა.

— რა არის, რა ხდება? — იკითხა შეილამ.

დანაოჭებული სახის საშუალო ასაკის მძღოლი ღიმილით მიბრუნდა მისკენ:

— არმას ცენტრი იწვის, ქალაქის საუკეთესო ნაწილი, მაგრამ ტაძარი გადარჩება. იქაურობა სულ რომ გადაიბუგოს, წმინდა პატრიკი მუდამ იდგა და ისევ იდგება.

კაბინიდან ხუჭუჭთმიანი გადმოვიდა, ნიკს მკლავზე შეეხო და მოახსენა:

— ომში უკვე აფეთქდა, სამ წუთში სტრაბონიდან შემატყობინებენ, ხუთ წუთში კი ენისკილენიდან.

— ძალიან კარგი, — მიუგო ნიკმა და ხმამაღლა დაამატა, — აბა, ყველანი ფურგონში! წავედით!

ნიკი შეილას ფურგონში ასვლაში მიეხმარა და თავადაც ავიდა. ფურგონი 180 გრადუსით შემოტრიალდა და გეზი იქითკენ აიღო, საიდანაც მოვიდა.

— როგორ ვერ მივხვდი! — აქოთქოთდა შეილა, — თავი სამარცხვინოდ გამომიჭედეთ, თვალში ნაცარი შემაყარეთ, აქ კი რეები ხდება!

— არავითარი ნაცარი, — შეეპასუხა კაპიტანი, — გათხრები მართლა მაინტერესებს, მაგრამ პიროტექნიკაც მიტაცებს.

— თქვენ... თქვენ... მკვლელი ხართ! თქვენს სინდისზე უამრავი უმწეო ადამიანია, რომლებიც ახლა თავიანთ საწოლებში ცოცხლად იწვიან! და ბავშვები! ასობით დაღუპული ბავშვი!

— დაღუპული? ისინი ახლა ქუჩებში გამოცვივდნენ და აღტაცებულები ტაშს უკრავენ. მერფის მეტი უსმინეთ და საბოლოოდ გამოგათაყვანებთ. ის კიდევ ბევრ სისულელეს იტყვის და იფანტაზიორებს. არმაში ეს აფეთქება ალბათ ვერც კი იგრძნეს. იქნებ ერთი სახლი დაიწვა, დიდი-დიდი, ორი.

— იქ? თქვენმა ხუჭუჭამ რომ ჩამოთვალა?

— პატარა ფეიერვერკი მოეწყო, უფრო ეფექტის მოსახდენად.

შეილასათვის ახლა ყველაფერს ნათელი მოეფინა: მამასთან ბოლო საუბრის დროს აშკარა გახდა, რომ ის ნიკის საქმიანობის შესახებ რაღაცას ხვდებოდა და რაკი მისთვის მეგობრობაზე მეტად სამშობლოს ერთგულება ფასობდა, ამ კაცთან ურთიერთობა გაწყვიტა და შობასაც კი აღარ ულოცავდნენ ერთმანეთს.

ნიკმა თაროდან ვაშლი აიღო და მადიანად ჩაკბიჩა.

— მაშ ასე, — თქვა თან, — იმედისმომცემი არტისტი...

— ეს საგაზეთო შტამპია, — მოუჭრა შეილამ.

— თავმდაბლობა აქ უადგილოა. თქვენ ნამდვილად შორს წახვალთ. ჩემი გაცურება მგონი, უკეთესადაც კი შეძელით, ვიდრე მე თქვენი. ანუ ჯერ, არც კი ვიცი, რა ჰქვია იმ თქვენს მეგობარს, ვისაც ფლოტში უამრავი ნაცნობი ჰყავს.

— არც არასოდეს გეტყვით!

— რატომ? ასეთი საიდუმლოა?

— მოვკვდები და არ გეტყვით!

— კარგი, კარგი, — თქვა ნიკმა, — ახლა ამას მნიშვნელობა აღარც აქვს. დიდი ხნის წარსულია და იმიტომ.

— ისე, არც თქვენ ხართ გულახდილი, — შენიშნა ქალიშვილმა.

— რას გულისხმობთ?

— არ ამბობთ, იმ თარიღების უკან რა დგას.

— ასე გაინტერესებთ?

— ცნობისმოყვარეობა ჩემი ჰობია.

ნიკს გაეცინა:

— ამგვარი ჰობი პირველად მესმის.

— ჰოდა, ამიერიდან სიახლედ აღარ მოგეჩვენებათ.

— კარგი, რაკი ასე გინდათ, გეტყვით.

— გისმენთ ყურადღებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თარგმნა გურამ ხხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# წერილი

— ვერ ვიტან ამ თოვლს და თოვლში ბოდიალს, თოვლი მიყვარს, აი, ასე, ფანჯრიდან, ან ცოტას რომ გაისეირნებ და ხმა რომ გესმის სიჩუმეში, ფეხქვეშ თოვლის ხრაშუნის. ამ დოზით, როგორც ახლა დადო ქალაქში, ნამდვილად არა, — ფანჯარასთან დგას თათო „კარმაზე“ ხელებმიფიცხებული, მაინც მობუზული, უკმაყოფილო.

არადა თოვს, ისე ხვავრიელად, ისე ლამაზად, რამდენი ხანია, ასე არ უთოვია. სახლში შემოდის სითეთრე და სიქათქათე, მოაქვს გამჭვირვალე ჰაერის სუნი, სუფთა და კამკამა.

საღამოა და ლამპიონის შუქზე ფანტელები ციცინათელებს ჰგვანან — ისე ციმციმებენ. დღეა და პეპლებს ჰგვანან, პაწია ანგელოზებს და ბაბუაწვერებს და მოკლედ, ყველაფერს, რაც სილამაზეს გახსენებს, სინაზეს...

ჰო, მისალოც ბარათებსაც ჰგვანან — ნამდვილს, ფურცელზე დაწერილს, სულ რომ გინდა, მოგდიოდეს და მოგდიოდეს, კითხულობდე და გიხაროდეს, მაგრამ არ მოგდის. ადრე კი თურმე ყველას თავისი საფოსტო ყუთი ჰქონდა, რომლებიც გაზეთებსა და ჟურნალებთან ერთად მისალოცი ბარათებითა და წერილებითაც ივსებოდა. დედა ეუბნებოდა, ისე გვიყვარდა მათი მიღება, ახლოს მცხოვრები მეგობრებიც კი ვწერდით ერთმანეთსო.

— უნდა გენახა, დილით საფოსტო ყუთის გასაღებზე რა ამბავი იყო ჩვენთან, სახლში, — უყვებოდა თათოს, — ხან ციცი მალავდა ყუთის გასაღებს თავქვეშ, ხან მე, რომ დილით ერთმანეთისთვის დაგვესწრო და გაგვეხსნა. ყუთი კი სავსე იყო გაზეთებით, წერილებით, მისალოცი ბარათებით... ეჰ, ძალიან კარგი იყო.

— და რას სწერდით ერთმანეთს შენ და შენი მეგობრები? — ჰკითხა თათომ, გაეცინა დედის ნათქვამზე.

— უჰ, რა ვიცი, ათას სისულელეს. ხან ვითომ დიდები ვიყავით უკვე, სხვადასხვა ქალაქებში გათხოვილები. ვწერდით ჩვენს არარსებულ ქმრებზე, შვილებზე, იმათ სახელები ერქვათ, არ გამახსენო... ხან ლექსებს ვწერდით, ხან გულს ვიოხებდით. იცი რა, საბოლოო ჯამში, ეს ძალიან გვართობდა და გვავსებდა. საერთოდ, ადამიანებს უყვართ ეპისტოლარული ჟანრი, როცა თავადაც წერენ და როცა სხვის დაწერილს კითხულობენ. სცადე შენც, თუ გინდა, მისწერე ვინმეს წერილი.

თათომ წარმოიდგინა, რა სიცილს დააყრიდნენ მეგობრები, ვინმესთვის წერილი რომ მიეწერა, ნამდვილი, ფურცელზე დაწერილი და კონვერტით გაეგზავნა, თორემ ისე მესიჯებს წამდაუწუმ სწერდნენ ერთმანეთს. მომავლისთვის გადადო ამაზე ფიქრი. ახლა კი, თოვლიან ქალაქს რომ გახედა, რა ლამაზად და მართლა ბარათებივით მოდიოდა თოვლი, თავადაც მოუნდა, საფოსტო ყუთი ჰქონოდა და ვიღაცას მისთვის წერილი მიეწერა...

ყველაფერს ცხადად ხედავდა: როგორ აღებდა ამ ყუთს, რომელსაც მისი ბინის ნომერი — 23 ეწერა და როგორ ცვიოდა იქიდან მისალოცი ბარათები, ჟურნალები და გაზეთები.

— მგონი, ასაკში შევედი, — გაიფიქრა, — წარსულის მონატრება ასაკმა იცის.

არადა რა ასაკი?! არც ასი წლისაა და არც ორმოცდაათის და საერთოდ ჯერ ზომიერად მოწიფულიც კი არაა, როგორც მისი ბავშვობის საყვარელი გმირი კარლსონი.

— და მაინც, წერილების მიღება ძალიან მინდა, აი, ძალიან!

მობილურზე ნაცნობი მელოდია გაისმა.

— აჰა, წერილს ვნატრობდი და მესიჯი მოვიდა, — ჩაილაპარაკა. მიკა სწერდა, გადმომირეკეო.

— ვაიმე, ამ კანიბალმა ხომ შემჭამა ცოცხლად, — ამოიოხრა, მაგრამ მაშინვე გადაურეკა.

— რას შვრები? — ტრადიციული კითხვა დასვა მიკამ.

— თოვლის კაცს ვაკეთებ, — უთხრა სერიოზულად.

— მართლა? სად, ეზოში ხარ? — დაიჯერა მიკამ.

— არა, აივანზე, აქვე მეყოლება, ახლოს, — ისევ სერიოზულად უთხრა.

— კარგია მერე, ისეთი მაინც გააკეთე, რომ ბარემ მოგეწონოს და დაიტოვო. კაცია მაინც, რა იცი, რაში გამოგადგება, — მიუხვდა მიკა ხუმრობას.

— ყველამ თავის გამდნარ-გამქრალ კაცს მიხედოს, — არ დაინდო თათომ.

— ნუ, რას ვიზამ ახლა, გამდნარის და გამქრალის ხელმეორედ გაყინვა-აღდგენას ახლის პოვნა მირჩევნია, — გამოტყდა მიკა, — რამ გაგახსენა ახლა?

ისე ჰკითხა, თითქოს ერთი კი არა, ასი წლის წინ გაშორდა ქმარს. მიკას ქმარი არ დამდნარა, თორემ გაქრობით კი ნამდვილად გაქრა, თავისი ნებით.

— როგორ, გაქრა?! — ჰკითხა პირდაღებულმა თათომ მაშინ, როცა ეს ამბავი გაიგო.

— აი, ასე, გავიდა სახლიდან და უკან აღარ დაბრუნებულა, — ცრემლები მოადგა მიკას.

— იქნებ რამე შეემთხვა? — შეწუხდა თათო.

— არაფერიც არ შეემთხვა, საღამოს დარეკა და მითხრა, სხვა მიყვარს, მასთან გადავედი, მოკლედ, ცოლად მოვიყვანეო.

— არ არსებობს! — წამოიძახა თათომ.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ თურმე ყველაფერი არსებობს, თათ, — ამოიზლუქუნა მიკამ.

ახლა ამაზე ხუმრობენ. სხვა საკითხია, ამ ხუმრობის იქით მიკას გულში რა ხდება, მაგრამ უკვე კარგია ის, რომ მსუბუქად ხუმრობენ. მიკა ლიზიკოსთან ერთად დედასთან დაბრუნდა, ქმარი კი იმის მერე ჰორიზონტზე ბუზისტოლადაც არ გამოჩენილა, ლიზიკოს მამა არც უნახავს. არადა, ისეთი გოგოა, ნამდვილი ფერია, ანგელოზი. როგორ შეიძლება არ ნახო და არ გიყვარდეს, ტიკტიკა, ეშმაკუნა. თათო ძალიან ამაყობს თავისი ნათლულით.

— რამე გინდოდა? — ჰკითხა მიკას, ისევ ფანჯარაში გაიხედა, თოვდა და თოვდა.

— მე არაფერი, შენ არ გინდა, საშოპინგოდ წამომყვე? — თავი შეაცოდა მიკამ.

— ოღონდ ეგ არა, ამ თოვლსა და ყინვაში რა დროს შოპინგია, თან შენთან ერთად! ისიც მეყოფა, რაც ორიოდ დღეში მელოდება, — ბაკურიანი იგულისხმა თათომ.

ნამდვილი დიდსულოვნება გამოიჩინა, მიკას რომ დათანხმდა ბაკურიანში წასვლაზე. შეიძლება ადამიანს თოვლი არ უყვარდეს და ზამთრის კურორტზე მიდიოდეს? მაგრამ მიკას უარი ველარ უთხრა.

— ლიზიკოს გულისთვის, თორემ ამ მსხვერპლს ნამდვილად ვერ გავიღებდი, — უთხრა კიდეც ასე.

— კარგი, ნუ გადამაყოლე, — შეწუხდა მიკა, — აქ ჯდომას არ გირჩევნია?

— შენთან ერთად წამოსვლას ისევ აქ ყოფნა მირჩევნია, — არ დაინდო თათომ, — თოვლი, გმადლობთ, აქაც მოვიდა და ვნახე, სხვა რა მინდა?

— გამაგიჟებ მოკლედ, გამოდი, გამოეტიე სახლიდან, გზაში დაგელაპარაკები, — მიკამაც არ დათმო.

— ამასთან ხომ უარის თქმას აზრი არ აქვს, — ჩაიბუზღუნა თათომ, თბილად ჩაიცვა და გარეთ ზუზუნით გავიდა.

თოვლმა და მისმა თეთრმა სიმშვიდემ ცოტა ხასიათზე მოიყვანა. ისე, რა კარგი იქნება, ახლა, ამ თოვლში გამოჩნდეს ვიღაც, აი, ვინმე, პრინცი თუ არა, პრინცის მსგავსი მაინც, რომელიც რეალობიდან თოვლის დედოფლის ყინულის სასახლეში კი არ წაიყვანს, არამედ სადმე, პატარა სახლში. სახლს ექნება ნაძვებდათოვლილი ეზო, ბუხარი, კომფორტი, სითბო...

— და რაღას ვერჩი მიკას? — წაიდუდუნა თავისთვის და ტრანსპორტში ავიდა, — სწორედ ასეთ ადგილზე მივყავარ, მეპატიჟება ბოლოს და ბოლოს.

გაერთობიან, გახალისდებიან, ლიზიკოს ატარებენ აღმა-დაღმა, მზის აბაზანებს მიიღებენ. თხილამურებზეც შედგება, მარტო იმისთვის, რომ სურათი გადაიღოს და სასწრაფოდ ატვირთოს ფეისბუქზე.

ჰო, არ დაავიწყდეს, წასვლამდე თავის ძმისშვილს სათვალე გამოართვას და ქურთუკიც, აი, ის, წითელი, ფოსფორივით რომ ანათებს, ბარემ ქუდსაც გამოართმევს.

მოკლედ, გაერთობა, სხვა გზა არ აქვს.

ისე კი, ზაფხული წლის ყველა დროს ურჩევნია, ზაფხულის გოგოა, მზის, სიცხის, სულ რომ იწვებოდეს ქვეყანა, ეს ბედნიერია. ისეთი ნამზეურით ბრუნდება უკან, რამდენჯერმე ოჯახის წევრებმაც კი ვერ იცნეს.

— უი, კარგადაც დავიზაგრებიიი! — გამოიკეთა ხასიათი, — თან მთის და ზამთრის მზე როგორ უცებ ეკიდება კანს. სულ სხვა ფერზე ჩამოვალ, გავაგიჟებ სამსახურში ყველას. ყველას თუ არა, ერთ-ორს მაინც, ერთ-ორს თუ არა, „იმას“ მაინც.

აქ თავი დაიჭირა იმაში, რომ „ის“, ვისთვისაც თავი უნდა მოეწონებინა ამ ეტაპზე, არც პრინცი იყო, არც პრინცის მსგავსი, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ჩვეულებრივი სახელი ჰქონდა — კობა და თათოსთან ერთად მუშაობდა.

— ნეტავ საერთოდ მამჩნევს თუ არა? — ბევრჯერ უფიქრია თათოს, თუმცა ხმამაღლა არასდროს უთქვამს.

— როგორ უნდა ვთქვა, მომწონს-მეთქი? ტიპი აზრზეც არაა, — ესეც ბევრჯერ უფიქრია, არადა სულ მის გვერდით უნდა ყოფნა, წავა, წამოვა, მასზე ეფიქრება, აი, თუნდაც როგორც ახლა.



Cyan Magenta Yellow Black

— სულელი ვარ რა, კომპლექსიანი! — ბრაზობდა თავის თავზე, — ჩემს ადგილას სხვა აგრძნობინებდა მაინც, უცხო ხომ არაა?

რამდენჯერ შეკრებილან თანამშრომლები, რამდენჯერ კაფეში წასულან, ბარში, გადაღებებზეც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს.

— ვაა, თათოს გაუმარჯოს! — აუწევს ის ხელს და კარგი ძმაკაცივით ესალმება, — როგორ ხარ?

— კარგად, შენ? — ისე ჰკითხავს თათო, როგორც სხვებს ჰკითხავდა, ღიმილით, გაბადრული სახით.

— ვარ, რა! — ეტყვის ისიც.

ხუმრობენ კიდეც, ანეკდოტებს ყვებიან, ახალ ამბებს, იცინიან, ერთობიან და მორჩა, ამის იქით ყრუ კედელია, დახშული კარი და ცხრაკლიტული. აბა, ეცადე და გააღე.

— ისე, არც მიცდია გაღება და იქნებ სულაც ღიაა და მე მგონია, რომ დაკეტილდაგმანულია? მოკლედ, წავალ მე ბაკურიანში, კარგად დავიზაგრები, კარგად დავიზმანები, ჩამოვალ და ნუ, კისერზე ვერ ჩამოვეკიდები, მაგრამ რაღაცას მაინც ვაგრძნობინებ. დარწმუნებული ვარ, არც თავად იქნება გულგრილი, — გაიმხნევა თავი, ტრანსპორტიდან ჩამოვიდა, ტროტუარზე დადგა ფეხი, აუსრიალდა და ალე-ჰოოპ! — გაიშოტა.

რა არ იფიქრა იმ ერთ წამში, სანამ ჰაერში იყო და თავის შეკავებას ცდილობდა: „ოჰ, მიკა, მოგკლავ!.. ფეხი არ მომტყდეს... მშვიდობით, საყვარელო ოჯახო“... ეს იმ წუთას და მერეც, როცა სასწრაფოთი წაიყვანეს კლინიკაში, „მშვიდობით, საყვარელო ოჯახო“ არა, მაგრამ „მშვიდობით, ბაკურიანო“ კი გამოუვიდა.

— ახლა წადი, ბატონო, მარტო, ლიზიკოსთან ერთად, — უთხრა მიკას, — სანამ ტვინის შერყევა არ მიმაღებინე, არ მოისვენე და...

— კარგი რა, მაგის თქმა მინდა? ისედაც ლამის მოვკვდი ნერვიულობით, — მიკამ ხელზე დაადო ხელი, — მეც აღარ მივდივარ, რა მინდა უშენოდ ბაკურიანში?

— გაგიჟდი? — გაბრაზდა თათო, — მეორედ არ შემარყევინო ტვინი! ბოლოს და ბოლოს ჩემი ბრალია, ამ თოვლსა და ყინვაში შევსკუპდი ლამის ჩემი სიმაღლის ქუსლებზე და გამოვპრაკუნდი. რას ჰქვია, აღარ მიდიხარ?! ბავშვს რას ეუბნები?! როგორ ელოდება ბაკურიანში წასვლას!

— კი, ელოდება, ბარგიც კი ჩაალაგა თავის ზურგჩანთაში, — გაუღიმა მიკამ.

— ჰოდა, წადი, მე მაინც არ მინდოდა წამოსვლა. ხომ იცი, არ მიყვარს ეს თოვლი და მომკალი, თუ გინდა. გადასარევად დავისვენებ სახლში, ვიძინებ, წასაკითხი წიგნები დამიგროვდა, ჰო, წერილებსაც დავწერ...

— რა წერილებს? — გაოცდა მიკა.

— რა იყო, ტვინი შემერყა, კი არ შევიშალე, — გაეცინა თათოს, — იცი, ამ თოვლს რომ ვუყურებდი, ძალიან მომინდა, აი, ძალიან, ძალიან, ჩვეულებრივი წერილი მიმეღო, ძალიან ჩვეულებრივი, ნამდვილი, ქაღალდზე დაწერილი ან მისალოცი ბარათი და მეც გამეგზავნა ვინმესთვის. მართალია, საფოსტო ყუთები უკვე აღარ არის, მაგრამ მერე რა, მაინც ძალიან მინდა, მივიღო ასეთი წერილი. გინდა, შენ მოგწერ და შენც მომწერე? ვაიმე, მართლა, თუ გინდა, დანაშაული გამოისყიდო, ადექი და წერილი მომწერე, მართლა, მართლა!

— ვაიმე, — სახე შეეცვალა მიკას, — თათ, რა კარგი იქნება! რა სიამოვნებით მოგწერ ასეთ წერილს, ერთს კი არა, ბევრს, ყოველდღე მოგწერ, ყოველდღე! ფოსტით გამოგიგზავნი, ნამდვილი, მარკიანი კონვერტით, ვაიმეე, მართლა რა კარგია, რამდენი რამე მაქვს შენთვის სათქმელიი...

— ნუ, არ ვიცი, ერთმანეთისთვის რაღა გვაქვს სათქმელი, მაგრამ ვცადოთ. მოკლედ, გწერ და მწერ და საახალწლოდ და საშობაოდ მისალოცც ბარათებსაც ვუგზავნით ერთმანეთს, — თათოს უკვე ერთი სული ჰქონდა, წერილის წერა დაეწყო.

არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ფიქრობდა.

„ჩემო მიკა... მიკ... გამარჯობა, მიკა... მიკა, იცი რა? მოგესალმები, მიკა...“

ხან ასე დაიწყო, ხან ისე, ეგონა, განსაკუთრებული წერილი უნდა დაეწერა, განსაკუთრებული შესავლით, სანამ სიტყვები თავისით არ წამოვიდა. ერთიანად, მთლიანად მოვარდა, ისე, რომ კლავიატურას მიჩვეული ხელით ვეღარც ასწრებდა ჩაწერას.

„მიკ, არ იცი, არ იცი, ახლა რა უცნაურ ხასიათზე ვარ, ვწევარ საწოლში და ვფიქრობ და ვფიქრობ. ფიქრისთვის ბევრი დრო მაქვს, ისევე, როგორც ოცნებისთვის. მე კი მაინც მინდა, ეს დრო არ მქონდეს, აი, უბრალოდ არ მქონდეს. არ გაგეცინოს, ახლა რასაც გეტყვი და ლიზიკო არ გააგიჟო შენი ისტერიკული ხითხითით... რა მინდა



ახლა, მარტო რომ ვწევარ ამხელა საწოლში? მოკლედ, ისე არ მინდა, მარტო ვიყო, აი, ისე არ მინდა... არადა, მარტო ვარ და ის, ვინც ახლა აქ წარმომიდგენია, ალბათ სადმე, ძმაკაცებთან ერთად ზის, ფეხბურთს უყურებს და ლუდს სვამს, შეიძლება იგინება კიდეც. შეიძლება კი არა, ნამდვილად იგინება და წარმოდგენაც არ აქვს, რომ ერთი ტვინშერყეული გოგო მის გვერდით ყოფნას ნატრობს...

ახლა გამოგიტყდები, ჩემო ერთგულო მეგობარო და გეტყვი, ვინცაა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ანდერძს არ გიწერ, სიკვდილს არ ვაპირებ, მეტი საქმე არ მაქვს. უბრალოდ, რა ადვილი ყოფილა ამაზე წერილით ლაპარაკი, მესიჯს და ჩათს საერთოდ არც შევადარებ. რაღაცით დღიურის წერას ჰგავს, თუმცა ვაღიარებ, ბავშვობის მერე ეგეც არ გამიკეთებია. არადა რომ მეწერა, რამდენ რამეს გავიხსენებდი ახლა...

სულ ტყუილად გეგონა, რომ შენი საუკეთესო, ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი მეგობარი პრინცს თუ არა, პრინცის მსგავსს მაინც შეარჩევდა და მასზე იფიქრებდა. ღმერთო ჩემო, როგორ გაგიცრუე იმედები. ის, ვისზეც ვფიქრობ, ჩვეულებრივი ტიპია, აი, ასე, უბრალოდ ტიპი...“

პირველი წერილი რომ მოუტანეს და თან ხელიც მოაწერინეს, ჩაიბარეთო, ბავშვივით გაიხარა. დიდხანს ატრიალა გაუხსნელი კონვერტი, მერე რამდენჯერმე გადაიკითხა მიკას პასუხი. კარგი თამაში წამოიწყო — „წერილობანა“, მშვენივრად გაერთო, მერე საახალწლოდ მიიღო წერილი და ნამდვილი მისალოცი ბარათი.

შობა გათენდა და ზარი რომ დარეკეს, თათომ თავად გააღო კარი. იცოდა, საშობაო მისალოცი და წერილი რომ იქნებოდა მიკასგან.

არც შემცდარა, ისევ კონვერტი მოუტანეს.

„ნეტავ, როგორი საშობაო მისალოცია?“ — სიხარულით გახსნა კონვერტი.

„ძვირფასო თათო, გილოცავ შობას, მინდა, ბედნიერი იყო, მინდა, ძალიან კარგად იყო, მინდა, ერთად ვიყოთ, სულ ერთად...“

— რა შეყვარებულივით მწერს? — გაეცინა თათოს და სწორედ ამ დროს წაიკითხა ბარათის ბოლოს დაწერილი სახელი: კობა.

— მოვკლავ მიკას!

ბარათი კიდევ წაიკითხა, კიდევ და კიდევ, მერე მიკას გადაურეკა.

— მივიღე შენი მისალოცი, ქალბატონო, ოღონდ მაინცდამაინც კარგი ხუმრობა ვერ გამოგივიდა.

— რა ხუმრობა? — აშკარად ვერ მიხვდა მიკა.

— სხვისი სახელით რომ გამოგიგზავნია.

— ლიზიკოს გეფიცები, მე ჩემი სახელით გამოვაგზავნე, სხვისი სახელით რატომ გამოვაგზავნიდი? — თათოს მოეჩვენა, რომ მიკა სულაც არ იტყუებოდა, ბოლოს და ბოლოს, ლიზიკოს ტყუილზე როგორ დაიფიცებდა?

— მოიცა, აბა, ეს მისალოცი ღია ბარათი... კობასგან! ეს ხომ აბსურდია, ზღაპარი, დაუჯერებელი. რაღაცას მატყუებ, მიკ. თუ შენ არ მომწერე, მაშინ გამოტყდი, იმის გულისთვის, რომ მე გაგეხარებინე, უცხო ადამიანს სთხოვე, ჩემთვის ნამდვილი მისალოცი გამოეგზავნა.

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია, ბარათი ჩემი სახელით გამოვაგზავნე, ალბათ მიიღებ კიდეც, დანარჩენი... იცი, რა, ასეთი დღეა, რატომ არ გინდა, დაიჯერო ლამაზი სასწაულების? დარწმუნებული ვარ, ძალიან, ძალიან გაგიხარდა, მთავარი ხომ ესაა? თანაც, სიმართლე გითხრა, მე ბევრი კარგი რამ გავიგე იმაზე, თუ რას ფიქრობს ბატონი ჩვეულებრივი ტიპი შენზე, ოღონდ საიდან, როგორ, მისგანვე თუ სხვისგან... ამაზე მოგვიანებით. ელოდე ჩემს მომდევნო წერილს, აუცილებლად, აუცილებლად მოგწერ ყველაფერს. ახლა კი, გაიხარე და შეირგე სიხარული, კარგი?

— მიკ, ნამდვილი მეგობარი ხარ, თუნდაც ტყუოდე, დიდი მადლობა იმისთვის, რომ გინდა, გამახარო. რატომაც არა? — თათოს გაეღიმა, ბარათი კიდევ ერთხელ შეათვალიერა, თოვა გაახსენდა, თითქოს საშობაო ბარათები მოდის ციდანო, რომ ფიქრობდა, — ამ დღეს შეიძლება უცნაურად კარგი ამბებიც მოხდეს, მთავარია, დაიჯერო, სხვა არაფერი.



Cyan Magenta Yellow Black

# ფორტეპიანოს გაკვეთილები



მაია მღიაძე

მე მაიკო ვარ, გიორგი კი ჩემი მეგობარია. ჩემი და გიორგის მეგობრობა სკოლიდან იწყება. პირველ კლასში ერთ მერხზე რომ დაგვსვა მასწავლებელმა, მას მერე, მგონი, ერთი დღეც არ გაგვიწყვეტია კონტაქტი. ერთად ვთამაშობდით, ვმეცადინეობდით, ვისვენებდით, ვჩხუბობდით, ვერთობოდით. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთად ჩავაბარეთ სამედიცინო ინსტიტუტში და დღეს ორივენი ექიმები ვართ: მე — პედიატრი, გიორგი — წარმატებული ქირურგი. ჩემი გათხოვების შემდეგ გიორგი ჩემს ქმარს დაუძმაკაცდა და ახლა ისინი ჩემ გარეშეც მშვენივრად აგრძელებენ ურთიერთობას. გიო ჩვენი შვილის ნათლიაა. ჰოდა, ეს ამბავიც ჩემი მეგობარი გიორგის ისტორიაა.

ის ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული მამაკაცი იყო, მაგრამ ჯერაც უცოლო. როგორც თვითონ ამბობდა, ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო მის ცხოვრებაში ქალი, რომელიც მას ოჯახურ უღელში შეაბამდა და რომლისთვისაც თავისუფლებას შეელეოდა. გიორგის მშობლები განსაკუთრებით განიცდიდნენ მის დაუოჯახებლობას. მათთან ჩემი ყოველი სტუმრობა ერთი და იმავე ტექსტით იწყებოდა და მთავრდებოდა:

— უთხარი ამ ბედოვლათს, რომ დრო სწრაფად გადის და ეგეც ბერდება. ახლა თუ დაქორწინდება, თორემ სიბერეში წყლის მიმწოდებელიც არ ეყოლება.

— სანამ დროა მოიყვანოს ცოლი, თორემ მერე უკვე აღარც არავინ გამოჰყვება.

— მაგის მეგობრებს უკვე იმხელა შვილები ჰყავთ, რომ მალე შვილიშვილები ეყოლებათ. აი, თუნდაც შენ. ჩვენ კიდევ, მაგის გადამკიდე, შვილიშვილების ნატრული გავხდით. ნუთუ ისე მოვკვდები, რომ შვილიშვილი არ მეღირსება?!

— ვინმე უწესოს ხომ არ არის გადაკიდებული და იმიტომაც დადის ასე ცალუღელა ხარივით?

— თქვენ რატომ არაფერს ეუბნებით? ხომ მეგობრები ხართ და დაეხმარეთ, გააცანით, მოუძებნეთ, გაურიგეთ ვინმე! — ერთმანეთს ასწრებდნენ ლაპარაკს ნინო დეიდა და ბებია ნათელა.

ტელევიზორთან სავარძელში მოკალათებული გიორგის მამა, შალვა ბიძია, ჩუმად იყო, მაგრამ მათ ყოველ ნათქვამზე დასტურად თავს აქნევდა.

მეც ყოველ სტუმრობაზე ვპირდებოდი, რომ სერიოზულად მოვეკიდებოდი საკითხს და სათანადოდ მივხედავდი. როგორც კი გიორგის ხელთ მოვიგდებდი, მაშინვე ამ თემაზე ვიწყებდი საუბარს:

— გიო, ახალი თანამშრომელი მყავს, იაკო. იცი, რა კარგი გოგოა! მოდი, შეგახვედრებ და გაგაცნობ.

— გიორგი, გუშინ თამუნასთან ერთად კაფეში ვიყავი და იქ თამოს ერთი ნაცნობი შეხვდა. იცი, რა გოგოა! ლამაზი, ჭკვიანი, ენამოსწრებული. სანთლით რომ ეძებო, ეგეთ გოგოს ვერ იპოვი. მე და თამუნამ ვიფიქრეთ, რომ შენთვის ზედგამოჭრილია. უნდა გაგაცნოთ!..

გიორგის კი ყოველთვის ჰქონდა პასუხი:

— ჩემო მაიკო, ხომ გაგიგია, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო! ჰოდა, ვარ ამ ჩემი ფეხის იმედად. ამიტომ მაგ თხოვნით მე კი არა, ჩემს ფეხებს მიმართე.

მეც ფარ-ხმალს ვყრიდი და გიორგის ფეხებს თხოვნით ვუცქერდი, რომ ცოტა აჩქარებულყვნენ და დროზე მიეყვანათ ეს ჩემი მეგობარი დანიშნულების ადგილას.

გიორგი ტიპური ქართველი მამაკაცია. მართალია, განსაკუთრებული გარეგნობით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც პოპულარობით სარგებლობს ქალთა სქესში. ჰქონდა ამ ტიპს რაღაც განსაკუთრებული. ქალების შემთხვევაში ამ დროს ამბობენ, მას შარმი აქვსო. კაცზეც თუ შეიძლება იმავეს თქმა, მაშინ გამოდის, რომ გიორგი ძალიან შარმიანი, უფრო სწორად, ქარიზმატული მამაკაცი ყოფილა. ბევრჯერ მიფიქრია, თუ რაში მდგომარეობდა მისი მომხიბვლელობა. გოგოებსაც ხშირად გვიკამათია ამ თემაზე. ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდიოდით: ამ კაცს რაღაც უხილავი მაგნიტური ანტენები ჰქონდა და, როცა სჭირდებოდა, მათ დანიშნულებისამებრ იყენებდა. დანიშნულება კი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ქალი მოეხიბლა და თავის მახეში გაება. შედეგსაც მალე იღებდა: სულ მცირე დროში ინტერესის ობიექტი ანტენას დაჭერილი ჰყავდა და ის უკვე მის ორბიტაზე მოძრაობდა. მალე გიორგი ობიექტის მიმართ ინტერესს კარგავდა და ხელახლა იწყებდა ძიების პროცესს.

გიორგი ყველა შეხვედრის, ქეიფის სული და გული იყო მისი საუბრით, რომელიც სავსე იყო იუმორით. ამასთან, არაჩვეულებრივად ცეკვავდა როგორც ქართულ, ისე სამეჯლისო ცეკვებს. შესაბამისად, მის „მსხვერპლთა“ რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი გიორგიზე ნაწყენი არ დარჩენილა.

რა კრიტერიუმებით არჩევდა, აფასებდა და ბოლოს იწუნებდა გიორგი მანდილოსნებს, ჩემთვის დღემდე ორუცნობიანი განტოლებაა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: თითოეულ მათგანში ჩემი მეგობარი ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ხედავდა.

ერთ დღესაც გიორგი გვესტუმრა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მითხრა:

— გადავწყვიტე მუსიკაზე ვიარო.

— რა?! — მეტი ვერაფერი ვთქვი გაოგნებულმა.

— რა და ფორტეპიანოს გაკვეთილებზე უნდა ვიარო. წარმოიდგინე, რა მაგარი იქნება, ერთ მშვენიერ დღეს სუფრიდან რომ ავდგები და ფორტეპიანოზე დავუკრავ, ყველა გაოგნდება. ერთი სული მაქვს, ვნახო, როგორი სახეები ექნებათ ჩვენს მეგობრებს. ხომ მაგარია?! — აღტაცებული მაცნობდა გიორგი თავის გეგმებს.

— კი, მაგრამ რაში გჭირდება ამ სიბერეში ფორტეპიანოს გაკვეთილები?! მხოლოდ სხვების გასაკვირად აპირებ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლას? სხვა საქმე არ გაქვს? სამსახურიდან წამოხვედი?

— რატომ ვარ უსაქმოდ?! რა თქმა უნდა, არც სამსახურიდან წამოვსულვარ და ჩვეულებრივად ვმუშაობ, მაგრამ თავისუფალ დროს მინდა დაკვრა ვისწავლო. ხომ ხარ ჩემი მეგობარი, ამიტომ კეთილი ინებე და დამეხმარე: მომიძებნე ვინმე, ვინც ფორტეპიანოს გაკვეთილებს ჩამიტარებს. ნოტებისა და რამდენიმე მარტივი ნაწარმოების სწავლა მინდა.

— გიო, რამე ხდება და მე გამოვტოვე?

— არაფერიც არ გამოგიტოვებია. პირიქით, პირველი შენ ხარ, ვისაც ჩემი უახლოესი მომავლის საქმიანობის შესახებ ვამცნე.

— მადლობთ ნდობისათვის, მაგრამ მეგონა, რომ შენს უახლოეს მომავალში სხვა კუთხით საქმიანობას ანიჭებდი პრიორიტეტს, მაგალითად, ცოლის მოყვანას.

— მაგიტომაც უნდა ვიარო მუსიკაზე.

— მოიცა, მოიცა, რაღაც ვერ ვხედავ კავშირს შენს ფორტეპიანოს გაკვეთილებსა და ცოლის მოყვანას შორის.

— კავშირი არის, თანაც პირდაპირი. წყალი დამალევინე და ყველაფერს მოგიყვები.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ დაიწყო:

— მოკლედ, ჩემი თანამშრომლის, ლიკას და გათხოვდა და ქორწილში დაგვპატიჟა. სამსახურიდან რამდენიმე ადამიანი წავედით. რესტორანში ჩვენს მაგიდასთან პატარძლის მეგობრებიც ისხდნენ — სამი გოგონა. ლიკამ ისინი გაგვაცნო და გვთხოვა, ყურადღება მიგვექცია. ჩვენც თავი არ დაგვიზოგავს: ვაცეკვეთ, ვამღერეთ, ვამხიარულეთ. ყველანაირად ვცდილობდით, რომ გოგონებს არ მოეწყინათ. ისინი თავდაპირველად მორიდებულად იქცეოდნენ, მერე კი თანდათან გათამამდნენ. უფრო სწორად, ორი მათგანი აქტიურობდა, მესამე კი, ნათია, ვერაფრით ავიყოლიეთ. ყინულის დედოფალივით იჯდა და ხანდახან თუ გაიღიმებდა, ისიც იმიტომ, რომ ალბათ უზრდელად არ ჩაგვეთვალა და თანაც ახსოვდა, რომ ქორწილში იყო და არა — პანაშვიდზე. არც ცეკვავდა, არც მღეროდა. ყველა სადღეგრძელოზე თუ თემაზე თავისი შეხედულება ჰქონდა, რომელსაც დაუფარავად ამბობდა. მაგალითად, სიყვარულის სადღეგრძელო რომ დაილია, ჩემებურად გავშალე ფრთები და ლექსებით გავაფორმე, მაგრამ ღვინის ჭიქა დასალევად პირთან რომ მივიტანე, ნათიას დამცინავ მზერას წავაწყდი. თავის სადღეგრძელოში კი ისე გააცამტვერა ეს გრძნობა, რომ სულ ნაცარტუტად აქცია. ამბობდა, რომ კაცებმა სიყვარული არ იციან, მათი გრძნობა მხოლოდ ლოგინამდე მიდისო. ქალებს კი იმიტომ სჭირდებათ სიყვარული, რომ მას ამოეფარონ და თავიანთი ძირითადი მიზანი განახორციელონ: გათხოვდნენ და შვილები გააჩინონ. ნამდვილი სიყვარული მხოლოდ წიგნებსა და ფილმებშიღა შემორჩაო და ასე შემდეგ.

კამათი ვცადე, მაგრამ შემაჩერა, თქვენ რა გაქვთ სალაპარაკო,



Cyan Magenta Yellow Black

ლამის უკვე ბერბიჭა ხართ და კიდევ არ ჩქარობთ დაოჯახებასო, ალბათ იმიტომ, რომ თქვენც არავინ გყვარებიათ და საერთოდაც სიყვარულის არ გჯერათო...

ეს მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდი მოგიყევი, ასეთი კი უამრავი იყო. საოცრად არ მომწონდა, უფრო მეტიც, მაღიზიანებდა ნათიას შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ ამ გოგომ ჩემში რაღაც ინტერესი გამოიწვია. ნათიას მხრიდან კი მხოლოდ ირონიულ მზერას და აგდებულ დამოკიდებულებას ვგრძნობდი.

როგორც შენ უწოდებ, ჩემმა მიზიდულობის ანტენებმა იმ დღეს არ იმუშავა. ნათიასგან ერთი ბეწო დაინტერესებაც კი ვერ ვიგრძენი, სამაგიეროდ ის ორი მოვხიბლე, მაგრამ ისინი მე არ მაინტერესებდნენ. პირველად ჩემს ცხოვრებაში მიმუხთლა ჩემმა იარაღმა.

ბრძოლის ველის დამარცხებულად დატოვება არ მინდოდა, ამიტომ ბოლო შანსის გამოყენება ვცადე. ქორწილი რომ დამთავრდა, ნათიას სახლამდე გაცილება შევთავაზე. უარი არ უთქვამს, რაც ძალიან გამიკვირდა. გზაში თითქმის არ გვისაუბრია, რადგან ჩემს შეკითხვებს არ პასუხობდა, ან მხოლოდ კი ან არა-თი შემოიფარგლებოდა. ტაქსი ნათიას სახლთან რომ გაჩერდა, უკვე საშინლად გაბრაზებულმა, კარი გავუღე და დამშვიდობებამდე, მეც არ ვიცი, რატომ, ვუთხარი: „იქნებ ოდესმე შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს“.

ჩემდა გასაკვირად, მიპასუხა: „რა პრობლემაა? დამირეკე და შევხვდეთ“.

ყველაფერს ველოდი, ამ პასუხის გარდა. გაშტერებული ვიდექი. გონს რომ მოვედი, ნათია უკვე სადარბაზოში შესულიყო და კიბეებზე არბოდა.

მეორე დღეს სამსახურში მისვლისთანავე ლიკას კაბინეტში შევედი და ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ვუთხარი:

— ნათიას ტელეფონის ნომერი მინდა.

— თვითონ რატომ არ გამოართვი?

— ვერ მოვასწარი. არ მინდა ახლა შეგონებები. ნათია არ არის პატარა ბავშვი და თანაც უკვე დამთანხმდა შეხვედრაზე. შენ მხოლოდ ნომერი მომეცი.

— გიორგი, არც შენ ხარ ბავშვი და, იმედია, იცი, რასაც აკეთებ. უბრალოდ მინდა გაგაფრთხილო, რომ თავი რამე შარში არ გაყო. არ არის ეგ გოგო მარტივი ადამიანი, — გამაფრთხილა ლიკამ.

— შევამჩნიე და მაგიტომაც მინდა მისი ახლოს გაცნობა. ხომ იცი, რომ სულით მოგზაური ვარ და როგორ მიყვარს „ახალი ტერიტორიების“ აღმოჩენა, — ვცადე ხუმრობა.

— კარგი, შენ უკეთ იცი. პატარები არც ერთი არ ხართ.

იმავე საღამოს დავურეკე ნათიას. მოკითხვის შემდეგ კაფეში ყავის დალევა შევთავაზე. უარი არ უთქვამს.

ნათიას სახლთან მივაკითხე და აღმოვაჩინე, რომ რაღაც მოუსვენრად ვიყავი, მეგონა, რაღაცას მიწყობდა. კაფეში მსუბუქი ვახშამი და ჩაი შევუკვეთეთ. გამახსენდა, რომ ნათიას შესახებ სრულიად არაფერი ვიცოდი, გვარიც კი. ფეხზე წამოვდექი, ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

— გიორგი ნადირაძე, ექიმი ქირურგი. მყავს მშობლები და ბებია. უცოლო, უფრო სწორად, როგორც თავად მიწოდეთ, ბერბიჭა.

ნათიამ ხელი ჩამომართვა და თან დააყოლა:

— ნათია ხუციშვილი, მუსიკოსი. ასევე მყავს მშობლები და ბებია-ბაბუები. გასათხოვარი, მაგრამ არა — შინაბერა.

უნდა გითხრა, რომ სასიამოვნოდ გაკვირვებულიო დავრჩი, როცა ნათია ჩემს წამოწყებულ თამაშში ამყვა, მაგრამ მალევე აღმოვაჩინე, რომ სადაც დაიწყო, იქვე დამთავრდა ეს თამაში. საუბრის აწყობას ვცდილობდი, მაგრამ ცუდად გამომდიოდა. შეიძლება ითქვას, ჩვენი საუბრის სპიკერი ნათია აღმოჩნდა. მან ინიციატივა ჩაიგდო ხელში და მისი შეკითხვები ძირითადად მუსიკას შეეხებოდა, რომელშიც მე არც თუ ისე ძლიერი ვიყავი. აინტერესებდა, როგორი მუსიკა მომწონდა, რას ვუსმენდი, ვინ იყო ჩემი საყვარელი კომპოზიტორი, შემსრულებელი. ბოლოს კი გამოაცხადა:

— ჩემთვის მუსიკა ყველაფერია და ძალიან მიჭირს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ მუსიკის შესახებ, არ უყვართ მუსიკა და არ შეუძლიათ რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მაინც. ასე რომ, თუ შენ ჩემთან ურთიერთობის გაგრძელება გსურს, სულ მცირე, ფორტეპიანოზე დაკვრა მაინც უნდა შეგეძლოს.

მისი ბოლო სიტყვები ულტიმატუმივით გაისმა. მივხვდი, რომ ლიკას სიტყვები მიცხადდებოდა: მაგარ შარში ვყოფდი თავს! ნათიასთვის ერთი კარგად შეკურთხება მინდოდა, მაგარმ თავს ვიკავებდი. ეს გოგო რაღაც ანდამატივით მიზიდავდა.

— მერე ვინ გითხრა, რომ არ ვიცი დაკვრა? სწორედაც რომ ფორტეპიანოზე ვუკრავ. დედაჩემმა, მართალია, ძალით, მაგრამ მაინც მატარა მუსიკალურ სკოლაში. ასე რომ, მუსიკა ჩემთვისაც ახლობელია, — წარბშეუხრელად და უსინდისოდ მოვიტყუე.

— იმედია, სიმართლეს მეუბნები. მაგის შემოწმება ადვილია.

— რა პრობლემაა? როგორც კი შემთხვევა მომეცემა, გაგაცვიფრებ ჩემი მუსიკალურობით. ახლა, მართალია, მთლად შოპენი და ლისტი არ ვარ, მაგრამ მაინც, — გამახსენდა ბავშვობაში წაკითხული წიგნი „შოპენის გული“ და ფილმი ფერენც ლისტის შესახებ.

ნათია სახლში გავაცილე და მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე, რომ ფორტეპიანოზე დაკვრა ვისწავლო. ჩემო საყვარელო მაიკო, სულ ესაა მიზეზი პიანინოს გაკვეთილებზე სიარულისა. მასწავლებელი მჭირდება, რომ უმოკლეს დროში ერთი სიმღერა და ერთიც რაიმე პატარა და იოლი ნაწარმოები მასწავლოს. ამ ეტაპზე ეგეც მაკმაყოფილებს. იმედია, მთლად უნიჭო არ აღმოვჩნდები. მოკლედ, რას არ გაგაკეთებინებენ ქალები!

— ქალები თუ სიყვარული? გიო, შენ შემთხვევით შეყვარებული ხომ არ ხარ?



— არა, რა სიყვარული. რაღაც სპორტული ინტერესი მაქვს ამ გოგოს მიმართ... მთლად მარტო ინტერესი არ არის. ხომ გითხარი, რაღაცნაირად მიზიდავს ეს გოგო, მაგრამ ჯერჯერობით ეს სიყვარული არ არის. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, — გაიღიმა გიორგიმ.

— გიო, რამდენი წელია გიცნობ და ასეთი არ მახსოვხარ. მგონი, მართლაც რაღაც კარგი ხდება და იმედია, კარგადაც დამთავრდება. ამიტომ, ვფიქრობ, ღირს ამ ნაბიჯის გადადგმა. ხვალვე მოგიძებნი მასწავლებელს. ჩემი ანუკას პედაგოგს ვკითხავ, ვინმეს ხომ არ იცნობს, ვინც შენს მეცადინეობას დასთანხმდება შენივე პირობებით, — მეც საპასუხოდ გავუღიმე გიორგის.

მეორე დღეს, დილასვე, დავურეკე ჩემი ქალიშვილის მუსიკის მასწავლებელს, ქალბატონ დინარას. მითხრა, რომ თავად არ ჰქონდა დრო, მაგრამ ვინმეს აუცილებლად მომიძებნიდა უმოკლეს ვადაში. საღამოს უკვე მქონდა ვინმე მეგი მასწავლებლის ტელეფონის ნომერი და მისამართი. სასწრაფოდ გიორგის დავურეკე და კოორდინატები ჩავაწერინე.

მას შემდეგ დაახლოებით ორი კვირა გიორგი აღარ →70



Cyan Magenta Yellow Black

გამოჩენილა. მხოლოდ ტელეფონზე ვურეკავით ერთმანეთს. ერთადერთი ის ვიცოდი, რომ გიორგი მუსიკის პედაგოგ მეგისთან მივიდა, მაგრამ რა წარმატებებს მიაღწია, წარმოდგენა არ მქონდა. ჩემი ქმარი რეზოც ისე გაკვირვებული იყო გიორგის საქციელით, რომ ერთ საღამოს მკითხა კიდეც:

— რა სჭირს გიორგის? ორი კვირაა არ მინახავს. ხანდახან თუ შემეხმიანება ტელეფონით. ამას წინათ ბიჭები ვიყავით რესტორანში, დავურეკე, მოდი-მეთქი და უარი მითხრა, არ მცალიაო. დღესაც ვთხოვე, სახლში გამოიარე ჩვენთან, ფეხბურთს ვუყუროთ და ლუდი დავლიოთ-მეთქი და ისევ უარი მითხრა. როგორც ვიცი, არც სამსახურში ჰქონდა დატვირთული რეჟიმი, რამე ხომ არ ეწყინა?

— არა მგონია. ისე, მეც რამდენჯერმე დავურეკე და მეც ასევე მპასუხობს. ეტყობა, მართლა ბევრი საქმე აქვს, — რატომღაც აღარ გამახსენდა გიორგის მუსიკის გაკვეთილები.

დაახლოებით კიდევ ათი დღის შემდეგ, საღამოს, როცა მთელი ოჯახი სახლში ვიყავით, გიო გევსტუმრა. მის გამოჩენას საოცარი აჟიოტაჟი მოჰყვა როგორც უფროსების, ისე ბავშვების მხრიდან. როცა ემოციები ცოტა ჩაცხრა, გიორგიმ ახალი ამბავი გვამცნო:

— ხვალ საღამოს ჩემთან მოდით სტუმრად შენ და რეზო. ოჯახური ვახშამი გვაქვს და თან ახალი ამბავიც უნდა გითხრათ.

მეორე დღეს მივედით. მთელი ოჯახი ძალიან გახარებული ჩანდა. ნინო დეიდამ სამზარეულოში გამიხმო და ჩუმად მითხრა:

— მგონი, დაადგა საშველი ამ ბედოვლათს. ორი დღის წინ გამოგვიცხადა, სტუმრები მეყოლება და იქნებ პატარა სუფრა გავშალოთო. ვინ ეტყოდა უარს, მით უმეტეს, რომ დღესასწაულის მიზეზიც ჰქონია: ფორტეპიანოზე ორი ნაწარმოების დაკვრა უსწავლია და თავისი მიღწევებით უნდა იტრაბახოს. ეტყობა, დღეს ის გოგო, ნათიაც დაპატიჟა და ალბათ უნდა, რომ გაგვაცნოს. აბა, ჩვენ რაში გვაინტერესებს მაგის დაკრული? თვეზე მეტია, დღე და ღამე ტვინი გვაქვს ადუღებული. თანაც მარტო ჩვენ კი არა, მეზობლებიც გაგიჟდნენ უკვე.

თანდათან სტუმრებიც მოვიდნენ — ჩვენი საერთო მეგობრები და, რაც მთავარია, საღამოს მთავარი გმირი, ნათია. და კიდევ ერთი ადამიანი — გიორგის მუსიკის მასწავლებელი მეგი.

თითოეული ჩვენგანის მთელი ყურადღება ნათიასკენ იყო მიპყრობილი, თუმცა ვცდილობდით, რომ არაფერი შეგვმჩნეოდა. მე და ბიჭები ნათიას გასაგონად ძირითადად გიორგის შესახებ ვსაუბრობდით: ვიხსენებდით მის ოინებსა და თავგადასავლებს, ვყვებოდით როგორი არაჩვეულებრივი მეგობარი და ექიმია. ის კი ჩუმად გვისმენდა, ხანდახან თუ გაიღიმებდა. სიმართლე გითხრათ, არც მე და, მგონი, არც ბიჭებს დიდად არ მოგვეწონა ნათია. გარეგნობით დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ საოცრად ცივი და უხასიათო გოგო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდით. ბოლოს და ბოლოს ჩვენი მეგობრის არჩევანი სწორედ

ეს იყო და ჩვენც პატივი უნდა გვეცა მისი გადაწყვეტილებისთვის.

რაც შეეხება გიორგის მუსიკის მასწავლებელს, მეგის, ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ ახალგაზრდა ქალი, თითქმის გოგონა აღმოჩნდა. გიორგიმ, ეტყობა, თავისი მაესტრო იმიტომ დაპატიჟა, რომ მეტი სითამამე ჰქონოდა.

ნინო დეიდამ მაგიდასთან მიგვიწვია. შალვა ბიძიამ თამადობა იკისრა. უგემრიელესი სუფრითა და საუბრით ისე გავერთეთ, რომ კინაღამ დაგვავიწყდა, რატომ ვიყავით შეკრებილი. სიყვარულის სადღეგრძელოს შემდეგ გიორგი წამოდგა, ფორტეპიანოსთან დაჯდა და დაკვრა დაიწყო. ბახის მარტივ პრელუდიას უკრავდა. ყველა უეცრად გაჩუმდა. ოთახში მხოლოდ მუსიკის ჰანგები ისმოდა. მე ნათიას შევხედე, რომელიც გაოგნებული უყურებდა გიორგის, თუმცა გამომეტყველება მალევე შეეცვალა, თითქოს გონს მოეგოო და მისი გამოხედვა უკვე ცინიკური მომეჩვენა. მერე სუფრის სხვა წევრებსაც მომავავლე თვალი. გიორგის მშობლები მშვიდად უსმენდნენ მუსიკას. არც იყო გასაკვირი: მათ იმდენჯერ ჰქონდათ უკვე მოსმენილი, რომ, მგონი, თავადაც მშვენივრად შეძლებდნენ დაკვრას. ბიჭები და მეგი კი აღტაცებულები შესცქეროდნენ.

პრელუდიის დამთავრების შემდეგ გიომ რამდენიმეწამიანი პაუზა გააკეთა, თუმცა ჩვენკენ არ მოუხედავს. უცბათ ხელახლა დაკვრა და სიმღერა დაიწყო:

— დღესვე უნდა გნახო იცოდე,
უნდა განმიახლო სიცოცხლე,
ახლა მენატრება შენი ხმა,
ახლა უნდა მითხრა — ჩემი ხარ!..

მთელი მონდომებით უკრავდა და მღეროდა გიორგი. ნინო დეიდა ჩემკენ გადმოიხარა და გულაჩუყებულმა ჩამჩურჩულა:

— მოუკვდა დედა! როგორი შეყვარებული ყოფილა და მე კიდევ ვერ ვხვდებოდი. რა უქნა ამ გოგომ ამისთანა, ნეტავ? იმედია, იმსახურებს ნათია ამდენ წვალებას და, რაც მთავარია, თავად გიოს.

გიორგიმ დაამთავრა და ჩვენკენ მოტრიალდა. ჩვენც ოვაციებით შევხვდით ახალგამომცხვარ შემსრულებელს და ტაში დავცხეთ.

— ამას გვიმალავდი, ბიჭო? — ჰკითხა რეზომ.

— გიმალავდით კი არა, დღეს შედგა ჩემი პრემიერა და ჩემი პირველი მსმენელებიც თქვენ ხართ, — პასუხი არ დააყოვნა გიორგიმ.

ნათიას არც ტაში დაუკრავს და არც ოვაციები გამოუხატავს. ისევ მდუმარედ იჯდა. გიორგის შევხედე და აღმოვაჩინე, რომ სულაც არ უყურებდა ნათიას. მის მზერას თვალი გავაყოლე. ბედნიერებისგან თვალებგაბრწყინებული გიო თავის მუსიკის მასწავლებელს შესცქეროდა თვალებში. თითქოს ამ მზერით უნდოდა მეგისთვის მადლობის გადახდა.

გიორგი სუფრასთან დაბრუნდა, ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და მოსმენა გვთხოვა:

— ახლა აქ თითქმის ყველა ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანი ხართ შეკრებილი. ეს შეხვედრა მე დავგეგმე, რადგან მინდოდა თქვენთვის ახალი ამბავი მეთქვა. დღეს ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი დღეა...

— კარგი ახლა, ნუ გადაგვაყოლებ ამ შენს დაკვრა-სიმღერას. შენც ახლა ჩაიკოვსკის კონკურსზე არ გამოდიოდე. არა, ისე კარგად კი გამოგივიდა, მაგრამ მაინც არა მგონია, სწორედ ეს დღე იყოს შენთვის უმნიშვნელოვანესი, — გააწყვეტინა გეგამ.

— მოიცა, გეგა, დამამთავრებინე, ახლავე აგიხსნით ყველაფერს. დღეს მინდა ჩემი საცოლე გაგაცნოთ.

საოცარი აჟიოტაჟი ატყდა:

— გენაცვალოს დედა! ასეც ვიცოდი! გული მიგრძნობდა. შალვა, გაიგე, რა თქვა გიორგიმ? ცოლი მომყავსო, ცოლი! არ მჯერა, არა, ნუთუ გველირსა?!

— ეეე, ბიჭო! აქამდე რატომ არ თქვი?! არა, ისე საეჭვოდ კი დაიკარგე ამ ბოლო დროს, რომ მივხვდი, რაღაც ხდებოდა.

— იდგამ ხომ უღელს! ებმები ხომ ოჯახურ ფერხულში?

მე ჩუმად გავხედე ნათიას, რომლსაც საერთოდ არ ემჩნეოდა ან არ იმჩნევდა არც სიხარულს და არც დაბნეულობას. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სწორედ ამ მომენტს ელოდა. გულმა რეჩხი მიყო და გავიფიქრე, ნეტავ, რა სიურპრიზს უწყობს გიორგისმეთქი.

გიომ ისევ სცადა სტუმრების გაჩუმება.

— ალბათ ყველას გაინტერესებთ, ვინ არის ჩემი რჩეული. მინდა იცნობდეთ, გიყვარდეთ და პატივს სცემდეთ ჩემს მომავალ მეუღლეს — მეგი კალანდაძეს! — მეგისთან მივიდა და აკოცა.

ყველა უცბათ გაჩუმდა. მე ჯერ აწითლებულ მეგის გავხედე, რომელიც ბედნიერებისგან ბრწინავდა და გიორგის საოცარი სითბოთი და სიყვარულით უმზერდა, მერე ნათიას შევხედე, რომელსაც სახეზე მიტკლისფერი ედო. ვფიქრობ, ის დარწმუნებული იყო, რომ გიორგი სწორედ მას გულისხმობდა, როცა ცოლზე საუბრობდა და საოცრად გაწბილებული დარჩა. ალბათ ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ თავად გახდებოდა საკუთარი „მსხვერპლის“ „მსხვერპლი“. სავარაუდოდ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვეღარასოდეს მოვისმენდით მის ტექსტს, რომელიც გიორგის გასაბითურებლად ჰქონდა მზად.

უეცრად გადახარხარება მომინდა, რადგან მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვიდგინე, თუ რა მოხდა ამ მოკლე დროში ჩვენ თვალწინ, მაგრამ მალევე მოვეგე გონს და ინიციატივა ხელში ავიღე:

— გილოცავ, ჩემო გიო! ყოველთვის ვიცოდი, რომ ღირსეულ ადამიანზე შეაჩერებდი არჩევანს. მეგი კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში და იმ ოჯახშიც, რომელსაც გიორგის სამეგობრო ჰქვია!

ჩემს მილოცვებს სხვებიც აჰყვნენ. გიორგიმ სამადლობელი სიტყვის უფლება აიღო:

— ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა მინდა ნათიას გადავუხადო. რომ არა ეს ადამიანი, მე არასდროს მომინდებოდა მუსიკის გაკვეთილებზე სიარული და ვერც ჩემს მშვენიერ მეგის გავიცნობდი. ნათი, შენ უდიდესი წვლილი მიგიძღვის ჩვენს გაბედნიერებაში. და კიდევ ერთი, რაც მთავარია, მივხვდი, რომ ბედნიერებას თურმე დანახვა უნდა და არა — ძებნა. ჩემო კარგო ნათია, შენც მინდა გისურვო, რომ ფართოდ გაახილო თვალები და შენი წილი ბედნიერება დაინახო. დაინახო და დროზე წაავლო ხელი, თორემ თუ გაგიფრინდა, მერე ვეღარ დაეწევი.

მე გიორგის ფეხებს დავხედე. ეტყობა, მართლაც, ამ ფეხებმა მიიყვანა გიო თავის ბედთან.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 19 იანვრის 17 საათი.

## 2017

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის. შეხვედრებისთვის გავიცნობ ნებისმიერი ასაკის ქალს, თბილისელს. 555358413

2. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სერიოზულ ქალს. ვარ ახალგაზრდა, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. 557765060

3. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ენერგიულ ქალს. ვარ 30 წლის. 599552071. გიორგი

4. ვარ 28 წლის. გავიცნობ ბათუმელ ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 598644140. ირაკლი

5. ვარ 23 წლის, შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 557940669

6. ვარ 30 წლის მამაკაცი. გავიცნობ 20-30 წლამდე უკომპლექსო გოგოს, თბილისელს ან თბილისთან ახლოს მცხოვრებს. 557533896

7. შეხვედრებისთვის გავიცნობ სრულ ქალს, სუსტებმა არ გამომეხმაუროთ. 555402328

8. გავიცნობ თბილისელ, სანდო და ერთგულ გოგოს. ვარ 18 წლის ბიჭი. 598757643

9. გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 33 წლის ზუგდიდელი, სანდო მამაკაცი. 593461898

10. გავიცნობ 30-დან 50 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ბინით და ცოტა ფულით უზრუნველყოფილს. თუ სურვილი ექნება, ხანგრძლივად დავრჩები მასთან. ვარ 30 წლის ენერგიული მამაკაცი. 595210884. ბაჩო

11. ვარ 31 წლის სიმპათიური მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს ბინა, მანქანა და ველოსიპედი. გავიცნობ 20-დან 28 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 599020285. ლუკა

12. გავიცნობ თბილისელ, ერთგულ, სანდო გოგოს. ვარ 18 წლის ბიჭი. 598182728

13. გავიცნობ 60 წლამდე სიმპათიურ, ფინანსურად ძლიერ ქალს. ვარ 45 წლის სიმპათიური მამაკაცი. 568191839. ლუკა

14. გავიცნობ 21-38 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 26 წლის, დასაქმებული, მყავს მანქანა. 555416480

15. გავიცნობ 24-28 წლამდე პატიოსან, ქალიშვილ გოგოს შეხვედრებისთვის. 599552071. გიორგი

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ ლამაზ გოგოს. 557541580

17. გავიცნობ ფინანსურად და ბინით უზრუნველყოფილ ქალს შეხვედრებისთვის. 595387337

18. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 26 წლის. 599427110. ზურა

19. ვარ 26 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი. გავიცნობ შეხვედრის ადგილის მქონე ქალს, მიუხედავად ასაკისა, რომელსაც ყველანაირად დავეხმარები. 599395177

20. ვარ მოსიყვარულე, მხიარული მამაკაცი. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 599255520

21. ვარ 34 წლის სერიოზული, სიმპათიური ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. 55245222. ნიკა

22. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. ვარ 41 წლის თბილისელი მამაკაცი, ვეძებ თანამგზავრს ხანმოკლე მოგზაურობებისთვის. 551420071

23. გავიცნობ 38 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, თბილისელს ან თბილისში მცხოვრებს. 555326286

24. გავიცნობ 28 წლამდე პატიოსან, ქერა გოგოს შეხვედრებისთვის. 599353302

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლამდე ქალს. ვარ 38 წლის. 599703115. გიო

2. ვარ 59 წლის, მაქვს სამსახური, ვიცი ქალის ფასი. გავიცნობ მორწმუნე, სულით წმინდა ქალს ოჯახის შესაქმნელად. 557334035

3. ვარ 27 წლის, მაქვს ჩემი ბიზნესი და მანქანები, ვცხოვრობ თბილისში მარტო. გავიცნობ 19-28 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, თუნდაც განათხოვარს. 557514366

4. ვარ 30 წლის, სპორტული აღნაგობის ბიჭი. ოჯახის შესაქმნელად ან შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე სიმპათიურ ქალს. 555348449

5. გავიცნობ თბილისელ ან ქუთაისელ შეძლებულ ქალს 25-დან 35 წლამდე, ვისაც ნამდვილად ოჯახის შექმნა უნდა, თუნდაც განათხოვარს. 598272303

6. ოჯახის შექმნის მიზანით გავიცნობ დასაქმებულ, სამსახურით უზრუნველყოფილ გოგოს. ვარ 37 წლის თბილისელი მამაკაცი. 593621600

7. ვარ ზესტაფონის რაიონიდან, 41 წლის, განქორწინებული მამაკაცი, მყავს შვილი და შვილიშვილი, არ ვარ მდიდარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე განქორწინებულ ან ქვრივ მიმზიდველ ქალს. 596127584

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, ლამაზ და პატიოსან გოგოს 28 წლამდე. ვარ თბილისელი მამაკაცი. 599737623

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე გოგოს, ვარ 43 წლის. 598604078

10. გავიცნობ 30-45 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 599492880. მურთაზი

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 43 წლამდე სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 38 წლის, დასაქმებული, სიმპათიური ქალი. 599341132

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-დან 47 წლამდე სულით წმინდა მამაკაცს, ეკლესიურს ან ეკლესიის მსახურს. 558343789

3. ვარ 37 წლის, ქვრივი ქალი, მაგნიტურთვალება, მოწესრიგებული და ყურადღებიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ყურადღებიან და პატიოსან მამაკაცს. 5556694812. ნატა

4. ვარ 46 წლის სერიოზული ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ისეთ მამაკაცს, ვისაც მართლა სურს მშვიდი ოჯახი და ერთგული მეუღლე. 5511422247

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 55 წლის თბილისელი ქალი. 599340251

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. შეხვედრებისთვის გავიცნობ ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად მხარში ამომიდგება. 598936902. ანი

### მიყვარხარ, მენატრები

ალეკო, ჩემო ერთადერთო, ყველაზე დიდო სიხარულო, უზომოდ მენატრები. შენ ჩემი უთქმელი დარდი ხარ, ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. უფალი გფარავდეს. მიყვარხარ გულში. ნინო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 19 იანვრის 17 საათამდე. ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ sms-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება! ერთი აბონენტისაგან მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black



# ყველამ ვიცით, ცხოვრება ადვილი რომ არ არის, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია და ამასაც თუ გავაცნობიერებთ, უკვე წარმატება იქნება

## ცხოვრება წმინდისა ღირსისა მამისა ჩვენისა ალიპიოს მესვეტისა

ახლა მოგიყვებით ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე, როგორიც არის წმინდა ალიპიოს მესვეტე, რომელიც დაიბადა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში პაფლაგონიის ადრიანუპოლში. სამწუხაროდ, უცნობია წმინდა მამის ოჯახური მდგომარეობა, მშობლების ვინაობა, ბავშვობის წლები და ა.შ. საბედნიეროდ კი, ბევრი ცნობა მოგვეპოვება ღვთისნიერი ადამიანების მიერ წმინდა მამის მოღვაწეობის და იესო ქრისტე ღმერთისთვის თავდადების შესახებ.

მემატიანე წმინდა მამის ცხოვრებას ადარებს მოწამეების ცხოვრებასთან. მათ საკუთარი ხორცით, სხეულით, თავით აგეს პასუხი მდევნელთა, მტარვალთა წინაშე, წმინდა ალიპიოსი კი საკუთარი ნებით აგებდა პასუხს. შიოდა, სწყუროდა, სციოდა, სტკიოდა და ისმის კითხვა, განა ისიც მოწამე არ იყო? შეიძლება სინდისით, მაგრამ სინდისიც ხომ სხეულის განუყოფელი ნაწილია.

როგორც ირკვევა, წმინდა მამა ბავშვობიდანვე იყო გამორჩეული. მამა ძალიან ადრე გარდაცვლილა, დედას კი მისი თავი ადგილობრივ ეპისკოპოს თეოდორესთვის მიუბარებია აღსაზრდელად. წმინდანს ბავშვობიდანვე ჰქონდა მიდრეკილება მოღვაწეობის მიმართ. პირველი ნაბიჯი, რაც მოღვაწეობისკენ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გადადგა, იყო ის, რომ უარი თქვა ყველანაირ მოხარშულ, ცხელ საკვებზე, ასევე არასდროს დანაყრებულა პურით. სიყმაწვილიდანვე ებრძოდა სხვადასხვა ვნებებს ასაკის მატებასთან ერთად უბრალოებით და თავმდაბლობით.

სწორედ ამიტომ ეპისკოპოსმა განიზრახა მისი სამღვდელო ხარისხში აყვანა, მაგრამ ამისთვის ძალიან ახალგაზრდა იყო და ცოტა ხანს მოცდა მოუხდა, ვიდრე წმინდანი გარკვეულ ასაკს მიაღწევდა. მართლაც ადრეულ ასაკში ხელი დაასხეს დიაკვნად და უწოდეს სახელი ალიპიოსი. წმინდანი კი ბავშვობიდან მიისწრაფოდა განმარტოებული ცხოვრებისკენ. თავისი გულის ზრახვა გაანდო ეპისკოპოსს, რომელმაც ურჩია, აზრი ეკითხა საკუთარი დედისთვის, რომლის სიტყვაც იქნებოდა გადამწყვეტი.

როცა დედას სურვილი გაუმხილა, მან უპასუხა: „წარემართე, შვილო ჩემო, საითკენაც უფალი მოგიწოდებს. უფლის ანგელოზი იყოს შენი მეგზური ყოველ ღვთისნიერ საქმეში, რადგან გულით შეიყვარე მეუფე და მხსნელი შენი და აღიარე უპირატეს, ვიდრე მშობელთა შენთა, მეგობართა და სამშობლოზე უფრო მეტად“. უთხრა ეს სიტყვები ერთადერთ შვილს და ცრემლით განაგრძო თავისი პირმშოს დალოცვა.

ასე დაემშვიდობა დედას წმინდა ალიპიოსი და დაადგა გზას აღმოსავლეთისკენ განმარტოებისთვის ადგილის მოსაძებნად. ყველა დაღონდა, ვისაც კი წმინდანთან შეხება ჰქონდა, ხოლო მათ შორის ყველაზე მეტად წმინდანის განშორება ეპისკოპოსმა თეოდორემ განიცადა. ევხაიტაში, წმინდა დიდმოწამე თეოდორეს ღამისთევის დღესასწაულში ნახა მან წმინდანი და ცრემლით შესთხოვა, დაბრუნებულიყო უკან და მის გვერდით ემოღვაწევა.

წმინდა მამა მწუხარებამ შეიპყრო, რადგან გული დასწყვიტა ეპისკოპოსის შეთავაზებამ. გაახსენდა აცრემლებული დედა, ბავშვობის მეგობრები, მაგრამ იმავე ღამეს შემოესმა საღვთო ხმა, რომელმაც მოუწოდა: „ნუ შემწუხრდები, ალიპიოს, რათა უკან დაბრუნდე, რადგან სადაც შეძლებ, რომ იცხოვრო სათნოდ და ღვთისთვის მოსაწონად, ის არის შენი იერუსალიმი“. ამ სიტყვებმა საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, ურყევი გახადა მისი გადაწყვეტილება ასკეტურ მოღვაწეობაზე, განდეგილობაზე.

წმინდა ალიპიოსმა იმავე დღეს მიაშურა ქალაქიდან არც მაინცდამაინც შორს მდებარე მთის მწვერვალს, სადაც ეძებდა სამოღვაწეოდ მყუდრო ადგილს. სამი დღის განმავლობაში ეძება, ვინძლო წყლის ნასახი მაინც ეპოვა სადმე. სხვა დანარჩენი არც იყო საფიქრალი, მაგრამ წყლის გარეშე არსებობა ხომ ნამდვილად წარმოუდგენელია. მეოთხე დღეს დაღონებული ფიქრობდა ამ ადგილის დატოვებას, როდესაც ხმა შემოესმა, რომელიც აუწყებდა, სადაც ზიხარ, ადექი, სამხრეთით ოცდაათი ნაბიჯი გაიარე და ნახავ, რასაც ეძებო.

უზომოდ ბედნიერმა წმინდა ალიპიოსმა მაშინვე მიაშურა მითითებულ ადგილს და მართლაც ნახა სისველე. ამოთხარა ორმო და ერთი კაცისთვის სრულიად საკმარისი წყლის მარაგიც გაჩნდა. ამ მოვლენით უზომოდ ბედნიერმა წმინდანმა მაშინვე გადაწყვიტა, ეპისკოპოსისთვის ეცნობებინა მომხდარის შესახებ და კურთხევა გამოეთხოვა, რომ საბოლოოდ დასახლებულიყო ამ ადგილას. ამ უკანასკნელმა კი იმ იმედით, რომ ის ადგილი, რომელიც წმინდანმა აუწყა, ძალიან შორი იყო ქალაქიდან და ხალხი ვერ შეძლებდა წმინდანთან სიარულს სულიერი რჩევა-დარიგებისთვის, გაგზავნა თავისი ხალხი, შემოაღობვინა ის ადგილი, სადაც წყალი იპოვა წმინდა მამამ და აუკრძალა სასტიკად იმ ადგილას მიკარება. იქნებ გადაეფიქრებინა ასე შორს დასახლება და ქალაქთან უფრო ახლოს აეშენებინა საკუთარი სამოღვაწეო.

წმინდა მამა დაემორჩილა ეპისკოპოსის კურთხევას და დიდი სამოღვაწეოს ნაცვლად პატარა ქოხში განაგრძო მოღვაწეობა იმ იმედით, რომ განმარტოებული ცხოვრებით საკმაო გამოცდილებას შეიძენდა და ამის შემდეგ თვით უფალი აუწყებდა, იყო თუ არა სათნო ღვთისთვის მისი განმარტოებით მოღვაწეობა. მართლაც, არ დააყოვნა უფლის მოწყალებამ და გადაწყდა, რომ იმ ადგილას, სადაც წმინდანი მოღვაწეობდა, ტაძარი აშენებულიყო.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე წმინდა ალიპიოსი ამ ადგილზე მოღვაწეობას გადაწყვეტდა, იქ ყოფილა ძველი წარმართული სამსხვერპლო, რის გამოც კიდევ უფრო ჭიანურდებოდა წმინდანის მოღვაწეობა. ღვთის დაშვებით და წმინდა მამის დაუღალავი შრომით გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები, რომელთაც განიზრახეს წმინდა ალიპიოსის დახმარება და აშენდა წმინდა დიდმოწამე ეფემიას სახელობის ტაძარი. ამის შემდგომ გაათმაგებით შემოუტიეს ბოროტმა სულებმა ღვთის მოიმედე წმინდა მამას, რომელიც იმ ზღვარზე იყო, რომ მიეტოვებინა იქაურობა, მაგრამ არასდროს ავიწყდებოდა სიტყვები, რომ „უფალი მეფობს“.

უკვე დადგა დრო, როცა უნდა შესდგომოდა უმძიმეს მოღვაწეობას, მესვეტეობას. თავისივე ხელით ააშენა სვეტი, რომელზეც უნდა განმარტოებულიყო. ოცდაათი წლის ახალგაზრდა მოღვაწე შეუდგა უმძიმეს გზას და თუ არა ღმერთი, განა ვინმე შეძლებდა იმ ადგილას ან მონასტრის დაარსებას, ან საერთოდ გაჩერებას. სვეტს სახურავი საერთოდ არ ჰქონდა, მზე, წვიმა, ყინვა, ქარი — ყველაფერი ერთიანად აწუხებდა წმინდანს, მაგრამ იმ იმედით აგრძელებდა მოღვაწეობას, რომ მასთან უკვე ბევრი მოდიოდა სულიერი რჩევისთვის და ეს შვება იყო ყველა იმ სირთულის გადასალახად, რასაც ითმენდა ღირსი ალიპიოსი ღია ცის ქვეშ სვეტზე მჯდომარე და დღენიადაგ მლოცველი.

იყო ისეთი შემთხვევა, როცა განრისხებულმა დემონებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს წმინდანი, ქვები დაუნიშნეს, რათა იძულებული გამხდარიყო და სვეტიდან ჩამოსულიყო, მაგრამ ამაოდ, თუ უფალი მეფობს, მაშინ ბოროტი რას დააკლებს ღვთის ქმნილებას. ამის შემდეგ ალიპიოსის დედაც შვილთან ახლოს დასახლდა, რაც იყო ნუგეში მშობლისთვის. ყოველდღე იმის ცქერა, როგორ აწვიმს, ათოვს, რას უძლებს შენი შვილი ღია ცის ქვეშ, არც მაინცდამაინც ადვილად გადასატანია, მაგრამ ყველაფერს ეჩვევა ადამიანი.

ყველამ გაიგო წმინდა ალიპიოსის



Cyan Magenta Yellow Black

მოღვაწეობის შესახებ. ახლომახლო ქალაქებიდან არა მარტო მამაკაცები, ქალები და ბავშვებიც მოდიოდნენ, რათა ენახათ წმინდანი სვეტზე მჯდომარე. წმინდა მამა კი მათთვის მლოცველი ბედნიერი იყო. არა ერთმა თქვა უარი ამქვეყნიურ სიამოვნებაზე, ბევრმა ვეღარც კი დატოვა იქაურობა და იქვე დასახლდნენ სამოღვაწეოდ სვეტის მახლობლად, წმინდანის დედასთან ერთად.

სვეტის გარშემო არსებობდა როგორც მამათა მონასტერი, აგრეთვე დედათა მონასტერიც. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც წმინდა ალიპიოსის სულიერ მითითებებს ითვალისწინებდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წმინდა მამასთან ახლოს არ ცხოვრობდნენ, მაგრამ მისგან იღებდნენ სულიერ რჩევებს.

წმინდანის დედა დიდხანს იკავებდა თავს, მონაზვნის სქემით შემოსილიყო. წმინდა მამის რამდენჯერმე შეხსენების შემდეგ უფალს მიანდეს ეს ყოველივე. ერთ დღესაც დედამ ძილში ჩვენება იხილა: საიდანაც გალობა მოისმოდა, იქიდან საოცარი მირონის სურნელი იგრძნობოდა. თვითონაც მოინდომა, მიახლოებოდა მგალობლებს და შეეგრძნო ის საოცარი სურნელი, მაგრამ შესასვლელში როდი შეუშვეს. უთხრეს, შეუძლებელია შეუერთდე ღვთის მორჩილებას, რადგან მათსავით ჯერ არ შემოსილხარ წმინდა სქემითო.

დამწუხრებულ ქალს გამოეღვიძა, მომხდარის შესახებ წმინდა ალიპიოსს უამბო და თანაც უმორჩილესად სთხოვა, იქნება მონაზვნად აღეკვეცათ მისივე კურთხევით. ასე რომ, თუ თავდაპირველად სასტიკ უარზე იყო, ახლა თვითონვე ეხვეწებოდა წმინდანს, სქემით შეემოსა. დღენიადაგ იღვწოდა ისევე, როგორც დანარჩენი მოღვაწეები, წმინდა მამა კი უზომოდ გახარებული და ბედნიერი განაგრძობდა სვეტზე მოსაგრეობას. ანგელოზებისგან მხოლოდ ის განასხვავებდა წმინდანს, რომ კაცობრივი ხორცი ემოსა, სხვა დანარჩენით მსგავსი იყო, ვითარცა უხორცოთა.

ყურადღებით მოისმინეთ შემდეგი სასწაული, როდესაც გაამჟღავნა უფალმა წმინდა ალიპიოსის ხელით უამრავი არაბუნებრივი შემთხვევა, რათა ერწმუნა ხალხს ჭეშმარიტება. ხშირად ზეციური ნათელი ადგა თავზე სვეტზე მყოფ წმინდანს და ეს გრძელდებოდა საათობით ყველას დასანახად. ეს ხდებოდა ღამითაც. როცა ელავდა ცაზე, იყო ჭექა-ქუხილი და წვიმდა კიდეც, სვეტზე მყოფი წმინდანი ისე ბრწყინავდა, რომ ხალხს ხშირად ეგონა, მეხი დაეცა და იწვოდა.

ხალხმა უფლის მორჩილს შემდეგი საგალობელი მიუძღვნა: „სეროზასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო...“ ამის მნახველი ხალხისგან ესმა თვით დედოფალს და განიზრახა მისვლა თვითონაც, რათა ენახა მომხდარი და გაგონილი საკუთარი თვალით. როცა იხილა ზეციდან ჩამომავალი ნათელი, რომელიც საათობით არ იძვროდა, ამის შემდეგ ნახა ჯვარიც, რომელიც ადგა თავსა წმინდანისასა უძრავად. როცა სასახლეში დაბრუნდა განცვიფრებული, წმინდანს ორი დიდებული გაუგზავნა წერილით და დიდძალი მოსაკითხით და სთხოვა, მიეცა ის ჯვარი, რომელიც სვეტის თავზე იყო გაჩერებული, რათა დაებრძანებინა სამეფო სასახლეში, როგორც უდიდესი სიწმინდე.

ეს ის აბსურდული მოთხოვნა იყო დედოფლის მხრიდან, რომელსაც, ბუნებრივია, ასრულება არ ეწერა და არც განხორციელებულა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თვით დედოფალმაც კი იხილა საკუთარი თვალით ის დიდება, რასაც უფალი თავის მორჩილებს უცხადებს.

გარდა იმ უამრავი მადლმოსილებისა, წმინდა ალიპიოსი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული ღვთისგან. ერთ-ერთი სათნოებათაგანი, რომელიც უფალმა მას მიჰმადლა, იყო წინასწარჭვრეტის უნარი. რომელი ერთი ასეთი მაგალითი შეიძლება აქ მოვიყვანოთ?! უზომოდ ბედნიერი იყო აგრეთვე, როდესაც უქონლებს ეხმარებოდა. ამგვარი მდგომარეობა რიგითი მოკვდავებისთვის დაუჯერებელიცაა და განსაცვიფრებელიც, წმინდანთათვის კი ჩვეულებრივი ამბავია.

ერთხელ იყო ასეთი შემთხვევაც, რომ სვეტთან მივიდა გაჭირვებული მოხუცი და წმინდანს თავისი მოსასხამი მოსთხოვა. წარმოიდგინეთ, თვითონ სვეტზე მყოფს, ღია ცის ქვეშ მზეში, წვიმაში რა უნდა ჰქონოდა, მაინც გაიხადა და გაჭირვებულ მოხუცს ჩამოაწოდა, თვითონ კი ანაფორის გარეშე დარჩა. ამგვარი რამ მხოლოდ ამგვარ ადამიანებს თუ შეუძლიათ გააკეთონ.

ფეხზე დგომისგან, მარხვისა და მღვიძარებისგან იმდენად იყო დაუძლურებული, რომ შუახნის ასაკიდან მოყოლებული ბევრჯერ ეგონათ, თავის უფალს მიაბარებდა სულს, მაგრამ ისე ხდებოდა, რომ ახალი ენერგიით, ახალი ძალებით თავიდან იწყებდა ცხოვრებას. ასე ნახევრადგარდაცვლილმა ადამიანმა ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია. ერთნი ამბობენ, რომ გარდაიცვალა ოთხმოცდასამი წლის, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, რომ მიიძინა მაშინ, როცა იყო ასი წლის. ვფიქრობთ, არც ოთხმოცდასამი წელია ცოტა, როცა არ გაქვს არავითარი პირობა.

როცა წმინდანმა მიაბარა სული უფალს, ამ დროს იმპერიას განაგებდა მეფე ირაკლიოსი (608-610 წლები). საოცარია, რადგან, როგორც მემატიანე აღწერს, თოთხმეტი წელიწადი გადაბრუნებაც კი არ შეეძლო დაუძლურებულს და მხოლოდ ერთ მხარეზე მწოლიარე ლოცულობდა სვეტზე.

ბევრი რამ არ არის წმინდანზე ცნობილი, ვინაიდან თვითონ ზრუნავდა, არავის არაფერი სცოდნოდა მის შესახებ, თუმცა ის მცირედიც კი, რაზეც ხელი მიგვიწვდება, ძალიან საინტერესო და განსაცვიფრებელია. უამრავი წმინდანი სხვადასხვა ხერხებით ებრძოდნენ ამა თუ იმ წინააღმდეგობას, წმინდა ალიპიოსს კი ბრძოლა უწევდა მზის წინააღმდეგ, ყინვის წინააღმდეგ, წვიმის წინააღმდეგ, შიმშილის წინააღმდეგ, საკუთარი თავის, ვნებების წინააღმდეგ. ყველაფერი დაძლია და გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან.

წმინდაო, ღირსო მამაო ალიპიოს, მეოხ და მფარველ გვეყავ ჩვენ, უღირსთა, რათა მოწაფებითა შენითა მოვიპოვოთ ცოდვათა მოტევება და ღვთისგან დიდი წყალობა.

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# „ლოცვა გვმართებს, რომ შევხვდეთ ისეთ მოძღვარს, ვინც ჩვენ გვჭირდება“



■ მამა გიორგი

ამპარტავნების ცოდვის გამო, რომელიც თითქმის ყველა ადამიანს ამძიმებს, ხშირად უჭირთ მოძღვართან მისვლა, მისი მოსმენა, მისგან შეგონებების მიღება. ბევრი ამბობს, რომ თავადაც მიხვდება, მოძღვრის რჩევების გარეშე, თუ როგორ უნდა იცხოვროს უფლისთვის სათნოდ. რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა რწმენისადმი, მიგვიყვანს თუ არა ეს გზა ღმერთამდე, შევძლებთ თუ არა ეკლესიის გარეთ ცხოვრებით ცხონების მიღწევას, ჩვენი მკითხველებისთვის ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვიპასუხებს.

**— მამაო, ბევრ ადამიანს უჭირს სულიერ მოძღვართან ურთიერთობა, დადიან ტაძარში, მაგრამ მოძღვართან გულს ვერ ხსნიან, აღსარებას ვერ ან არ ამბობენ. რა დაეხმარებათ მათ სწორი გზის პოვნაში?**

— უპირველეს ყოვლისა, მან უნდა სთხოვოს უფალს, რომ გამოუჩინოს მოძღვარი. იესო ქრისტეს მოციქულები რომ გამოერჩია, ამისთვის მთელი ღამე ილოცა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოარჩია ისინი. თუკი იესო ქრისტემ, სამყაროს შემოქმედმა, თითოეული ჩვენგანის გამჩენმა ამდენი ილოცა, რომ დამმოძღვრელად გამოერჩია მოციქულები და მხოლოდ ლოცვის შემდგომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მით უფრო დიდი ლოცვა გვმართებს ჩვენ, ადამიანებს, რომ ღმერთმა შეგვახვედროს ისეთ მოძღვარს, ვინც ჩვენ გვჭირდება.

**— მორწმუნეები ეკლესიაში, ღვთისმსახურებაზე ყოფნის დროს ხშირად თავს ვერ აღწევენ ამქვეყნიურ თემებზე ფიქრებს. რა უნდა მოიმოქმედონ, რომ ლოცვის დროს გულისყური არ გაეფანტოთ?**

— ეს აზრები ბოროტი სულისგან მოდის. მორწმუნე ადამიანს შესაძლოა იმდენად საზარელი აზრები მოუვიდეს, რომ არაეკლესიურს არც კი გაუვლია გონებაში. ეს ეშმაკის ბრძოლაა, →74

ის ცდილობს, ადამიანი ლოცვას ჩამოაშოროს. მთავარია, ჩვენ ეს აზრები არ შევიწყნაროთ და მოვუხმოთ უფალს, ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს და წმინდანებს, რათა დაგვიცვან ამ შემოტევისგან...

**— როცა ავადმყოფს სასოწარკვეთილება ეუფლება და შესაძლოა ამ დროს უფლის იმედი დაკარგოს, როგორ უნდა დაძლიოს ეს მდგომარეობა?**

— სახარებაში წერია, რომ თავიდან თმის ღერი არ ვარდება უფლის ნების გარეშე. მით უფრო, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლა უფლის ნების გარეშე არ ხდება. როცა მაცხოვართან მიჰყავდათ ავადმყოფები, ის ამბობდა, რომ მათ ცოდვები მიეტევებოდათ. ამის შემდეგ ხდებოდა ავადმყოფების სულიერი გამოჯანმრთელება, რასაც ფიზიკური ჯანმრთელობაც მოჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, ავადმყოფობის ჟამს, პირველ რიგში, ღვთის წინაშე თავის დამდაბლება, სინანულის წარმოჩენა, აღსარების თქმა და ზიარება გვმართებს, რათა ჯერ სულიერი მიტევება მივიღოთ, რომ შემდეგ ფიზიკურად გამოვჯანმრთელდეთ.

**„მღვდლობა იმდენად საპასუხისმგებლო მსახურებაა ღვთის წინაშე, რომ იოანე ოქროპირის სიტყვების თანახმად, მეტი წილი სასულიერო პირებისა გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში მიდიან, რადგან ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეკითხება".**

**— განგვიმარტეთ არსი ლახვრის ლოცვისა, რომელიც ტაძრებში სრულდება, მათ შორის, თქვენთანაც.**

— ლახვარი ნიშნავს იმ შუბს, რომელიც ჯვარცმულ ქრისტეს უგმირეს მკერდში. დანას, რომლითაც ტარიგს წირვის დროს კვეთენ, ლახვარი ჰქვია. ეს ლახვარი ეხება ქრისტეს სისხლს და ხორცს და როგორც სიწმინდესთან შეხებული, თვითონაც ხდება სიწმინდის მატარებელი. ეს ლოცვა ფიზიკურად ავადმყოფებისთვისაა გამოჯანმრთელების მიზნით. ლახვარს მტკივნეულ ადგილზე დაადებენ, ჯვარს გამოსახავენ და ლოცვას უკითხავენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სასულიერო პირები, ერისკაცს ამის უფლება არ აქვს.

**— თითქმის ყველა მორწმუნემ იცის, რომ განკითხვა ცოდვაა, მაგრამ არის თუ არა განსხვავება განკითხვასა და განსჯას შორის?**

— განსჯა და განკითხვა ერთი და იგივეა. მაცხოვარი ბრძანებს, არა განიკითხოთ, რომ არ განიკითხნეთ. განსჯის დროსაც ხდება განკითხვა, რადგან თავად განსჯა გულისხმობს მოყვასის შეცდომების მითითებას. სხვა არის მხილება და სხვა არის განსჯა-განკითხვა. მხილებაა, როცა მოყვასს მიუთითებ ცოდვის შესახებ, ხოლო განსჯაა, როცა მოყვასის საქციელს თუნდაც ცოდვად შერაცხავ მის დაუსწრებლად.

**— ბევრი ოჯახია, სადაც ცოლი მორწმუნეა, ცდილობს ეკლესიურად ცხოვრებას, მაგრამ ქმარი უკეთურად იქცევა, ვთქვათ, მემთვრალეობის ან სხვა მძიმე ცოდვაშია. როგორ უნდა მოიქცეს ქალი ასეთი მეუღლის გვერდით?**

— ასეთმა ქალმა უნდა ილოცოს თავისი ქმრისთვის. შეუძლიათ 40 დღის განმავლობაში მარხვის ფონზე პარაკლისი გადაუხადონ შეუსმელი ბარძიმის ხატთან, ასევე წმინდა ბარბარეს სთხოვონ შეწევნა. მორწმუნეს მოყვასის მიმართ ლოცვა მართებს, მით უმეტეს, ცოლს ქმრისთვის ან პირიქით.

**— ბევრი გათხოვილი ქალისგან მსმენია, რომ მათ მონაზვნობა სურთ, მაგრამ თავს იკავებენ ოჯახის გამო. შესაძლებელია თუ არა ოჯახურ ცხოვრებაში მყოფი ადამიანი თავისი ღვაწლით მონაზონს გაუთანაბრდეს?**

— საეკლესიო სწავლებით ცხონება შეიძლება როგორც სასულიერო ცხოვრებით, ასევე საერო ცხოვრებით ანუ, როგორც მონაზვნებისთვის, ასევე დაოჯახებული ხალხისთვის. სახარების მიხედვით, დედები შვილთა სხმით და ოჯახის ერთგულებით განმართლდებიან ღვთის წინაშე. ასევე სახარების მიხედვით, მონაზვნობა აღმატებული საქმეა, მაგრამ ბევრი მონაზონი ყოფილა, რომელთაც ღვთის წინაშე დადებული აღთქმა ვერ შეუსრულებიათ და ამით სული წარუწყმედიათ.

**„ფიზიკური, გარეგნული, მატერიალური თუ ჰიგიენური მხარეზე ზომიერად ზრუნვა ნორმალური და მისაღებია. ყველაფერს სულიერება უნდა უძღოდეს წინ. როცა გარეგნული მხარისთვის ვშრომობთ, ეს ცუდი არ არის, მაგრამ მთავარი შინაგანი სამყაროა. მორწმუნემ ისე არ უნდა ჩაიცვას, რომ ვინმეს ვნებები გამოიწვიოს. ჩაცმულობით ერთმანეთისადმი პატივისცემა უნდა გამოვხატოთ".**

მონასტრის ცხოვრება ურთულესია. ჭეშმარიტი მონაზონი ყოველდღე ქრისტესთან ერთად ჯვარს ეცმევა. სამონაზვნო მორჩილებისას ხშირად უწევთ ისეთი საქმეების კეთება, რომლებიც არასდროს უყვარდათ და ეხერხებოდათ. სულიერმა მოძღვარმა მორჩილს, რომელიც გონებრივ საქმიანობას არის შეჩვეული, შეიძლება ბოსტნის ან საქონლის მოვლა დაავალოს. მონაზვნობის მძიმე ჯვარს ბევრი ვერ უძლებს, ამიტომ ამ ნაბიჯის გადადგმა გაუაზრებლად და, რაც მთავარია, მოძღვრის კურთხევის გარეშე კატეგორიულად არ შეიძლება. ხოლო ის, რომ ასეთი მორწმუნეები ამ ნაბიჯს ოჯახის გამო არ დგამენ, დასაფასებელია. რჯულის კანონის მიხედვით, ადამიანს მეუღლის გარეშე მონასტერში წასვლა არ შეუძლია.

**— შესაძლებელია ურწმუნო ადამიანი ცხონდეს?**

— „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა". აქედან ჩანს, რომ ის ადამიანები, რომლებიც უარყოფენ და არ სწამთ ქრისტესი, თვითონაც უარყოფილნი იქნებიან მამისა და ანგელოზების წინაშე იესო ქრისტეს მიერ. მორწმუნემ უფალს უნდა სთხოვოს მათთვის შეწევნა.

**— როგორ ირჩევს ადამიანი მღვდლობას, მას ამის სურვილი უნდა ჰქონდეს?**

— წმინდა მამები გაურბოდნენ ამ პატივს. ასე იყო წმინდა იოანე ოქროპირი, რომელიც მღვდლად კურთხევის დროს გაიქცა; ასე იყო წმინდა ეფრემ ასური, რომელიც ფაქტობრივად ძალით აკურთხა ბასილი დიდმა დიაკვნად. მღვდლობა იმდენად საშიში და საპასუხისმგებლო მსახურებაა ღვთის წინაშე, რომ იოანე ოქროპირის სიტყვების თანახმად, მეტი წილი სასულიერო პირებისა გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში მიდიან, რადგან ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეკითხება. აქედან გამომდინარე, ვინც მღვდლობას გადაწყვეტს, მან საკუთარ თავში უნდა ეცადოს, ყოველგვარი მიწიერი დათრგუნოს და ღვთისმსახურების ვიწრო, ეკლიან გზაზე სიარული დაიწყოს. ამ დროს ღვთის ნუგეშიც ძალიან დიდი იქნება.

**— დაბოლოს, როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ერისკაცი ან ქალი, რომ არც თანამედროვეობასთან შეუფერებლად გამოიყურებოდეს და საეკლესიო წესებშიც ჯდებოდეს მისი ჩაცმულობა?**

— ფიზიკურ, გარეგნულ, მატერიალურ თუ ჰიგიენურ მხარეზე ზომიერად ზრუნვა ნორმალური და მისაღებია. ზედმეტი მზრუნველობა კი გვაშორებს სულიერებაზე ფიქრს, რაც მარადიული და ურღვევია. ყველაფერს სულიერება უნდა უძღოდეს წინ. როცა გარეგნული მხარისთვის ვშრომობთ, ეს ცუდი არ არის, მაგრამ მთავარი შინაგანი სამყაროა. მორწმუნემ ისე არ უნდა ჩაიცვას, რომ ვინმეს ვნებები გამოიწვიოს. ჩაცმულობით ერთმანეთისადმი პატივისცემა უნდა გამოვხატოთ. შესამოსელს თავისი დანიშნულება აქვს. ზედმეტი სიშიშვლე მისაღები არ არის. მოდას აყოლაც არ ივარგებს, რადგან ბევრს უჭირს ზომიერების დაცვა და მოდა ხდება მათთვის უპირველესი, ვიდრე სული. ლოცვით და რწმენით ადამიანი შეძლებს სწორი გზის პოვნას.

**„სამონაზვნო მორჩილებისას ხშირად უწევთ ისეთი საქმეების კეთება, რომლებიც არასდროს უყვარდათ და ეხერხებოდათ. სულიერმა მოძღვარმა მორჩილს, რომელიც გონებრივ საქმიანობას არის შეჩვეული, შეიძლება ბოსტნის ან საქონლის მოვლა დაავალოს. მონაზვნობის მძიმე ჯვარს ბევრი ვერ უძლებს, ამიტომ ამ ნაბიჯის გადადგმა გაუაზრებლად და, რაც მთავარია, მოძღვრის კურთხევის გარეშე კატეგორიულად არ შეიძლება".**

✓ მანანა ნოდია





Cyan Magenta Yellow Black

←10 და თვითონ ციხეში არ წავიდოდა, მაგრამ მან ეს არ იკადრა. ვამაყობ, რომ ასეთი მეგობარი მყავს. გიორგიც იჯდა ციხეში ხულიგნობის მუხლით და 2 თვის წინ გაათავისუფლეს. მე 7 წელი მომისაჯეს.

სასამართლომ საკმარისად მიიჩნია დაზარალებულის დის და დედის ჩვენება და დამაპატიმრეს. ერთი თვის მერე მოიყვანეს სამი დამატებითი მოწმე — ორი ბიჭი და ერთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომლებიც ვითომ კოჯრიდან მოდიოდნენ და ოქროყანის მხრიდან წასვლის მაგივრად რატომღაც წყნეთიდან წამოვიდნენ. ამ საქმის გასაღები ამ ცრუ მოწმეების ჩვენებებში დევს. ბნელი ღამე იყო. თან წვიმდა. ვითომ იმ ქალმა მანქანიდან დაინახა, როგორ იელვა ჩემს ხელში ბასრმა საგანმა და იკივლა, არიქა, გოგიჩაიშვილმა ვიღაც დაჭრაო. ადვოკატი შეეკითხა, იმ ღამეში გოგიჩაიშვილი როგორ იცანითო და თქვა, ტელევიზორში მყავდა ნანახი და მეცნოო. უთხრეს, დარბაზს გადახედეთ, აქ ვინმე თუ გეცნობათო და უპასუხა, არავინო. ამ დროს იქ ისხდნენ ეკა ბესელია, ნანა კაკაბაძე, გოგა ხაინდრავა, ჯაბა ჯიშკარიანი. იმ დონის იყო, რომ სხვას ვერავის ცნობდა. იმ გოგოს თანმხლებმა ერთმა ბიჭმა კი, ვითომ ამ გოგოს კივილზე რომ გაიხედა მანქანიდან, ალხაზიშვილი დაინახა. სხვათა შორის, მაშინ ალხაზიშვილს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ყავარჯნით იყო. ანუ ინვალიდები ავედით და ისე ვიჩხუბეთ, იქაურობას „მუსრი გავავლეთ"...

დარწმუნებული ვარ, თვითონ დათო ლეჟავამაც არ იცის, ვინ დაჭრა. ლეჟავას პერანგზე ორი ადამიანის სისხლია, ერთი თავისი და მეორე სხვისი. იმ სხვისი სისხლის ექსპერტიზა მოვითხოვე, მაგრამ ის პერანგი გააქრეს. ასევე მოვითხოვე ჩემი და მისი ტანსაცმლის ბიოლოგიური ექსპერტიზა, მაგრამ ამაოდ. შემთხვევის ადგილზე დააგდეს ფიქსატორი, რომელიც ვითომ ჩემი იყო. არადა არ დამვარდნია. ფიქსატორის ექსპეტრიზაც მოვითხოვე, მაგრამ აქაც უარი მივიღე.

პროკურორი გოდერძიშვილი და მოსამართლე ჯუღელი ძალიან ცუდად მოიქცნენ. ჯუღელი ბოლო პროცესებზე და განაჩენის გამოტანის დღესაც მთვრალი იყო. როგორც ჩანს, ზეწოლას ვერ უძლებდა. თვითონ გრძნობდა, რასაც აკეთებდა და პროცესზე მთვრალი მოდიოდა. არ ვამტყუნებ, სამი შვილი ჰყავს და მამა ავად ჰყავდა.

— **რატომ სჭირდებოდა ხელისუფლებას თქვენი დაკავება, ასეთ საშიშროებას უქმნიდით?**

— იმიტომ, რომ მე ვიყავი ის, ვინც ახალგაზრდული ჯგუფების მობილიზებას და ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებას ახერხებდა. როცა დამიჭირეს, უნდა გენახათ, რა ბედნიერები იყვნენ. მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი ირაკლი ყიფშიძე მეუბნებოდა, ხომ დაგიჭირეთ, ხომ გაგჭედეთ, ბრძოლა დამთავრდაო. ამას საშინელი ცინიზმით აკეთებდა.

— **თქვენზე ფიზიკურადაც ძალადობდნენ?**

— არა, არ ვუცემივარ, ვერ მოვიტყუები, დაძაბული საუბრები კი იყო. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ 7 ნოემბრის თუ 9 აპრილის აქციები ძირითადად ჩემი და ჩემი მეგობრების მოწყობილი იყო. თვლიდნენ, რომ ჩემი დაკავება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კონკრეტული პარტიის ლიდერების. „სუში ბარში" რომ დავხვდით პრეზიდენტს, როცა ავსტრიის პრინცესასთან ერთად სადილობდა, ესეც ჩემი მოფიქრებული აქცია იყო და ბევრი სხვაც. „სუში ბარის" აქციის მსგავსი არასოდეს არსად გაკეთებულა. იმ ადამიანთა ათეულში ვიყავი, ვინც სააკაშვილს ეზიზღებოდა.

— **ირინა ბათიაშვილი ალბათ ყველაზე მეტად ნანობდა მომხდარს.**

— ირინა ბათიაშვილთან მუდმივად მქონდა სატელეფონო საუბარი. როგორც კი გამოვედი, ჩემთან სახლში მოვიდა და მომინახულა. ირინა ჩემთვის ოჯახის წევრივითაა, ძალიან მიყვარს. როცა ირაკლი ბათიაშვილი დაკავებული იყო, მე, დათო დალაქიშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი მათთან სახლში ვრჩებოდით, რადგან დაკავებას ველოდებოდით და ირაკლის მეუღლემ გვთხოვა, ასე მოვქცეულიყავით. ერთ ოჯახად ვცხოვრობდით და ირინა დასავით არის ჩემთვის. ის არაფერ შუაში იყო, რომ მე მის დაბადების დღეზე მივედი. ირინკაზე კი არა, საერთოდ არავისზე ვარ გაბრაზებული, გარდა სააკაშვილისა. მოსამართლეზეც კი არ ვბრაზობ. არც შურისძიებას ვაპირებ და არავის დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა არ მინდა. უბრალოდ სიმართლე ყველამ უნდა თქვას და მე ვიქნები პირველი, ვინც მათ უშუამდგომლებს, რომ აღმკვეთი ღონისძიება არ შეეფარდოთ, რადგან არავის ვუსურვებ ციხეში ყოფნას.

ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომლებიც დარწმუნებული იქნებიან, რომ მე დანაშაული ჩავიდინე. მინდა ვთქვა, რომ თუ რამე ჩავიდინე, არსად გავქცეულვარ და სასჯელიც მოვიხადე. იმაზე მეტ ხანს ვიჯექი, ვიდრე თუნდაც ამ გაყალბებული საქმიდან გამომდინარე უნდა შემფარდებოდა. არ მინდა, ვინმემ ის გამოსცადოს, რაც მე გადავიტანე.



■ ლევან გოგიჩაიშვილი

**„ბევრი რამეც შევიძინე. გურული ვარ და ყოველთვის ემოციური ვიყავი. სულ ვჩქარობდი ხოლმე და ახლა ყველაფერს დინჯად ვუდგები. გურულებს რომ აკლიათ, ის შევივსე".**

— **რისი მოწმე გახდით ციხეში?**

— ჯოჯოხეთის იქითა სამყაროში ვიყავი! ადმინისტრაციას პატიმრები ისევე სძულდათ, როგორც ფაშისტებს ებრაელები. ეს ციხე კი არა, „კონცლაგერი" იყო. იქ ადამიანები ყოველდღე იხოცებოდნენ ნელი სიკვდილით. მინახავს გადმოყრილი ნაწლავები, გადამტვრეული ხელი, ამოგდებული მუხლი... ადამიანი მყავს ნანახი, რომელსაც სახეზე ნაკვთები აღარ ეტყობოდა, ისე ჰქონდა სახის ყველა ძვალი ჩამსხვრეული. ამ ადამიანებს ანალგინს ასმევდნენ და დასცინოდნენ. კამერებში ზოგს დედის სურათი ეკიდა, ზოგს — შვილის. შეურაცხყოფას აყენებდნენ ფოტოებს — ასე და ასე ვუზამ ამასო... ბოროტების მანქანა იყო.

— **პატიმრების ცოლებს აუპატიურებდნენო, ამბობენ.**

— პატიმრების ცოლები მიჰყავდათ, როცა აღიარებითი ჩვენება სჭირდებოდათ. ოჯახის წევრებს აყენებდნენ შეურაცხყოფას. თავზე ახევდნენ მათ სურათებს, გლეჯდნენ ჯვრებს და ხატებს. ხმები, რომელიც იქ მესმოდა, ახლაც ჩამესმის. ეს იყო განწირული ადამიანების კივილის ხმები, ურვა და გოდება!

— **არადა ყველა ყოფილი პატიმარი ამბობს, რომ მას არ ეხებოდნენ.**

— ხომ არ იტყვიან, მცემდნენო! დღეში ერთხელ მთელი ციხე რომ არ ეცემათ, არ არსებობდა. შემოვლაზე 5 კაცი დადიოდა. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, აბანოში გაჰყავდათ და იქ სცემდნენ, რადგან იქ კამერები არ არის. არ იცით, ციხეში რა ხდებოდა 1 ოქტომბერს, როცა მიშა სააკაშვილმა კაპიტულაცია გამოაცხადა. დაახლოებით ისეთი განცდა იყო, კოალიციური ძალები რომ შევიდნენ ბერლინში. პარიზში რომ შევიდა დე გოლი, ზუსტად ისეთი განცდა და სიხარული გვქონდა.

— **რას აპირებთ, როგორ გააგრძელებთ ცხოვრებას?**

— აქტიურ ცხოვრებას ვაპირებ. პროფესიით იურისტი ვარ. ერთ თვეში ადვოკატის ლიცენზია უნდა ამეღო და დამაპატიმრეს. ნასამართლევი ვარ და არ ვიცი, მომცემენ თუ არა ამ ლიცენზიას. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. ნაციონალური მოძრაობის ნარჩენების მოშორებაში აუცილებლად უნდა მივიღო მონაწილეობა. უჩემოდ ჩაიარა ბევრმა რაღაცამ და ვიეჭვიანე კიდეც, თეთრი შურით შემშურდა მათი, ვინც იმ ხელისუფლების დამხობაში მიიღო მონაწილეობა. ძალიან მინდოდა, 1 ოქტომბერს გარეთ ვყოფილიყავი.

— **ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორი გაქვთ?**

— ჯანმრთელობას არასოდეს შევუწუხებივარ. მაინც ვაპირებ გამოკვლევების ჩატარებას. მხოლოდ კბილები მაწუხებდა. წინა კბილებიღა დამრჩა ფასადივით, უკან დამეშალა. სულ კბილების პრობლემები მქონდა და მტკიოდა. მეც ანალგინს მაძლევდნენ ისე, როგორც ხელის მოტეხვის თუ სხვა რამის ტკივილის დროს. ერთ პატიმარს საკანში გაუკეთეს ბუასილის ოპერაცია და იმასაც ანალგინს ასმევდნენ. ექიმები კიდევ ცალკე თემაა, ამ მხრივაც საშინელება ხდებოდა.

— **როგორ აფასებთ ციხეში გატარებულ წლებს, მართალია, ბევრი დაკარგეთ, მაგრამ ალბათ რაღაც, მიუხედავად ყველაფრისა, შეიძინეთ კიდეც.**

— დავკარგე საუკეთესო წლები. შემოსავლის წყაროებიც დავკარგე, ოჯახი დავკარგე. დედას რომ დურბინდით უყურებ, რა არის?! ჩემი ძმისშვილები დაზრდილები დამხვდნენ. ოჯახის და მეგობრების სითბო მაკლდა. ყვავილობის პერიოდში რომ ხარ და უცებ... სამი წელი მკვდარი ვიყავი და გავცოცხლდი! ისე კი, ბევრი რამეც შევიძინე. გურული ვარ და ყოველთვის ემოციური ვიყავი. ემოციების მოთოკვა ვისწავლე. სულ ვჩქარობდი ხოლმე და ახლა ყველაფერს დინჯად ვუდგები. გურულებს რომ აკლიათ, ის შევივსე.

✓ რუსუდან ადვაძე

# თავსატეხი




# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## სლოვაკური ნამცხვარი თხილით



**მასალა:**
**ფქვილი — 300 გ**
**საფუარი — 10 გ**
**რძე — 8 ს.კ.**
**შაქარი — 90 გ**
**მარგარინი — 40 გ**
**კვერცხი — 2 ცალი**
**თხილი — 125 გ**
**ლიმონიანიანი და შაქრიანი მინანქარი, ვანილი, მარილი — გემოვნებით**

**მომზადება:** ფქვილის, რძის, საფუარის, კვერცხის, მარგარინის, მარილისა და შაქრისაგან ცომი მოზილეთ და ასაფუებლად დადგით. როცა აფუვდება, საშუალო სისქეზე გააბრტყელეთ. გამოჭერით სამკუთხედი ნაჭრები და გამდნარი მარგარინი გადაუსვით. შაქარში არეული თხილი ოდნავ მოხალეთ და დანაყეთ. დაუმატეთ ვანილი და ცოტა წყალი, რომ წელვადი მასა მიიღოთ. ეს მასა ცომის ნაჭრებს წაუსვით და გადაახვიეთ. დაალაგეთ ცხიმწასმულ გამოსაცხობ ფირფიტაზე, აცადეთ, ცოტა კიდევ ამოფუვდეს და წინასწარ გახურებულ ღუმელში 20 წუთი გამოაცხვეთ. თბილ ნამცხვარს ლიმონის მინანქარი გადაუსვით.

## თევზი პარმეზანითა და ოხრახუშით



**მასალა:**
**თევზის ფილე — 300 გ**
**ოხრახუში — 1 დიდი კონა**
**ლიმონი — 1 ცალი**
**გახეხილი პარმეზანი — 2 ს.კ.**
**ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.**
**მარილი, პილპილი — გემოვნებით**

**მომზადება:** ფილე გარეცხეთ და შეაშრეთ. ლიმონის ცედრა გახეხეთ, ნახევარი ლიმონი გაწურეთ. შეურიეთ პარმეზანი, აკეპილი ოხრახუში, ლიმონის ცედრა, ზეითუნის ზეთი და პილპილი. ამ მასაში თევზი ამოავლეთ და დადეთ გაცხელებულ ტაფაზე. რამდენიმე წუთი გააჩერეთ ცეცხლზე, შემდეგ 2 წუთით გახურებულ ღუმელში შედგით. მომზადებულ თევზს მოასხურეთ ლიმონის წვენი.

## კარტოფილის ეკლერი



**მასალა:**
**კარტოფილი — 2 ცალი**
**წყალი — 100 მლ**
**კარაქი — 50 გ**
**მარილი — 1 ჩ.კ.**
**შაქარი — 1 ს.კ.**
**ფქვილი — 100 გ**
**კვერცხი — 3 ცალი**
**შიგთავსი — გემოვნებით (სოკო, ბოსტნეული, ხაჭო, ყველი და ა.შ.)**

**მომზადება:** კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენით და პიურე მოამზადეთ. ქვაბში წყალი აადუღეთ, დაუმატეთ კარაქი, მარილი და შაქარი. როცა წამოდუღდება, ცეცხლიდან გადმოდგით და დაუმატეთ ფქვილი. ქვაბი ისევ ცეცხლზე შემოდგით და ურიეთ, რომ ცომი შეიზილოს. შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით, შეურიეთ კარტოფილის პიურე და გადაზილეთ. ჩაახალეთ კვერცხები, თან ურიეთ.

გამოსაცხობ ფირფიტას პერგამენტი დააფინეთ და საკონდიტრო შპრიცით პატარა ცომის ბურთულები დაალაგეთ. შედგით წინასწარ 200 გრადუსამდე გაცხელებულ ღუმელში და 15 წუთი აცხვეთ. შემდეგ ტემპერატურა 180 გრადუსამდე დაიყვანეთ და ეკლერები ღუმელში კიდევ 10 წუთი გააჩერეთ.

მზა ეკლერებში შეგიძლიათ ჩადოთ სოკო, სალათა, ყველი, ხიზილალა და ა.შ.

## რიზოტო ქათმის ღვიძლით



**მასალა:**
**ქათმის ღვიძლი — 300 გ**
**ბრინჯი — 275 გ**
**თეთრი მშრალი ღვინო — 200 მლ**
**ოხრახუში — 1 კონა**
**ხახვი — 1 თავი**
**ნიახური — 1 ძირი**
**ნიორი — 1 კბილი**
**ზეითუნის ზეთი — 4 ს.კ.**
**კარაქი — 1 ს.კ.**
**ბაჰარი, პილპილი, მარილი — გემოვნებით**

**მომზადება:** ქვაბში წყალი აადუღეთ, ჩაყარეთ ბაჰარი. ხახვი, ნიორი და ნიახური აკეპეთ. ფართო ტაფაზე 3 ს.კ. ზეითუნის ზეთი და 1 ს.კ. კარაქი გააცხელეთ, მოშუშეთ ხახვი, ნიორი და ნიახური.

ქათმის ღვიძლები გარეცხეთ და ქაღალდის ხელსახოცზე შეაშრეთ, ჩაუმატეთ ტაფას, მოურიეთ და 5 წუთი შუშეთ. შემდეგ ჩაუმატეთ პილპილი, ბრინჯი, მოურიეთ, დაბალ ალზე 2-3 წუთი გააჩარეთ, დაუმატეთ მარილი, დაასხით ღვინო და წამოადუღეთ. ნელ-ნელა ჩაუმატეთ ადუღებული წყალი ისე, რომ ბრინჯი წყალში არ ტივტივებდეს, პერიოდულად ურიეთ. დაბალ ალზე 20 წუთი გააჩერეთ.

ოხრახუში აკეპეთ. რიზოტოს ცოტა პილპილი კიდევ დაუმატეთ, მოასხით 1 ს.კ. ზეითუნის ზეთი და მოაყარეთ ოხრახუში.

## ყაბაყის წვნიანი

**მასალა:**
**ყაბაყი (გასუფთავებული და დაჭრილი) — 1 კგ**
**მწვანე ბულგარული წიწაკა — 1**
**ხახვი — 1 თავი**
**მდნარი ყველი — 2 ჭიქა**
**მარილი და პილპილი — გემოვნებით**

**მომზადება:** ქვაბში ჩაყარეთ ყაბაყი, დაჭრილი მწვანე ბულგარული წიწაკა და აკეპილი ხახვი. დაასხით იმდენი წყალი, რომ ბოსტნეული დაიფაროს. წამოადუღეთ, ალს დაუწიეთ და ადუღეთ ბოსტნეულის დარბილებამდე (დაახლოებით 15 წუთი), შემდეგ გადაწურეთ.



ბოსტნეული ბლენდერში გადაიტანეთ და გათქვიფეთ, შემდეგ ქვაბში ჩააბრუნეთ, დაუმატეთ მდნარი ყველი, ადუღეთ მანამ, სანამ ყველი სრულად არ გადნება.

ხელსაქმე

# გულსაბნევი ფეტრისგან

სულ ცოტა დრო და მონდომება საკმარისია იმისთვის, რომ ასეთი გულსაბნევი გავაკეთოთ.

დაგვჭირდება: ნემსი და ძაფი, მაკრატელი, წებო, ფეტრის სამი ფერის ქსოვილი. გამოვჭრათ ფეტრისგან წრეები. ავიღოთ ერთ-ერთი წრე, ცენტრში წავუსვათ წებო და გადავკეცოთ. გადანაკეცის ცენტრშიც წავუსვათ წებო და ისევ გადავკეცოთ.

მივიღებთ ისეთ „პეპლებს", როგორიც მე-4 ფოტოზეა. ერთ-ერთ წრეს ერთი მხრიდან მივაწებოთ გულსაბნევის სამაგრი, მეორე მხრიდან კი უკვე გამზადებული წრეები.

ავიღოთ პატარა წრე, მასზე დავამაგროთ გამჭვირვალე ან შესაფერისი ფერის წვრილი მძივები (ბისერები), დავამაგროთ ეს „ბისერებიანი" წრე მზა ყვავილის შუაგულში. ფეტრის პატარა, ოთხკუთხედი ნაჭერი კი მივაწებოთ გულსაბნევის ლითონის სამაგრზე, ეს იმისთვის, რომ სამაგრმა არ იმოძრაოს.

ასეთი გამზადებული ყვავილები შეგვიძლია დავამაგროთ თმის სამაგრზე, ჩანთაზე და ა.შ. სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 |
| 9 | 7 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 8 | 4 |
| 2 | 4 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 |
| 5 | 3 | 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 9 |
| 7 | 9 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 1 | 2 | 4 | 9 | 3 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 3 | 5 | 2 | 4 | 7 | 9 | 6 | 1 | 8 |
| 8 | 1 | 9 | 3 | 5 | 6 | 4 | 7 | 2 |
| 4 | 6 | 7 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 6 | 9 | 3 | 8 | 1 | 5 | 4 | 7 | 2 |
| 1 | 2 | 7 | 9 | 6 | 4 | 8 | 5 | 3 |
| 4 | 8 | 5 | 7 | 2 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 2 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 | 6 | 4 | 8 |
| 5 | 3 | 9 | 4 | 8 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 8 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 |

## ეს იცოდით?

❖ ამბობენ, რომ ონორე დე ბალზაკი ყავამ შეიწირა. სიცოცხლის განმავლობაში მან დაახლოებით 15.000 ჭიქა ყავა დალია.

❖ გენიალურმა იტალიელმა საოპერო მომღერალმა ენრიკე კარუზომ კარიერის განმავლობაში 7-ჯერ გაიკეთა ხმის იოგების ოპერაცია.

❖ მიუხედავად იმისა, რომ მაგიდის ჩოგბურთი (პინგ-პონგი) ჩინელთათვის ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობადაა მიჩნეული და ყველაზე ძლიერი მოთამაშეებიც ისინი არიან მსოფლიოში, იგი ინგლისელების გამოგონებაა და სახელიც მათ უწოდეს. კერძოდ 1901 წელს ინგლისელმა ჯონ ჯაკვესმა დაარეგისტრირა იგი, სახელწოდებით „პინგ-პონგი".

❖ მრავალი ისტორიკოსი ფეხბურთის სამშობლოდ ჩინეთს მიიჩნევს და ირწმუნებიან, რომ ჩინელები ბურთს ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 1000 წელს თამაშობდნენ.

❖ გოგრის სამშობლო ამერიკაა.

❖ პუდელის ჯიშის ძაღლებს ძველად იხვებზე სანადიროდ იყენებდნენ.

❖ ფრანგ ჟანდარმებს მეტსახელად პინგვინებს ეძახიან.

❖ ყველაზე დიდი მარგალიტის დიამეტრი 16,5 სანტიმეტრია და 6,4 კილოგრამს იწონის. იგი ფილიპინების ერთ-ერთი კუნძულის სანაპიროზე იპოვეს.

❖ ძველი ბერძნები კუს ბაკანზე ორ რქას ამაგრებდნენ, მასზე სიმებს ჭიმავდნენ და ასე ამზადებდნენ მუსიკალურ საკრავ ლირას.

❖ ტორონტოს ზოოპარკში უკვე 23 წელია ცხოვრობს მხატვარი გორილა, სახელად ჩარლზი. მისი ფერწერული ტილოები საკმაოდ ძვირად — 800 დოლარად იყიდება. ჩარლზი ხატავს საღებავში ამვლებული თითებით, ავტოგრაფად კი საღებავში ამოვლებულ ფეხის ანაბეჭდს ტოვებს.

❖ იმისათვის, რომ ბავშვი მომავალში იდეალურად მორგებოდა ცხენს, მონღოლები ჩვილებს ფეხებს შორის ნაჭრის ბურთებს უდებდნენ, რათა ფეხები რაც შეიძლება მეტად მოღუნვოდათ.

❖ სამხრეთ კორეაში დაახლოებით ივნისის ბოლოს ყველა ავიარეისი ჩერდება, რათა შემცირდეს ხმაური. ამ დროს 800.000 აბიტურიენტი აბარებს გამოცდებს.

❖ მე-19 საუკუნეში ჰომოსექსუალებს მწვანეებს ეძახდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

# ოქროს გლობუსის ტრიუმფატორები



ჰიუ ჯეკმანი

ლოს ანჯელესის სასტუმრო „ბევერლი ჰილტონში“ ოქროს გლობუსის საიუბილეო, 70-ე კინოდაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა. ტრიუმფატორი აგენტურ თემაზე გადაღებული ფილმი „ოპერაცია „არგო“ გახდა. ბენ აფლეკის რეჟისურამ სტივენ სპილბერგის ფილმიც კი დაჩრდილა, რამაც იქ შეკრებილი საზოგადოება ცოტა გააკვირვა. ამ ცერემონიალზე „სპილბერგის წყევლა“ გაქარწყლდა. აქამდე, როცა სპილბერგის ფილმი იყო ნომინირებული, ეს ავტომატურად ნიშნავდა, რომ ის გამარჯვებულიც იყო.



კასპერ სმარტი და ჯენიფერ ლოპესი

მეორე ტრიუმფატორი ფილმი ტომ ჰუპერის „გარიყულნი“ გახდა, რომელმაც ჯილდო სამ ნომინაციაში მიიღო — საუკეთესო მიუზიკლი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი (ჰიუ ჯეკმანი) და საუკეთესო მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი (ენი ჰეტეუეი).



ორლანდო ბლუმი და მირანდა კერი

საუკეთესო მსახიობ ქალად ჯესიკა ჩესტეინი დასახელდა ფილმიდან „მიზანი ნომერი პირველი“, ხოლო საუკეთესო კომედიურ მსახიობ ქალად ჯენიფერ ლოურენსი აღიარეს. პრიზის გარეშე არ დარჩენილა მომღერალი ადელი, რომელმაც ჯეიმს ბონდის მორიგი ფილმისათვის საუნდტრეკი შეასრულა. მშობიარობის შემდეგ ის პირველად გამოჩნდა საზოგადოების წინაშე და არცთუ ცუდ ფორმაში.



ჰაიდი კლუმი

თავად ცერემონიალზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო წითელი ხალიჩა და ვარსკვლავების გარდერობი. ტრადიციულად, ქალებმა ამ საღამოს გრძელი შლეიფიანი კაბები და უამრავი ბრილიანტი წარმოაჩინეს. მოდის კრიტიკოსებმა უკვე შეაფასეს წითელი ხალიჩა და დასკვნაც დადეს.



ჯესიკა ჩესტეინი

ოქროს გლობუსის წლევანდელ ცერემონიალზე მთავარი ფერი შავი გახლდათ და სტუმრების 32% სწორედ ამ ფერის სამოსში იყო გამოპრანჭული. ქალთევზას სტილის კაბა 15 ვარსკვლავ ქალს ეცვა, კაბა ბიუსტით კი 17-მა ვარსკვლავმა მოირგო. სტუმრების 67%-ს ქორწინების ბეჭედი ეკეთა, 32%-ს — სამაჯური, ხოლო 5%-ს — კოლიე.



ბენ აფლეკი ცოლთან ერთად

ყველაზე ძვირადღირებული სამკაული ჯესიკა ალბას ამშვენებდა — მისი კოლიეს ფასი 5,8 მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ყველაზე დიდი ხმაური მირანდა კერის კაბას მოჰყვა. ვიქტორია სიკრეტის ანგელოზს იმდენად ღრმად შეჭრილი კაბა ეცვა, რომ ინტიმურ ადგილებს ჩანთით იფარავდა. ფურორი მოახდინა ჯენიფერ ლოპესის გამჭვირვალე კაბამ და მისმა ბოიფრენდმა კასპერ სმარტმა, რომელიც ასეთი რანგის ღონისძიებაზე ჯენიფერის გვერდით პირველად გამოჩნდა. დიზაინერ ზუჰაირ მურადის ხორცისფერისა და თეთრის კომბინაციამ ჯენიფერის სხეული მაქსიმალურად სექსუალურად წარმოაჩინა. კარგა ხანია, ასეთი „შიშველი“ ლოპესი წითელ ხალიჩაზე არ გამოჩენილა.



ჯესიკა ალბა



ნიკოლ კიდმანი



ჰოლი ბერი



ადელი



# სოფო ხალვაში მეორე შვილს ელოდება

„ოჯახში ყველას გვინდა, რომ პატარა რეზო ძოძუაშვილი დაიბადოს“

გვ.11